

675-გ

1983

ISSN—0132—6066



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

2.1983



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1983

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვაზარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1983, № 2.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაცემა წარმოებს 17.II.83; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.VII.83; უე 08267;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭედი; ნაბეჭდი თაბახი 14.0; სააღრიცხვო
საგამომცემლო თაბახი 11,5; ტირაჟი 1850; შეკვ. 518; ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ ნეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19



შინაპარსი

ქარლ მარქსის დაბადების 165 და გარდაცვალების 100 წლის თავი

ბ. ლომიძე, ქ. მარქსი ხელოვნების თავისებურების, განვითარების კანონზომიერებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ 5

ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 120 წლის თავი

- მ. ქმლენჯერიძე, ექვთიმე თაყაიშვილი საზღვარგარეთ 11
- მ. ნახუცრიშვილი, ხსიათა დამოკიდებულებისა და კონფლიქტების სოციალური ფონი (ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით) 24 ✓
- ს. ქვიციანი, ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკა ვასილ ბარნოვის მოთხრობებში 41
- მ. წერეთელი, ნიკო ავალიშვილის პუბლიცისტიკა 60
- მ. შახათაძე, ვეფხისტყაოსნის ძირითადი სიუჟეტური წერტილების ლოკალიზაციისათვის 71
- მ. შეტრეველი, ჰიმნოგრაფიული ტერმინი „მნიშვნელი“ 81
- ც. კიკვიძე, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისათვის 87
- ლ. ალექსიძე, პეტრიწის კომენტარების 41-ე თავის წყაროებისთვის 93
- ქ. დანელია, საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში 97
- მ. ლლონტი, კვირის დღეთა ბისკაიური სახელწოდებანი 108
- ნ. ჯიქია, ფრაზეოლოგიზმი როგორც ენის ნომინაციური საშუალება 118
- ნ. ცაიტიშვილი, ესპანურ საკუთარ სახელთა თარგმნის ნორმების შესახებ 122

ცნობები და შენიშვნები

ზ. სხირტლაძე, ფოლა ქართული წარწერით აბტალის მონასტრიდან 129

მეცნიერის იუბილე

ბ. მერკვილაძე, გიორგი ჯიბლაძე — 70 133

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

- შ. ძიძიგური, ი. ზიცარი, ბასკურ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პიპოთეზის შესახებ 136
- ნ. რობაქიძე, მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართულ არაბისტიკაში 148
- ბ. დერფერი, ვენერა ჯანგიძე — „ინგლისური დიალექტი აზერბაიჯანში“ 151

ქრონიკა და ინფორმაცია

- კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნაშრომებზე 1983 წლისათვის 152
- „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში 153

СОДЕРЖАНИЕ

К 165-летию со дня рождения и 100-летию со дня смерти Карла Маркса	
Г. А. Ломидзе, К. Маркс о своеобразии, общественном назначении и закономерностях развития искусства	5
К 120-летию со дня рождения Е. С. Такаишвили	
Е. Л. Келенджеридзе, Е. С. Такаишвили за границей	11
М. Г. Нахуцришвили, Социальный фон характеров и конфликтов по произведениям И. Чавчавадзе	24
С. В. Чейшвили, Критика буржуазного общества в произведениях В. Барнова	41
М. К. Церетели, Публицистика Нико Авалишвили	60
М. С. Махатадзе, Относительно основных сюжетных точек «Вепхисткаосани»	71
Е. П. Метревели, Грузинский гимнографический термин «мишивели»	81
Ц. В. Киквидзе, К установлению текста «Истории и восхваления венцесцев»	87
Л. З. Алексидзе, Об источниках 41-ой главы комментариев Иоанна Петриши	93
К. Д. Дanelia, О передаче собственных имен в древнегрузинских редакциях Ветхого завета	97
М. М. Глonti, Бискайские названия дней недели	108
Н. Е. Джикия, Фразеологизм как номинативное средство языка	118
Н. В. Цкитишвили, О нормах перевода испанских собственных имен	122
Сообщения и заметки	
З. И. Схиртладзе, Каменная плита с надписью из монастыря Ахтала	129
Юбилеи ученых	
Г. И. Мерквиладзе, Георгию Джигладзе — 70 лет	133
Критика и библиография	
Ш. В. Дзидзигури, Ю. В. Зыцарь, О состоянии гипотезы баскско-кавказского языкового родства	136
Н. И. Робакидзе, Значительный труд в грузинской арабистике	148
Г. Дерфер, Венера Тарасовна Джангидзе — «Ингилойский диалект в Азербайджане»	151
Хроника и информация	
Конкурс молодых ученых на лучшую работу за 1983 год	152
В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	153

ნებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“ (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები სამ ტომად, ტ. I, თბ., 1975, გვ. 624).

ცნობიერების ფორმებს შორის კ. მარქსი ასახელებს ხელოვნებას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ესთეტიკური მოღვაწეობის სპეციფიკურ სფეროს. ამასთან, იგი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების განსაკუთრებული სახეობა, ექვემდებარება ამ უკანასკნელის საყოველთაო კანონებს. ხელოვნება, კ. მარქსის მიხედვით, წარმოიშვა და ჩამოყალიბდა საზოგადოებისა და თვით ადამიანის გარდაქმნის ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში. ადამიანი შრომამ შექმნა და მანვე შეუწყო ხელი სამყაროში მის განმტკიცებას. შრომა იყო ის ძალა, რომელმაც მას შესაძლებლობა მისცა გამოყოფოდა ბუნებას, გაბატონებულიყო მასზე და გარდაექმნა არა მარტო იგი, არამედ საკუთარი თავიც. საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, შრომითი პრაქტიკის პროცესში, მოხდა ფორმირება მუსიკალური ყურის, მშვენიერი ფორმების აღმქმელი თვალისა და ტვინისა, რომელსაც შეეძლო რეალური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ესთეტიკური თვისებების დანახვა, გააზრება და შეფასება.

კ. მარქსისათვის ხელოვნება, როგორც ცნობიერების ფორმა, საკუთარი სპეციფიკის მატარებელია. იგი ამ მხრივ განსხვავდება კიდევ ცნობიერების სხვა ფორმებისაგან. ადამიანს, ცხოველისაგან განსხვავებით, უნარი აქვს არა მარტო დატკბეს მშვენიერებით, არამედ თვითონაც შექმნას საგანი „სილამაზის კანონების მიხედვით“. ყოველივე ეს იმაზეც მიუთითებს, რომ ადამიანის ესთეტიკური მოღვაწეობა განსხვავებულია მისი სხვა სახის მოღვაწეობისაგან.

შესავალში ნაშრომისა — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ კ. მარქსი მსჯელობს სამყაროს თეორიული ათვისების თაობაზე და წერს: „მთლიანობა, როგორც იგი გონებაში გვევლინება აზროვნებითი მთლიანობის სახით, პროდუქტია მოაზროვნე გონებისა, რომელიც სამყაროს ათვისებს მხოლოდ მისთვის ერთადერთი შესაძლებელი წესით, წესით, რომელიც განსხვავდება ამ სამყაროს ხელოვნებით — რელიგიურ-პრაქტიკულ-გონებრივი ათვისებისაგან“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 282, ხაზგასმა ჩემია. — გ. ლ.).

აქ აშკარად ჩანს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები — ლოგიკურ-დისკურსიული, მხატვრული, რელიგიური და პრაქტიკულ-სულიერი სამყაროს შემეცნებას წარმოადგენს. ეს ნიშანი ყველა აღნიშნული ფორმისათვის ზოგადია, სავალდებულოა. მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი სინამდვილის ათვისების დროს საკუთარ, „მხოლოდ მისთვის ერთადერთ შესაძლებელ“ წესს ემყარება და სწორედ აქ ვლინდება მათი სპეციფიკა, თავისთავადობა, რაც, რასაკვირველია, საბოლოო ანგარიშით, ათვისების შედეგში გამოვლინდება. აქედან გამომდინარე, ხელოვნება, ცნობიერების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს სამყაროს მხატვრულ ათვისებას, მხატვრულ წარმოსახვას. მაშასადამე, სამყაროს თეორიული და მხატვრული ათვისება, შემეცნება ურთიერთისაგან განსხვავებული მოვლენებია.

მაინც რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

სინამდვილის თეორიული შემეცნება, რომელიც აბსტრაქტული აზროვნების გზით ხორციელდება, ცნების შექმნით მთავრდება. აქ მოავარი აქცენტი ძეგატნილი ჰეშმარტების ძიებაზე, სინამდვილის ობიექტური კანონების, კანონზომიერების შესწავლაზე. ამიტომია, რომ ლოგიკური, თეორიული შემეცნება, როგორც ლენინი აღნიშნავდა, „ქმნის აბსტრაქციებს, ცნებებს, კანონებს, სამყაროს მეცნიერულ სურათს“.

რაც შეეხება სამყაროს მხატვრულ ათვისებას, ეს პროცესი მთავრდება მხატვრული სახის შექმნით. ხელოვნება მხატვრული სახეებით აზროვნება. იგი ქმნის სინამდვილის სურათს „ცხოვრებისავე ფორმაში“, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ინტელექტუალურ და ემოციურ მხარეთა მთლიანობა და ესთეტიკური ტიპობის, სიაზვნების აღძვრა. ხელოვნება რთული შინაგანი ბუნებისა და მისი სწორი აღქმა გარკვეულ მხატვრულ განათლებას, მხატვრულ გემოვნებას მოითხოვს. ამიტომ ამბობდა კ. მარქსი, რომ თუ გინდა დატყბე ხელოვნებით, უნდა იყო მხატვრულად განათლებული ადამიანი.

როგორც აღინიშნა, კ. მარქსს ხელოვნება მიაჩნდა საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმად, ხოლო თავის მხრივ საზოგადოებრივ ცნობიერებას განიხილავდა, როგორც ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის, ეკონომიკური ურთიერთობის ზედნაშენს. საერთოდ, ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის თვალსაზრისი წარმოადგენდა მატერიალისტური თეორიის საფუძველზე საზოგადოებრივი მოვლენებისა და, მათ შორის, ხელოვნების განვითარების კანონზომიერების მეცნიერული ახსნის ბრწყინვალე მაგალითს. იგი ცხადყოფს, რომ, მართალია, ხელოვნებას გააჩნია საკუთარი თავისთავადობა, მაგრამ მისი არსის, განვითარების კანონზომიერებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ახსნა შეუძლებელია როგორც ცნობიერების სხვა ფორმებისაგან იზოლირებულად, ისე გაუთვალისწინებლად იმ რთული საზოგადოებრივი სისტემისა, სადაც გადამწყვეტი როლი ეკონომიკურ ფაქტორს ეკუთვნის. მამასადამე, კვლევა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შემოიფარგლება ხელოვნების მხოლოდ წმინდა შინაგანი, იმანენტური კანონების ანალიზით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცნობიერების ფორმების, კერძოდ კი ხელოვნების, ეკონომიკური საფუძვლისადმი დამოკიდებულების შესახებ კ. მარქსის მიერ დადგენილი პრინციპი მარქსიზმის ეულგარიზატორებმა არასწორად, სქოლასტიკურად გაიგეს. მათ სცადეს ხელოვნების განვითარების კანონზომიერება უშუალოდ ეკონომიკური განვითარებიდან გამოეყვანათ. ასეთი სწორხაზობრივი, პრიმიტიული შეხედულების წინააღმდეგ 1894 წელს გამოვიდა ფრ. ენგელსი, რომელმაც კიდევ ერთხელ განმარტა აღნიშნულ საკითხზე მარქსის მოძღვრების მთავარი აზრი. ენგელსი კ. შტარკენბურგს სწერს: „პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, რელიგიური, ლიტერატურული, მხატვრული და სხვ. განვითარება ეკონომიკურ განვითარებას ემყარება, მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ აგრეთვე ერთმანეთზე და ეკონომიკურ საფუძველზეც. საქმე ისე კი არ არის, რომ ეკონომიკური მდგომარეობა არის ერთადერთი აქტიური მიზეზი, ხოლო სხვა დანარჩენი მხოლოდ პასიური შედეგი, არამედ ეს არის ურთიერთშემოქმედება იმ ეკონომიკური აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც საბოლოო ანგარიშით მუდამ ხორციელდება... ამრიგად, არსებობს არა ეკონომიკური



მდგომარეობის ავტობიოგრაფიული მოქმედება, როგორც ეს ზოგიერთს საქმის საადავლებლად აქვს წარმოდგენილი“ (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 518. ხაზგასმა ფრ. ენგელსისა).

როგორც ვხედავთ, მხატვრული მოვლენების, საერთოდ ხელოვნების ანალიზის დროს უნდა ამოვიღოთ არა პირდაპირ ეკონომიკური საფუძვლიდან, არამედ საპირობა ვათვალისწინებულ იქნეს სხვა ვარაუდებიანიც. კერძოდ, კლასობრივ საზოგადოებაში, უკლასო გვაროვნული საზოგადოებისაგან განსხვავებით, ხელოვნების განვითარებაზე უშუალო ზეგავლენას ახდენს მთელი რიგი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც მხოლოდ „საბოლოო ანგარიშით“ არის განპირობებული მატერიალური საფუძვლით და გამოირჩევა „ეკონომიკური მდგომარეობის ავტობიოგრაფიული მოქმედებას“. ამ პრინციპით ხსნიან კ. მარქსი და ფრ. ენგელსი იტალიური რენესანსის ლიტერატურისა და ხელოვნების გენიალურ ნაწარმოებთა შექმნის მიზეზებს.

მაშასადამე, კ. მარქსის აზრით, ხელოვნება, როგორც ისტორიული მოვლენა, ვითარდება, მაგრამ მისი განვითარების კანონზომიერება გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რაშიც ვლინდება დისპროპორცია საზოგადოების საერთო განვითარებასა და ხელოვნების აყვავებას შორის. ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი წერს: „ხელოვნების შესახებ ცნობილია, რომ მისი აყვავების გარკვეული პერიოდები სულაც არ შეესაბამება საზოგადოების საერთო განვითარებას, მაშასადამე, არც ამ საზოგადოების მატერიალური საფუძვლის განვითარებას, საფუძვლისა, რომელიც მისი ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, ჩონჩხს შეადგენს. მაგალითად, ბერძნები შედარებით თანამედროვე ხალხებთან, ანდა აგრეთვე შექსპირი“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 295).

კ. მარქსი ამ აზრის ერთ-ერთ დადასტურებას იმაშიც ხედავს, რომ ლიტერატურის გარკვეული ფორმები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, ჩნდება ხელოვნების განვითარების მხოლოდ დაბალ საფეხურზე. მისი განმარტებით, თუ ამას ადგილი აქვს ხელოვნების სფეროს შიგნით, ხელოვნების სხვადასხვა სახეობათა შორის არსებულ დამოკიდებულებაში, მაშინ მით უფრო ნაკლებ გასაკვირია, რომ ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი „ხელოვნების მთელი სფეროს დამოკიდებულებაში საზოგადოების საერთო სოციალურ განვითარებასთან“. ბერძნული ხელოვნება და ეპოსი, რომლის არა მარტო არსენალს, არამედ ნიადაგსაც მითოლოგია შეადგენდა, დაკავშირებული იყო საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ფორმასთან. ისინი „ახლაც კიდევ ესთეტიკურ სიამოვნებას გვაგრძნობინებენ და გარკვეული აზრით ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას ინარჩუნებენ“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 297).

კ. მარქსი განიხილავს ლიტერატურისა და ხელოვნების შემეცნებით მნიშვნელობას და საზოგადოებრივ დანიშნულებას. მას მიაჩნია, რომ ხელოვნება, როგორც ცნობიერების ფორმა, გარკვეულ უკუზემოქმედებას ახდენს ყოფიერებაზე, საზოგადოების საერთო განვითარებაზე. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი ხელოვნების თავისებურებაზე მსჯელობისას მიუთითებენ მის დიდ საზოგადოებრივ დანიშნულებაზე. ხელოვნება ერთდროულად ადამიანს ანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებასაც და ამაღლებს გონებრივადაც. იგი სულიერი გამდიდრების, სულიერი ამაღლების მძლავრი წყაროა. მისი ზეგავლენით ხდება ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური ფორმირება, ნებისა და ქცევის,

ზნობისა და რწმენის წრთობა, მხატვრული უნარისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. ხელოვნების ზემოქმედება გამოიხატება იმაშიც, რომ იგი „ქმნის საზოგადოებას, რომელსაც გაეგება ხელოვნება და შესწევს მშვენიერებით დატკობის უნარი“ (კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. გვ. 269).

სწორედ ხელოვნების დიდ შემეცნებით ღირებულებასა და საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მეტყველებს XIX საუკუნის ინგლისელი რეალისტების — დიენისი, თეკერისი, ბონტესა და ჰასკელის მარქსისტული შეფასება. მარქსის აზრით, ინგლისელ რომანისტთა ამ ბრწყინვალე პლუადამ მოგვცა ბურჟუაზიის ყველა ფენის დახასიათება, უფრო მეტი პოლიტიკური და სოციალური კეშმარიტებანი, ვიდრე ერთად აღებულმა პროფესიონალურმა პოლიტიკოსებმა, პუბლიცისტებმა და მორალისტებმა. ანალოგიურია ფრ. ენგელსის შეხედულება ბალზაკის შემოქმედების შესახებ.

ხელოვნება, კ. მარქსის განსაზღვრით, ასახავს ობიექტურ სინამდვილეს და გამოხატავს გარკვეულ იდეურ შინაარსს, ამასთან, იძლევა ცხოვრების მოვლენების შეფასებასაც. ამით არის განპირობებული მისი მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში. რამდენადაც მხატვრული ფენომენი თავის საფუძველშივე საზოგადოებრივი, სოციალური მოვლენაა, ამდენად მასში ყოველთვის ვლინდება ამა თუ იმ კლასის შეხედულებანი და ინტერესები. ამიტომ საზოგადოების ესთეტიკური კულტურა განსაზღვრულია არსებული კლასობრივი ურთიერთობის ხასიათით. მარქსიზმის მიხედვით, კლასობრივ საზოგადოებაში იგი ორად არის გაყოფილი. ერთი მხრივ, გვაქვს გაბატონებული კლასების, ხოლო, მეორე მხრივ, ჩაგრულ კლასების ესთეტიკური კულტურა, რომელთა შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობაა. არსებული სოციალური გარემო, კაპიტალისტური ყოფა ყოველმხრივ ზრუნავს ბურჟუაზიის ესთეტიკური კულტურის განვითარებისათვის, რაც მტრულ დაპირისპირებაშია ხალხთა მასების ინტერესებთან. რამდენადაც ბურჟუაზიის კულტურა გამოხატავს გაბატონებული კლასების შეხედულებებსა და ჩვეულებებს და იცავს მათ, ამდენად ხალხთა მასები ფაქტობრივად მოკლებული არიან ესთეტიკურ განვითარებას და აღზრდის ისეთი საშუალება, როგორც ხელოვნება, ჩაყენებულია ბურჟუაზიის სამსახურში და ხასიათდება უიდეობით, აპოლიტიციზმით, რის გამოც წართმეული აქვს საზოგადოებაზე აქტუური ზემოქმედების ძალა. რაც შეეხება კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ ხელოვნებას, მართალია, იგი ვითარდება რეალიზმის პრინციპებზე, იბრძვის არსებული უსამართლობის წინააღმდეგ, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლება ყოველმხრივ ზღუდავს მის წინსვლას და, საერთოდ, ხელს უშლის მასების სწრაფვას—ეზიარონ ხელოვნების ძალას. მხატვრული კულტურის ამაღლება, ესთეტიკური ტკობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მხოლოდ „ჩვეულთა“ ხედვრია, მხოლოდ გაბატონებული კლასების პრივილეგიაა. ასეთ ღრმა წინააღმდეგობას ხედავს კ. მარქსი ბურჟუაზიული საზოგადოების ესთეტიკურ კულტურაში, რაშიც უკუფენილია ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ანტაგონისტური კლასობრივი დაპირისპირებანი. მისი შეხედულებით, ყველა სხვა საზოგადოებრივ ფორმაციებთან შედარებით, სოციალიზმის დროს, თავისუფალი შრომის პირობებში, „ადგილი აქვს აუცილებელი სამუშაო დროს შემცირებას, რაც ხელსაყრელ

პირობებს კმნის ინდივიდთა მხატვრული, მეცნიერული და ა. შ. განვითარებისათვის“. ამ შემთხვევაში საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფალი, შემოქმედებითი შრომა კმნის არა მარტო თვით პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ხელსაყრელ პირობებს, არამედ განსაზღვრავს აგრეთვე მთელი საზოგადოების კულტურულ წინსვლასა და აღმავლობას.

კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ესთეტიკური შეხედულებანი ახალ ისტორიულ პირობებში შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ახალი ეტაპის შექმნა ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში.

კ. მარქსის ესთეტიკურ თვალსაზრისს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც, როგორც ამხ. ი. ვ. ანდროპოვი აღნიშნავს: „მარქსიზმი დოგმა კი არა, დამოუკიდებელი მუშაობისა და მოქმედების ცოცხალი სახელმძღვანელოა იმ რთული ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც ისტორიის ყოველი ახალი შემობრუნება გვიყენებს. იმისათვის, რომ ცხოვრებას არ ჩამორჩნენ, კომუნისტებს მართებთ ყველა მიმართულებით განავითარონ და გაამდიდრონ მარქსის მოძღვრება, შემოქმედებითად გამოიყენონ პრაქტიკაში მარქსის მიერ შემუშავებული მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი, რომელსაც სამართლიანად ეწოდა მარქსიზმის ცოცხალი სული“.

კ. მარქსისა და ფრ. ენგელსს ღრმად სწამდათ პროლეტარიატის იდეალების განხორციელებისათვის მოწინავე ხელოვნების, მოწინავე ესთეტიკურ თეორიის მათრგანიზებელი, მამობილიზებელი, გარდამქმნელი ძალა, რაც განვილიმა დრომ ცხადყო. მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკური თეორიით შეიარაღებული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება დღეს განვითარების უმაღლეს საფეხურზე დგას. ეს კი თვალნათლივ ადასტურებს ამ თეორიის ფუძემდებლის გენიალურ ალღოსა და წინასწარგანჭვრეტის სიდიადეს.

ეჭვითი თაყაიშვილის დაბადების 120 წლისთავი

ალენი კალენჯერიძე

ეჭვითი თაყაიშვილი საზღვარგარეთ

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული პირადი საარქივო ფონდებიდან აკადემიკოს ეჭვითი თაყაიშვილის არქივი ერთ-ერთი ყველაზე სრული, ვრცელი და უაღრესად საინტერესო ფონდია. არ არის დარჩენილი ეჭვითი თაყაიშვილის ცხოვრების, საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობის არც ერთი მომენტი, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იყოს ასახული მის საარქივო ფონდში. ე. თაყაიშვილის არქივი ნაწილობრივ თვით ეჭვითი მის მიერ იყო დაჯგუფებული და მოწესრიგებული. ცალკე იყო გამოყოფილი ერთი შეკვრა დოკუმენტებისა. შეკვრას ე. თაყაიშვილის ხელით ეწერა „ემიგრაციის მასალები“. ეს დოკუმენტები ეხება ე. თაყაიშვილის ცხოვრების იმ პერიოდს, რომელიც მან საფრანგეთში გაატარა 1921-დან 1945 წლამდე.

ე. თაყაიშვილის ცხოვრების ემიგრაციის პერიოდი ცალკე თავადაა გამოყოფილი რ. მეტრეველის და შ. ბაღრიძის წიგნში „ეჭვითი თაყაიშვილი“, რომელიც 1962 წ. გამოვიდა. რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი ე. თაყაიშვილის ცხოვრების ამ მონაკვეთს. გ. ლომთათიძის ნარკვევში ეჭვითი თაყაიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის შესახებ, რომელიც აკადემიკოს ე. თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სტატიების კრებულში დაიბეჭდა 1966 წელს. რჩეული ნაშრომების I ტომშია (1968 წ.,) დაბეჭდილი ეჭვითი მოგონებები ქართული სამუზეუმო ქონების ისტორიის შესახებ. ქართული განძების საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოტანის შესახებ მოგონებებით გამოვიდა აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი ე. თაყაიშვილისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიაზე; მანვე დაბეჭდა რამდენიმე სტატია ამ საკითხზე.

ჩვენ შევეცადეთ ამ ნაშრომში განხილული საკითხები შეგვევსო ისეთი ფაქტებით, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი. ამის საშუალებას გვაძლევს ე. თაყაიშვილის წერილები ნიკო მარისადმი, იროდიონ სონღულაშვილისადმი, ანდრია გუგუშვილისადმი და ე. თაყაიშვილის ცხოვრების ემიგრაციის პერიოდის სხვა მასალა. ყოველივე ეს დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში ე. თაყაიშვილის, ნ. მარის და ი. სონღულაშვილის არქივებში. ეს მასალები საინტერესოა იმითაც, რომ შეიცავს თუმცა ძუნწ, მაგრამ მაინც საგულისხმო ცნობებს ქართველი ემიგრაციის საქმიანობაზე საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

1921 წლის დასაწყისში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საფრანგეთში გაიტანა საქართველოს მუზეუმებსა და ეკლესიებში დაცული განძები. ე. თაყაიშვილი მცველად გაჰყვა ამ ნივთებს. ემიგრაციაში მასთან ერთად წავიდა მისი ცოლი ნინო პოლტორაკია-თაყაიშვილი. განძებული ჯერ ბათუმში, იქიდან კი გემით მარსელში ჩაიტანეს. იქ სამეცნიერო კომისიამ სამუზეუმო ნივთები გამოყო მთავრობის ქონებიდან და 39 დაბეჭდილი ყუთით მარსელის ბანკს ჩააბარა.

უკვე გზიდან, მარსელიდან პარიზში, ნიკო მარისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რამდენი საზრუნავი და საფიქრებელი გამოჰყვა ე. თაყაიშვილს სამშობლოდან — „ეხლა მე მარსელში ვარ და ვინაიდან არ ვიცი, როდის მოვალ პარიზში, ვიჩქარი გაცნობო, რომ ჩვენი შეყრა აუცილებლათ საჭიროა, რომ გავაცნო მდგომარეობა სამეცნიერო დაწესებულებათა და მათი მომავალი არსებობის გარემოებაზე... ჩემის აზრით, შენი აქედან ტფილისში გამგზავრება აუცილებელია და, თუ პეტერბურგში მოგიხდება წასვლა, ბევრათ ჯობია ტფილისიდან წახვიდე, სამეცნიერო დაწესებულებებს შევლა უნდა და შექმნილი პირობების მიხედვით ეს ეხლა შენ ყველაზე უკეთ შეგიძლია“¹.

ე. თაყაიშვილი პირველ ხანებში პარიზში ცხოვრობდა — „მე რასაკვირველია აქ ტყვილად არ ვატარებ დროს, მუზეუმებში დავდივარ, მუზეუმების მოწყობის ტექნიკას და კლასიფიკაციას ვეცნობი, მასალებს ვპოულობ და ბევრ ნივთებს შევსძენ მუზეუმებს, როცა დავბრუნდები, — წერდა იგი იროდიონ სონდულაშვილს 1921 წელს². ამასთანავე ექვთიმე პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში მუშაობდა, როგორც ეს მარისადმი 1922 წლის 26 ნოემბერს მიწერილი წერილიდან ჩანს³.

1922 წლის 4 თებერვალს ე. თაყაიშვილი აირჩიეს ფრანგ ნუმიზმატთა საზოგადოების წევრად. ფონდში დაცულია ამ საზოგადოების დიპლომი, გაცემული ე. თაყაიშვილის სახელზე⁴.

ემიგრაციის პირველ წლებში ექვთიმე არჩეული იყო ევროპაში მყოფი ქართველი სტუდენტების დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ. შემონახულია კომიტეტის 1922 წლის 7 აპრილის სხდომის ოქმი, დაწერილი ე. თაყაიშვილის ხელით. კომიტეტის წევრები იყვნენ ზურაბ ავალიშვილი და აკაკი ჩხენკელი. ვინაიდან მენშვეიკურმა მთავრობამ განაცხადა, რომ აღარა აქვს საშუალება სტიპენდიები აძლიოს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს, კომიტეტი უნდა გაუქმებულიყო: მაგრამ კომიტეტმა გადაწყვიტა წლის ბოლომდე დახმარებოდა მათ, ვისაც 1922 წელს უნდა დაემთავრებინა კურსი. საფრანგეთში ასეთი იყო 12 სტუდენტი, ინგლისში 1, გერმანიაში 12. თანხა, რომელიც იმხანად გააჩნდა კომიტეტს, ჯერ ამ სტუდენტებს მოხმარდებოდა, დანარჩენი კი მათ, ვინც იტალიაში და ავსტრიაში სწავლობდა. სტუდენტთა დამხმარე კომიტეტმა გადაწყვიტა მიემართა გერმანიის ქართული კოლონიის წარმომადგენლობისათვის, თვითონ ეზრუნათ გერმანიაში მყოფი ქართველი სტუდენტების დახმარებაზე (იქ მაშინ 42 კაცი სწავლობდა). კომიტეტმა დაადგინა გაცნო საქმის ვითარება ევროპაში მცხოვრები შეძლებული ქართველებისათვის და ეთხოვა მათთვის დახმარება⁵.

1925 წლის 13 ნოემბერს ე. თაყაიშვილი აირჩიეს სააზიო საზოგადოების წევრად⁶.

¹ ნ. მარის ფონდი, № 108. უთარილო წერილი.

² ირ. სონდულაშვილის ფ., № 193.

³ ნ. მარის ფ., № 109.

⁴ ე. თაყაიშვილის ფ., № 1124.

⁵ იქვე, № 1125.

⁶ იქვე, № 2162.

აქ გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ იმ საქმიანობაზე, რომელსაც ეწეოდნენ ქართველი ემიგრანტები ევროპაში და კერძოდ საფრანგეთში. ექვთიმე თაყაიშვილი ან მონაწილე იყო მათი წამოწყებებისა, ან დახმარებას უწევდა თავის თანამემამულეებს.

ე. თაყაიშვილის ფონდში დაცულია საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების გამგეობის მიმართვა ექვთიმესადმი. გამგეობას საზოგადოების კრების გადაწყვეტილებების თანახმად განუზრახავს პარიზში ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის კურსების მოწყობა. 1925 წლის 14 თებერვლისათვის მათ დანიშნეს სპეციალური კომისიის სხდომა გეგმის შესამუშევრლად. სამსონ ფიცხალავასთან და ზურაბ ავალიშვილთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილი მიწვეული იყო სპეციალური კომისიის წევრად. მიმართვას ხელს აწერს გამგეობის მდივანი კობახიძე⁷.

1927 წლის 21 იანვარს ექვთიმეს აცნობეს, რომ 9 იანვარს დაარსდა საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა კულტურულ-აკადემიური კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი სტუდენტების გაერთიანებას მისი ეროვნული, კულტურული და პროფესიული ინტერესების დასაცავად. დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად აირჩია ექვთიმე კავშირის საპატიო წევრად. კავშირის თავმჯდომარე იყო მ. ხუნდაძე, მდივანი ნ. ურუშაძე⁸.

1929 წელს 9 აპრილს გიორგი ზურაბიშვილი პარიზიდან ლევილში წერდა ექვთიმეს, რომ დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური კავშირი. კავშირის მიზანი იყო „საქართველოს საკითხის ყოველმხრივი, შეძლებისდაგვარად სრული და უაღრესად ობიექტური შესწავლა და გაშუქება, აკადემიურ ფარგლებში და ყოველგვარი პარტიულ-პოლიტიკური მიდგომის გარეშე“. ე. თაყაიშვილი აირჩიეს კავშირის საპატიო წევრად. გ. ზურაბიშვილი თხოვდა ექვთიმეს შეხვედროდა მას და აკადემიური კავშირის მდივანს მამაბელს, რათა მისთვის გაეცნოთ კავშირის მიზანი, მუშაობის გეგმა და მეთოდები⁹.

იმავე წლის 15 ნოემბერსაა მიწერილი ე. თაყაიშვილისადმი ერთი საინტერესო წერილი ვარშავიდან. წერილის ავტორი გიორგი ნაკაშიძე წერს ექვთიმეს, რომ მან დაამთავრა პრალის უნივერსიტეტი; ამჟამად ვარშავაშია, სადაც იგი მიიწვიეს აღმოსავლეთის ინსტიტუტში ქართული ენის გაკვეთილების გადასაცემად. თხოვს. ექვთიმეს სათანადო ლიტერატურას. ამ წერილს ბოლოში აქვს ექვთიმეს მინაწერი იმის შესახებ, რომ მან გიორგი ნაკაშიძეს გაუგზავნა წიგნები, მათ შორის ნ. მარის სამი ნაშრომი. მეორე წერილში გ. ნაკაშიძე მადლობას უხდის ექვთიმეს დახმარებისათვის და აცნობებს, რომ მისმა ლექციამ ქართული ენის შესახებ დიდი წარმატებით ჩაიარა და მას მისცეს ქართული ენის გაკვეთილები¹⁰. არის ცოტა უფრო ადრე, 1927 წ. 6 აპრილს ბოლონეთიდან მოწერილი წერილი, რომელშიც ივანე ქავთარაძე თხოვს ე. თაყაიშვილს მასალებს და წიგნებს საქართველოს ისტორიის შესახებ¹¹.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემიგრაციაშიც, ისევე, როგორც მთელი სი-

⁷ იქვე, № 1130.

⁸ იქვე, № 1132.

⁹ იქვე, № 1532.

¹⁰ იქვე, № 1534.

¹¹ იქვე, № 1525.

ცოცხლის მანძილზე, ექვეიმეს მიმართავდნენ მატერიალური დახმარებისათვის, თხოვდნენ სხვადასხვა ხასიათის ცნობებს, წიგნებს. ე. თაყაიშვილის ფონდში მრავალია ასეთი ხასიათის წერილი და თითქმის ყველა მათგანზე ექვეიმეს მინაწერია იმის შესახებ, რომ მთხოვენს გაუგზავნა ფული თუ წიგნი, მაწონდა საქირო ცნობები და სხვა.

ცოტა უფრო მოგვიანებით, ოცდაათიან წლებში საფრანგეთში დაარსებული ყოფილა ქართული სამეცნიერო წრე. რა საქმიანობას ეწეოდა სამეცნიერო წრე, ზუსტად ამის განსაზღვრა ძნელია. ე. თაყაიშვილის ფონდს შემოუნახავს ამ წრის ერთი, 1938 წლის 18 იანვრის მიმართვა, რომელშიც იოსებ (ასო) გოგოლაშვილი ქართული სამეცნიერო წრის სახელით ულოცავს ექვეიმეს დაბადების 75 წლისთავს, უსურვებს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას სამშობლოს საყეთილდღეოდ და სასიქადულოდ. „წრის დიდი სურვილია, — ნათქვამია აგრეთვე მიმართვაში, — რომ ვახაზულამდე მოეწყოს სავანგებო სხდომა წევრებისა თქვენი პატივსაცემლად ყველა თქვენი მოწაფის მონაწილეობით და შემოსავალი ამ სხდომისა გადაიღოს თქვენი შრომის გამოსაცემ ფონდში“¹².

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი დაწერილი ე. თაყაიშვილის ხელით. ეს არის წესდება ქართული აკადემიური კავშირისა უცხოეთში. ეს მასალა, სამწუხაროდ, უთარილოა, მაგრამ საინტერესოა ქართველების საქმიანობის გასათვალისწინებლად და ამიტომ მოგვეყვას თითქმის მთლიანად:

ქართული აკადემიური კავშირის მიზანია:

1. გაერთიანოს სამეცნიერო და საკულტურო მუშაობისათვის ქართველები, რომელთაც საქართველოს გარეთ უწევთ ცხოვრება და სურვილი და უნარი აქვთ ასეთი მუშაობისათვის;
2. ხელი შეუწყოს საქართველოს და მისი კულტურის გაცნობას უცხოელებისათვის და უცხოეთის და მისი კულტურის შესწავლას ქართველებისათვის.

ამ მიზნით კავშირი:

3. გამოცემს შექლებისამებრ წიგნებს ქართულს და უცხო ენებზე;
4. გაიჩნეს სტამბას და პერიოდულ ორგანოს;
5. დააარსებს ბიბლიოთეკას;
6. გამართავს ლექციებს და ექსკურსიებს;
7. მოაწყოს სავარო კრებებს, რომელზედაც მოისმენენ წერილობითს ან სიტყვიერ მოხსენებებს;
8. ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის მომზადებას სამეცნიერო და საკულტურო დარგებში სათვის.

9. დანიშნავს კონკურსს, მისცემს პრემიებს და პონორარს.

კავშირი შედგება დამფუძნებელი წევრებისაგან, რომლებიც ხელს აწერენ ამ წესდებას. გარდა ამისა კავშირს ეყოლება ნამდვილი, დამხმარე და საბატიო წევრები. შემდეგი მუხლები წესდებისა შეეხება საზოგადოების მართვა-გამგეობას და კრებების მოწვევის წესს. საზოგადოების სახსარს შეადგენს საწევრო გადასახადი, შემოწირულება, ლექციების და რეფერატების კითხვით შემოსული ფული და გამოცემული წიგნების შემოსავალი¹³.

მუშაობის ასეთ ფართო გეგმას, ალბათ, არც ეწერა განხორციელება ემიგრაციის პირობებში.

დავუბრუნდეთ ე. თაყაიშვილის საფრანგეთში ყოფნის პირველ წლებს. თავდაპირველად იგი პარიზში ცხოვრობდა, მაგრამ მალე იქ ცხოვრება გაუ-

¹² იქვე, № 1496.

¹³ იქვე, № 1161.

ჭირდა და პარიზის მახლობლად ქართველი ემიგრანტებისათვის მიჩენილ სოფელ ლევილში დასახლდა.

„რაკი პარიზში საცხოვრებელი სახსარი არ გვქონდა, ახლა სოფლათ ვართ. ცოტა ხნის შემდეგ აქ საცხოვრებელიც არაფერი გვიქნება“, — წერდა ექვთიმე ნიკო მარს 1922 წლის 26 ნოემბერს¹⁴.

სოფელში ე. თაყაიშვილს არ ჰქონდა საშუალება განეგრძო მეცნიერული მუშაობა, არ გააჩნდა მასალები, არ ჰქონდა წიგნები. ამ დროს მიწერილი მისი წერილები ნიკო მართან და იროდიონ სონღულაშვილთან საესეა თხოვნით — გაუგზავნონ წიგნები, მიაწოდონ მასალები, აცნობონ — რა ხდება საქართველოში, როგორ მიდის იქ მეცნიერული მუშაობა, შეატყობინონ თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ამბავი.

ლევილში ექვთიმე თაყაიშვილს არა მარტო ახალი გამოცემების და წიგნების შოვნა უჭირდა, მას ხელთ საკუთარი ნაშრომებიც კი არ ჰქონდა.

„ჩემი სათხოვარი ყოველთვის ერთი და იგივეა — წიგნები და სურათები“, — უთვლიდა ექვთიმე ი. სონღულაშვილს 1923 წლის დეკემბერში¹⁵.

„რა ვქნა არ ვიცი, — წერდა იგი ნიკო მარს 1924 წლის 18 აპრილს, — უწიგნოთ ვიტანჯები, და რაკი წიგნებს მოკლებული ვარ, არც რაიმე სტატიების დამზადება შემიძლია, გარდა მცირე მასალისა ჩემი მოგზაურობებიდან, რომელნიც თან მაქვს უბის წიგნების სახით“. „იწერები, რა გაყლია წიგნები, მომწერეთ, მე იმდენი რამე მაკლია, რომ მრცხვენია ყველაფრით შეგაწუხო“ — მასვე 1925 წლის 5 მაისს¹⁶.

ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე ამონაწერი მოვიყვანეთ ე. თაყაიშვილის წერილებიდან. არ არის არც ერთი წერილი გაგზავნილი უცხოეთიდან, სადაც ექვთიმე წიგნებს არ თხოვდეს მარს და სონღულაშვილს.

ამავე წერილებიდან ჩანს, რომ მარი და სონღულაშვილი შეძლებისდაგვარად აწვდიდნენ ე. თაყაიშვილს წიგნებს და ფოტოსურათებს. ე. თაყაიშვილს წიგნებს უგზავნიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისის უნივერსიტეტი. რამდენიმე წერილთან ერთად ექვთიმემ ნ. მარს გაუგზავნა სია იმ წიგნებისა, რომლებიც მას დაუგროვდა, რომ მარს სცოდნოდა, რა გამოცემები ჰქონდა ექვთიმეს, და გაეთვალისწინებინა, რა დასჭირდებოდა მას.

ნელ-ნელა მიჰყო ხელი ექვთიმემ მეცნიერულ მუშაობას. ამასთანავე ის თვალს ადევნებდა მის მიერ საქართველოში დატოვებული ნაშრომების ბეჭდვას. 1923 წლის დეკემბრის წერილში იგი წერს: „იროდიონ სონღულაშვილს, თუ როგორ უნდა გამოიცეს მისი „ქართული-ხუროთმოძღვრების ალბომი“, რომელიც 1924 წელს დაიბეჭდა თბილისში¹⁷.

1926 წელს თბილისში გამოსცეს მისი „საქართველოს სიძველენის“ III ტომის დამატება. ზოგიერთი მისი ნაშრომი დაიბეჭდა ლენინგრადში, მარის თაოსნობით. მაგრამ, როგორც ექვთიმეს წერილებიდან ჩანს, ნ. მარს უჭირ-

¹⁴ ნ. მარის ფ., № 109.

¹⁵ ირ. სონღულაშვილის ფ., № 128.

¹⁶ ნ. მარის ფ., № 110, 115.

¹⁷ ირ. სონღულაშვილის ფ., № 128.

და მისი სტატიების ბეჭდვა. მიუხედავად ამისა, ექვთიმე მაინც უგზავნიდა მარს თავის ნაშრომებს: „მე ვიცი, რომ ზოგი ჩემი სტატიების გამოცემას ველარ მოვესწრები, ვინაიდან ასე ძნელი შეიქმნა ბეჭდვის საქმე, მაგრამ მაინც მიჩვენია შენთან იყოს, რისიც დამზადება აქ მეხერხება უწიგნებოთ და უღამხმარე მასალით“ — წერდა იგი მარს 1924 წლის 18 აპრილს¹⁸. „ერთი სიტყვით თუ ხელავ, რომ ჩემი სტატიები სასარგებლო არის მეცნიერებისათვის, დახმარებას ნუ მომაკლებ. მე შინდა რაც მასალა ხელთა მაქვს, ის მაინც დავამუშაო, რამდენადაც შეიძლება უბიბლიოთეკოთ და დამხმარე მასალების არა ქონით მათი დამუშავება“¹⁹ (1924 წლის 12 ივნისი).

როდესაც დაკარგა იმის იმედი, რომ მარი შეძლებდა მისი სტატიების გამოქვეყნებას, ექვთიმემ უკან გამოითხოვა თავისი ნაშრომები და ფოტოსურათები²⁰. „სწორედ ტრაგიკული მდგომარეობაა, როცა გრძნობ, რომ ბევრი სიტყვით აღარა გაქვს და ველარ მოვესწრები ასე ჰირ-ვარამით შეკრებილი მასალა გამოაქვეყნო“ — მიუწერია ექვთიმეს მარისათვის 1925 წლის 11 სექტემბერს²¹.

განსაკუთრებით აინტერესებდა და აწუხებდა ე. თაყაიშვილს მის მიერ 1907 წელს დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბედი და როდესაც გაიგო, რომ ივანე ჯავახიშვილმა იყისრა ამ საზოგადოების თავმჯდომარეობა, უზომოდ გახარებული ექვთიმე წერდა ი. სონლულაშვილს 1924 წლის 17 მარტს: „მეტად ვერაფრით გამახარებდი ისე, როგორც ცნობით, რომ ივანე ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარედ ავირჩევით და ის დათანხმებულა. ივანე პირადათაც უმწიკლო ადამიანია, დიდი პიროვნებაა და დიდი ჩვენი მეცნიერია. ესლა მე სრულიად დამწვიდებული ვარ და დარწმუნებული ვარ, საზოგადოების მეცნიერული მუშაობა და საქმეები კარგათ წავა. ძალიან გთხოვთ ყველას, შეუშუბუქოთ ტვირთი და ყოველგვარი თანამშრომლობა და შემწეობა აღმოუჩინოთ საზოგადოების საქმეებში“²².

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილმა საკუთარი ბიბლიოთეკა თბილისში დატოვა. იგი დაქინებით თხოვდა ი. სონლულაშვილს მისი ბიბლიოთეკა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში გადაეტანა კარადებთანად: საზოგადოებას ჰქონდეს მთლიანად, ჩემი ანდერძითაც ის საზოგადოების კუთვნილებაა, რომ დავბრუნდები, მე უკან არ გადმოვიტან, იქიდან ვისარგებლებო. 1922 წლის 31 იანვარს იროდონისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ სონლულაშვილს შეუსრულებია ექვთიმეს თხოვნა: „მითხრეს ჩემი წიგნები გადაგიზიდავს საზოგადოებაში, ძლიერ გამახარა ამ ამბავმა. იმედი მაქვს კარადებსაც გადაიტანდი და შით მოათავსებდი წიგნებს... ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, თუ ჩემი ბიბლიოთეკიდან ერთი ნაფლეთი ქალაქშიც არ დაიკარგება, სხვას ისე არ ვიღარდებ“²³.

¹⁸ ნ. მარს ფ., № 110.

¹⁹ იქვე, № 111.

²⁰ იქვე, № 118—120.

²¹ იქვე, № 116.

²² ირ. სონლულაშვილის ფ., № 131.

²³ იქვე, № 126.

17593
C657

1928 წლის ზაფხულში ე. თაყაიშვილის ცოლმა ნინომ რამდენიმე მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მერე ცოტათი მომჯობინდა, მაგრამ მალე ისევ ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. „ნინო აგერ წელიწადნახევარია ისევ ლოგინად არის ჩავარდნილი. ერთობ მძიმე ავადმყოფია. მოვლა მე მიხდება და აქედან წარმოიდგენ ჩემს მდგომარეობას. მე მისგან მოვლაზე ვიყავი ჩვეული. მას იმდენი ამაგი და სამსახური აქვს ჩემზე დადებული, რომ მე შეასდესაც ვერ გადავუხდი, რაც არ უნდა მოვინდომო“, — წერდა ექვთიმე ნ. მარს 1931 წლის 31 მარტს²⁴. იმავე წლის 8 ივლისს ნინო გარდაიცვალა და ექვთიმე წერდა იროდიონს: „ჩემო ძვირფასო, აბა რაღა უნდა მოგწერო, ნინო აღარა მყავს! ეს საკმარისია ჩემი სულსკვეთება, ჩემი სიოხლე, ჩემი მარტოობა და უშუალო მდგომარეობა უსიტყვოთაც კარგად გაიგო“²⁵.

ნინოს გარდაცვალების შემდეგ ე. თაყაიშვილმა ვერ შეძლო მარტო დარჩენა ლევილში და დროებით საცხოვრებლად ბროუსელში გადავიდა. იქ, სასტუმროში ცხოვრების უკეთესი პირობები ჰქონდა, ფიზიკური შრომაც არ სჭირდებოდა.

ამ პერიოდში ექვთიმესადმი მიწერილი წერილებიდან ჩანს, რომ ნინოს გარდაცვალების შემდეგ ქართველი ემიგრანტები ცდილობდნენ შეემსუბუქებინათ ექვთიმეს მდგომარეობა, უვლიდნენ მას, სთავაზობდნენ ბინას, უგზავნიდნენ სურსათს.

1934 წელს ე. თაყაიშვილი დაეცა და ფეხი მოიტეხა. პარიზის საავადმყოფოდან იგი წერს ი. სონლულაშვილს: „მდგომარეობა ერთობ მძიმეა. ჯერ-ჯერობით ჩემით ვერც ავადგები და ვერც დავჯდები, მაგრამ მაიმედებენ გაუმჯობესებას, ყოველ შემთხვევაში ეს აღსასრულის დასაწყისია. ნინო აღარ მყავს, ჩემი ამ მდგომარეობაში მოვლა მარტო მას შეეძლო“. მაგრამ აქვე დასძენს — „მე, ხომ იცი, მტკიცე ხასიათის არსება ვარ საზოგადოთ“²⁶.

ცოტა ხნის შემდეგ ექვთიმე მომჯობინდა და ჯოხით დაიწყო სიარული. მას მისი შერყეული ჯანმრთელობა ისე არ აწუხებდა, როგორც ის გარემოება, რომ საშუალება არა აქვს იმუშაოს. „მე აქ წყლიდან ამოვარდნილ თევზსა ვგავარ. ბევრი უბედურება გადავიტანე... მოკლებული ვარ საშვალეებს თავის დარგში განვაგრძო მუშაობა და თანაც ღონე გამომელია, შეგნება ასე მდგომარეობისა მიმიმეთ მაწვეს გულზე და ნალველს მგვრის. მაგრამ მე მაინც სასოწარკვეთილებას არ ვეცემი, მწამს ჩვენ შემდეგ ჩვენზე უკეთესნი მოვლენ და რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ, ისინი გააკეთებენ“, — წერს ის იროდიონს 1934 წლის 7 ივლისს და ცოტა უფრო გვიან, სექტემბერში — „პესიმისტობა არ ვარგა, ენერჯიას უკარგავს ადამიანს“²⁷.

ზოგჯერ ექვთიმეს ისე ტკიოდა თვალები, რომ არც წერა შეეძლო და არც კითხვა. იგი იძულებული იყო ხანდახან პარიზში ჩასულიყო სამკურნალოდ. „თუ, ამ ვინტების (ჯანმრთელობას გულისხმობს — ე. კ.) შეკეთებაზე ზრუნვა

²⁴ ნ. მარს ფ., № 120.
²⁵ ირ. სონლულაშვილის ფ., № 152.
²⁶ იქვე, № 162.
²⁷ იქვე, № 163, 164.



არ გამოვლია, — წერდა ის ი. სონდულაშვილს, — მართო იმიტომ, რომ იქნება მოვახერხო და ცოტა რამ ჩემი მასალიდან გამოვცე“²⁸.

უცხოეთში ე. თაყაიშვილი კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე; ეძებდა ევროპაში გაფანტულ საქართველოს სიძველეებს და ადგენდა მათ აღწერილობას; ბეჭდავდა მოგონებებს და სტატიებს ქართველ მოღვაწეებზე; აქვეყნებდა მეცნიერულ ნაშრომებს; აწესრიგებდა და გამოსაცემად ამზადებდა არქეოლოგიური ექსპედიციის მასალებს. 1928—1931 წწ. მან შეადგინა ქართულ-ფრანგული ლექსიკონი და 55 საერთო რვეული ამ ლექსიკონისა ჩამოიტანა სამშობლოში“²⁹.

ე. თაყაიშვილს განზრახული ჰქონდა საქართველოს სიძველეთა ექვსი დიდი ალბომის გამოცემა. ალბომებში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო არქიტექტურა, მინაწერები, ჯვრები, ხატები, მოზაიკა და ფრესკები, მინიატურები, ნაქარგები, ჭურჭელი. ამ საქმის გამო მას მიწერა-მოწერა ჰქონდა დავით ზაქარაიას ძე და სოსიკო მდივანებთან³⁰. როგორც ამ წერილებიდან ჩანს, საქართველოს სიძველეთა ალბომების გამოცემას აპირებდა ალექსი ზაქარაიას ძე მდივანი, მაგრამ იგი ტრაგიკულად დაიღუპა ესპანეთში საავტომობილო კატასტროფის დროს. ძმის ხსოვნის აღსანიშნავად დავით მდივანმა გადაწყვიტა ერთი დიდი ალბომის გამოცემა 250—300 ტაბულით. ალბომის გამოსაცემად საჭირო თანხას გადაიხდიდა დავით მდივანი, შემოსავალს მთლიანად ექვთიმე მიიღებდა. ალბომი ამერიკაში უნდა დაბეჭდილიყო აღწერილობათა ინგლისური ტექსტით 1000 ცალი, ამდენივე ფრანგული, ხოლო ქართულ ენაზე 500 ცალი. სანიშნულად ე. თაყაიშვილი მდივანს მიუთითებდა ანტიკვარული ნივთების აღენისებულ კატალოგზე.

1935 წლის 26 ოქტომბერს, ე. თაყაიშვილი წერდა მდივანს: «Я с своей стороны торжественно обещаю, что полученная мною сумма будет употреблена на издание следующих альбомов и печатание моих научных трудов». ექვთიმე ამასთანავე თხოვდა მდივანს ყურადღება მიექცია, რომ გამომცემლობაში განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობოდნენ ფოტოსურათებს — არ დაესვარათ და უკლებლივ დაებრუნებიანათ უკან: «Мои снимки предметов древности мне стоят громадных трудов и огромных расходов. Возобновить их, в случае потери, невозможно ни за какие деньги». სამწუხაროდ, სიძველეთა ალბომის გამოცემა არ განხორციელდა და ე. თაყაიშვილი სინანულით აღნიშნავდა 1936 წელს ნაბეჭდ მიმართვაში „ქართული ემიგრაციისადმი“ — „ეს იმედი ახლა გაქრა, ამაზედ ოცნებაც ზედმეტია, ვინაიდან ამას, სულ ცოტა რომ ვთქვათ, დასჭირდება ნახევარ მილიონ ფრანკზე მეტი. ისიც დიდი საქმე იქნება, თუ აღწერილობათა ტექსტები გამოვეცით“³¹. იმავე მიმართვაში იგი წერს, რომ ქართველებს გადაუწყვეტიათ ე. თაყაიშვილის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს გადახდა. ექვთიმემ ეს შეუფერებლად მიიჩნია — „პირველად მიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამოიკეთებია, მე მხოლოდ ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი, მეორედ იმიტომ, რომ კიდევაც ღირსი ვიყო იუბილისა, ჩვენს პი-

²⁸ იქვე, № 188.

²⁹ ე. თაყაიშვილის ფ., № 705, №№ 2172—2179.

³⁰ იქვე, № 768.

³¹ იქვე, № 1148.

რობებში, ემიგრაციაში იუბილე ვის გაუგონია! არ ეგებები! იუბილეზედ მეტად ჩაეთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ გამოცემათა საშვალელებს მომიხერხებენ... ნუ ვინ დამწამებს, თითქოს მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე თუ რამე გაკეთებულა, ისე ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მართლაც, შემდგომ, 1937—1938 წწ. ე. თაყაიშვილმა მოახერხა 1907 წ. (კოლაოლისში და ჩანგლში) და 1910 წ. (ლეჩხუმ-სვანეთში) ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების მასალების ცალკე წიგნებად გამოცემა, უსახსრობის გამო ილუსტრაციებისა და ტაბულების გარეშე.

ე. თაყაიშვილის მეცნიერული სტატიები იბეჭდებოდა „ბიზანტიონში“, „გეორგიკაში“, „ქურნალ აზიატიკში“. ქურნალ „გეორგიკაში“ დასაბეჭდ ნაშრომებს იგი ლონდონში ანდრია გუგუშვილს უგზავნიდა. ანდრია გუგუშვილი დიდ დახმარებას უწევდა ე. თაყაიშვილს, ხანდახან საფრანგეთშიც მოინახულებდა ხოლმე მას. გუგუშვილი უგზავნიდა ექვთიმეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომებს, სხვადასხვა მეცნიერულ გამოცემებს, აწვდიდა ფულს.

„დღეს მივიღე წერილი და ორი გირვანქა შენ მიერ გამოგზავნილი, ნახშირისათვის, სულზე მომისწრო! უღრმესი მადლობა! ვერ წარმოიდგენ რა სასტიკი ზამთარი დადგა ეს ერთი კვირაა. დილას ჩემს ოთახში ხუთი გრადუსი სითბოა და საღამოს ძლივს ავიყვან ათს გრადუსზე... ეხლა, ამ წერილს რომ ვწერ, შუადღის ხუთი საათია და ტერმომეტრი ექვს გრადუს სითბოს უჩვენებს“, — წერდა ე. თაყაიშვილი ანდრია გუგუშვილს 1938 წლის 24 დეკემბერს. ექვთიმეს შიმშილი და სიცივე ისე არ აწუხებდა, როგორც მისი ნაშრომების გამოცემის ბედი: „ეს, რასაც ვწერ, იმდენად კი არ მაწუხებს, რამდენადაც ის გარემოება, რომ ერთს სიტყვასაც არ იწერები, მიიღე თუ არა ჩემი სტატია და სურათები იშხანის შესახებ“³².

ე. თაყაიშვილი იმ დროს უკვე 75 წლის ჯანგატეხილი მოხუცი იყო. რევმატიზმით შეწუხებული, მარტოხელა მეცნიერი ერთი წუთითაც არ წყვეტდა მუშაობას. პალტოწამოხურული, ფეხებზე ბალიშებზემოწყობილი იჯდა გაყინულ ოთახში და მომავალი გამოცემებისათვის ამზადებდა მასალას.

მისი მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდებოდა. „პირადად ჩემი მდგომარეობა ფრიად უმწეოა. ყველაფერი მაკლია, სამოსელი სულ შემომეხა, საზრდო საყოფი არა მაქვს, დოხტურთან ვერ მივიღვარ, წამლებს ვერ ვყიდულობ, პარიზში ვერ ჩავდივარ“, — წერდა იგი გუგუშვილს 1939 წელს.

განსაკუთრებით ძვირად ვახდა ექვთიმეს ცხოვრების პირობები გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში. მას ძალიან უნდოდა პარიზში გადასულიყო საცხოვრებლად. იქ რომელიმე სასტუმროში თბილი ბინაც ექნებოდა და საკმელ-სასმელიც, მაგრამ საიმისო სახსარი არ გააჩნდა და იძულებული გახდა ლევილში დარჩენილიყო.

ე. თაყაიშვილის ფონდში არის მისი ერთი წერილის შავი, დაწერილი 1941 წლის სექტემბერში³³. წერილის ადრესატია ქართველ ემიგრანტთა ოჯახი, რომელიც ლევილში ცხოვრობდა: „ზამთარი კარზე მოგვადგა და ჩემთვის

³² იქვე, № 1717.

³³ იქვე, № 1718.

ისედაც კრიტიკული მდგომარეობა უშეშობის, უნახშირობის და სხვადასხვა შევიწროების გამო ტრაგიკულ მდგომარეობად იცვლება... ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ თქვენ, როგორც ჩემთვის ყოველთვის გულშემატკივართ, და გთხოვთ, ყველაფერი თქვენი შეწუხება გაითვალისწინოთ, ყველაფერი დაწვრილებით განხუთოთ და მაცნობოთ, შესაძლო იქნება თქვენთვის თუ არა დამდვით პატივი და იმ საზრდოსაგან, რასაც თქვენ თქვენთვის სადილ-ვახშმით იყეთებთ, ერთი კერძი მეც მიზიაროთ, რასაკვირველია, ჯეროვანის საფასით. პური მარტო ის მექნება, რაც ტიკეტით (ბარათით) მერგება. სხვა ტიკეტები ხორცის, ზეთის თუ სხვა თქვენს განკარგულებაში იქნება. მეორე დიდი დაბრკოლებაც უნდა მიიღოთ სახეში. საუბედუროდ მე ზამთარში თქვენთან სიარული არ შემეძლება, სიცვის გარდა სოველ მიწაზე ფეხს ვერ მოვიცვლი, დავეცემი: იქნებ სევასტიმ მიქნას სიკეთე და მომაწოდოს სადილი და მასთან ცოტა რამე, რაც ვახშმისათვის გამომადგება.. მერწმუნეთ, რომ დიდად მეხატება თქვენი შეწუხება და ამიტომ განვგარბობ კიდევ ცდას პარიზში მოწყობისა და ყველაფერი ეს მაშინ იქნება საჭირო, თუ ჩემი ცდიდან არაფერი გამოვიდა საბოლოოდ“. იქვე ვკითხულობთ ექვთიმეს გვიანდელ მინაწერს: „ამ წერილის პასუხად სამსონ ფირცხალავას პირით და არა წერილით მაცნობეს, რომ არ შეუძლიათ ჩემი თხოვნის ასრულება“. როგორ გაკვირვებაში უნდა ყოფილიყვნენ თვითონაც ექვთიმეს თანამემამულეები, რომ ასეთ მცირე დახმარებაზე სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ დავრომომილ მოხუცს უარი შემოეთვალეს!

აი, ასეთ პირობებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ე. თაყაიშვილი უცხოეთში, მაგრამ ექვთიმეს მეცნიერული მუშაობის გარდა ჰქონდა სხვა დიდი საზრუნავიც, რომელიც ფიზიკურ ტივილს და შიმშილ-სიცხეს ავიწყებდა ხშირად. ეს იყო საქართველოდან გატანილი სამუზეუმო ნივთების მოვლა-დაცვის საქმე.

სანამ განძეულობა მარსელის ბანკში ინახებოდა, ე. თაყაიშვილმა იცოდა, რომ იგი საიმედოდ იყო დაცული. ეს ნივთები ხელშეუხებელი იყო ექვთიმესთვისაც. „თქვენ კარგად იცით,—წერდა იგი ვუკოლ ბერიძეს 1935 წელს,—თუ მე როგორ მიყვარს ქართულ სიძველენზე მუშაობა, მაგრამ თავს ნება ვერ მივეცი, რომ რომელიმე ნივთი ან ხელნაწერი წამეღო და ჩემი შესწავლის ობიექტად გამეხადა იმ შიშით, რომ ჩს ხელნაწერი ან ნივთი არ დამეკარგა“³⁴.

ქართულმა განძმა საფრანგეთში ჩატანისთანვე მიიპყრო სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმების ყურადღება.

1926 წ. ფილადელფიაში ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის 150 წლისთავის აღსანიშნავად უნდა გამართულიყო საერთაშორისო გამოფენა. 1925 წლის ბოლოს ე. თაყაიშვილს შესთავაზეს შეერჩია ექსპონატები გამოფენაზე გასაგზავნად. გამოფენა გრძელდებოდა რ თვეს და მას მომწყობი კომისიის ვარაუდით 5 მილიონი კაცი მანაც ინახულებდა. ე. თაყაიშვილი არ მოიხიბლა ამ წინადადებით და უარი განაცხადა ნივთების გატანაზე³⁵.

³⁴ იქვე, № 1712.

³⁵ იქვე, № 1131, 1854.

ასევე უარით გაისტუმრა ე. თაყაიშვილმა ნიუ-იორკისა და ბრიტანეთის მუზეუმების წარმომადგენლები. ნიუ-იორკის მუზეუმს სურდა შეეძინა მინანქრიანი ნივთები, ხოლო ბრიტანეთის მუზეუმს „ახალგორის“ განძი აინტერესებდა. სამაგიეროდ ნიუ-იორკის მუზეუმი დიდ სესხს სთავაზობდა მენშევიკურ მთავრობას, ბრიტანეთის მუზეუმი კი პირდებოდა ექვთიმეს მისი ნაშრომების დაბეჭდვას და განძეულის უფასოდ შენახვას ინგლისში.

მაღე საქართველოს განძს ახალი „პატრონი“ გამოუჩნდა. ეს იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის ნიკოლოზ დადიანის ასული სალომე ობოლენსკაია. იგი პრეტენზიას აცხადებდა სამეგრელოს მთავრის ქონებაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წ. საქართველოს მთავრობის დეკრეტით სახალხო საკუთრებად გამოცხადდა. ს. ობოლენსკაიამ სასამართლოში იჩივლა. პროცესმა 7 წელიწადს გასტანა და 1941 წლის 19 თებერვალს ობოლენსკაიას საჩივარი მიუღებლად სცნეს³⁶.

1934 წ. საფრანგეთმა უარი თქვა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ცნობაზე. საქართველოს განძეული უპატრონოდ გამოაცხადეს, მარსელიდან პარიზში გადაიტანეს, ყუთები გახსნეს და ნივთები ერთ ოთახში მოათავსეს. მენშევიკური მთავრობის დადგენილებით ე. თაყაიშვილს უფლება ეძლეოდა განძეულის დაცვის საქმეში მოქცეულიყო ისე, როგორც საჭიროდ დაინახავდა, და მთელი პასუხისმგებლობაც ქართველი ერის წინაშე პირადად მას დაეკისრებოდა³⁷.

1935 წ. 8 აპრილს ე. თაყაიშვილი წერდა ვუკოლ ბერიძეს: „მოვხუციდი, ფეხიც დავიშავე, ძლივს დავდივარ, დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ეს ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგა! თქვენ იცით, თუ რა წილი მიმიძღვის მე მათ შეგროვებაში, და მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ დავშევიდლები, მანამ ეს ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდა და მუზეუმებს არ ჩაბარდა“³⁸. ამავე დროს იგი უთვლის იროდიონ სონღულაშვილს: „აქაური გარემოება მე ვიცი, სხვა გამოსავალი არ არის და უნდა დამიჯეროთ.. ყველა უნდა დაიხმაროთ, ვისაც დახმარება შეუძლია და საქმე დააჩქაროთ. წარმოგიდგენია რა მდგომარეობაში ვიქნები მე ამ საქმის გამო, დღე და ღამე არ მიძინავს, ვინაიდან ჩემს კონტროლის ქვეშ აღარაფერია“³⁹.

1934 წლის 8 მაისს ე. თაყაიშვილმა საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს წარუდგინა ვრცელი ბატაკი საქართველოს განძეულის სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ექვთიმეს მოხსენებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ მიუხედავად მატერიალური გაჭირვებისა მენშევიკურ მთავრობას ხელი არ უხლია ქართული განძისათვის, არ გაუყიდა და არ დაუვირავებია არც ერთი ნივთი. ამასთანავე ექვთიმე ამტკიცებდა, რომ განძეული მენშევიკური მთავრობას კი არ ეკუთვნის, არამედ ქართულ მუზეუმებს, ქართველ ხალხს და მასვე უნდა დაუბრუნდეს. ამავე მოხსენებაში ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოში ფართოდაა გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და ქართველი მეცნიერები მოკლებული არიან საშუა-

³⁶ იქვე, № 1514.
³⁷ იქვე, № 1141. 10. IV. 1935 წ.
³⁸ იქვე, № 1712.
³⁹ ირ. სონღულაშვილის ფ., № 169.

ლებას შესწავლონ საფრანგეთში გატანილი ნივთები და ძველი ხელნაწერები; რომ ქართველი ხალხი ემზადება შოთა რუსთაველის იუბილესთვის, საფრანგეთში კი გატანილია „ვეფხისტყაოსნის“ სამი უძველესი და საუკეთესო ხელნაწერი. ამასთანავე ექვთიმე მიუთითებდა, რომ მარსელში ნივთები ინახებოდა ყუთებში, სავანგებოდ შეხვეული, პარიზში ისინი თაროებზე აწყვია. ნივთები იმტვერება, შავდება თვალ-მარგალიტი, სამკაულები იშლება, ზიანდება ნაქარგები. ექვთიმე თხოვდა საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს მოეხდინა განკარგულება, რომ ქართული განძი დაბრუნებოდა საქართველოს მუზეუმებს⁴⁰.

ამ მოხსენებამ მხოლოდ ის შედეგი გამოიღო რომ ნივთები შეახვიეს, ყუთებში ჩაალაგეს და ექვთიმე მიიწვიეს მათ შესამოწმებლად. განძის დაბრუნება საქართველოში მაშინ არ მოხერხდა.

სამუზეუმო განძთან ერთად მეწვევიებმა ბორჯომიდან გაიტანეს დიდი მთავრის სასახლის ბიბლიოთეკის წიგნები. ბიბლიოთეკაც ჯერ მარსელში, ხოლო შემდეგ პარიზის მახლობლად საწყობში ინახებოდა. როგორც კი საშუალება მიეცა, ე. თაყაიშვილმა ბორჯომის ბიბლიოთეკის წიგნები საქართველოში გამოსავაზუნად გაამზადა.

1936 წელს ე. თაყაიშვილმა მოსწერა საქართველოს მთავრობას, რომ მან საბჭოთა წარმომადგენლის პოტიომკინის მდივანს ჩააბარა 27 ყუთი ბორჯომის ბიბლიოთეკის წიგნებისა: „როდესაც მიიღებთ, დარწმუნდებით, რა დიდი ძვირფასი განძია ეს ჩვენი უნივერსიტეტისათვის, რომლის მსგავსი არა ვგონებ, რომელიმე უნივერსიტეტს მოუპოვებოდეს. მე დიდად მოხარული ვარ, რომ შეესძელი ამ ბიბლიოთეკის დაცვა და უნივერსიტეტისათვის დაბრუნება“⁴¹.

ბორჯომის ბიბლიოთეკისთან ერთად ე. თაყაიშვილმა გამოგზავნა საკუთარი წიგნებიც მისი ბიბლიოთეკის შესავსებად და მისი ნაშრომის „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანის“ 80 ეგზემპლარი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის — გაყიდონ და ფული თავისი მიზნებისათვის მოიხმარონო.

გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში გერმანელებმა გაჩხრიკეს ე. თაყაიშვილის ბინა. „ბოლოს და ბოლოს, — იგონებს ე. თაყაიშვილი, — გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთიდან და ბერლინში გადატანა. კიდევ გამართეს მოლაპარაკება...“

პროფ. ზურაბ ავალიშვილი სხვა ქართველების დახმარებით „არწმუნებდა გერმანელებს, ეს განძეული მარტო საქართველოსთვის არის ღირებული, როგორც ისტორიული საბუთები, თორემ სხვებისათვის არაფერი სახარბიელოა“. ე. თაყაიშვილს შესთავაზეს გერმანიაში გადასვლა, მაგრამ მან უარი განაცხადა⁴².

ქართული განძეულის სამშობლოში დაბრუნება შესაძლებელი გახდა მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, 1945 წლის გაზაფხულზე.

⁴⁰ ე. თაყაიშვილის ფ., № 1138.

⁴¹ იქვე, № 1144.

⁴² იქვე, № 1160; ე. თაყაიშვილი, რჩეული, I, თბ., 1968, გვ. 411—412.

განძეული იმზანად ვერსალში, ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობაში ინახებოდა. იქიდან ნივთები საბჭოთა საელჩოში გადაიტანეს. ე. თაყაიშვილმა დაიწყო ნივთების ჩალაგება, მაგრამ ავად გახდა ფილტვების ანთებით. ეს საქმე საბჭოთა კავშირიდან ჩასული კომისიის წევრმა პროფ. შალვა ამირანაშვილმა დაამთავრა. პარიზიდან ორი საბჭოთა თვითმფრინავით წამოვიდნენ (მარშრუტით: პარიზი, მარსელი, რომი, ბენგაზი, კაირო) და 1945 წლის 11 აპრილს ე. თაყაიშვილი სამშობლოში დაბრუნდა.

ე. თაყაიშვილს უფლება ჰქონდა გაცეხადებინა: „ამ საქმეს ვემსახურებოდი თითქმის სრული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და მიუხედავად მრავალგვარი გასაჭირისა და იმოღენა ხნის უსიხარულო ემიგრანტული ცხოვრების სიმძიმისა შემიძლია ვთქვა, რომ პირნათლად შევესრულე ეს ჩემი მოვალეობა ერის წინაშე“⁴³.

Е. Л. КЕЛЕНДЖЕРИДЗЕ

Е. С. ТАКАИШВИЛИ ЗА ГРАНИЦЕЙ

Резюме

Статья посвящается жизни и деятельности акад. Е. С. Такайшвили за границей, куда он выехал в качестве хранителя вывезенных из Грузии музейных ценностей в 1921 г.

Переписка Такайшвили с Н. Я. Марром, И. Ф. Сонгулашвили, В. М. Беридзе и другие архивные материалы дают возможность проследить, в каких условиях жил и работал Такайшвили во Франции, как он заботился о сохранности вывезенных из Грузии ценностей и как сумел он вернуть эти сокровища родине весной 1945 года.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

მარიამ ნახუცარიშვილი

ხასიათთა დამოკიდებულებისა და კონფლიქტების სოციალური
 ფორმი (ილია ჭავჭავაძის შემოკმედების მიხედვით)

როდესაც ხასიათზე ვმსჯელობთ, წინასწარვე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ორი ასპექტი: 1. გეოგრაფიით ხასიათი, როგორც მხატვრული სახე, ყოფა-ცხოვრებასა თუ სხვადასხვა მეცნიერებაში გამოყენებული იმავე ტერმინისაგან. 2. თავისი ადგილი მოუენახოთ მას მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედი პირის აღმნიშვნელ ისეთ ცნებებს შორის, როგორცაა პერსონაჟი, გმირი, ტიპი.

მართალია, ტერმინი „ხასიათი“, მხატვრულ ნაწარმოებში ზუსტად იმასვე არ გამოხატავს, რასაც ყოფა-ცხოვრებაში, მაგრამ მაინც ორივე შემთხვევაში, იგი ადამიანის შინაგანი სამყაროს ამა თუ იმ გამოვლენას გულისხმობს, ამიტომ, პირველ ყოვლისა, საჭიროა გავავლოთ მათ შორის პარალელი ამ საერთო ნიშნის გათვალისწინებით, ხოლო შემდეგ შევეცადოთ პასუხი გავცეთ კითხვას — რა სპეციფიკური ნიშნები განაპირობებს მის არსებობას მხატვრულ ლიტერატურაში.

სიტყვა „ხასიათი“ ლიტერატურაში შემოსულია სინამდვილის სხვა სფეროებიდან: მას იყენებენ ყოველდღიურად, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში და სხვ. თუმცა ცალკეულ მეცნიერებებსა და ხელოვნებას (კერძოდ კი ლიტერატურას) თავისი კვლევის საგანი და მეთოდები აქვს და ამდენად ლიტერატურის შესწავლისას მისივე სფეროთი უნდა შემოვიფარგლოთ, გვერდს მაინც ვერ ავუვლით ფსიქოლოგიის (განსაკუთრებით ხასიათის პრობლემასთან მიმართებაში) თანამშრომლობას ლიტერატურასთან. ამ ფაქტს ერთი მთავარი მიზეზი მოეძებნება: როგორც ფსიქოლოგიის (უფრო ზუსტად კი მისი ერთ-ერთი დარგის „ქარაქტეროლოგიის“), ასევე მხატვრული ლიტერატურის კვლევის საგანი ერთია — ადამიანი (მხატვრულ ლიტერატურას მაქსიმ გორკიმ სწორედ ამ ვაგებით უწოდა „ადამიანთმცოდნეობა“).¹ რადგან ქარაქტეროლოგია და ხელოვნება ერთმანეთს ხვდება ადამიანის ხასიათის ბუნების შემეცნების საკითხში, ამიტომ მათ მაქსიმალურად უნდა გაუწიონ ანგარიში ორივე გზით მიღებულ შედეგებს¹, — წერს ვლ. ნორაკიძე თავის წიგნში „ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა“.

ფსიქოლოგიაში დადგენილი ხასიათი ცნებაა, რომელსაც მწერალი მხატვრულად გარდასახავს და მხატვრულ სახეს შექმნის. მაგრამ ვიდრე მკითხველი მხატვრულ ნაწარმოებს მიიღებდეს, მწერალი უნდა ეზიაროს ცხოვრებისეულ სინამდვილეს. ეს იქნება მისი შემოქმედების პირველი საფეხური (ჯერჯერობით არა ხელოვნებისეული) — ფსიქოლოგიური წვდომის.

¹ ვლ. ნორაკიძე, ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა, თბილისი, 1972, გვ. 10.

1962 წელს ურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურაში“ დაიბეჭდა დიდი ინგლისელი პროზაიკოსის ჯონ გოლზუორთის სტატია „ხასიათის შექმნა ლიტერატურაში“, რომელიც გამოხატავს მწერლის, როგორც შემოქმედლის, დამოკიდებულებას მისსავე შექმნილ ხასიათებთან.

„ადამიანური ცხოვრების ყოველი წუთი მისსავე გამოცდილებას რაღაცას ჰმატებს, ხოლო ვინც ახერხებს შერჩევით გამოიყენოს „ეს გამოცდილება“ ხელოვნებაში, — გააჩნია შემოქმედებითი მონაცემი“, — წერს სტატიის ავტორი, — და განაგრძობს: „ხასიათის შექმნა სწორედ „შემოქმედებითი მონაცემის“ ნაყოფია: ხასიათები თავად „მოდიან“ ხელოვანთან, თავად მოქმედებენ და ნაწარმოებსაც თავად ამთავრებენ. მწერალმა წინასწარ თითქმის არასოდეს არ იცის, როგორი ბოლო ექნება მის წიგნს; იგი მხოლოდ ხასიათებს ძერწავს და მათ მოქმედებას მისდევს კვალდაკვალ“.

ამგვარად, ხასიათის შექმნა დიდი შემოქმედებითი ძიების და, შეიძლება ითქვას, მწერლის მთელი ქვეცნობიერი და ცნობიერი სამყაროს ნაყოფია, ამდენად, ფსიქოლოგიური კატეგორიაა; მაგრამ აქვე ისმის კითხვა: როგორია ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი ხასიათი და რა განასხვავებს მას პირობითი ხასიათისაგან?!

ხასიათი იბადება მწერლის „ასოციაციური კავშირის“ შედეგად და, თუ იგი ლიტერატურული ტრადიციით ან ლიტერატურული შაბლონით არის გაშვალბული და არ ემყარება გრძნობათა თუ გარემოებათა სიმართლეს, ზემოქმედების ძალას კარგავს, ყალბი და პირობითი ხდება.

„ასოციაციური კავშირის“ მიზეზად კი შეიძლება იქცეს „ქვეცნობიერად შემონახული შესაბამისი შთაბეჭდილება“². თანდათანობით, დროთა განმავლობაში ხასიათის ეს ერთგვარი საწყისი მწიფდება, ვიდრე მისი გამოხატვა აუცილებელი გახდებოდეს. „მაშინ მწერალი იწყებს საკუთარი თავის განთავისუფლებას“³. ამგვარად, მთელი ეს მსჯელობა, საფუძველს გვაძლევს მხატვრული ლიტერატურა სუბიექტურ-ობიექტური ფაქტორების იმ ერთიანობად წარმოვიდგინოთ, სადაც „ფსიქოლოგიური ხასიათი“ „ლიტერატურული ხასიათის“ ერთგვარი პროტოტიპია. ამიტომაც, რომ ძირითადად სწორედ „მართალი“ და „ძლიერი“ ხასიათების შექმნა ითვლება ხელოვანისთვის დიდი ღირსებად. რა თქმა უნდა, პენ ჯონსონის ხასიათების შექმნის პრეკლაციტური მეთოდი, რომელიც მე-17 საუკუნეში გავრცელდა და ეფუძნებოდა ეგრეთწოდებულ „ხასიათების თეორიას“, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ფსიქოლოგიურად გამართლებული (რამდენადაც ხასიათის წინასწარ დადგენილი ნიმუშის მიხედვით იძერწებოდა) და, ამდენად, არც რაიმე მხატვრული ღირებულების მქონე; იგივე ითქმის უან დე ლა ბრუიერის „ხასიათებზეც“.

ტერმინი „ხასიათი“, როგორც ნებისმიერ მეცნიერებაში, ასევე ლიტერატურაში, ნასესხებია ყოველდღიური ცხოვრებიდან. ამიტომ იგი ერთგვარად „შემაერთებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს ცხოვრებისეულ სინამდვილესა და ლიტერატურას შორის“⁴. ჩვენი აზრით, ლიტერატურულ ხასიათსა

² Голсуорси Д., Создание характера в литературе, ж. «Иностранная литература», 1962, № 7, 33. 193.

³ იქვე.

⁴ Бочаров С., Характеры и обстоятельства, сборник «Теория литературы», Москва, 1962, 33. 313.

და ფსიქოლოგიურ, სოციალურ თუ ეროვნულ ხასიათებს შორის მხოლოდ ის მიმართება შეიძლება არსებობდეს, რა კავშირიცაა მხატვრულ სახესა და რეალური ცხოვრების ფაქტებს, ან მეცნიერულ ცნებებს შორის.

როგორც ვხედავთ, ხასიათის შესაქმნელად ყველაზე მდიდარ მასალას თვით ცხოვრება იძლევა. მწერალი ეყრდნობა მეცნიერების სხვადასხვა დარგის მონაბოვრებსა თუ დადგენილ ცნებებს, მაგრამ მხატვრული ლიტერატურის მკვლევარს თვით ნაწარმოები მზამზარეული სახით ეძლევა, ამიტომ ხასიათზე უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ მხოლოდ მის ფარგლებში და გამოვიყენოთ კვლევის მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული მეთოდები. ამ საკითხზე მსჯელობა იმიტომ დაგვიკირდა, რომ ძალიან ხშირად, თვით სპეციალურ ლიტერატურაშიც კი, ამ ტერმინს, ცოტა არ იყოს თავისუფლად ეყიფვიან, რაც მკითხველის დაბნეულობას იწვევს. მაგ. „პერსონაჟის შეცნობის საშუალებაა მისი დახასიათება (დახასიათებაში ჩვენ ვგულისხმობთ მოტივთა იმ სისტემას, რომელიც განუყოფლადა დაკავშირებული ამა თუ იმ პერსონაჟთან, ე. ი. განსაზღვრავს პერსონაჟის ფსიქოლოგიას, მის ხასიათს)“⁵.

„ნაწარმოების გმირმა ზუსტად ისე უნდა იმოქმედოს, როგორც იმოქმედებდა ანალოგიურ სიტუაციაში ამა თუ იმ ხასიათის ადამიანი“⁶.

რა თქმა უნდა, „პერსონაჟის ხასიათი“ ან „ამა თუ იმ ხასიათის ადამიანი“, ცალკე აღებული, ისეთი ფრაზებია, რომლებიც თავისთავად ბუნდოვანი არ არის, მაგრამ მთლიანი კონსტრუქციიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ: ავტორები ხასიათზე როგორც მთლიანზე მსჯელობენ და „პერსონაჟის ხასიათში“ ხასიათს, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს გულისხმობენ. ჰეგელიც არა ერთხელ ხმარობს მას გმირისა თუ პერსონაჟის განსაზღვრებად.

„მსგავსივე ხასიათის არიან ჰომეროსის გმირები“⁷, ანდა „ამგვარი ხასიათისა არიან მრგვალი მაგიდის გმირები, ისე როგორც გმირთა წრე, რომლის ცენტრს კარლოს დიდი წარმოადგენს“⁸, მაგრამ ეს ის შემთხვევებია, როცა ავტორი ტერმინს იყენებს სინამდვილის სფეროდან შემოსული თავდაპირველი მნიშვნელობით და არა ლიტერატურული ცნების სახით, იმ გაგებით, რასაც სპეციალურ თავს უძღვნის თავის „ესთეტიკაში“.

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ავტორი ხასიათის ცნებაში განსხვავებულ შინაარსს სდებს, ამიტომ საკითხის გასარკვევად უნდა განვიხილოთ იგი სინონიმურ ცნებებთან შეპირისპირებით.

ლიტერატურის თეორიაში მოქმედი პირის გამოსახატავად განსხვავებული ტერმინები არსებობს: პერსონაჟი, გმირი, ხასიათი, ტიპი (შემდეგ ხდება უფრო ვიწრო დეფინიცია დადებითი გმირის, უარყოფითი გმირის, მთავარი გმირის სახით). რადგან ტერმინები განსხვავდება, იგულისხმება, რომ აღსანიშნებიც არ ემთხვევა ერთმანეთს. კატეგორიული დაყოფა მართლაც რომ ძნელდება, რადგან თვით მხატვრული ლიტერატურის მოქმედ პირებს შორის არ შეიძლება მკვეთრი ზღვარის გავლება.

მიუხედავად ზემოთქმულისა, შევეცადოთ ზოგადად (წმინდა თეორიული თვალსაზრისით) მაინც მოვახერხოთ მათი ერთგვარი „დახარისხება“.

⁵ Томашевский Б., Теория литературы, М.—Л., 1930, гл. 152.

⁶ Абрамович Г., Введение в литературоведение, Москва, 1979, гл. 45.

⁷ ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, თბილისი, 1973, გვ. 215.

⁸ იქვე, გვ. 216.

პერსონაჟი საერთოდ ის მოქმედა, რომელიც შემოდის ნაწარმოებში და რომელშიც გაერთიანებულია „ადამიანური“ და „არაადამიანური“ სამყარო მთლიანად. (თუმცა „არაადამიანურზე“ პირობითად გვიხდება მსჯელობა, რადგან უმეტეს შემთხვევაში ცხოველებსა და ფრინველებს ისევ ადამიანური თვისებები მიეწერება, — იქნება ეს იგავ-არაჟი, ზღაპარი თუ სხვ). პერსონაჟიდან შეიძლება გამოვაცალკევოთ საკუთრივ „ადამიანური სამყარო“, გმირის ხასიით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი პერსონაჟი, რომელიც ნაწარმოებში შემოდის, ხასიათი ვერ იქნება, თუმცა თითოეული მათგანი თავის თავში პოტენციურად შეიცავს ხასიათად გამოვლენის შესაძლებლობას. პერსონაჟები ძირითადად ქმნიან ფონს ხასიათის წარმოსახვისათვის.

რაც შეიხება ტიპს⁹, ჩვენს შრომაში მას არ შეეხებოდა, რადგან ტიპიურობა ცალკე აკითხია, ხოლო რამდენადაც ყოველი ტიპი აუცილებლად ხასიათი არის (და არა პირიქით), მასთან პარალელის გავლება, ვფიქრობთ, კვლევის საკითხს ახალს არაფერს შემატებს.

პირველ ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ გმირზე, რადგან, სწორედ მისი ანალიზი გამოკვეთს ხასიათისთვის არსებით ნიშნებს. საგმირო ეპოსში გმირი სულ სხვა ვაგებით (უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვოდი — თავისი პირდაპირი მნიშვნელობით) იხმარებოდა და იგი დადებითი გმირის სინონიმს წარმოადგენდა. (როგორც ვიცით, დღეს გმირში გულისხმობენ როგორც დადებით, ასევე უარყოფით გმირებს). „გმირის“ ამგვარი გაგება, თავისივე ეპოქით განისაზღვრებოდა და სწორედ მისი ლოგიკური დასასრული უნდა იყოს „ხასიათი“ ახალ ლიტერატურაში. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით სიტყვა „ხასიათი“ ჯერ კიდევ III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იხმარა ფილოსოფოსმა თეოფრასტემ, — ხასიათის შესახებ ჩვენამდე მოღწეული პირველი წიგნის ავტორმა. „ჰარბი სულიერი ნიშნები: მშობარობა, მლიქვნელობა, სიძუნწე და სხვა ამგვარი ოცდაათი ნიშანი, რაც თეოფრასტეს მიერ მიჩნეულია ხასიათის ძირითად თვისებად, პიროვნების თავისებურების გამომახატველად“¹⁰, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ მეტად შორსა დგას თვით ხასიათის არსისგან.

გმირი ანტიკურ ტრაგედიაში ის მოქმედი პირია, რომელიც იმით განისაზღვრება, ღირსეულ საქციელს ჩაიდენს თუ უღირსს; მკითხველისათვის კი წინასწარვე ცნობილია მისი მოქმედების ჩარჩოები; შესაბამისად ნაწარმოების სიუჟეტი და მისი მოქმედებანიც რამდენადაც გამოირჩეულია. ასე რომ, ძველ ეპოსში იგი ჯერ კიდევ არ არის შემოფარგლული ფორმალურ-ლიტერატურული გარსით. გმირის შინაგანი სამყარო არანაირად არ შეიძლება წარმოისახოს, თუ არა მისი გმირული მოქმედებით; ეს ფაქტი გამოწვეულია თვით საგმირო ეპოსის წარმოშობისა და განვითარების ფაქტორებით.

როგორც არაერთი მკვლევარი ამტკიცებს, ეპოსის განვითარების პირველი სტადია უნდა ყოფილიყო „რომელიმე ტომის ან გვარის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ახალი მოვლენის აღსანიშნავად წარმოშობილი ლირი-

⁹ «Реализм предполагает, помимо правдивости деталей, правдивое воспроизведение типичных характеров в типичных обстоятельствах». К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 37, М., 1965, გვ. 35.

¹⁰ ვლ. ნორაკიძე, ხასიათის ფსიქოლოგია და მხატვრული ლიტერატურა, თბილისი, 1972, გვ. 13.

კულ-ეპიკური სიმღერა¹¹. ამიტომ, რომ „ეპოსი მოიცავს როგორც ლირიკის, ასევე დრამის ელემენტებს“¹². (ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს „ტომი“ და „გვარი“).

საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ეტაპზე, როცა მეცნიერებისა და ტექნიკის დაბალი დონე იყო, პიროვნების ღირსება, შეიძლება ითქვას, მისი ფიზიკური ძალით განისაზღვრებოდა; თანაც „ეს ძალა“ აუცილებლად მიმართული უნდა ყოფილიყო სამშობლოს საკეთილდღეოდ. გმირი გამოკვეთებოდა მისივე მტრის ფონზე და მასთან შეპირისპირებით. ხალხი სიმღერით ხოტბას ასხამდა თავის რჩეულს და ამგვარად ხდებოდა მისი ერთგვარი პოეტური იდეალიზაცია¹³.

ეპიკური გმირისთვის დამახასიათებელია ვაჟკაცობა, სიამაყე, დამოუკიდებლობის უნარი, ფიზიკური ძალა, სულგრძელობა და სხვ.

ეპოსის გმირი (საერთოდ, ზოგადი გაგებით) თითქმის ერთნაირად მოქმედებს. ნათელი ხდება, რომ გმირმა უნდა ჩაიდინოს წინასწარ ცნობილი მოქმედებანი და გამოამყლავნოს განსაზღვრული საქციელი. მისი არჩევანის „თავისუფლება“ იმით შემოიფარგლება, როგორ იშოვოს ცხენი, ხმალი, მოიპოვოს საცოლის ხელი, შეერყინოს მოჭიშპეებს და ა. შ. ამ გაგებით ის, როგორც „ლიტერატურული გმირი“, თავისუფალი არ არის. მკითხველმა წინასწარ იცის, რა მოხდება. როცა ავტორი ერევა, ერევა მხოლოდ თავისი პირადი ლირიკული დამოკიდებულების გამოსამყლავნებლად შეძახილებით და მოქმედებაზე აღრე ამყლავნებს თავის დამოკიდებულებას მისდამი. ასეთებია „იგორის ლაშქრობა“, „სიმღერა როლანდზე“¹⁴. საგმირო ეპოსის საუკეთესო ნიმუშია ქართული ორიგინალური „ამირანდარეჯანიანი“.

დავუბრუნდეთ ისევ გმირსა და ხასიათს. როგორც დავინახეთ, მოქმედება არის გმირისათვის ის მთავარი ნიშანი, რომელიც მის არსებობას განაპირობებს. მაგრამ ხასიათიც ხომ პირველ ყოვლისა აქტიური და მოქმედი? „ნამდვილი ხასიათი თვით მოქმედებს, და სხვას უფლებას არ მისცემს მის სულში შეიჭრას“¹⁵, — წერს ჰეგელი თავის „ესთეტიკაში“. ეს არის მათი საერთო ნიშანი, მაგრამ იმისათვის, რომ განსხვავება დავინახოთ, საჭიროა ცოტა უფრო ღრმად ჩავიხედოთ ჰეგელის შრომის იმ ნაწილში, რომელიც მოქმედებასა და ხასიათს ეხება.

მოქმედება ჰეგელთან გაშლა-განვითარებაა, რომელსაც გააჩნია თავისი საფეხურები: წინამძღვარი — სამყაროს საერთო მდგომარეობა, ინდივიდუალური მოქმედების აღმძვრელი, სიტუაციები და კონფლიქტები და, ბოლოს, საკუთრივ მოქმედება; ეს არის რეაქცია, რომლის მიხედვითაც აშკარადდება ბრძოლა. ბრძოლის გარეშე კი არ შეიძლება ამქვეყნიური არსებობა, რადგან იგი წარმოდგენილია დახლართული დაპირისპირების სახით, ხოლო „აღამიანთა ცხოვრება საერთოდ ჩხუბი, დავა, ბრძოლები და ტკივილებია“¹⁶.

¹¹ Асмус В., Вопросы теории и истории эстетики, сборник статей, Москва, 1968, 83-37.

¹² იქვე.

¹³ Пропп В., Русский героический эпос, Москва, 1958, 83-65.

¹⁴ Бочаров С., Характеры и обстоятельства, сб. «Теория литературы», Москва, 1962, 83-341.

¹⁵ ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, თბილისი, 1973, 83-278.

¹⁶ იქვე, 83-206.

ყოველი რეაქცია ხასიათის გამოვლენის საშუალება მაინც არ არის, რადგან აქ არიან კიდევ დანარჩენი „მოქმედი ინდივიდები“, რომლებზეც ნაწილდება სწორედ რეაქციის გარკვეული გამოვლინება. რეაქცია ბოლო მომენტი, მაგრამ სად იღებს სათავეს საკუთრივ მოქმედება? ამის დადგენა ჰეგელს თითქმის შეუძლებლად მიაჩნია და არც თვლის საჭიროდ ხელოვნებისეული თვალსაზრისით. საკუთრივ მოქმედება, ანუ რეაქცია, ემთხვევა ხოლმე კოლიზიას, კონფლიქტურ სიტუაციას. სიტუაცია კი ის მდგომარეობაა, საიდანაც „შემდეგი გართულებები, დახლართულობანი და დაპირისპირებანი კი არ უნდა წარმოსდგეს, არამედ მთელი გარკვეულობა ამ მოქმედებაში დასრულებულად აღმოჩნდეს“¹⁷. ე. ი. „მშვიდობიანი“ სიტუაცია დამთავრებული ერთეულია, ხოლო კოლიზია იგივე სიტუაციაა, ოღონდ მას „თავისი საფუძველი ერთგვარ დარღვევაში აქვს, რაც არ შეიძლება დარღვევად დარჩეს და უნდა მოიხსნას“¹⁸. ცალკე აღებული, კოლიზია მაინც „მოქმედების შიშველი საბაზია“ მხოლოდ და კვლავ სიტუაციის (ოღონდ გამაძფრებელი სიტუაციის) მნიშვნელობას ინარჩუნებს, ვიდრე იგი რეაქციის გამოძვლავების საბაზად არ იქცევა. როცა კოლიზია და საკუთრივ მოქმედება ერთმანეთს დამთხვევა, მაშინ ხდება ხასიათის გამოვლენა მისი გარკვეული ნიშნით. ხასიათის სისრულისა და მთლიანობისათვის საჭიროა იგი „...მრავალგვარ სიტუაციაში შეიჭრას და თავის თავში განვითარებული შინაგანი ცხოვრების მთელი სიმდიდრე მრავალნაირ გამოვლინებაში გაშალოს“¹⁹, რამდენადაც „მხოლოდ მრავალმხრივობა ანიჭებს ხასიათს ცოცხალ ინტერესს“²⁰.

ხასიათთა განვითარება ნაწარმოებში თანდათანობით ხდება. ხასიათის ლოგიკური დასრულება და მისი წარმოდგენა თავის მთლიანობაში დამოკიდებულია ცალკეულ სიტუაციათა მხატვრულ სრულყოფაზე, რასაც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური სიმართლე. ეს ის მომენტი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე უწოდებს „ფსიქოლოგიურ წუთს“: „...რუსთაველმა ეს ფსიქოლოგიური წუთი შეპნიშნა და ფსიქოლოგიის მიხედვით მართლადაც დაგვიჩატა“, — წერს იგი თავის წერილში „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“²¹. თუ მწერლის მიერ „ფსიქოლოგიური წუთი“ სწორად არის დაჭერილი, მაშინ (ისევე ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ) „გორგალის ძაფის წვერი“ ნაპოვნად უნდა ჩაითვალოს („გული დრამისა უნდა გამოხსნას თითოეულმა სცენამ, თითოეულმა მოქმედებამ ისე, როგორც გორგალი ძაფის წვერმა და, სადაც ეგ გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამათა ძაფების ტყუილ-უბრალო ცოდვილობა, წვევა და გრება“²²).

სიტუაციის ფსიქოლოგიური შემზადება მის წინა საფეხურებზე ხდება, იმ საფეხურებზე, რომლებსაც ჰეგელი არქმევს „უსიტუაციობასა“ და „გარკვეულ სიტუაციას მის უწყინარობაში“. უსიტუაციობა არის განსაზღვრული სახე, რომელიც „ჩერ კიდევ არ გამოდის თავისი თავიდან და არ ამყარებს

¹⁷ იქვე, გვ. 233.

¹⁸ იქვე, გვ. 236.

¹⁹ იქვე, გვ. 275.

²⁰ იქვე, გვ. 274.

²¹ ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი, თხზულებანი, თბილისი, 1957, გვ. 424—425.

²² შენიშვნა: ის, რასაც ილია ჭავჭავაძე დრამაზე ლაპარაკობს, თანაბრად ეხება ეპიკურ ნაწარმოებებსაც.

არავითარ ურთიერთობას სხვასთან, არამედ თავის თავთან ერთიანობის შინაგან და გარეგან კარჩაეკტილობაში რჩება“²³. „ვინაიდან სიტუაცია საერთოდ გარკვეულობაშია, იგი ამ სიწყნარიდან და ნეტარი სიმშვიდიდან უნდა გამოვიდეს“²⁴. „პირველი ინდივიდუალიზებული გამოხატულება ისეთი სახისაა, რომ მას შემდგომი შედეგები აღარ აქვს, რადგან იგი თავის თავს სხვის მიმართ არავითარ მტრულ დაპირისპირებაში არ აყენებს“²⁵. სიტუაციები გამოიკვეთება სამყაროს საერთო მდგომარეობის ფონზე, ხოლო რომელ ეტაპზე იღებს სათავეს საკუთრივ მოქმედება, — გაურკვეველია; რეაქცია არის ბოლო ეტაპი, შემზადებული ინდივიდის შინაგან სამყაროში, ხოლო პირველი — გარეგნულად გამოვლენილის სახით.

გმირული ხანა, ინდივიდუალური თვითმყოფობა, არის ხასიათის განვლილი საფეხური და იგი წინ უსწრებს „თანამედროვე პროზაულ მდგომარეობას“; ეს უკანასკნელი კი ახალი ეპოქის და, შესაბამისად, ახალი ლტერატურის დასაწყისია.

„ნაკლებად სწვევებს გმირი ინდივიდუუმი თავის თავს იმ ზნეობრივ მთლიანს, რომელსაც თვითონ ეკუთვნის“²⁶, მაშინ როცა „თანამედროვე ადამიანი თვითონ არ კისრულობს მთელი მოცულობით მის მიერ ჩადენილი საქმის გამო პასუხისმგებლობას, არამედ თავიდან იხსნის მის მიერ ჩადენილის იმ ნაწილს, რომელიც თვით გარემოებათა უცოდინარობისა ან არასწორი გაგების გამო უნებურად სულ სხვა გამოუვიდა, ვიდრე მას გუნებაში ჰქონდა“²⁷. ჰეგელის შეხედულება ამ მიმართულებით უფრო მორალურია, რამდენადაც მორალურში სუბიექტური მხარე გარემოებების ცოდნისა და კეთილის რწმენის შესახებ, ისე როგორც საქციელის დროს შინაგანი განზრახვის შესახებ, მთავარ მომენტს შეადგენს. ამგვარად, გმირიც მოქმედებს და ხასიათიც, ოღონდ ეს უკანასკნელი უკვე მხოლოდ საკუთარი ბუნებიდან, ძალებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს.

თანამედროვე მდგომარეობის პირობებში გმირის, რაინდის „ინდივიდუალური თვითმყოფობის აღდგენა“ პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა (სერვანტესის დონ-კიხოტი სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა).

XIX საუკუნის ახალ რომანში „გმირმა“ სამყაროსადმი უკვე განსხვავებული პოზიცია დაიკავა. სინამდვილე აღარ ითვლება მისთვის მხოლოდ სასპარეზო საბიელად.

ა. გაწერელია ლ. ტოლსტოის საიუბილეო დღეებში გამოქვეყნებულ წერილში იხსენებს ამ დიდი რუსი მწერლის სიტყვებს: „ადამიანი თავისთავში ატარებს ყველა ადამიანურ ჩანასახს და ზოგჯერ ამჟღავნებს ერთს, ზოგჯერ მეორეს და ხშირად ხდება, რომ სულ არ ჰგავს თავისთავს“²⁸. ასახვის იმ უნიკალური ნიჭის გამო, რომლის წყალობითაც „ტოლსტოის ადამიანები“

²³ ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. 1, თბილისი, 1973, გვ. 231.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე, გვ. 232.

²⁶ იქვე, გვ. 218.

²⁷ იქვე, გვ. 217.

²⁸ ა. გაწერელია, ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი, „საუნჯე“, 1978.

ხასიათის სტატიკურ ფარგლებში არ არიან მოქცეულნი, ა. გაწერულია ტოლ-სტოის რეალიზმს მიიჩნევს უნიკალურად.

სწორედ ამ ისტორიულ სინამდვილეს ითვალისწინებდა ბელინსკი, როცა აღნიშნავდა, რომ შექსპირიდან და სერვანტესიდან იწყება „ახალი ლიტერატურა“, ხოლო ენგელსმა ინდივიდის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება კაპიტალიზმის წარმოშობას დაუკავშირა. «Отличие индивида как личности от классового индивида... появляется лишь вместе с появлением того класса, который сам есть продукт буржуазии»²⁹.

ამგვარად, ისტორიის სარბიელიდან რაინდი გადავიდა და მისი ადგილი დიდი სოციალური და ტექნიკური ძვრების შედეგად „ახალმა ადამიანმა“ დაიკავა. მოქმედებამ ადამიანის სულში გადაინაცვლა, ხოლო ადამიანის „სულის“, მისი აზროვნების გამოაშკარავება გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა. „გმირი“ მოიხსნა თავისი ძველი გავებით და მისი ადგილი ნაწარმოებში დადებითმა, უარყოფითმა, მთავარმა გმირმა დაიკავა.

ხასიათს ჩვენ შემდეგნაირად განვსაზღვრავთ:

ხასიათი არის მხატვრული სახე, ნაწარმოებში იმ კერძო ინდივიდის გამოსახატავად, რომელიც ცალკეულ კონფლიქტურ სიტუაციებში გამოვლენილი რეაქციების სახით და მწერლის მიერ ზუსტად შერჩეულ დეტალზე აქცენტირებით მრავალმხრივ გვიჩვენებს თავის, თავის სულიერ შესაძლებლობებს და სრულდება ერთ მთლიანობად იმ ძირითადი ნიშნის მიხედვით, რომელიც მისთვის განმსაზღვრელია.

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ ხასიათი, როგორც მხატვრული სახე, შესაძლებლობა გვეძლევა, მთელი მისი არსის გათვალისწინებით, სრულიად კანონზომიერად ხასიათების წარმოსახვა რეალიზმის, კერძოდ კი კრიტიკული რეალიზმის მთავარ ასპექტად მივიჩნიოთ. ვიდრე ხასიათების წარმოსახვას კრიტიკული რეალიზმის არსებით ნიშნად წარმოვადგენდეთ, გავისვენოთ რამდენიმე არსებითი მომენტი კრიტიკული რეალიზმის ისტორიიდან.

ლიტერატურისმცოდნეობაში კრიტიკულ რეალიზმს უწოდებენ რეალიზმის განვითარების უმაღლეს საფეხურს კლასიკურ მეგვიდრობაში, რეალიზმის მეორე პერიოდს, ან რეალიზმის ძირითად სახეობას. აღნიშნულ ტერმინებს შორის ჩვენ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ, რამდენადაც თითოეული მათგანი ამ მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშნების უმაღლეს ხარისხში გამოვლენას გულისხმობს. შესაბამისად, კრიტიკული რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა და ცალკეული მწერლის შემოქმედების მეთოდი, ხასიათების სრულყოფილი ასახვისათვის ყველაზე დიდ შესაძლებლობებს უნდა იძლეოდეს. საკითხავი ის არის, თუ რა პრინციპული სხვაობაა რეალიზმსა და სინამდვილის რეალისტურ ასახვას შორის (რომლის შემთხვევები სტიქიური გამოვლენის სახით ყველა ქვეყნისა და ყველა ეპოქის ლიტერატურაში შეინიშნება), რათა ხასიათების წარმოსახვა სწორედ კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად წარმოვადგინოთ.

²⁹ Маркс К., и Энгельс Ф., Сочинения, т. 3, М., 1955, გვ. 77.

ტერმინი „რეალიზმი“ წარმოიშვა ლათინური სიტყვისაგან და ნიშნავს „საგნობრივს“, ლიტერატურისმცოდნეობაში კი შემოვიდა XIX საუკუნის ორმოციან წლებში ამ პერიოდში დამკვიდრებული ძირითადი ლიტერატურული მიმართულების აღსანიშნავად. რეალიზმის გენეზისის საკითხს ყველა მკვლევარი ერთნაირად მანაც არ უდგება და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პირველყოფილ ხელოვნებასაც რეალიზმს მიაკუთვნებს³⁰. „სრული უფლებით შეიძლება ვილაპარაკოთ პომეროსის რეალიზმზე... მხოლოდ, ეს არის, რომ საკითხი განყენებულად კი არ უნდა დავაყენოთ, არამედ გავარკვიოთ, თუ რაში გამოიხატება სინამდვილის რეალისტური ასახვის თავისებურებანი ლიტერატურის განვითარების ამ ეტაპზე“³¹. ჟირმუნსკის ამ მსჯელობას თუ მივყვებით, იქამდე მივალთ, რომ არა მარტო ლიტერატურის ცალკეულ ეტაპზე გამოვყოფთ ევრეთ წოდებულ „თავისებურ რეალიზმს“, არამედ, საერთოდ, ყოველი მწერლის შემოქმედებას, დაწყებული პირველყოფილი ადამიანის ხელოვნებიდან, რეალისტურად მივიჩნევთ და ძალაუვნებურად დაისმება საკითხი: რა კავშირია XIX საუკუნის რეალიზმს, ე. ი. „კლასიკურ რეალიზმსა“ (როგორც ჟირმუნსკი უწოდებს) და წინა ეპოქების „რეალიზმებს“ შორის.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ რეალიზმის წარმოშობა საერთოდ ხელოვნების წარმოშობას უკავშირდება, მაგრამ ვერც იმ უამრავ ფაქტს დავტოვებთ უყურადღებოდ, როცა სხვადასხვა ეპოქაში თავს იჩენს სინამდვილის წარმოსახვის რეალისტური ხერხები და მეთოდები. ამაზე სავესებით სამართლიანად მიუთითებს აკად. აღ. ბარამიძე, როცა XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ლაპარაკობს „რეალისტური ნაკადის შესახებ“. დაახლოებით იგივე აზრისაა პოსპელოვი, რომელიც ბოკაჩოს, ფილდინგისა და ზმოლეტის შემოქმედებაში ცალკეული ელემენტების სახით გამოყოფს რეალისტურ ტენდენციებს: ზოგიერთი მწერალი, — წერს მკვლევარი, — უმთავრესად რომანისტი და ნოველისტი, ადრეც „უახლოვდებოდა“ რეალიზმს, მაგრამ ეს რეალიზმი, არ შეიძლება ყოფილიყო სრულყოფილი³².

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულ ეპოქათა მწერლობაში მეტ-ნაკლებად გვხვდება სინამდვილის ასახვის ისეთი პრინციპები, რომლებიც თავისი არსით რეალისტურია, იგი ჯერ კიდევ მანაც არ ნიშნავს რეალიზმს. საქმე ის არის, რომ რეალიზმი ყალიბდება ევროპის უდიდესი ქვეყნების მწერლობაში გარკვეულ ისტორიულ პერიოდში და ქმნის მთელ სისტემას შემოქმედების ესთეტიკურ-მხატვრული პრინციპებისა. 1830 წლიდან რევოლუციის ახალი აღმავლობის პროცესში, რევოლუციის მომზადების პროცესში, რომელიც კ. მარქსის თქმით იყო „პირველი სერიოზული შეტაკება პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის“, სწორედ ამ დროს, ამ ეპოქის სოციალური და პოლიტიკური იდეების წარმოშობისა და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის დროს ხდება ახალი რეალისტური ლიტერატურული მიმდინარეობის ჩასახვა.

³⁰ То м а ш и н Л., О понятии реалистическо-художественного метода, «Вопросы эстетики», Москва, 1958, гл. 310.

³¹ Ж и р м у н с к и й В., Становление реализма в мировой литературе и классический реализм XIX века, «Проблемы реализма мировой литературы», Москва, 1959, гл. 450.

³² П о с п е л о в Г., Теория литературы, Москва, 1978, гл. 154.

ისევე, როგორც სინამდვილის ყოველგვარი რეალისტური წარმოსახვა ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალიზმს, ხასიათის გამოვლენის ზოგიერთი ნიშანი (ან მკვლევართა მცდელობა ძველ ლიტერატურაში მათი გამოვლენისა) მხოლოდ შემთხვევითობას უკავშირდება და არ ღებულობს კანონზომიერ სახეს.

თუ მკვლევრები ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში (ხაზს ვუსვამთ „ჰაგიოგრაფიულს“, რადგან ეს ტერმინი უკვე დასაწყისშივე ზღუდავს ხასიათის გამოვლენის შესაძლებლობას, რამდენადაც მასში ასე თუ ისე, განსაზღვრულია პიროვნების საქციელი, შეზღუდულია გადაწყვეტილების თავისუფლება და მოქმედების დამოუკიდებლობა) ცდილობენ ხასიათის ნიშნების „დაქერას“, ეს ფაქტი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ და არა ხასიათის, როგორც მხატვრული სახის, სრულყოფილ არსებობად.

ბელინსკი შემთხვევით როდი უკავშირებს „ახალი ლიტერატურის“ დასაწყისს შექსპირის სახელს, ხოლო „ახალ ლიტერატურას“ — ხასიათების კანონზომიერ ასახვას. შექსპირის შემოქმედებაში მთელი შინაგანი კანონზომიერებებით არის ნაჩვენები ის კონფლიქტები, რომლებიც მოქმედებენ მოცემული ისტორიული მოვლენებას შესაბამისად და სუბიექტური სურვილებისგან დამოუკიდებლად.

უდიდეს შეფასებას აძლევდა პეგელი შექსპირს და მას ხასიათების შექმნის დიდოსტატად აღიარებდა: „ხელოვანი განსაკუთრებით იქით უნდა ისწრაფოდეს, რომ აღმაინს შეუნარჩუნოს გადაწყვეტილების თავისუფლება და დამოუკიდებლობა. შექსპირმა ამის საუცხოო ნიმუშები მოგვცა“³³. შემდეგ პეგელი მსჯელობს „მაკბეტში“ მოქმედ გრძნეულ ძალებსა და „ჰამლეტში“ აჩრდილის მოჩვენებაზე და აღარებს მათ ქრისტიანული და ანტიკური სიუჟეტების კუდიანებს, სულის მოვლენებს და სხვა მისთანებს, სადაც ისინი წარმოდგენილი არიან ჯადოთილისმისა თუ ცდუნების სიმბოლოებად. შექსპირთან კი ვხედავთ, „...რომ აჩრდილი, როგორც ასეთი, ჰამლეტს ბრმად არ განაგებს, არამედ ის ეკვიანობს, და მას სურს საკუთარი საშუალებებით დარწმუნდეს მანამდე, სანამ მოქმედებას შეუდგებოდეს“³⁴. აი, სწორედ აქ არის დიდი დრამატურგის ძალა; სწორედ იმიტომ დგას შექსპირი „ახალი ლიტერატურის“ სათავეში, რომ თავის გმირებს იგი ბოლომდე უნარჩუნებს „გადაწყვეტილების თავისუფლებას“.

XIX საუკუნის 40-იანი, 60-იანი წლების კრიტიკამ პირველმა მიაქცია ყურადღება მხატვრული ნაწარმოების შინაარსის ობიექტურ-შემეცნებით მხარეს. ეს იყო სოციალური ხასიათების სწორი წარმოსახვა თავისი შინაგანი კანონზომიერებებით, რაც ქმნიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიული ვითარების ნათელ სურათს. „1847 წლის ლიტერატურაში“ ბელინსკი წერდა: „ევეგენი ონეგინის“ ნატურალიზმი სატირად კი არ გვევლინება, არამედ კომიზმად, როგორც სინამდვილის სწორი ასახვა. (მართალია, თვით ტერმინი „რეალიზმი“ ცოტა უფრო მოგვიანებით არის შემოსული და დამკვიდრებული, მაგრამ აშკარაა, რომ შინაარსობრივად ბელინსკი „ნატურალიზმში“ რეალისტურ მეთოდს გულისხმობს), სინამდვილე კი XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხასიათდებოდა სოციალური წინააღმდეგობების გამწვავებით. ფეო-

³³ პეგელი, ესთეტიკა, ტ. 1, თბილისი, 1973, გვ. 266.

³⁴ იქვე, გვ. 267.

დალური წყობილების რღვევა ხალხს აიძულებდა „თავიანთი საზოგადოებრივი მღვდმარეობისათვის და ურთიერთდამოკიდებულებისათვის საღი თვალთ შეხედვა“³⁵. როცა ენგელსი ჰარკნესის „ჰამბურგელ ქალიშვილზე“ ლაპარაკობს, იგი ყურადღებას აქცევს არა ნელი ამბროზის პიროვნებას, არამედ ოთხმოციანი წლების მუშის სახეს. „ტიპურ ვარემოში“ კი ენგელსი გულისხმობდა არა პერსონაჟთა ცხოვრებისეულ პირობებს, არამედ საზოგადოებისა და ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობებს (იმ საზოგადოებისა, სადაც პერსონაჟები ცხოვრობენ და მოქმედებენ). ნაწარმოების რეალიზმი იმაში გამოიხატება, რომ მწერალი „აიძულებს“ თავის გმირებს იმოქმედონ, იფიქრონ, იგრძნონ, ილაპარაკონ ისე, როგორც მისი სოციალური წრის ადამიანებს შეეფერებათ.

ასე რომ, მოხდა ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის (გგულისხმობთ რომანტიზმს) მეორეთი შეცვლის კანონზომიერი პროცესი, გამოწვეული დიდი და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ცვლილებებით.

ასევე ძალდაუტანებლად ხდება სხვადასხვა პირობებში ერთი ქანრის (ან სულაც მთელი გვარის) მეორეთი შენაცვლება, რადგან ესა თუ ის მიმდინარეობა ტიპოლოგიური თავისებურებების გამო ნებისმიერ გვარსა თუ ქანრს ვერ ითავსებს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ გვაროვნულ-ქანრული სელექცია შედარებით ნელა მიმდინარეობს და აუცილებლობით როდი გულისხმობს ცვალებადობას ყოველი მიმდინარეობის შესაბამისად.

თავის დროზე, როცა საჭირო გახდა, საეკლესიო მჭერმეტყველების ადგილი სალირიკო პოეზიამ დაიკავა, ხოლო ეპოპის ადგილი — რომანმა. XIX საუკუნის ახალი რომანი სწორედ იმით არის შესანიშნავი, რომ იგი, როგორც კიტა აბაშიძე შენიშნავს, „მრავალის გვარის ნაგრევებზედ არის აღმოცენებული და აშენებული; მან არათუ ეპოპეს ღავიერი ადგილი დაიკავა, შეისვა და შეითვისა მრავალი სხვა გვარიც ლიტერატურული ნაწარმოებისა“³⁶.

რომანში კონფლიქტი უკვე შინაგან აუცილებლობას წარმოადგენს, სადაც მელანდება ინდივიდის დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მხარეებთან, როგორებიცაა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული, ყოფითი და სხვ. აქედან, სოციალური რომანი წარმოსახავს სწორედ სოციალურ-კლასობრივ დაპირისპირებას, რაც რეალიზმის წარმომადგენელთათვის ყველაზე აქტუალური თემაა, ხოლო ამოსავალი — სოციალური სინამდვილეა. „რეალისტი დადგენილ ფაქტებს იღებს კრიტერიუმად კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისათვის“³⁷.

მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული რეალიზმი თითოეულ ქვეყანაში თავისებურად ვითარდება, ლიტერატურისმკოდნეობაში მაინც ცდილობენ იმ საერთო ნიშნების გამოყოფას, რაც ახასიათებს საკუთრივ კრიტიკულ რეალიზმს; ეს ნიშნებია: 1. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე არსებითი, სასიცოცხლო პრობლემებით შთანაგონები თემატიკა, 2. ეპოქის მოწინავე იდეების გამოსახვა, 3. მხატვრული სიმართლის წარმოსახვის ბუნებრივობა და დიდი ძალა, 4. ღრმა ხალხურობა, 5. კრიტიკული პოზიციის სიმკვეთრე და

³⁵ «Взглянуть трезвыми глазами на свое жизненное положение и свои взаимные отношения». К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 4, М., 1955, გვ. 427.

³⁶ კიტა აბაშიძე, ეტულები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, თბილისი, 1970, გვ. 80—81.

³⁷ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1948, გვ. 320.

პრინციპულობა, 6. ხასიათების წარმოსახვა, 7. ბრძოლა ენობრივი სიწმინდისათვის. თითოეული ეს ნიშანი ცალკეულ ქვეყანაში თავისებურად ვლინდება.

შესაბამისად, არსებული ეროვნული და სოციალური ვითარებითაა შეპირობებული ის თავისებურებანი, რითაც გამოირჩევა ქართული კრიტიკული რეალიზმი. იგი წარმოადგენს ბუნებრივ და ლოგიკურ გაგრძელებას, ერთი მხრივ, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებისა, ხოლო, მეორე მხრივ, რეალიზმის იმ პირველი წარმომადგენლების ლიტერატურული ტრადიციებისა, რომლებმაც ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში.

იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ ქართველ რეალისტთა შემოქმედება, საჭიროა კრიტიკული რეალიზმის საერთო ნიშნები წარმოვიდგინოთ იმ რეალური ვითარების ფონზე, რომელიც ნიშანდობლივია საქართველოსთვის; საჭიროა გავითვალისწინოთ ის სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული ვითარება, რომელმაც მოამზადა ქართული კრიტიკული რეალიზმის სრული სახით გამოვლენა.

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარი მეტად რთული ეპოქაა საქართველოს ისტორიაში, — სოციალური ძვრების, ხალხის გაურკვევლობისა და აფორიაქების ხანა, ის ხანა, როდესაც ჩვენი პიროვნება, ყოველი ჩვენი განსაკუთრებული თვისება და ხასიათი დიდ განსაცდელშია³⁸. სწორედ ამ დროს არის საჭირო დაგვანახოს ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩვენი სულიერი მდგომარეობა.

მკაცრი მოთხოვნები წაუყენა პეტერბურგში სწავლამიღებულმა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ საკუთარ თავსაც და მილიანად საქართველოსაც: მხატვრული შემოქმედების ბერბებით არსებული ვითარების ფონზე, მას უნდა ეჩვენებინა მთელი საზოგადოებრივი წინააღმდეგობების არსი, ხოლო მის ერს — ყურად ეღო მისი სიტყვა. სწორედ ამიტომ წუხდა: „...შევძლებ კი, რომ მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო“³⁹.

ილია ჭავჭავაძე შემკვიდრება გრიბოედოვისა და პუშკინის რეალისტური ტრადიციებისა. იგი აგრძელებს გოგოლის გზას და ავითარებს ქართულ კრიტიკულ რეალიზმში რეალისტურ სატირას, რომელიც დიდსა და ქმედით საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს თვითმპყრობელობის პერიოდში. ილიას სატირის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხოლოდ თავის სატირულ პერსონაჟებს კი არ აკისრებს პასუხისმგებლობას, მხოლოდ მათ კი არ სდებს ბრალდებას არსებული ბოროტებისათვის, არამედ ამ ბოროტებას საზოგადოებრივ მოვლენად წარმოგვიდგენს, გაპირობებულს მთელი სოციალურ-ეკონომიკური სისტემით.

სატირული კრიტიკის პრინციპით, ილია ჭავჭავაძემ სწორედ „ქაცია-ადამიანში“ (მოთხრობაში, სადაც არც ერთი დადებითი გმირი არ არის გამოყვანილი), მოახერხა აეწერა არა მარტო მაშინდელი საქართველოს ეპოქა, არამედ მისი მომავალც. „გოგოლის წყალობით, — წერდა გერცენი, — ახლა ძლივს ვიხილეთ თავის სასახლეებიდან და სახლებიდან უნიღბოდ, შეუღლამაზებლად გამოსული ეს მარად მთვრალი და მარად ჭამით გამსკდარი ვაჟბა-

³⁸ არჩ. ჯორჯაძე, ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო, თხზულებანი, წიგნი მეოთხე, ტფილისი, 1911, გვ. 43.

³⁹ ილია ჭავჭავაძე, მგზავრის წერილები, თხზულებანი, თბილისი, 1957, გვ. 175.

ტონები, მთავრობის ეს ღირსება მოკლებული მონანი, თავიანთი ყმების ეს შე-
 უბრალებელი მტარვალნი, რომელნიც ხალხს ისევე მიამიტად სწოვენ სისხლს,
 როგორც ბავშვი სწოვს დედას ძუძუს...⁴⁰ იგივე სიტყვები საგნებით სამარ-
 თლიანად შეიძლება მიეფსადაგოთ ილია ჭავჭავაძესაც. ეს ფაქტი არც არის
 გასაკვირი, რადგან კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებად უმეტესად ის
 მწერლები გვევლინებიან ხოლმე, რომლებიც ინტელექტუალურად თავიანთ
 წრეში გამოირჩევიან და ამკარად ხედავენ თავიანთი კლასის სოციალურსა
 თუ ფიზიკურ უსუსურობას. სწორედ სიკეთე და განათლება უნდა იქცეს
 ილიას გაგებით იმ ყოვლისშემძლე ძალად, რომელიც ურთიერთობებს მოა-
 წესრიგებს, თავადსა და გლეხს შორის ჩატეხილ ხიდს აღადგენს; ამის გარეშე
 კანონმდებლობა ვერაფერს გახდება. სიკეთე და განათლების წყურვილი კი
 დროებით იყო მივიწყებული, თორემ თდითგანვე ახასიათებდა ჩვენი ხალხს.
 გადავშალოთ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: „ურთიერთის მიმყოფნი,
 სიკეთე თის დამსწავლენი და მცემებელნი, სირცხვილის მდევარნი,
 კეთილბოროტზედ აღრე მიმდრეკნი... გონიერნი, მსწრაფლ მიმხდომ-
 ნი, მჩემებულნი, სწავლის მოყვარენი. არამედ არს ესამირაოდენ-
 ნიმე, არღარა ისახელები სოდნა, თენიერ წიგნის კით-
 ხვისა და წერისა“⁴¹. (დაყოფა ჩვენია). სიკეთის ხსენებაზე გვახსენ-
 დება მღვდლის სახე მოთხრობიდან „გლახის ნამბობი“, რომელიც, ჩვენი
 აზრით, არა მარტო გაბრიელის სულიერი მოძღვარია, არამედ საერთოდ ილია
 ჭავჭავაძის ყველა დადებითი გმირისაც. „კაი კაცობა არ შეგიძლიან?... მაშ
 რალა კაცი ჰყოფილხარ?... ღეთის სული რად გიდგა“⁴². ეს არის მთავარი პრინ-
 ციპი ილიასეული სიკეთის გაგებისა. ამ პრინციპითვე ლავდებიან ცალკე ის პერ-
 სონაჟები, რომლებსაც „კაიკაცობა“ შეუძლიათ და ცალკე ისინი, რომლებსაც
 არ შეუძლიათ; ამდენად თან უნდა წაპყვენ გადავარდნილ ბატონყმურ
 სისტემას. „თუ მეტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზედ უფრო და-
 რიბია“⁴³, — მაღლი ჰქენ და სამაგიეროს ნულარ დაელოდები.

სიკეთე თუ გულიდან მოდის, სწავლა-განათლება გონების ნაყოფია და
 უერთმანეთოდ არც ერთი ვარგა და არც მეორე. ამიტომ, გასაკვირი არ არის,
 რომ ეს „კეთილი სული“ წიგნის კითხვას ასწავლის ყველას, ვინც ოდნავ მა-
 ინც მოინდომებს. „შენ რომ წიგნს ისწავლი“, — არიგებს გაბრიელს, — „შენც
 მონახე შენისთანა კაი ბიჭი და იმასაც ასწავლე, ვალს მაგით მოიშორებ“⁴⁴.
 „გონება—გზას გავინათლებს, გული—გაგიბობოს, ღმერთი ძლიერია... ყველას
 გულში, — ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, — ღვთისაგან ანთებუ-
 ლი ცეცხლი ანთია: ის ცეცხლი არ უნდა გაავაქროთ“⁴⁵. (დაყოფა ჩვე-
 ნია).

ილია ჭავჭავაძემ, ქართული კრიტიკული რეალიზმის ყველაზე დიდმა
 წარმომადგენელმა, თავისი ტალანტისა და განათლების წყალობით მოახერ-

⁴⁰ თ. ბუაჩიძე, წინასიტყვაობა წიგნისათვის ნ. ვოგოლი, რჩეული თხზულებანი, თბი-
 ლისი, 1972, გვ. 14.

⁴¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 32.

⁴² ი. ჭავჭავაძე, გლახის ნამბობი, თხზულებანი, თბილისი, 1957, გვ. 207.

⁴³ იქვე, გვ. 207.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

ხა დაეძლია ცალმხრივობა, ერთი მხრივ, ქართველი რომანტიკოსებისა (რომლებსთვისაც სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული სევდა მხოლოდ ერთვულ ასპექტში წყდება), ხოლო, მეორე მხრივ, ცალმხრივობა ორმოცდაათიანელთა (გ. ერისთავი, ლ. არაბული, ზ. ანტონოვი, დ. ჭონჭაძე) რეალიზმისა, რომლებიც საზოგადოებაში მხოლოდ სოციალურ ძვრებს ამჩნევდნენ, და შეექმნა რეალისტური ტილოები. ამავე დროს, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში ეზიარა მოწინავე რუსულ ლიტერატურას, რომელსაც საოცრად დიდი რეზონანსი ჰქონდა მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებას შორის. ჩვენი ერის მოამავე, სტუდენტობიდანვე დაეწაფა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ საფუძვლებს, რომ მომავალში უფრო კარგად გამოსდგომოდა თავის სამშობლოს. ილია ჭავჭავაძის სოციალური არც არის ერთგვარი შუა გზა ბატონყმურ და სამრეწველო კაპიტალიზმის ურთიერთობაში. ეკონომიკური კულტურის რღვევა ისტორიაში, საფუძველია იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური და ლიტერატურული ფორმების ცვლილებისა. ერთი კლასი გავიდა ისტორიიდან თავის იდეალებით და პრეტენზიებით, მეორეს ჯერ კიდევ არა აქვს ბოლომდის შეგნებული თავისი მოღვაწეობის საზოგადოებრივი დანიშნულება, რეალური ცხოვრების პირობები და ამის გამო „...ფაქტიური საქართველო თითქო აღარ არსებობს, თითქო მას მიძინებია დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ“⁴⁶; გარკვეულ სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებათა გამო საქართველოს სინამდვილეში მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს სოციალური განთავისუფლებისა და ერთვული მოძრაობის საკითხები. ილია ჭავჭავაძის ძირითადი იდეა არის კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესის იდეა, რის ჩამოყალიბებაში მას დიდად შეუწყო ხელი ევროპული და რუსი განმანათლებლობის ღრმად შესწავლამ, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ილია მათი ეპიგონი არასოდეს არ ყოფილა. ილიას ლიტერატურული შემოქმედების შინაარსი წინასწარვე გარკვეულია და ეს იდეური გარკვეულობა დიდი ხნის ძიებისა და ტანჯვის ნაყოფია. ქართული ლიტერატურის ევოლუციის თვალსაზრისით არანაკლებ საგულისხმოა ის, რომ მან სალიტერატურო უარების და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა: ძველ ქართულ მწერლობაში გაბატონებულ ისტორიულ და რომანტიკულ ეპოსს, რელიგიურ ჰიმნებსა და ოდებს, სადაც მალალი ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრება, სულიერი მისწრაფება და გემოვნება იყო გამოხატული, მან რეალისტური მოთხრობის, რეალისტური ლირიკისა და ფილოსოფიური პოემის უარნი დაუპირისპირა.

ძირითადი უარები, სადაც ხასიათის გამოვლენის შესაძლებლობა ეძლევა ილია ჭავჭავაძეს, არის მოთხრობა და ახალი პოემა. თავისთავად პოემასა და მოთხრობას შორის არის უარული მსგავსებაც და განსხვავებაც: პოემა და მოთხრობა იმით ემსგავსება ერთმანეთს, რომ ორივე თხრობითია, ორივე მათგანი იძლევა საზოგადოების კრიტიკული გაზარების, ხასიათების განვითარებისა და გახსნის შესაძლებლობებს; განსხვავდებიან კი ისინი ერთმანეთისაგან ძირითადად გამომსახველობითი ფორმებით: პოემა, მოთხრობასთან შედარებით, უფრო მეტად იძლევა ავტორის უშუალო, ლირიკული ჩარევის შესაძლებლობას, აქ შინაგანი ლირიზმი ქარბობს და ამდენად ახასიათებს

⁴⁶ ე. კ ა ბ ა ნ ე ლ ი, ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი, ტფილისი, 1931, 88-149.

მკვეთრად გამოხატული ემოციურობა: მიუხედავად ამ განსხვავებისა, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში პოემები და მოთხრობები არ იძლევა იმის საბაზს, რომ ისინი (ყველა ვიშორებთ ჟანრული სპეციფიკის გამო) ცალ-ცალკე ვიკვლიოთ ხასიათებზე სოციალური მდგომარეობის გავლენის თვალსაზრისით.

ხშირად მიუთითებენ ხოლმე, რომ მოთხრობა გამოხატავს გმირის ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდს (რა თქმა უნდა, არსებობს ამ ფაქტის დამამტკიცებლად ბევრი ნაწარმოები, არის შემთხვევები, როცა მოთხრობაში მხოლოდ ერთი პერსონაჟია, მაგ. ჩეხოვის „მეძინებაში“), მაგრამ ეს ფაქტი კანონზომიერებად არ უნდა მივიჩნიოთ. მოთხრობა და პოემა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ გმირის მთელი ცხოვრება აისახოს (ასეთებია ვ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, დ. ჭონჭაძის „სურამის ციხე“, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და მრავალი სხვ.). პირიქით, მოთხრობის ის სპეციფიკა, რომ ცხოვრების ერთ ან რამდენიმე მოვლენაზე კეთდება აქცენტი, მწერალს საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს, „ის ერთი“ გამოხატოს განსაკუთრებული სიძლიერითა და მრავალმხრივობით. აი, რას წერს დიდი რუსი კრიტიკოსი ბელინსკი: „მოთხრობის ფორმამ შეიძლება დაიტოს ყველაფერი, რაც გნებავთ — ადამიანის სარკასტული დაცინვა საზოგადოებაში, ღრმა ინტიმური განცდებიცა და ვნებათაღელვის მკაცრი თამაზიც“⁴⁷.

ილია ჭავჭავაძე რეალისტიკა თავის ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში. იშვიათია მწერალი, საკუთარი განცდებისა და პიროვნების ჩვენების გარეშე ინტერესდებოდეს ადამიანის, მთელი ხალხის ბედით არსებული საზოგადოებრივ-სოციალური ვითარების პირობებში. არა სატრფოს დღაღადი, არამედ საზოგადო მწუხარება და ერის კვნეხა იწვევს რეალისტიკა პოეტის სევდას. აქედან გამომდინარე, ილიას უმთავრესი თემა საზოგადოებრივი ხასიათისაა, კერძოდ, ბატონყმობის კრიტიკა და მისი უარყოფა. რამდენადაც რეალისტური მეთოდი განთავისუფლებულია პირობითობისაგან, ხოლო ილია ჭავჭავაძე, როგორც რეალისმის მამამთავარი საქართველოში და, საერთოდ, კრიტიკული რეალისმის საუკეთესო წარმომადგენელი, სიუჟეტის ქმნის ცხოვრებისეული დეტალებით. ყოველდღიურობით და ამით ახერხებს ცხოვრებისეული მდგომარეობის გახსნას, მწერალი პერსონაჟთა ღრმად დამაჯერებელი ფსიქოლოგიური განცდების ჩვენებით აჯერებს მკითხველს, რომ მოცემულ გარემოში მათი სხვანაირი საქციელი შეუძლებელია. ნაწარმოებში ხასიათის გამოვლენა, სიუჟეტის გახსნისა და მისი მართებულად გააზრება-ათვისების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტში მოცემულია კონფლიქტის მთლიანი და დამთავრებული განვითარების ხაზი, რომელსაც ახასიათებს გარკვეული შინაგანი საფეხურები: ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კვანძის გახსნა. ილია ჭავჭავაძის კომპოზიციისათვის დამახასიათებელია კულმინაციის გახანგრძლივება, რათა მკითხველი უაღრესად დაჰმეულ მდგომარეობაში ხანგრძლივად გააჩეროს⁴⁸. ილია დიდი ოსტატობით გვაძლევს ხასიათთა სრულყოფილ სახეებს, იმ ხასიათთა, რომელ-

⁴⁷ Белинский В., Полное собрание сочинений, т. I, Москва, 1953, გვ. 271.

⁴⁸ მ. ხანუკელი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბილისი, 1968,

ნიც აბსოლუტურად ემთხვევიან მწერლის იდეურ მრწამსს: წოდებათა შორის განსხვავება შემაფერხებელი მოვლენაა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის და იგი უნდა აღმოიფხვრას, კაცი მხოლოდ თავისი პირადი ღირსებებით უნდა ფასდებოდეს.

ჩვენ მოკლედ დაეხასიათეთ კრიტიკული რეალიზმი, როგორც საერთოდ რეალიზმის ძირითადი სახეობა, რათა გვეჩვენებინა ის დიდი ასპარეზი და შესაძლებლობანი, რასაც იგი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, უქმნის მწერალს ხასიათების სრული წარმოსახვისათვის.

გავიხსენოთ • ის რამდენიმე ნიშანი ჰეგელის „ესთეტიკიდან“, რომლებშიც განსაკუთრებით გამოიკვეთება ხასიათის მიმართება კრიტიკულ რეალიზმთან. „1. ზოგადსაყოველთაოება კერძო ინდივიდებში ტოტალობად და ერთეულებად უნდა შეიკრას“⁴⁹. 2. „ერთეულობამ თავი უნდა გვაჩვენოს არა მარტო როგორც ზოგადობამ, არამედ ამდენადვე როგორც კონკრეტულმა განსაკუთრებულობამ; ეს შეადგენს ტოტალობას (მთლიანობას) ხასიათისას“⁵⁰. 3. „ხასიათი სიმდიდრეში უნდა გამოქვლიანდეს“⁵¹. 4. „ხასიათი სულის უსხვადასხვანაირეს თვისებებში უნდა შეიკრას, მათში უნდა იმყოფებოდეს“⁵². 5. „ხასიათს თავის შინაარსად და პათოსად არავითარი მიღმური, საიქიო და მოჩვენებისეული არა აქვს, მას ნამდვილი ინტერესები ამოძრავებს“⁵³.

სწორედ ზოგადსაყოველთაო ნიშნები აქცევს ხასიათს ტიპად, ხოლო ტიპიურობა, როგორც ვიცით ენგელსის განსაზღვრების მიხედვით, ტიპიურ გარემოსთან ერთად მთავარი ნიშანია რეალიზმის, კერძოდ კი კრიტიკული რეალიზმის არსებობისა. ამგვარად, ხასიათისა და კრიტიკული რეალიზმის არსებითი ნიშნების გათვალისწინება იძლევა მათ შორის პარალელის გავლებას შესაძლებლობას.

როგორც ვხედავთ, კრიტიკული რეალიზმი ცალკეულ ქვეყანაში არსებული ვითარებისა და მდგომარეობის შესაბამისად ვითარდება, ხოლო კონკრეტული მწერლის შემოქმედებაში მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და ტალანტის მიხედვით ვლინდება, მაგრამ ზოგადად იგი, როგორც რეალიზმის განვითარებული სახეობა, ერთი საფუძვლიდან, თვით ეპოქის თავისებურებიდან იღებს სათავეს; ამიტომ მისთვის ნიშანდობლივი და აუცილებელია არა ცალკეული შემთხვევების აღწერა, არამედ მოვლენათა განზოგადება. ხასიათი კი, როგორც მხატვრული სახე, სწორედ მისი გამოვლენის მრავალმხრივობას გულისხმობს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხასიათების ასახვა მხოლოდ პირობითად შეიძლება ცალკე საკითხად გამოვყოთ, თორემ, როცა მასზე ვლაპარაკობთ, ძალუწებურად ვითვალისწინებთ მის წარმოსახვას ყველა იმ ნიშნებთან ურთიერთმიმართებაში, რაც ახასიათებს საკუთრივ კრიტიკულ რეალიზმს. იმისათვის, რომ ხასიათი იყოს დამაჯერებელი, საჭიროა ემორჩილებოდეს თავისი განვითარების იმ შინაგან ლოგიკას, რასაც თავისებურად ხელს უწყობს მხატვრული სიმართლე, ღრმა ხალხურობა, კრიტიკული პოზიციის

⁴⁹ ჰეგელი, ესთეტიკა, ტ. I, თბილისი, 1973, გვ. 272.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე, გვ. 273.

⁵² იქვე, გვ. 274.

⁵³ იქვე, გვ. 280.

სიმკვეთრე და პრინციპულობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე არსებითი პრობლემებით შთანაგონები თემატიკა.

ილია ქაეჭავაძის, როგორც ქართული კრიტიკული რეალიზმის კლასიკური წარმომადგენლის შემოქმედება, ბუნებრივია, მდიდარ მასალას უნდა იძლეოდეს ხასიათების კვლევისა და გამოვლენისათვის.

М. Г. НАХУЦИШВИЛИ

СОЦИАЛЬНЫЙ ФОН ХАРАКТЕРОВ И КОНФЛИКТОВ ПО ПРОИЗВЕДЕНИЯМ И. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

Создание характера в художественной литературе требует от писателя всего его опыта и мастерства и является безошибочным критерием таланта художника. Соответственно, характер является одной из главных тем литературоведения.

Наша задача: 1. отделить «литературный характер» от такого же термина в повседневной жизни или в разных сферах науки; 2. установить специфические черты, которые помогут отделить (уже в области художественной литературы) характер от таких синонимных понятий, как персонаж, герой, тип.

Исходя из «Эстетики» Гегеля, в частности, из его учения о характере, мы показываем постепенное развитие характера по реакциям в отдельных ситуациях и, наконец, его завершенность по центральному, определяющему признаку.

Сущность характера дает нам возможность считать его полное выявление главным аспектом реализма и, в частности, критического реализма.

Для иллюстрации мы использовали эпические сочинения Ильи Чавчавадзе, так как творчество этого классического представителя грузинского критического реализма, естественно, дает самый богатый материал для исследования характера, формирование которого в основном определяется социальной основой.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილება.

წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

საგზო მინიშნული

 ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკა ვასილ ბარნოვის
მოთხრობებში

ვასილ ბარნოვის მოთხრობების დიდი უმრავლესობა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ოცდაათწლეულისა და მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული საზოგადოების ცხოვრებას ასახავს. ჩვენი ერის ისტორიის ეს მონაკვეთი ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენით — ეროვნული ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბებით — ხასიათდება. ვ. ბარნოვმა, გ. წერეთელთან ერთად და მის კვალზე, შეამჩნია და ასახა, რომ ქართველი ერის კულტურასა და სასიცოცხლო ინტერესებთან მხოლოდ ანგარებით დაკავშირებულ ჩვენს ქვეყანაში მოქმედ არაქართველ ბურჟუაზიას 80-იან წლებში გვერდით ამოუდგა ჯერ ლიბთიმერეთიდან გადმოსული, ხოლო უფრო მოგვიანებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დაწინაურებულნი ვაჭარ-მრეწველთა სოციალური ფენა, რომელიც მალე იქცა სერიოზულ ეროვნულ ფაქტორად¹.

მწერალმა დიდი სიზუსტით და სიმართლით ასახა ეს პროცესი. მაგრამ გამორჩა ან ვერ დაინახა მეორე, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენა — კერძოდ ის, რომ „მესამე წოდების დანაწილება საქართველოში მის წარმოშობისთანვე დაიწყო... ქართველმა ბურჟუაზიამ ვერც კი მოასწრო თავისი თავის გაფორმება და წმინდა კლასობრივი იდეოლოგიის შექმნა, რომ მის პირისპირ უკვე მისი მოწინააღმდეგე, მუშათა კლასი აღიმართა, რევოლუციური პათოსით და სოციალისტური იდეოლოგიით აღჭურვილი“². ეროვნულმა — ქართველმა ბურჟუაზიამ თვითგამორკვევაც ვერ მოასწრო, ისე დაიწყო მისი ხრწნა. ამიტომ იგი არასოდეს, თვით ჩანასახშიც კი არ წარმოადგენდა იმ ჭანსაღ ძალას, როგორც ევროპის ბურჟუაზია იყო თავისი ისტორიის პირველ ეტაპზე. ვ. ბარნოვის მხატვრული თვალის ქართულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხედავდა იმას, რაც ენგელსმა მეცხრამეტე საუკუნის ორმოციანი წლების ინგლისურ საზოგადოებაში იხილა: „ყველგან ბარბაროსული გულგრილობა, ეგოისტური დაუნდობლობა, ერთი მხრივ, და აუწერელი

¹ გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ მთავარი მოქმედი პირი ბახვა ფულავა პირველი ნაბიჯის ეროვნული ბურჟუაზიის თვისი სუსტი და ძლიერი მხარეებით. ბახვას სისხლი სისხლთაგანია ვ. ბარნოვის მოთხრობის „ნუში“ მთავარი პერსონაჟი ჯავუ ყორსაია. ვ. ბარნოვი არ იზიარებდა მდარ აზრს, თითქოს ქართველ კაცს ვაჭრობა არ შეეძლო და რომ ვაჭრობა სამარცხენის საქმე იყო: მოღვრობაში „სოვდაგარი“ იგი ასე აღაპარაკებს დიდგვაროვან თავადს: „მხოლოდ ქართველს ვაჭრობაში უნო არ აქვსო. ეს მართალი არ არის. მთელ დასავლელ საქართველოს ეხერხება ვაჭრობა... აქათც, ქართლ-კახეთშიც, ბევრმა შესძლო ვაჭრობის მოწყობა და თავი ისახელა... ჩვენ სხვათა ცხოვრებას ვატარებდით: ხმალქვეშ ვიყავით, წყნარად ცხოვრებისათვის არ გვეცალა და გამოცდილება გვაქვია. ნიჭით კი არ ჩამოუვარდებოთ არავის. მართლა და, რითი მჭობია თუნდ მე ვილაც პაპარ-კონია, ან თვლიდა, ან ქოსა ამრია? რა იციან ჩემზე მეტი, რითი არიან ჩემზე ქვეანნო სრულებით არაფრით!“ (თხზულებანი, ტ. II, გვ. 240).

² გ. ქ ი თ ძ ე, რჩეული თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1965, გვ. 220.

სილატაკე, მეორე მხრივ, ყველგან სოციალური ომი, თითოეული სახლი სა-
 ალყო მდგომარეობაში, ყველგან ურთიერთ ძარცვა კანონის საფარველის ქვეშ,
 და ყოველივე ეს ისე ურცხვად, ისე აშკარად ხდება, რომ საზარელ გრძნო-
 ბას ჰკვრის აღმიანს ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ის შედეგები, რომ-
 ლებიც აქ გაშიშვლებული სახით თავს იჩენენ³.

ვ. ბარნოვი ვერაფერს ხედავდა დადებითს ცხოვრების კაპიტალისტურ
 წესში. ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც აგებუ-
 ლი იყო ზნეობისა და ჰუმანიზმის საწინააღმდეგო პრინციპებზე, მას უსაზღვრო
 ზიზღს ჰკვრიდა, რადგან კოლონიური რეჟიმი და აღმავალი ბურჟუაზიის ამო-
 რალიზში მძიმესა და აუტანელს ხდიდა ცხოვრებას, ამოების ბაზრად აქცე-
 ვდა ქვეყანას, რყენიდა პიროვნებას, უკარგავდა აღმიახურ სახეს, აქცევდა
 გაუმაძლარ მტაცებლად, კნინდებოდა და იძარცვებოდა ეროვნული სული.

ამიტომ ის მკაცრად და ობიექტურად ამხელდა „სიცივის, სირცხვილისა
 და უხანსობის ეპოქას“ (ე. ზოლა). ის არ იყო მეტროლი მწერალი, მაგრამ
 თავისი ბასრი კრიტიკული მახვილი მიმართული ჰქონდა ყოველი ნეგატიური
 მოვლენის მიმართ და არ ინდობდა არც არისტოკრატებს, არც ბურჟუაზიას,
 არც ინტელიგენციას, არც სასულიერო წოდებას, რომლის წიაღიდანაც იშვა
 თვითონ, არც მის საყვარელ ხელოსანთა სამყაროს, რადგან საქმე ეხებოდა
 მთელი ერის კეთილდღეობას. მას მძაფრი პროტესტის გრძნობა ჰქონდა აწმ-
 ყოს სიმახინჯეთა მიმართ, ამიტომ გაუმართლებელია ვ. ბარნოვი იდეურად ჩა-
 მორჩენილ მწერლად, ჩავთვალოთ... ასეთი აზრი კი გამოითქვა ჩვენს სამეცნი-
 ერო ლიტერატურაში.

საერთოდ, ვ. ბარნოვი კერძომესაკუთრული საზოგადოების კრიტიკოსი
 არ ყოფილა, პირიქით, გარკვეულად აიდეალებდა კიდევ განათლებულ და
 კეთილ მემამულეს (მაგ., პორფირს „ლევერაში“ და სხვ.); დასაშვებად მი-
 აჩნდა აღმიახნთა თანამშრომლობა სოციალური დაქვემდებარებით (დღიური
 მუშაობა, დაქირავება) და ამაში არ ხედავდა აღმიახნისაგან აღმიახნის ექსპ-
 ლუატაციას, თუ ეს ურთიერთობა ორმხრივ სასარგებლო იყო („სული შთვლე-
 მარე“, „თებერას დანიშნული“). ის, როგორც განმანათლებელი, დასაშვებად
 თვლიდა ამგვარ ურთიერთობას, მაგრამ ზიზღს გვრიდა კერძო საკუთრების
 ბურჟუაზიული ფორმების უკიდურესობანი, ოქროს ძალაუფლებაზე დამყა-
 რებული უტიფარი ძალადობა თავისი მრავალი ფორმით. ჯერ კიდევ 1887
 წელს დაწერილ მოთხრობაში „სესე“ მწერალმა გვიჩვენა „ყვითელი ეშმა-
 კის“ დამლუბველი ზეგავლენა პიროვნებაზე. სესემ მეზობელი გიქო შინ
 მკვდარი იპოვნა — ოქროთი სავსე ყუთს დაჰკვდომოდა; სიხარბე შეეპარა,
 მითთვისა განძი..., მაგრამ ბედნიერებას ვერ ეწია, ოქრომ დაიმონა მისი არსება,
 აქამდე ღარიბი, მაგრამ ლლი, გუღლია და სხვათა ხელის გამმართველი, პირ-
 ქუში და მოუსვენარი გახდა. იდუმალი ტანჯვით დაუშმინდა წუთისოფელი.
 სიზმარში გიქო ეცხადებოდა, როგორც სინიდისის მხილება, ცხადში ეჭვიანი
 შეიქნა, სახლობდა კი შეიძლება, სიხარბე, შიში და ეჭვი აწამებდნენ... და მხო-
 ლოდ მაშინ ჰოვო შეება, როცა ქრისტიანული მორალის კარნახით (უფრო თვით-
 დაცვის ინსტინქტით) „ცოლვა“ აღიარა და განძი საზოგადოებას დაუბრუნა⁴.

³ ვ. ე. ნ. გ. ე. ს. ი. მუშათა კლასი: მდგომარეობა ინგლისში, თბილისი, 1935, გვ. 39.

⁴ ჩვენს დროშიც ასე გადაჭრეს ეს საკითხი ამერიკელმა ჯონ სტიინბეკმა მოთხრობაში „მარ-
 გალიტი“ და ქართულმა მწერალმა დემნ შენგელაიამ — „ვანაში“.

ოქროს ძალუფლებებზე დამყარებულ საზოგადოებაში იგნორირებულია ყველა კერძი, გარდა ოქროსი. ასე ესმოდათ ეს ჩარლზ დიკენსს, უილიამ თეკერის, ონორე დე ბალზაკს, გი დე მოპასანს, ემილ ზოლას, თევდორე დოსტოევსკის, ლევ ტოლსტოის... ასე ხედავდა ვასილ ბარნოვიც. კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი შედეგის „გობსსეის“ მთავარი პერსონაჟი გობსევი ასე მოაღწერავს ადვოკატ დერვილს: „იმისთვის, ვინც იძულებული ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ორთმტრიალში გადაეშვას, რწმენა და ზნეობრივი წესები ფუჭი სიტყვებია. გვრჩება მხოლოდ ერთადერთი გრძნობა, რომელიც ბუნებამ ჩაგვიწერა — თავდაცვის ინსტინქტი. ჩვენს ეპოქაში ამ ინსტინქტს პირად ინტერესს ეძახიან. როცა ჩემს ასაკს მიღწევთ, გეცოდინებათ, რომ არის მხოლოდ მატერიალური რამ, რომლის ღირებულება საკმაოდ უტყუარია, იმისათვის, რომ აღამიანმა ხელი მოჰკიდოს. ეს... ეს არის ოქრო. ოქრო შეიცავს ადამიანთა მთელ ძალას“⁵.

ვ. ბარნოვის მოთხრობის „ვერცხლით სნეულის“ გმირი ტიმოთეც ამბობს: „ქონება ძალა! ვისაც ფული უჭირავს ხელში, ძლიერიც ის არის. ვერცხლი საზომია ძლიერებისა და ბედნიერებისა. თუ გინდა ძლიერი იყო ქვეყანასა ზედა და კეთილ გეყოს შენ, შეიძინე ოქრო სამსახურებლად შენდა“⁶.

ამ რწმენით ცხოვრობენ და იბრძვიან ვ. ბარნოვის პერსონაჟთა ათეულები: ყვითელი პეტრე („გველის ზეიმი“), მოხელე პეტრე („ლევრელა“), ჯაგუ კორსაია („ნუშო“), ფოცხვერა („ამომძრავა კაპიტალი“) და სხვ.

ოქრომ უღმობლად დაარღვია ადამიანური ურთიერთობანი, ზნეობრივად გახრწნა ადამიანი. მოთხრობა „ჩვენი ლამაზს“ გმირმა ქალმა ვერ აიტანა სიღარიბე და ნაავადმყოფარი, მიმტკნარებული, გახუნებულ პალტოსა და გაცუვითილ „ფერჩატკებში“ საწყალად გამოიზიარა ქმარი გასცვალა მშვენიერ ინგლისურ პალტოში გამოწყობილ, შავი ქუდით თავშემკულ ბრგე ქვრივზე. ბარათის ნაგლეჯში სარჭველი აქვს ახილი ქალის დამახინჯებულ სულს: „ხანგრძლივი ბრძოლით გავიტანე. მარად გულში დახშობა კეთილი ცხოვრების სურვილისა, მარად ძალად შეწყნარება იმისი, რაზედაც გული არ მიწევს, შეუძლებელი შეიქნა ჩემთვის. როცა გამოგყვე, კარგად არ ვიცნობდი ჩემს თავს და ეს არის ჩემი შეცდომა, ჩემი უბედურება“⁷.

მიტოვებულმა ქმარმა კარგა ხნის შემდეგ საჯარო ვაჭრობით იყიდა ის ლამაზა, რომელიც ქორწინების ბედნიერ საღამოებს უნათებდა. ტრაგიკულად ისმის მისი უხმო მონოლოგი: „საწყალო ჩვენი ლამაზე! გაქუჭყინებულა შენი ამურების სახეები, ამოშლილა ღიმილი მათზედ; გახუნებულა ღია ფერი შენი ვარდებისა, თითქო დამკვნარანო იგინი“⁸.

ამ მონოლოგში განზოგადებულია არა მარტო ეული კაცის სულიერი დრამა, არამედ სიყვარულის ტრაგიკული ბედი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ვ. ბარნოვის მოთხრობა „ნუშო“ (1896 წ.) ერთ-ერთი საუკეთესოა ქართული პროზის იმ ნიმუშებიდან, რომლებიც ასახავენ ეროვნული ბურჟუაზიის ფენის ადგმას და პირველ ნაბიჯებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს. მოთხრო-

⁵ ფრანგული მოთხრობები, თარგმანი ი. ქავერაძისა, თბილისი, 1964, გვ. 311, 312.

⁶ ვ. ბარნოვი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბილისი, 1961, გვ. 410.

⁷ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. I, თბილისი, 1961, გვ. 29.

⁸ იქვე, გვ. 35.

ბაშბ ასახულია გასული საუკუნის 70-იან—80-იანი წლების ქართული სინამდვილე, თბილისური ყოფა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრება, ეპოქა, რომელსაც ასე ახასიათებდა სერგეი მესხი: „დროება გამოიცვალა, ყველამ ფულის ძებნას, საქმის ძებნას მიჰყო ხელი, შეიქმნა ფაცაფუცი, მოძრაობა...“⁹.

მოთხრობის ცენტრალური პერსონაჟებია გარეთუნელი გოგონა ნუშო და ლიხთიმერელი ჯაგუ კორსაია. ჯაგუს სულ პატარას დაეხოცა მშობლები. ნათესავებმა უღუქმაპურად დატოვეს და თბილისს მოაშურა, რადგან ყველა უნიადაგო და გზაბნეული ამ დროს ქალაქისაკენ იწვედა. აქ ბედმა გაუღიმა — ათი წელიწადი „ორბელიანთ ბიჭი“ იყო. ამ ოჯახში დაგროვებული ფულით მუშტაიდის ბაღთან საღვინო გახსნა. ჯაგუს ყველა ის თვისება აქვს, რითაც ხასიათდებიან ბალზაქისა და ზოლას პატარ-პატარა ბურჟუები: „დიდიდან-საღამომდე ფეხზე ტრიალებს, ყოველგან სარისტას აძლევს... ყოველთვის იმისთანა რასმე მოიგონებდა ხოლმე... ეს ძალიან იზიდავდა მუშტარს...“ მხნეა და აზრიანი, ამიტომ „ვაჭრობა ძალიან კარგად წავიდა და ისე გაიღვა ფესვები, რომ რამდენიმე ამგვარი გასართობი და საგრილობელი ადგილები, რომლებიც ახლომახლო იყვნენ გამართული, დაიკეტა უმუშტრობით. საღვინომ დაჯაბნა ისინი და მოუსპო არსებობა, როგორც უსპობს სიცოცხლეს ახლო ამოსულ მცენარეებს ამაყად ასული წიფელი“¹⁰.

მწერალი ნათლად ხედავს და ასახავს კაპიტალიზმის არსებით კანონს — მძაფრ კონკურენციას და ამით გამოწვეულ განუწყვეტელი კვლავწარმოების აუცილებლობას. ჯაგუს წარმატება ვაჭრობის სისტემატური გაფართოებისა და აღმავლობის უწყვეტ პროცესზე იყო აგებული. მუშტარი რომ მოაწყდა და „ფული სულ პარკებით შედიოდა პატრონისას“. იმის შედეგი იყო, რომ საღვინოს პატრონი სულ ახალ და ახალ ფანდებს იგონებდა მუშტარის მოსაზიდად, უფრო და უფრო მეტ კონკურენტს იშორებდა გზიდან. ამ საზოგადოებაში გაბატონებულია ჯუნგლის კანონი — ადამიანი ადამიანისათვის მგელია. „მტრები მგლებივით გარს ეხვივნენ ჯაგუსაგან დაწყებულს და თავმობმულ საქმეს. არც თითონ ისინი დაინდობდნენ რასმე, ვინც საღვინოში ტრიალებდა“¹¹. ასეც მოხდა. ჯაგუ დაეცა თუ არა, ყველაზე ახლობელმა ადამიანებმა მის ცოლს, ნუშოს, ყველაფერი გამოაცალეს ხელიდან, სული წართვეს, მის სხეულსაც დაებატრონენ და, როცა წასართმევი აღარაფერი დარჩა, ქუჩაში უბიძგეს... ნუშომ ისე გაფლანგა თავისი თავი, როგორც ზოლას ნანამ, და ისიც ნანასებრ დაისაჯა — უსახკაროდ და უსახელოდ დარჩენილი ის დაუბრუნდა თავის უბანს — ღარიბთა კვარტალს, იმ სოროს, საიდანაც ამოატივტივა მაცდურმა ბედმა, რათა ბოლოს მაინც მარტოობაში, ჭუჭყსა და სიბნელეში ამოხდომოდა სული.

აღმავალი ბურჟუაზიის ვერაგი ბუნება და სისხლისმსმელობა განუმეორებელი მხატვრული სიძლიერითაა ნაჩვენები მოთხრობაში „გველის ზეიმი“. მოთხრობის თემა გახსნილია სათაურშივე — ადამის მოღვმის ბიბლიურ მტერს უძლევია კაცობრიობა და ზეიმობს... ღმერთზე მონათხრობ ზღაპარ-

⁹ გაზ. „დროება“, 1874, № 444.

¹⁰ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 1, გვ. 153.

¹¹ იქვე, გვ. 183.

ში ეს ცბიერი მტერი გველია, მოთხრობაში კი „ყვითელი ეშმაკი“, ოქრო. მოთხრობის მთავარი პერსონაჟის პეტრეს ყოველი საქციელი ჰრელ-ყვითელი გველის მოქმედებასთანაა შეფარდებული. თვით ფერიც პეტრეს სახისა — ყვითელი ფერი — გველის ფერსაა მიმგვანებული, ხოლო პეტრეს თვალები — „ქმაცოფილი, ახლად გამძლარი გველის თვალებია“¹².

მოთხრობაში ორი სიუჟეტური ხაზია — ერთი გვიჩვენებს წვრილი მონელე-ინტელიგენტის გობრონის გაძვალტყავებულ არსებობას (ცხოვრებას ვერ დავარქმევთ), მეორე — ვაჭრობაში გაწაფული ყვითელი პეტრეს გამძლავრების ისტორიას. ფეხშველა გობრონი პატიოსნების კლდოვან ბილიზე მილოდავს, უსასოო და განწირულია; პეტრე სისხლით გამოიღო შარაზე რკინის ქალამანით მხნედ მიაბიჯებს — ეს ქვეყანა მისია. კაპიტალიზმმა ორივე სოფლიდან ქალაქში გამოაძევა. საზოგადოებაში სხვადასხვა ფუნქცია აქვთ — პეტრე მყვლეფელია, გობრონი — საყვლეფი; პეტრე აქტიურია, გობრონი — პასიური; პეტრე ძარღვიანი, ძლიერი პიროვნებაა და ცხოვრებით ხარობს; გობრონი სევდიანი რომანტიკოსია და იტანჯება. სწორედ ისეა ყველაფერი, როგორც ბალზაკთან — „ადამიანი ყველგან ერთნაირია, ყველგან დამკვიდრებულია ბრძოლა ღარიბსა და მდიდარს შორის. ეს ყველგან გარდაუვალია — მამსადამე, უმჯობესია სხვას ყვლეფდე, ვიდრე შენ გყვლეფდე. ყველგან გვხვდება ძარღვიანი ადამიანები, რომლებიც მუშაობენ, და უძლური ადამიანები, რომლებიც იტანჯებიან. სიამოვნება ყველგან ერთნაირია, რადგან ყოველგვარი გრძნობა ყველგან ამოიწურება ხოლმე და გადარჩება მხოლოდ ერთი გრძნობა — დიდების მოყვარულობა. დიდების მოყვარულობა არის ყოველთვის „მე“. დიდების მოყვარულობა მხოლოდ ოქროს ნიაღვრებით ქმაცოფილდება... ოქრო კი ყველაფერს შეიცავს ჩანასახში და ყველაფერს იძლევა სინამდვილეში“¹³.

სწორედ ეს არის ბურჟუაზიული საზოგადოების ზნეობის ქვაკუთხედი, მრწამსი ადამიანისა, რომელიც „ყველგან ერთნაირად“ აწყობდა ცხოვრებას-პარიზსა თუ თბილისში.

ამ ზნეობით ცხოვრობს პეტრე და მთელი მისი ოჯახი. ის ფსკერიდან ამოღებული ბურჟუა — ფეხზე მოეპტრიდან დიდ საქმოსნად ქცეული. მისი მოქმედების რადიუსი მთელი ამიერკავკასიაა; სავაჭრო საქონელი — ყველა და ყველაფერი... მთელ გემ საქონელსაც ყიდულობს და იქვე ყიდის, თითქმის უნახავად, „ბევრჯერ რამდენიმე საათში მანეთზედ თუშანი შოდის“¹⁴.

მთაწმინდის კლდოვან ფერდობზე ღარიბულ ქოხში მცხოვრები გობრონი შიშით ადევნებს თვალყურს სამყაროს ორი შემადგენელი ნაწილის — ბუნებისა და საზოგადოების წესრიგსა და ცხოვრებას. გარეგნულად ორივე მშვენიერია. არსებობის საფუძველი კი მახინჯი აქვთ: ძლიერი სპობს სუსტს, აღარ არსებობს შებრალება, სათნოება, სიკეთე, სიყვარული. კლდის მცირე ბაქანზე ჰრელი გველი შეჩვევია ჩიტუნებს და უმოწყალოდ ანადგურებს. გასუქდა, გაზულუქდა, ყელყელობს კლდის ასპარეზზე... ის გასათვარ ალღოს იჩენს ნა-

¹² ე. ცისკარიძე, ტახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1972, გვ. 191, 192.

¹³ ონორე დე ბალზაკი, გობსეკი, ფრანგული მოთხრობა, თარგ. ი. ქავთარაძისა, თბილისი, 1964, გვ. 312.

¹⁴ ე. ბარნოვი, ოზ., ტ. 6, თბილისი, 1962, გვ. 56—57.

დრობისას. ყვითელმა პეტრემაც ასე იცის: ალლოთი მიხვდება, სად ლიან გამორჩენს ოქროს და აღარც მოეშვება: სუნს იკრავს მეძებარივით, ლბილად შემოეხვევა გველივით, უხსნელად და... დაჰკრავს ნესტარს...¹⁵.

გობრონი და მისი ღარიბი მეზობლები ქერივით ბაბაღე და ობოლი ფეფიკო „სოსციალური ჩიტუნები“ არიან, რომელიც მიზანში ამოიღო მაცდურმა პეტრემ. გველისათვის არ არსებობს დაბრკოლება არსებობისათვის ბრძოლაში. ის ბალახ-ყვავილოვანი კლდის ქიმის სრული მბრძანებელია. არც პრელი პეტრესათვის არსებობს აუსრულებელი სურვილი: ცხოვრების მდინარეებამ გზაჯვარედინზე შეჰყარა პეტრე და გობრონი... და პეტრემ აუღელვებლად გადათელა იგი... პეტრემ ჯერ ქერივით და მისი გოგონა მოსპო: თვალი დაადგა, გაიშინაურა, ჯერ უმანკოება წაართვა, მერე მთელი ოჯახი აჰყარა ფუქიდან, რათა თავისი სახლ-კარი გაეფართოებინა. უტიფრად უხსნის გობრონს: ლამაზი სასახლეთი ზევიდან უნდა დაეამშვენო ჩვენი თბილისი და მოზრდილი ადგილი დამჭირდებაო, თან ხელით ისე შემოხაზა სივრცე, რომ გობრონის ქობნახიც შიგ მოაყოლა. გობრონი შეჩვეულია ამ აზრს, გათვლილი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან მისი სახლიც „ყვითელის“ ხელში გადავიდოდა, რადგან ოქრო, „ყველაფერს შეიცავს ჩანასახში და ყველაფერს იძლევა სინამდვილეში“.

მხატვრული თვალსაზრისით შეუდარებელია კლდის გველისა და ყვითელი პეტრეს ნადირობის სცენები:

გველი: „გამოეკიდა, ყელი მალა აიღო, მიიხედ-მოიხედა. გააღო საშინელი პირი, ენა გაალავლა ორკაპიანი. მყის გაეკრა საღს. სწრაფლ გასრიალდა, პირდაპირ გადაეშვა და... საწყალი ჩიტუნები! ერთს რომ პირი სტაცა, მეორე ტანის ხლართში მოიყოლა, ანაზდად შეკრულ რგოლში ტანისა... გადნაქა ერთი, მერე მეორეც. აცურდა ზევით, მორთო სისინი. გაიშხლართა გახურებულ ფიჭულზედ, თებობდა, სტკებობდა, ტანს ადღლევადა“.

პეტრე: „ერთი დაკვრით მოგესპო ჭრელმა პეტრემ ჩვენ და ბაბაღენი, როგორც ყვითელმა გველმა წყვილი ჩიტუნა. რა ლბილად! რა ძლიერად! კმაყოფილი წავიდა სოვდაგარი თავის სახლისკენ. ნელ-ნელა მიცურავდა ტანის ოღნავ ხლაკენით — ცხოვრების ტაბლა მაგათი არის, ყვითელი გველისა, ჭრელი პეტრესი“¹⁶.

გობრონი და მასთან ერთად მწერალიც ვერ ხედავენ ბოროტების დათრგუნვის რეალურ გზას. ამ მოთხრობაში ვ. ბარნოვის ღრმა სევდა და წუხილი ადამიანის ბედზე სასოწარკვეთილებამდე მიდის, თუმცა იმის იმედიც აქვს, რომ ბოროტება დაუსჯელი არ დარჩება.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების საჯალალო ბედზე რელიგიურად მოგვითხრობს ვ. ბარნოვი მოთხრობებში: „მეჩვენა“ და „პროფესორი“.

„მეჩვენა“ მთავარი მოქმედი პირის, მასწავლებელ იოსებ სანდომაძის ცხოვრების თხრობით მწერალი ასაბუთებს, რომ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი დამყარებულია ფულზე, ანგარებასა და გამორჩენაზე, პატრიოსან კაცს, ერისათვის გულშემატკივარ მოქალაქეს, დადებითი იდეალებისა და ზნეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებას არ გაეძლევა. მან ან უნდა ისე იცხოვროს, როგორც უმრავლესობა ცხოვრობს, ან მოიკვეთოს.

¹⁵ იქვე, გვ. 51, 52.

¹⁶ იქვე, გვ. 66, 67.

იოსებ სანდომამემ განათლება რუსეთში მიიღო. რუს მოწინავე ინტელიგენციასთან ურთიერთობაში დემოკრატიული იდეებით განიშკვალა და სამშობლოში იმ გადაწყვეტილებით დაბრუნდა, რომ მთელი ცოდნა და ენერგია თავისი ხალხის სამსახურისათვის შეეწირა. სამოღვაწეოდ პედაგოგიური ასპარეზი ირჩია, რამდენადაც ქვეყნის მომავლისათვის სკოლა ყველაზე მნიშვნელოვან დაწესებულებად მიიჩნია... გაატაცა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებამაც... ცოლსაც არ ირთავდა, რადგან ეგონა, ხელს წეუშლიდა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. იოსებს მცირე ხელფასი ჰქონდა, მაგრამ ცდილობდა თავის ღარიბ მოსწავლეებს ფულითაც დახმარებოდა, როგორც რუსეთში ფსიქოლოგიის მასწავლებელი ვიქტორ დიმიტრის ძე ეხმარებოდა... არდადეგებზე ფეხით მოგზაურობდა, მრავალი კუთხეც მოიარა და დიდძალი მასალაც შეაგროვა... ამჟამად დასცინოდნენ, მაგრამ საქმის ერთგულება სიმტკიცეს კმატებდა.

ასეთი მოღვაწე თავს ბედნიერად უნდა გრძნობდეს, მაღლიერი საზოგადოება კი გვირგვინით ამკობდეს... იოსები კი, ბიბლიური იოსებივით, დიდი გამოცდისა და სატანჯველის წინაშე აღმოჩნდა. ის წმინდა საქმე, რომლითაც იგი ერის გადარჩენას და აყვავებას აპირებდა, მის კოლეგებს მხოლოდ ცხოვრების მისახვეწ საშუალებად გაეხადათ. მათ უმრავლესობას დავიწყებისათვის გადაელოცა მაღალფარდოვანი ალთქმები, რომლითაც მოღვაწეობას შეუდგნენ. ახლა მათ შორის „მარტო ქონებაზედა იყო საუბარი. არავითარ სიმდაბლეს და ქუჩყს არ ერიდებოდნენ, ოღონდ შეეძინათ რამე. ქრთამებსაც კი იღებდნენ, ქრთამებს! ფული და სიამოვნება! ასე ეწერა მათ დროშაზე და რადგან ჩვენი სამსახური ვერ იძლეოდა ამას, ისინი ჰგმობდნენ ჩვენს ხელობას, ჩარჩობაზედაც კი დაბლა აყენებდნენ მას“¹⁷.

იოსებისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა სინამდვილის შეცნობა: მან დაინახა, რომ ბილიკი, რომლითაც ალთქმული ქვეყნისაკენ უნდა წაეყვანა ახალგაზრდობა, დამყაყებულ ჰობოში ჩამარბულიყო. ანგარებას ჩაენთქა ყველა მაღალი აზრი და გრძნობა. მისთვის მტანჯველი აღმოჩნდა იმის შეგნება, რომ ყველგან, „ყველა წოდებაში“ გამეფებულიყო ერთი მისწრაფება: დაეჩაგრამოყვასი, მისი ბედის ნანგრევებზე აეგო თავისი კეთილდღეობა. სხვისი უბედურებით მაღლა ასულნი ურცხვად აფენდნენ ნაძარცვ სიმდიდრე! პირფერი და ამორალური ბრბო პატროსანს ეძახის ფლიდსა და უსინდისო მძარცველს, ავზაკობით გამდიდრებულ კაენს, რომელიც გასუქებულიყო და ახლა კეთილისმყოფელობას ჩემობდა... „ბრბომ კარგად იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ... ნასუფრალს ელოდა და კულს იქნედა“¹⁸. იოსები არ გაჰყვა. ქუჩყიან ნაკადს, ამიტომ საერთო ენა ვერ პოვა „საზოგადოების კეთილმოყვანების“¹⁹, მაგრამ მისთვის ამაზე ტრაგიკული ის იყო, რომ თვით მშობელ დედასაც არ ესმოდა მისი — არ აკმაყოფილებდა შვილის პატიოსნება და მცირე ჭამაგირი, ჩასჩიჩინებდა, „კიდევ რამე საშუალება გამოსძებნე: სწავლული კაცი ჩამოხვედი რუსეთიდან და ეხლა შენ თითებიდანაც ოქრო უნდა გცვივოდესო“¹⁹. დედას ვერაფრით აეხსნა, რატომ ცხოვრობდა დიდებულად, ოთხკლასიანი დიტო მახიშვილი და რატომ უჭირდა მის შვილს. ეს ვერც

¹⁷ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 1, გვ. 304.

¹⁸ იქვე, გვ. 305.

¹⁹ იქვე, გვ. 304.

იოსებმა გაიგო, ბოლომდე ვერ ჩაწვდა ქეშმარიტებას. მას შეგნებული ჰქონდა, რომ „ეს ცხოვრება უკუღმართი იყო და შეგნებულ მუშაკთ უნდა ჩაეყენებია ის ღირსეულ კალაპოტში, მიეცა მისთვის ის მსვლელობა, რომელიც შეჭდურის ადამიანის ყოფას“²⁰. მაგრამ ის ვერ აგნებს გზას, ვერ პოულობს გამოსავალს, მისთვის (რა თქმა უნდა მწერლისათვისაც) უცნობია საზოგადოების ვარდაქმნის, სოციალურ ბორცვებთან ბრძოლის აქტიური საშუალებები, ამიტომ ის პასიურია. ქრისტიანული და განმანათლებლური მორალით ნაკარნახევი მისი თვითგანწირვა მხოლოდ მასზე ძლიერს აღიზიანებს და საზოგადოებისათვის არაერთი სარგებლობა არ მოაქვს. ის ყველასთვის უცხოა, დედამ ვერ გაუგო, ურცხვად დალატობს ცოლი. და... ის ჯერ ალკოპოლს ეზიარა, მერე სიკვდილს დაუმეგობრდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ მოთხრობით ვ. ბარნოვმა დავმო ცხრაასიანი წლების გზაბნეული ინტელიგენტი. ჩემი აზრით, ამ ნაწარმოებს სხვა მიზანი ჰქონდა, კერძოდ, მხილება და გაკიცხვა საზოგადოებისა, რომელიც ასე უღმობლად თელავს ზნეშალად, ეროვნული და საკაცობრიო იდეებისათვის თავშეწირულ ადამიანებს, ამხედრება მეშინაური თბივატელობის წინააღმდეგ. მოთხრობის ეს იდეური მიზანდასახულობა ძვეს იმ მწვევე კრიტიციზმში, რომლითაც ეს თხზულება განსპვეალული.

ტანჯული იოსების სრული ანტიპოღია მოთხრობა „პროფესორის“ ცენტრალური პერსონაჟი ექვთიმე უნდობელი. ის გობსეკის ფილოსოფიით ცხოვრობს. მისი აზრითაც, „ცხოვრება ბრძოლაა, სასტიკი, დაუზოგველი ომი და საკადრის-საპატიო მხოლოდ ის არის, რაც ჩემთვის, პირადად ჩემთვის არის სასარგებლო, რაც მე გამომიყვანს გამარჯვებულს ამ არსებობისათვის ბრძოლიდან ადამიანი ადამიანისათვის მგელია, იცოდე!“²¹. მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ვ. ბარნოვისათვის ამ რწმენის პატრონი არის: „სინდისდამწვარი, ზნეობაგანადგურებული..., ცბიერი, ძუნწი, მატყუარა... ამხანაგის დასმენა, მეგობრის გაუტანლობა, ბეჩავის დაჩაგვრა, ძლიერთან ღრეჭა... არაფერი სიმდაბლეს და უღირს ქევეას არ უკადრისობდა, საძრახ და საგმობელ საქმეს ისე უყურებდა, როგორც ჩვეულებრივ რამ მოქმედებას“...²². მწერალი ძრწოლვით მოგვითხრობს ექვთიმეს მიერ გაუბედურებულ პატიოსან ქალზე, ნაბუშარ ლუაზე, იმაზეც, რომ, როცა მის მიერ გათელილი და გაუბედურებული ადამიანები ცხოვრების ფსკერზე ეშვებოდნენ დასაღუპავად, თვითონ ახალი მსხვერპლის მოლოდინში „ეტლს მიაგრიალეზბდა, მუხლებზე შალი ეფარა, ზიზილი-პიბილეები აესხა, სამსახური გამოეცვალა“²³.

ბურჟუაზიული საზოგადოების უმწვევესი კრიტიკაა მოთხრობა „აამომრავა კაპიტალი“. აქ მხილებისა და განსჯის დონე მაქსიმუმს უახლოვდება. ნაწარმოებში გაშიშვლებულია ბურჟუაზიის ცრულემოკრატისმი, პირფერობა, სიყალბე, ორპირობა, გაუგონარი სიფლიდე, ვერაგობა, მოჩვენებითი ზრუნვა ხალხის ბედზე...

²⁰ იქვე.

²¹ იქვე, გვ. 331.

²² იქვე.

²³ იქვე, გვ. 337.

ფოცხვერას მამამ, გაუნათლებელმა მოურავმა, შვილს განათლება მი-
 ლებინა, რათა „ცოდნა დოვლათის მარჯვე შექნაზე მოეხმარებინა“²⁴. მოუ-
 რავი მხოლოდ ბატონის საბძანებელს, ერთ რეგიონს ძარცვავდა, ფოცხვერამ
 მთელ ქვეყანას შემოსალტა გამოძალაველი ხელები. ის თამამად გაჰყვა ოქ-
 როს ციებ-ცხელების იმ სისხლიან ვზას, რომელზედაც მთელი კაცობრიობა
 მიაბიჯებდა მეცხრამეტე საუკუნის მთელ გადასარბენზე. „ეს შარა უძღურთა
 სისხლით იყო მორწყული, ადამიანთა ტვინი იყო მუნ დანთხეული ძლიერ-
 თაგან, უხვად ეყარა ადამიანის ტომის გულთა ნაფლეთები კაცთაგანვე ბილ-
 წად ნაქელი. მისწრაფებოდნენ მრავალნი“...²⁵ იმ გზით მიდიოდა ქართველი
 საზოგადოებაც. გასული საუკუნის 80—90-იან წლებიდან მთელ საქართვე-
 ლოში გაიშალა „ხალხოსნურ-საქმონური მოძრაობა“, რომლის მიზანი იყო
 ხალხის განათლებისა და... შეძლების ამაღლება (ამას ითვალისწინებს კაპი-
 ტალისტური განვითარების კანონი — წარმოების რენტაბელობა და მოგება
 ბევრადაა დამოკიდებული ცივილიზებული და კმაყოფილი მეშის გონებასა
 და ხელმარჯვეობაზე). „და მოსდევდა ერთიმეორეს ერის საშველად განზრ-
 ხული თვალწარმტაცი დაწესებულებები და წიგნსაცავები საზოგადოების
 ხარკით, წიგნების გამომცემელ-გამავრცელებელი ერთობები, შემანახველ-
 გამსესხებელი ამხანაგობები, სანოვაგეთა, ჭურჭლუელობათა და ტანსაცემლ-
 თა დეპოები...“²⁶ ამ დაწესებულებებში ხელს ითბობდნენ საზოგადოების გა-
 ნათლებულ-გაწვრთნილი ფოცხვერები... მოურავის მემკვიდრე ფოცხვერაც
 ამგვარ დაწესებულებაში „შესდგამდა თუ არა ფეხს, თითონ იცოდა, მკვდარს
 საით უხვამდა თავს: გველი ანგარებისა გაიღვიძებდა მის გულში და თავს
 იჩენდა საზიზღარი“²⁷, ხოლო როცა ეს წამოწყება მიწასთან გასწორდებოდა...
 სხვას აწმენდა ჭუჭყს, ხელს იბანდა პილატესებ... „უხველა ამისთანა ხიფათის
 შემდეგ ფოცხვერა გაწეობდა, ბრჭყალებს მალავდა, ტუჩებს ილოკავდა,
 რომ სისხლის წვეთი არსად დაჰმჩნეოდა, ელოდა, სანამ აღლევებული ღვარი
 ჩაივლიდა და თან წაიღებდა ყაყანს თუ მითქმა-მოთქმას“²⁸.

მაგრამ მწერალი გრძნობს, რომ ფოცხვერთა საქმიანობა აღარ დარჩება
 დაუსჯელი. „მოძრაობის ხანაში“, როცა „აზვირთებული ტალღა ერისა შეე-
 ხეთქა იმ კლდეს, რომელიც გამოფუყული ევონათ“ (1905 წელს), ფოცხვე-
 რას სალარომ, მასობრივად რომ დაძარცვა ხალხი, ფიასყო განიცადა... ფო-
 ცხვერამ დაწვა საბუთები, სალაროს თანხა მთლიანად მიითვისა და „წარსდგა
 ხალხის წინ ფოცხვერი პირსისხლიანი“²⁹, რათა კვლავ ტბილი სიტყვითა და
 ნიანგის ცრემლებით ემართლა თავი, მაგრამ ამჯერად ხალხი აღარ დადუმდა —
 „ხალხში ჯერ სიჩუმე სუფევდა სამარისებური, მერე ყრუდ გაისმა გაურკვე-
 ველი რამ ხმაურობა; იმატა ხმამ, გართულდა და გარდაიქვა გრგვინად სა-
 ზარლად, შემხუთველად, შემადარწუნებლად“³⁰.

²⁴ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 4, თბილისი, 1961, გვ. 119.

²⁵ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. II, თბილისი, 1961, გვ. 118.

²⁶ იქვე, გვ. 121.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე, გვ. 122.

²⁹ იქვე, გვ. 130.

³⁰ იქვე, გვ. 131.

ეს მოთხრობა დაწერილია 1908 წელს და მასში აშკარად იგრძნობა ხალხის ძლიერების განცდა. ამ ძლიერებას უნდა დემხო ფოცხვერაულთა ბატონობის სამარცხენო ეპოქა.

ვ. ბარნოვის კრიტიკული მახვილი საზოგადოების ყველა ფენას სწვდა. მან მხილებისა და გაიციცვის მკაცრ დარჯაკში გაატარა დეგრადირებული არისტოკრატია, უნიათო მემამულენი, დაუნდობელი მეცახშეები, წვრილფეხი თუ მსხვილი ქორვაჭრები, საქმოსნები, ცრუინტელიგენცია, ლოველასები, რიგითი უბრალო ადამიანები, რომლებიც ფეხის ხმას აყოლილნი უკადრისი გზებით ცდილობენ გამდიდრებასა და წინსვლას. მწერლის განსაკუთრებული რისხვა მიმართული იყო ინტელიგენციისა და მოხელეთა მიმართ. ამის საილუსტრაციოდ სანიმუშოა მრავალმხრივ საინტერესო მოთხრობა „ლევრელა“ (ერთ-ერთი ვარიანტით „ფეხი იბრუნა“). საინტერესოა მოთხრობის სათაური. ის წარმომდგარია ფრანგული „Levette“-დან. ლევრეტი იტალიური წარმოშობის ოთახის მოკლებეწვიანი ძაღლია, არის პარაზიტული ბუნების, გამოირჩევა ქვებუდანობით. ლევრელა — მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟია. დიდი მოხელის შვილი, ლადიკო, პარაზიტული ბუნების ყმაწვილი. ეს სათაური მართო ირონიას არ შეიცავს, პირველ ყოვლისა მასში გამოხატულია მწერლის დამოკიდებულება ბურჟუაზიული საზოგადოების ორფეხა ლევრეტებისადმი.

მოთხრობაში ორი სამყაროა — ქალაქი და სოფელი; ორი თვალსაზრისი ცხოვრებაზე, ორი ფსიქოლოგია. ერთს ახორციელებს ტიპური ბურჟუა მოხელე პეტრე, მეორეს მისი ბავშვობისა და სკოლის მეგობარი, სოფლად მცხოვრები მემამულე პორფირი. პეტრესა და მის ოჯახზე ზედგამოჭრილია მარქსისა და ენგელსის ცნობილი გამოთქმა — ბურჟუაზია თავის მსგავსად ქმნის ახალ ქვეყანას. პეტრე (და მისი ოჯახის წევრებიც) არასდროს ამბობს იმას, რასაც ფიქრობს; მხოლოდ იმას იტყვის, რაც აუცილებელია და მომენტის შესაფერი; მხოლოდ იმას აკეთებს, რასაც სამსახურისა და სახლის ინტერესები მოითხოვს, ყველაფერი პირადულით აქვს გაზომილი. პეტრე იმდენად ყალბია, რომ თავისთავთანაც ვერ ბედავს მართლად ყოფნას. ის შინ თუ გარეთ მკაცრად იცავს ეტიკეტს, გარეგნულად ელვარეს, შინაგანად ფუყესა და ცარიელს. განუმარტავს კიდევ პორფირს: „აქ ჩვენი ცხოვრება თავით-ბოლომდინ ხელოვნურია, ბუნებრივობას მთლად მოკლებული, ამიტომ ჩვენი მოქმედებაც, თვითეული ჩვენი ნაბიჯი მთლად ხელოვნური უნდა იყოს და შეთხზული, განზრახ სავანგებოდ შეწყობილი, მხოლოდ მაშინ ეწვევი წადილს“³¹. ამ რწმენამ პეტრეს არსებიდან ამოტუმბა ადამიანი. იგი აქცია ცოცხალ ავტომატად, რომელსაც აღარ ჰქონდა გრძნობა, გული, აღარც გონება, რადგან იცის: „მისგან მოითხოვება მხოლოდ ბრძანების შეგნება და უკვე ჩამოქნილი სახეების სწორად დანახვა. ისე უნდა გაისარჯოს, როგორც მოითხოვს მმართველობის მანქანა უძლეველი“³². (შეადარეთ რასტინიაციის მსჯელობა; ვოტრენის შეგონებანი ლუსიენისადმი... ბალზაკიც ასე ფიქრობდა). მწერალი თითქოს ნიშნს უგებს პეტრეს კასტას: „უნდა შეიგნო, რომ შენ მხოლოდ აღმასრულებელი იარაღი ხარ უსულგულო! ნუ დრტყინავ; მოხელეობა, როგორც დე-

³¹ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 4, გვ. 230.

³² იქვე, გვ. 231.

დაზრდილი, თავის ხელოვნურ ქსელში ხლართავს კაცს. მთლად ჰხვევს მასში და დინჯადა სწოვს მისგან თვით ნასახს ადამიანობისას, ბოლოს ისე გადააგვარებს მას, რომ თავის სამსახურის გარეშე ეკარგება ყოველივე ღირებულება³³.

პეტრე გახრწნილია შინაგანად. ის მექრთამეა და ცდილობს კანონიერ საქციელად მონათლოს თავისი სიხარბე. მას არ შეუძლია ადამიანებთან, თვით ახლობლებთანაც კი უანგარო ურთიერთობა (მან მოხერხებულად გამოტყუა პორფირის ცხვარი და სოფლური კარაქი).

ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული მმართველობის მოხელეთა არსი ასეთი სიღრმითა და ცინიზმით ჯერ არც ერთ ქართველ მწერალს არ დაუხატავს. პეტრეს სრული ანარეკლია მისი ოჯახი — „მთლად ხელოვნურად შეთხზილი“, მოკლებული იმ ბუნებრიობასა და სისადავეს, რითაც უჩრდილოა სოფლური ყოფა. მზარეულები, მსახურები, გაქათქათებულნი სუფრა და ბელს-ხოციები, ფაიფურის ქურქელი, ვერცხლის კოვზები და დანა-ჩანგალი, მუხლმალაი წკრიალა ქიქები, მხოლოდ გარეგნულად ელვარე ფორშა შინაგანად დრამატულად დაძაბული მეშინური კერისა...“ არავითარი თავისუფლება სუფრაზედ. არც შვება და ღიმილ-სიცილი. დიასახლისი მკაცრად აღევნებდა თვალს, რომ წესრიგი არ შერყულებოდა. ყველა ფრთხილობდა ტაბლაზედ, რომ შენიშვნა არ მიეღო ქალისაგან. თვით სახლის ვაჟკაციც, სტუმარიც უნებლიედ განიმსკველა ამგვარი შიშით... რალაც მძიმე გრძობა დასტრიალებდა სუფრას შუების შემხუთავი, თითქო უსიამოვნო ქარიშხლის მომსაწვეველი³⁴.

ოჯახის წევრებს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ, გარდა მეშინური ეტიკეტისა და ანგარებისა. ოჯახის დედაბოძს, „ბოროტი სიტყვის დედაკაცს“, „სახლიდან განედევნა გულუბრყვილო სიცილ-ღიმილი, საამო ერთობის მაგივრად დაემკვიდრებინა გაბოროტებული განცალკევება და დაღრეჯილობა“³⁵.

ეს ტიპური ბურჟუაზიული ოჯახია, ფიქციაზე, ყალბ კავშირებზე აგებული, ამიტომ არ შეიძლება მისი პირშო ლევრეტი არ იყოს. სწორედ ასეთია ლადიკო, ბავშვობიდან მამის კისერზე მიკრული წურბელა, რომელმაც მერე სიამარის (პორფირის) ქონებას დაადგა თვალი.

პეტრეს სიკვდილმა დაშალა ოჯახი. მისი ავზნიანი ცოლი მიწასთან გაასწორა მისმავე წრემ. მწერალს სიბრაულის ნასახიც არ აქვს მის მიმართ. პირიქით, თითქოს ნიშნაც უღებდეს: „ვიზილე ამპარტაენი ფრიად დამდაბლებული, და ქედმალალი დახრილ პირამდე მიწისა, და მდიდარი მთხოველ პურისა: გარეშექციათ მისგან პირი თავისი მცნობათა და მახლობელთა მისთა: რომელნი უღიმოდან მას მსხდომარნი ტაბლას მისსა, აწ უარჰყოფდიან მას, ვითარცა უღირსსა“³⁶.

ასეთია ბურჟუაზიული ჯუნგლის კანონი — იქ ყველაფერი იზომება ძალით, რომელსაც თანამედრობა და ოქრო ბადებს.

პეტრეს გარემოს მწერალი ერთგვარად უპირისპირებს პორფირის პიროვნებასა და ოჯახს. მწერალი ლ. არდაზიანისაგან სესხულობს ალექსანდრე რაინდაძის ცხოვრების იდილიას. პორფირი კეთილი მებატონეა, არავის ჩაგრაეს,

³³ იქვე.
³⁴ იქვე, გვ. 239.
³⁵ იქვე, გვ. 307.
³⁶ იქვე, გვ. 311.

არც აზარალებს, გაქირვებულს ხელს უმართავს, სოფელთან კარგი ურთიერთობა აქვს, ბუნება სწყალობს და ნეურნეობა მოგებებს აძლევს... ეს არდაზიანისეული უტოპია ვ. ბარნოვს იმისათვის დასჭირდა, რომ ექადაგა მიწასთან კავშირის, მიწისაგან არ მოწყვეტის აუცილებლობა. მან, საღად მოაზროვნე მხატვარმა, კარგად იცოდა, რომ ახლა ქვეყნის მაჯისცემა ქალაქი წარმატავედა და ეს იყო საზოგადოების განვითარების ლოგიკური შედეგი, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ სოფელს ჯერ კიდევ შერჩენოდა ზნეობრივი სიწმინდე და ამიტომ ელოლიავებოდა მას. მწერალი ვერ ხედავდა ნამდვილ გამოსავალს და ფიქრობდა, რომ პატრიარქალურ-მემამულურ ყოფისაკენ დაბრუნება იხსნიდა საზოგადოებას ბურჟუაზიული უხამსობისა და ზნედაცემულობისაგან.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას თითქმის ტრადიციოდ მოსდევს შენიჭებულების მასალად სოფლური ყოფის აღება. ეს არ არის საკვირველი, რადგან საქართველო ისტორიულად აგარარული ქვეყანა იყო და ქართველი კაცის ტიპილი თუ სიხარული სწორედ სოფელთან იყო დაკავშირებული. საგულისხმოა, რომ მეოცე საუკუნის ქართული პროზა, ძირითადად, სოფლიკ ფონზე გვიჩვენებს იმ დიდ პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებს, რომლებიც მოჰყვა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს.

ამ ტრადიციას არღვევს ვ. ბარნოვი. ის თავისი მოთხრობების მასალად ძირითადად ქალაქის ყოფას იღებს. „მან ინტელიგენტებისა და ხელოსნების პორტრეტების ან, უკეთ ვთქვათ, სილუეტების მთელი გაღერა დაგვიტოვა. ამ მხრივ ვერც ერთი ქართველი ბელეტრისტი ვერ შეეღრება მეცხრამეტე საუკუნეში“³⁷, — წერს გ. ქიქოძე. კ. გამსახურდიას სიტყვითაც, „ჩვენს პროზას ბარნოვამდის არა სჩვეოდა მოქალაქის, ნოქრის, ხელოსანის, შეგირდის, ნაციონალური ქალაქელის სულში ჩახედვა“³⁸. გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის და სხვა ნაწარმოებების ბევრი გმირი ვარბის ქალაქში, მაგრამ... მწერლები აღარ მიჰყვებიან თავიანთ გმირებს... იმ გმირთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობითაა დასახლებული ვ. ბარნოვის მოთხრობები. იგი სამართლიანად ითვლება ძველი თბილისის ერთ-ერთ უპირველეს და უგულუმხურვალეს მხატვრად და მეხოტბედ. აკი თვითონაც კმაყოფილებით აღნიშნავდა: „თბილისის მეორმოცე წლები ისე მაქვს ამოკვეთილი, როგორც ბეჭედში. ჩვენი ოჯახი, მაშინდელი ბაზრობა, დღეობები, აღებ-მიცემობა, ერთი სიტყვით, იმდროინდელი მაჯისცემა, ვფიქრობ, გადმოვეცი ობიექტურად“³⁹.

მართლაც და რა სიყვარულით და სიფაქიზითაა „ისნის ცისკარში“ დაბატული ერეკლეს თბილისი თავისი უბნებით: ისნითა და ორთაქალით, ვანჭით და გარეთუბნით... ამქრებით. უსტაბაშებით და შეგირდებით, ზარაფებით და მაჯანკლებით, მეხანკლებით და მეხამლებით, ჰონებით, ოქრომჭედლებით, მუშაითებით, მომღერალ-მოსაკრავებით, ექიმებითა და სხვა დარბაისელი მოქალაქეებით. მეცხრამეტე საუკუნემ სახე უცვალა თბილისს. გაჩნდა მუშა (კონჩხა, „ქალაქში“), ჩინოვნიკი, ვაჭარი, კინტო, გოროდოვოი და ათასი

³⁷ გ. ქიქოძე, ჩრეული თხზულებანი, ტ. 3, თბილისი, 1965, გვ. 404.

³⁸ უტრნალი „ქართული მწერლობა“, 1929, № 6—7, გვ. 175.

³⁹ დ. ქასრაძე, ლიტერატურული პორტრეტები, თბილისი, 1962, გვ. 91.

რამ... მწერალი განსაკუთრებული თანაგრძნობით, სითბოთი და სიყვარულით ხატავს ე. წ. „პატარა ადამიანებს“, ობლობაში გაზრდილ უთვისტომო და ღარიბ ხელოსნებს, ექსპლოატაციისა და კონკურენციის მსხვერპლთ, ქალაქის ჭურღმულეებში გადასროლილ ხელმოცარულ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ ისჯებიან, რომ პატიოსანი და კეთილნი არიან, სხვათათვის ორმოს გათხრა, ცხოვრებაში მრუდე გზით სიარული არ შეუძლიათ.

„როგორც უსუფთაო ადგილას ამოსული მშვენიერი რამ ველის ყვავილენი“, რომელთაც „გარსმოყრილი უწმინდურება ვერ ეხება, თითქოს ფესვებიც არ უდგას ამ ნიადაგში და ჰაერში სდგას ჰაეროვანი ქმნილება“⁴⁰, სწორედ ასეთნი არიან ალხო და მარამაშა, მოთხრობის „ვაი შენს დამკარგავს“ მთავარი მოქმედნი პირნი. ალხოს ზედსახელად „გროშუა“ შეარქვეს და ამ დამკინებელ სიტყვაში გამოიხატა ამ კაცის მიმე წარსული (ტვირთი მიჰქონდ-მოჰქონდა, რისთვისაც გროშებს უხდიდნენ). „გინახავთ სადმე ღარიბ უბნებში ჩითის კაბაში გამოწყობილი ანგელოზი?... რად უნდა ამისთანა ბამბის ქულას ძვირფასი ბაღდად-მანდილი, როდესაც უშუქებისაგან შემდგარი კულულები შარავანდელს ჰფენენ მის ნათელ შუბლს, ეაღერებიან მის სპეტაკ ყელ-ყურს, ჰბურავენ მის ნაქანდაკებ ბეჭებს?“⁴¹ ეს მარამაშა, ალხოს კომპანიონი, მეგობარი, მერე კი ცოლიც. მათ გარშემო ტლანქი და ბინძური ცხოვრება ბოზოქრობს. მწერალი მწუხარედ გოდებს თბილისის ამ ცოცხალ სამკაულთა ტრაგიკულ ხვედრზე. ახალმა ურთიერთობებმა, ცხოვრების კაპიტალისტურმა წესრიგმა უხეში და ანგარებიანი გახადა ადამიანი, სათნოების ნასახივ ადარ შერჩა. უბნის „ლატაკი და ხეპრე ხალხი“ „პირლუტყვეულად ელტვიან მარამაშას სანდომ სხეულს“ და არცთუ უანგაროდ, იციან „იმისი ოქროს თითები გაუადვილებენ იმათ ლუქმის შოვნას... ზარმაცი ბინძურები“⁴². ამ საზოგადოებაში ცოლქმრობა შეიძლება ამით განპირობდეს, ან გამოისახოს სწორედ ისე. „როგორც აგერ პროშებიანსა სცემს თავისი ქმარი“⁴³.

ალხო და მარამაშა ბედისწერით: ან მწერლის სურვილით როდი არიან გამორჩეულნი. მათი სხეულები ტანჯვამ და შრომამ გააფაქიზა. მარამაშა ხელმარჯვე ოსტატი იყო. ალხომ ნაოსტატარის გასაღებაში გამოიჩინა ფხა... დუქანიც გახსნეს, მშვენიერი სარფაც ჰქონდათ, მაგრამ ცხოვრების გრივალმა მალე ჩააქრო ბედნიერების ეს ორი სუსტი სანთელი. მარამაშა გარდაიცვალა. ალხოს „ყველაფერი დასტაცეს, წაართვეს“შეუერთდა იმათ, ვინც ხელგაშვრილი დგას ტაძართა კარიბჭეებთან...

ხელოსანთა, უსტაბამ-ქარგალთა და შევირდთა შესანიშნავი სახეები დახატა მწერალმა მოთხრობებში „ამქრის მშვენება“, „ბედის ვარსკვლავი“, „ფარჩის ახალუხი“, „ხარაზი“, „ხარატი“. მწერალს ხიბლავს ამ ადამიანთა შინაგანი სიფაქიზე, რაინდული ბუნება, შრომისმოყვარეობა, ცხოვრების წესი და რიგი, სულიერი სიმაღლე.

კრიტიკულ და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, თითქოს ვ. ბარნოვი რომანტიკული თვალთ ჰვრებდეს ხელოსანთ ყოფას, მართებულია, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ მწერალი ობიექტურობას დაკარგა-

⁴⁰ ვ. ბარნოვი, თხ., ტ. I, გვ. 269.

⁴¹ იქვე, გვ. 266.

⁴² იქვე, გვ. 270.

⁴³ იქვე.

დეს და რაიმეს ალაშხებდეს. ის შესანიშნავად ხედავს და მკითხველსაც დაუფარავად უსურათხატებს, რომ ხელოსნის შრომა მძიმე და მომჭანცველი იყო, ხოლო კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი — შეგირდების, ბავშვების შრომა. ოსტატი, როგორ რომანტიკულადაც არ უნდა დაიხატა ავტორმა, ექსპლოატაციის უწევდა შეგირდს, თითქმის ხელზე მოსამსახურედ ჰყავდა. ხელოსანი „შესჩვეოდა შრომას და დამპირჩილებოდა თავის ბედს, შრომის გარეშე ველარასა ხედავდა, აღარც არას ელტოდა, არცლა ესმოდა რაჲმ თავის ხელობის გარდა. ხალხში თუ სტუმრობაში პირუტყვივით იყო და ილალებოდა. უქმე დღეს, როცა დუქანი დაკეტული ჰქონდა, არ იცოდა, რა ექნა თავის თავისთვის და როგორ გაეტარებინა დრო, თავისუფლად ყოფნა ეჩითირებოდა“⁴⁴.

სწორედ ასეთი შრომის ამსახველია მოთხრობა „ამქრის მშვენება“. ოსტატი პაატა, სამკვდლოში რომ „ზამთარ-ზაფხულ პერანგა მუშაობდა, გულგადაღელი, თავზე ხელსახოც-წაქრული, ჭლანებით ფეხზე“⁴⁵, ნაწრთობი და დაფოლადებული ოსტატი, სხვებისაგანაც ასეთსავე გულითად შრომას და პრაფესიონალიზმს მოითხოვს. მას ღრმად სწამს, რომ ხელოსანი ბევრად სკობს ჩარჩ-ვაჭარს, რადგან ალალ ლუკმას ჰამს. არავის ატყუებს ზომა-წონაში, არც მდიდრდება, არც კოტრდება და საპყარი არა ხდება.

ცხადია, ეს მწერლის თვალსაზრისიკია.

ხელოსანთა ალალ ზნეობას მწერალი უპირისპირებს ბურჟუაზიული საზოგადოების განუყრელ თანამგზავრებს: პარაზიტობას, არაკაცობას, უპირულობას, უსინდისობას. რამდენადაც ფაქიზი და ამადლებულია პაატა ოსტატი და მისი შეგირდი, ამქრის მშვენება ვანო, იმდენად გახრწნილია მირონა, „უზრალო მოხელე ღარიბ-ღატაკი, ხელისუფალთ ნაძირალა გადარეცილი“⁴⁶, რომელსაც ხელში „ლიტარა“ აუღია, „აწკაუუნებს“ და „ზედ საბრალოდ დასჩხავიან, მითომ მღერიან“⁴⁷. მწერალი დიდად ასხეავენს ამ ორ წრეს, ორ ზნეობასა და ფსიქოლოგიას... პაატა ოსტატს არ მოსწონს მათი სიმღერა, ვაოგნებული შეკყურებს „განათლების ნაყოფს“, ევროპულ ცეკვას და ვერ მიმხედარა, „რა იყო აქ თვალთ მაამება, დამატკობელი. თუ არა ქალ-ვაჟის საჯაროდ შეტყუება მათის გაერთიანების მანიშნებელ-წინამძღვარი“⁴⁸. რა მწუხარე ირონიაა ჩალვენთილი მასპინძლის სიტყვებში: „აშენდა ოჯახი! ეს არის რალა თქვენი განათლება, აფსუს, ტყბილო დუდუკო და ზედ ქართული მარჯვედ დავლურო“⁴⁹.

მირონას ბინძურ პრაქტიციზმს მწერალი უპირისპირებს ვანოს პოეტურ სულს, მის მუხამბაზურ მონოლოგებს. გრიგოლ ორბელიანის ყარაჩოხელივით ვანოს „ზედ წამწამზე“ უზის თავისი ანიკო, ერთთავად მის ზოტბასა და საკუთარ თავთან პაექრობაშია: „ახ, დამსაქმე, შენი ჰირიმე, მიბრძანე, რაც გინდოდეს! მეტყვი: ვანო, წადი ჯოჯოხეთში! წავალ, მეტყვი: თავი მოიკალ! იმ წამს შენი სანაცვლო გავხდები... მაგრამ ნუ კი დამამდაბლებ, გენაცვა: სა-

⁴⁴ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. II, გვ. 297, 298.

⁴⁵ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 5, თბილისი, 1962, გვ. 8, 9.

⁴⁶ იქვე, გვ. 22.

⁴⁷ იქვე, ტ. 5, გვ. 23.

⁴⁸ იქვე, გვ. 56.

⁴⁹ იქვე, გვ. 57.

წყალი ბიჭი რომ ვარ, მეც ჩემი თავმოყვარეობა მაქვს, ჩემი თავმოყვარეობით ვამაყობ... გავისარჯო?!... ჯოჯოხეთში ჩავალ ანიკოჯან და იქიდან ამოვიტან ნაკვერჩხლებს, რომ ვაგათბო. გგონია შემეშინდება თუნდ ტარტაროზისა? ოღონდ გასიამოვნო და დეე დაიწვას ჩემი საწყალი თავი!...

შენი გულსთვის თუნდ ავლაბრის შორევი შევეალ, კბილით დავიჭერ ცოცხალ-ცოცხალს... ახ, ერთი შენი გულში ჩაკვრა“...⁵⁰.

ღმერთს კი ვევედრება:

„ოღონდ ერთი მადლი ჰქმენ, ოღონდ მაღირსე სიხარულის ყვევილად დავრგო ის სამოთხის ვარდი ჩემ საწყალ კერის პირას და მაშინა ჰნახავ, ღირსია თუ არა ვანო შენის წყალობისა“⁵¹.

ვანოს სიფხიზლემ და რაინდობამ იხსნა ანიკო გაქნილ მირონას ხაფანგიდან... ვ. ბარნოვის ღრმა რწმენით სწორედ ასეთები, სწორედ ვანოსნაირები უნდა იყვნენ საქართველოს მომავლის მკვლევები, ხვალინდელი უკეთესი დღის გამგებლები.

კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარ ქალაქში ვ. ბარნოვი მართო ამქარ-ხელოსანთა იდილიურ თუ დრამატულ ყოფას როდი ხედავს. იგი იმასაც ხედავდა, რომ აღმავალი კაპიტალიზმი, მისწრაფოდა რა დამსხვილებისაკენ, თავის გზაზე უმოწყალოდ ანადგურებდა ძველ ხელოსანურ-ამქრულ გაერთიანებებსა და ინდივიდუალურ მწარმოებლებს. მწერალი წყრომით შეჰყურებს ცაში ატყორცილ დიდ სახლებს, რადგან ისინი კიდევ და კიდევ მაღლა ისწრაფოდნენ, „ღრუბლებს ეთამაშებოდნენ მაღალნი, ბაბილონის გოდოლივით ცისთვის უნდოდათ მიეზვიანათ თავი“⁵². და თუ როდისმე თავს ძირს დახრიდნენ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ „მოეთვალვიერებინათ, კიდევ ხომ არ იდგა მათ ახლო ბეჩავი რამ შენობა, წელში გადახრილ-გალუნული, რომ დაეპყროთ იგი... მოეხმარებინათ ქვა-ლორღად ახალი ნაბიჯის წარდგმის დროს და ჩაენთქათ იგი უკვალოდ“⁵³.

ამგვარი თბილისი მწერლისთვის „ხალხით აღსავსე უხმო უღაბნოა“, სადაც „მრავალთავან გარემოცული“ ეულად გრძნობს თავს. მას სტანჯავს ადამიანთა ყალბი ღიმილი, რომლითაც ფარავენ „სულდგმულთა მუსკრაში“ დახელოვნებულ „სისხლიან ეშვებს“⁵⁴ და გულდამძიმებული მიაშურებს ძველი თბილისის უბნებს... მოივლის ისნის ვიწროებს, ხარფუხსა და ჩულურეთს, ანჩისხატისა და გარეთუნის ვიწრო. შუეებს, მთაწმინდის განაპირას... და მსი თვალწინ იშლება ნალექები ისტორიისა, „ნალარ-ნალექი საველი ძნელი... მიყრილ-მოყრილი ბუნაგბინები, კაცთა საჯგუფი რამ ყორეები... ყველა თაობას სორო მიუდგამს წინაპართ სადგომისათვის, ყუდე რამ მიუშენებია წარსულთ ბუნაგზედ. იქ ყველა შუკა თუ ქუჩაბანდი საველა ხალხით, კაცთ ნალექის სიმრავლით უამრავით; გარდასრულ ხალხითაც აღსავსეა ძველის-ძველითა“⁵⁵.

⁵⁰ იქვე, გვ. 24, 49, 53.

⁵¹ იქვე, გვ. 53.

⁵² ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 3, გვ. 7.

⁵³ იქვე.

⁵⁴ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 6, თბილისი, 1962, გვ. 99.

⁵⁵ იქვე, გვ. 100.

რომანტიკული სევდით მოგვეთხრობს მწერალი ამ ცოცხლად დამარხულ აღამიანთა სულიერ ტკივილებზე მოთხრობაში „გასკვნილი სიმი“. სვიმონი, მოთხრობის მთავარი გმირი, ერთი იმთავანია, ვინც ძირს დასცა ახალი დროის ქარტახილმა. ოდესღაც ის ლაღად და თავმომწონედ მიმოდიოდა თბილისის ქუჩებში, ჰქონდა სახლ-კარი, უყვარდა სტუმარი და თარზე სიმღერა... და როცა ის „თვალდახუჭული მღეროდა ეშხზე მოსული ბულბულივით, მტაცებელი მიეპარა და დაანელა... გაკოტრდა. კიდევ იბრძოდა. გატყდა“⁵⁶. ახლა იჯდა ქუჩაში, „ქიანური დაეხვინა და უკრავდა. ტყავის წოწოლა ქუდი თვალეზე ჩამოეფხატა, ტანზედ ტყავი ეცვა ყავარ-ყავარ დახეთქილი, ჯამი ედგა წინ. ფული რამ ეყარა შიგ, შესაწირავი“⁵⁷. ქიანურს განაპირა სიმი გაწყვეტოდა, გაენასკვა და ისე გაემა... იმიტომ ჩანდა „ერთი ნაშხნევი ბგერათა შორის“ ...სიმონის მოყვარული ცოლი დაბრმავებულა. ამქვეყნიური ყოველი სიკეთე დაუკარგავთ, მიწურ-ხერელში, უკარფანჯრო ბუნაგში დაუდევთ ბინა... ცოლმა არ იცის, რომ ქმარი მათხოვრობს. შესჩივის მწერალს: ყველამ დაგვივიწყა, თითქო დაგვმარხესო. ეს ცოცხლად დამარხული თაობა გულმოკლული დაღლინებდა თარზე: „აჰ, დრონო, წარსულნო დრონო!“ და ამით გამოხატავდა თავის განწირულობას.

მეცხრამეტე საუკუნის ამ „დამარხულ თაობას“ ფენა-ფენა ემატებოდა მეოცე საუკუნის დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ქარტახილებისაგან შემუსვრილი თაობები, ფეოდალური არისტოკრატის ნაშთები, გაღატაკებული მემამულენი და დამხობილი დიდ-დიდი მონღელები, გაკოტრებული სოცდაგრები და მერყევი ინტელიგენტები... ვ. ბარნოვის მოთხრობებში მათაც პოვეს სამუდამო თავშესაფარი, მაგრამ ჰუმანისტი მწერლის თანაგრძნობა მხოლოდ იმათ ეკუთვნის, ვინც ნაშუსის ქუდით დადიოდა, ვინც ქვეყნის სარგოდ ცხოვრობდა, ვინც ხალხის გულსთქმას გამოხატავდა... არამი ლუკის მოყვარულ ემოსნებს, კი მწერალი ნიშნს უგებს, სარკაზმით აფერადებს მათ დრამატულ ყოფას. ამით იგი გადაჭრით დგება დემოკრატიულ-სახალხო ჰუმანიზმის პრინციპებზე, უპირისპირდება უმისამართო, ზოგად განმანათლებლურ-აბსტრაქტულ კაცთმოყვარეობას, რომლისთვის მკვლელი და მოკლული ორივე თანაბრად შესაწყალებელია.

სატირული მოთხრობის „აღდგომის ცოდვას“ მთავარი მოქმედი პირის, ოდესღაც თავადობის შაიხბელი დიდი მონღელის კიმოთე ჯაგარაშვილის ცოლის, ეფემიას წინასააღდგომო ბაზრობა შინაგანი ემოციური დამუხტულობითა და ფარული ირონიით ძალიან უახლოვდება დავით კლდიაშვილის „მოგზაურ“ გმირთა (პლატონის, დარისპანის, სოლომანის) ყოფასა და განწყობილებას. მათი ყოფა დრამატულია, რადგან ეკონომიკური საფუძვლები გამოცლიათ და უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილან. აწმყოში სრულიად უიმედოებს, არც რაიმე პერსპექტივა აქვთ, რადგან ახალი ცხოვრებისათვის ფეხის აწყობა არ შეუძლიათ, ძველი კი სამუდამოდ გამჭრალა. ეს ტრაგიკული არსებები სასაცილოდ გამოიყურებიან, რადგან ისინი კვლავინდებურად ებლაუქებიან წარსულს... ცდილობენ გარეგნულად არ დაიმჩნიონ ეს განწირულება და ვარდებიან კომიკურ სიტუაციებში.

⁵⁶ იქვე, გვ. 107.

⁵⁷ იქვე, გვ. 103.

ჯაგარაშვილების ოჯახს ტრადიციად მოსდგამდა სააღდგომო სუფრა. „რა ნამცხვარი! რა მწვადი თუმგბარი! სანუკვარი სანოვანა, საუკეთესო სასმელები, ტკბილეულობა... მაგიდა იზნიჭებოდა ფაიფურისა, ბროლისა თუ ვერცხლის ჭურჭლის სიმძიმით“⁵⁸. აქ თავს იყრიდა მთელი ქალაქის პლუტოკრატია... ამ სახლის დიასახლისის უინი იყო სააღდგომო ნამცხვარი, ყველაზე მაღალი უნდა ყოფილიყო, მსხვილი, ლიტაო... ამიტომ საგულდაგულოდ ემზადებოდა; „ამ დღეებში ეტლს დააქროლებდა, მაღაზიდან მაღაზიაში; ქარი უფრიალებდა შაპოზე ძვირფას ფრთებს, უშრიალებდა ფარჩის ტანსაცმელს“...⁵⁹. მაგრამ ეს ყველაფერი წაპყვა წარსულს... ეხლა კიმოთე ფეხით დადის..., „ფურნის პური ეშოვნა ვეებერთელა; მკლავები მოეხვივნა, გულზე მიეკრა და მიჰქონდა თვალების ბრიალით, ძლევამოსილად... თავი მოსწონდა. წინათ კი... კიმოთე თევდორეს ძე და ამეების ტარება?! კაცი კეწეწე თათმანს არ იშორებდა ნიჩაბივით ფართო ხელიდან“⁶⁰. მისი მეუღლე ეფემიაც გამოცვლილა: მოღუქილ-მოღუვეთილი ტანისამოსი, ბუმბულგაცლილი და გაქუცული შაპო, ჩაღრუებული საქინძისთავე, შეთხელებული მძივი მოწმობდა, რომ „მძიმე დროს ამისთვისაც დაუბიჯებია ტლანქი ფეხი...“ მაგრამ ამ დრამატულ ყოფაშიც არ ღალატობს ძველ ჩვეულებას — სააღდგომო სამზადისშია. ისიც გამოსულა, ოღონდ ახლა ფეხით... ქისა ძალზე გაღარიბებია, სურვილები კი ძველებური აქვს... შეევაჭრა ბატკანს, გოჭს, ინდაურს... დადასებინა: ზუთხი, ხაჭო, კარაქი, ყველი, არაქანი, ვაშლი, ფორთოხალი... ბოლოს ფართოდ დაწყებული ვაჭრობა მკლედ გაათავა — დაბუა ქათამი იყიდა ღვთისნიერი გლეხისაგან... მეტის ფული არ აქვს... მსახურს კი ვერ შელევია; ირონიით შენიშნავს მწერალი — დაგლეჯილი გოგო დასდევდა უკან, მწვირიანიო.

ალბოსა და სოლომონისნაირთა ბედით დამწუხრებელი მწერალი თითქოს ჯაგარაშვილთა ტრაგედიით ზარობს. მოესურვა „ენახა გიროზი ბოლომდინ დამდაბლებული“ და აღდგომას საღარბაზოდ ეახლა ჯაგარაშვილებს. კიმოთე დაემალა სტუმარს, ეფემიას კი ფერი მისდამოსდიოდა... სტუმარი დაბუას ხორცს რომ ჰამდა, მასპინძელი ისე გრძნობდა თავს, თითქოს მას კბენდნენ: „არეული გრძნობა აპხატოდა სახეზედ: განადგურებული თვითმოყვარეობა... ბოროტი სიძულვილი, ცოფმორეული ჯავრი ალბათ კიმოთეზე; თითქმის ცრემლები, უღონო სიავისაგან ნაყური გესლი“⁶¹.

ასე გაუსწორდა დროება (და მწერალიც) ოდესღაც გაზულუქებული მოხელის ოჯახს.

თემატურად „აღდგომის ცოდვის“ გაგრძელებაა მოთხრობა „სადღეოფლო სარტყელიც“. ისიც პანაშვიდია იმ კლასისა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინათ ხელთ ეპყრა უზრუნველი ყოფის სადავეები, მათი იყო ცხოვრება: „ორსართულიანი დიდი სასახლე მტკვარზე გადაკიდებული აივნებით, ზევით მხარეს მშვენიერი წალკოტი ალვის ხეებით; ლითონის ლომები ალყაფის დარაჯებად... კედლები დიდრონი სურათებით მოფენილი, ხვევრდის სავარძლები, სელები... ვერცხლის სურები, თასები, ჩოღრათოები... ზეკაცთ სადგომი სამოთხისებური“⁶².

⁵⁸ იქვე, გვ. 91.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ იქვე, გვ. 92.

⁶¹ იქვე, გვ. 97.

⁶² იქვე, გვ. 115—119.

ასეთი ახსოვდა გოგიას ციავას სახლ-კარი. ის პაწია ბიჭი იყო, როცა ამ სასახლეში ახალგაზრდაწერილ ციავას სადღეოდოლო სარტყელი შემოართყა. და „რა სარტყელი! უბრალო სჩანდა ერთის შეხედვით იგი ფსადაუდებელი: უმანკი თეთრი ქსოვილი მჭიდროდ ნაჭედი, მძიმე. სარტყლის ტოტებზედ ამოქარგული ვაშლილი რტონი ყვავილოვანნი. ფოთლებიც, ყვაილებიც შეფერადებული მარგალიტის მარცვლებით გამოყვანილი, დიდის გემოვნებით ნახელოვნარი“...⁶³, ახლა ეს სარტყელი საკომისიოში ძევს... იქ, სადაც იყიდება ძველი დიდების მრავალი ნაშთი: „მოოქვილი ხმალი... შეჭედილი დამბანა ტალიანი, შირმაიით მორთული სავარძელი, ბაჯალოს ფარღული, მუზარადი რაღაცა წარწერით, ხმლის პირი რომ ეტყობოდა შეუბღზედ, ისართან... ვინ მოსთვლის?!“⁶⁴.

ეს მოთხრობა დაწერილია 1920 წელს და თითქმის ეხმიანება ნ. ლორთქიფანიძის ათი წლით ადრე დაწერილ ბრწყინვალე მინიატურას „საქართველო იყიდება“, მაგრამ ვ. ბარნოვის მოთხრობას აკლია ის მწვავე პოლემიკური ტონაცია, რომლითაც გვიპყრობს ნ. ლორთქიფანიძის შედევრი. მწერალმა იცის, რა ღვარამაც გამოიტანა ეს მჩმედ დაცული სიმდიდრე სალაროებიდან და გამოირყა დუქანში — ეს შემოილია: „ასეთი ძალა, მოიბოვა მჭადმა, ველარაფერი გაუმარდა მას, ცხრაკლიტული რკინის კარებები ჩაღეწა მისმა ძლიერებამ. წამოაცალიერა ურყეველი საუნჯეები“⁶⁵, მაგრამ ამ საუნჯის დაუფლება ჯერ კიდევ არ შეუძლია გოგიას... ისი ისეთივე ღარბი და არაფრისმჭონეა, როგორც იყო მაშინ, ეს სარტყელი რომ შემოართყა ციავას, მაგრამ მწერალს სჯერა, რომ მომავალი გოგიას კლასს აქვს, ოპტიმისტურია მისი მსჯელობა: „რა უშავს! ახლად დავიბადენით ისტორიულად და ავი არ უნდა გვიკვირდეს დუშმანისაგან აკლებულ-გაქედილებს, სიკვდილის პირად მიტანილთ, წამოეჯობინდებით, მუხლს გავიმარებთ, დავმშვეენდებით რიხით, ძალით, შემმართვებულობით და უკეთეს საგანძურთ შევუკრებთ ერს ნივთიერს თუ სულებს“⁶⁶.

მწერლის ეს რწმენა განამტკიცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველმა ათწლეულმა. მან დაინახა რომ მეფის ტახტისა და ბურჟუაზიის ბატონობის დამამზობელ „ძლევა მოსილ ხალხს ძნელი მასალა შერჩა ხელთ დაღეწილი ცხოვრების მოსაწყობად, ახალ საფუძველზე მის დასაგებად... მაინც ბუმბერაზმა ძალამ ხალხისა ყოველ დარგში შეამადლა აღმშენებლობითი მუშაობა საიმედო... ვხედავ: მისწვდება თავის სანატრელს ქართველი ერი თავისუფალი და მიიტამს თავის შრომის კეთილ ნაყოფს სალართში კაცობრიობისა“⁶⁷.

აქ წერდა მხცოვანი შემოქმედი 1931 წელს წერილში „ხალხთა თავისუფლების ათი წლის თავი“. ეს იყო ნათელი გონებისა და სამშობლოს მოყვარული გულის მიერ თანამედროვეობის, დღევანდელი დღის დიადი განკვერტა.

⁶³ იქვე, გვ. 120.

⁶⁴ იქვე, გვ. 124.

⁶⁵ იქვე, გვ. 124.

⁶⁶ იქვე, გვ. 124.

⁶⁷ ვ. ბარნოვი, თხზ., ტ. 10, თბილისი, 1964, გვ. 309—311.

С. В. ЧЕИШВИЛИ

КРИТИКА БУРЖУАЗНОГО ОБЩЕСТВА В ПРОИЗВЕДЕНИЯХ
В. БАРНОВА

Резюме

В. Барнов — непримиримый критик буржуазного общества и антигуманистических основ капитализма. Он подвергает своеобразной критике частнособственнические порядки. В. Барнов допускал существование наемного труда, если последний не противостоял общенациональным интересам и нравственным принципам.

В своих произведениях писатель показывал, как капитализм, стремящийся к укрупнению, беспощадно разорял и уничтожал мелкобуржуазные слои, старые цеховые объединения и мелких предпринимателей. Описывая в своих произведениях социальные контрасты городского и деревенского быта, В. Барнов отдает предпочтение деревне, так как в ней он видел больше нравственной чистоты и непосредственности. Поэтому возвращение к патриархальности представлялось В. Барнову единственным выходом, который способен спасти общество от буржуазного аморализма и насилия.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ

მ ა რ ი წ ა რ ი თ ე ლ ი

ნიკო ავალიშვილის პუბლიცისტიკა

თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ავალიშვილი წარმო-
მადგენელია ქართველ პუბლიცისტთა იმ სახელოვანი თაობისა, (ი. ჭავჭავაძე,
ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ა. ფურცელაძე და სხვ.),
რომელმაც სათავე დაუდო და დაამკვიდრა ჩვენს პრესაში ჟურნალისტური
მწერლობის ეს წამყვანი ჟანრი. მისი მრავალი სტატია და გამოკვლევა განე-
კუთვნება ქართული პუბლიცისტიკის ძვირფას მემკვიდრეობას.

ნ. ავალიშვილი პუბლიცისტიკას პერიოდული გამოცემის სასიცოცხლო
ნერვად თვლიდა და ამ თვალსაზრისით ჟურნალს გაზეთთან შედარებით უზი-
რატესობას ანიჭებდა. „მნათობის“ სახით ქართულ პერიოდიკაში მან შექმნა
პუბლიცისტური ჟურნალის საუკეთესო ნიმუში, რომელსაც თანამედროვენი
„საქართველოს მოამბეს“ აღარებდნენ.

ნ. ავალიშვილმა 60-იან წლებშივე ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი
პუბლიცისტიკის დანიშნულებაზე. დროის მოთხოვნათა შესაბამისად პრესის
ამოცანად გამოაცხადა პროგრესული საზოგადოებრივი აზრის გამომუშავება,
მოწინავე შეხედულებების პროპაგანდა.

„საზოგადო აზრი... ეს არის აზრი უმეტესობისაგან შედგენილი, — ამტკი-
ცებდა ის, — თავისი საყოველღეო ცხოვრებისა და მოქმედების სახელმძღვა-
ნელოდ.. წარსული ცხოვრების კანონებით აწმყოში წარმატებით ვერ იცხოვ-
რებ... როგორც იცვლება ცხოვრება, ისევე, მისი კანონებიც უნდა გამოიც-
ვალნონ“.

„უფრო მიეძევთ და ეხელმძღვანელობთ იმ საზოგადო აზრით, რომელსაც
საფუძველი აქვს ჩვენს ძველს ცხოვრებაში — აწმყო ცხოვრების არა მსგავს
ცხოვრებაში. ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი წარსული ცხოვრების კანონებით“¹.

ამ საინტერესო მსჯელობას მოსდევს მტკიცება იმის შესახებ, რომ საზო-
გადოებრივი აზრი მატერიალური ძალაა, თუ ის ცხოვრების კონკრეტულ ანა-
ლოზს ემყარება და მოქმედების იარაღად იქცევა.

„იღივს უქონლად არაფრის შექმნა არ შეიძლება“² — ეს დებულება
უდევს საფუძვლად ნ. ავალიშვილის იმდროინდელ წერილებსაც. 1869 წელს
მან პუბლიცისტური გამოცემის დანიშნულებად აღიარა „საზოგადოების წარმა-
ტება, ცხოვრების გაუმჯობესება და, საზოგადოდ, ჭეშმარიტების ძიება“³. იგი
არაერთხელ უბრუნდება საზოგადოების რაობისა და მისი თითოეული წევრის
მოვალეობის გარკვევის საკითხს. „სად არის ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვ-
რება? — კითხულობს ის — რას ეწოდება საზოგადოება? რომლისთვისაც ყვე-

¹ „მნათობი“, 1871, № 1.

² „დროება“, 1910, № 21

³ „მნათობი“, 1869, № 2.

ლანი არიან ვალდებულნი, თანაგრძნობა და დახმარება გაუწიონ ერთმანეთს. აი ეს არის მრავალ პირთ კრება, რომელნიც ერთგვარ გარემოებაში ცხოვრობენ და ერთნაირ ბუნებითს, ზნეობითს და ნივთიერებითს გავლენის ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ ეს არის გარეგანი სახე... შინაგანი არის და მნიშვნელობა ის არის, რომ ყველა წევრი ამ საზოგადოებისა თავის თავის ვალად რაცხს ემსახუროს ზნეობითის, გონებითის, გინდ ნივთიერებითის დახმარებით ერთს დედააზრს — ჰეშმარიტებას, ანუ საყოველთაო საზოგადოებრივი ცხოვრების გაადვილებას და ზნეობის გაუმჯობესებას... საზოგადოების ყველა წევრი. ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობს...“.

ნ. ავალიშვილი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციიდან აფასებს პუბლიცისტიკის დანიშნულებას. მან „კარგი მიმართულება“ უნდა მისცეს საქმეს, „კარგ გზაზედ დააყენოს საზოგადოება“. უფრო მეტიც, ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ პრესა საზოგადოების მართო წარმომადგენელი კი არა, ხელმძღვანელიცაა. უფრნალ-გაზეთის „დანიშნულება, განსაკუთრებით ის არის, რომ აღძრას საზოგადოებაში სიცოცხლე, აღუფეთქოს მას ცხოვრების ცეცხლი და დააყენოს წარმატებისა და სისრულის გზაზედ... მისი დანიშნულება სულაც არ არის, რომ სიცოცხლემოკლებულ საზოგადოებას ექვეშევრდომოს“⁴.

აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ ნ. ავალიშვილი პუბლიცისტიკის ძალას მის მამხილებელ ხასიათში ხედავდა. იგი იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ „საზოგადო საქმეში უმჯობესია ყველა ნაკლი გამოძღვანდეს“, რომ „საზოგადო სენი ყოველთვის გამოაშკარავდეს საზოგადოების სიკეთისათვის, არასოდეს არ დაიფაროს“⁵. მხილების პათოსით იყო განმსჭვალული ნ. ავალიშვილის პირველივე პუბლიცისტური ნარკვევი „მცხეთობა“, რომელიც „ცისკარი“⁶ დაიბეჭდა. „ცუდი უნდა აილაგმოს, ცრუ აზრი და რწმენა უნდა მოისპოს,“ „ჰეშმარიტებამ და საღმა აზროვნებამ უნდა იმეფოს“, — ასეთი დევიზით გამოვიდა ანალაგზრდა პუბლიცისტი ასპარეზზე.

ნ. ავალიშვილი იმთავითვე დაგმო ფრაზიორობა და თვითმიზნური სიტყვიარაულობა. „დრო გამოიცვალა,“ — წერდა ის 1867 წელს, — „წავიდა ის დრო“, როცა გულკეთილი მკითხველები ყურს უგდებდნენ „ჰუქა-ჰუხილიანს და თოვლ-ბუქიანს ფრაზეებს“⁷.

საგულისხმოა ნ. ავალიშვილის შეხედულებანი საზოგადო მოღვაწეებისა და სახალხო საქმის გულშემატკივრებზე: „საქმეს ის აკეთებს, ვინც თავგამოდებით შრომობს, არაფერ გაჭირვებას არ ერიდება, აღებული მიზნისაკენ შეუპოვრად მიდის, თუნდაც იმისთვის მსხვერპლიც დასჭირდეს... ნეტავ შენ, რომელიც ცხვირს იქით ვერას ჰხედავ და არცა გსურს, რომ დაინახო! შენ არ გამოგიცდია და ვერც გამოციდი იმ გულის- დამჩაგრავ დარდს, რომელიც ვეება ლოდსავით აწეეს ზოგიერთი კაცის გულსა და ყოველ წამში ექადება შესწყვიტოს მისი ცემა და ბოლო მოუღოს... მხოლოდ უტყინო ცხვრებს შეუძლიათ უდარდელად და უაზროდ ტანტალი... ვისაც თვალი აქვს და გაუხარწნელი გული... განგებისაგან აქვს შუბლზედ შემდეგი წარწერილი: ქვეყნის სიბილწემ არ

⁴ „მნათობი“, 1869, № 4.

⁵ „მნათობი“, 1869, № 1.

⁶ „ცისკარი“, 1867, № 7.

⁷ „დროება“, 1867, № 26.

დაგიმონოს, დეე, იმასთან ბრძოლაში სიცოცხლე გაეჭიროს, მაშინაც იქნებოდა თელი, სიცოცხლის სიბნელის გამნათებელი“⁸.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ აზროვნებას ახასიათებს სწრაფი დიფერენციაციის პროცესი, იდეური დაჯგუფებების გაფორმება და გარკვეული მსოფლმხედველობრივი პლატფორმის საფუძველზე თანამოაზრეთა ერთგვარი კონსოლიდაცია. ნ. ავალიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ჩვენში, ვინც თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ასახულებდა იდეური ნიშნით თანამოაზრეთა გაერთიანების აუცილებლობას და პერიოდულ გამოცემათა მიმართულებას ამ პრინციპით უღებოდა: „ახლა სამი ჟურნალი და სამი გაზეთი გვაქვს, — წერდა ის, — ექვსი დროგამოშვებით გამოცემა!... ამოდენა ასპარეზზე და ამდენს ბანაკში, რასაკვირველია, ბევრი მოქმედება იქნება, ბევრნაირი გაგება, აზროვნება, ლტოლვა... რაღა თქმა უნდა, რომ სხვადასხვა ხასიათისანი და სხვადასხვა გაგებისანიც იქნებიან. რასაკვირველია, ცალცალკე ბანაკებს შეადგენენ და ყველა ბანაკს თავისებური სროლა ეცოდინება მიზანში და თავისებური საქმის წარმოება... ამ ბანაკებს ეყოლებათ, ცხადად თუ იღუმალად, თავიანთი ბელადები, ე. ი. გაჩნდა ლიტერატურული ბანაკები“⁹.

ნ. ავალიშვილმა საზოგადოების მტკიცეულ საკითხებზე სჯა-ბაასი ხალხის მატერიალურ-სულიერი ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებად აღიარა და ამ საქმეში აქტიური როლი მიანიჭა როგორც პუბლიცისტებს, ისე ცოცხალ სიტყვას, საჯარო შეკრებებსა და ყრილობებს. „მტკიცეობას“ რომ აღწერდა 1867 წელს, ნ. ავალიშვილი აღნიშნავდა, „ამ დღეობაზე ხალხის შეყრას, რაღაც აზრი უნდა ჰქონოდაო“¹⁰. შემდეგ ეს მოსაზრება მან უფრო ნათლად ჩამოაყალიბა და „ხალხში გასვლაც“ მოითხოვა.

ნ. ავალიშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობა თემატურად და ქანობრივად მრავალფეროვანია. იგი მოიცავს ეროვნულ, სოციალურ პრობლემებს, მეცნიერების, ყოფა-ცხოვრების, კულტურის საკითხებს. მთავარი თემებია: ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დროინდელი სოფლის ცხოვრება და სოფლად სოციალური ურთიერთობის გამწვავება. ინდუსტრიალიზაცია, სავაჭრო სამრეწველო კაპიტალის შეჭრა სოფლის მეურნეობაში, ტექნიკის განვითარება, სხვადასხვა ეკონომიკური თეორიები. ბანკები და ასოციაციები, მედიცინა, ბიოლოგია, აგრონომია, საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი, ქართული ენის, სკოლის, თეატრის, ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, მწიგნობრობის ბედ-იღბალი, არსებული პოლიტიკური რეჟიმის მანკიერებანი და სხვა... მოკლედ, ცენტრის გამბუღმებული მეთვალყურეობის მიუხედავად, მის პუბლიცისტურ ნაწერებში დროულად და გაბედულად გამოქადაგდა იმ დროის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა.

თემისა და იდეური ჩანაფიქრის შესაბამისად, იგი ოსტატურად იყენებდა ისეთ განსხვავებულ პუბლიცისტურ ჟანრებს, როგორცაა: ნარკვევი, მოგზაურობა, ფელეტონი, კორესპონდენცია, რეცენზია, შინაური და საერთაშორისო მიმოხილვა, თეორიული წერილები, პოლემიკური სტატიები, ქრონიკა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ავალიშვილს როლი ქართული სატირული ფელეტონის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟანრს კარგი

⁸ „მნათობი“, 1872, № 3.

⁹ „მნათობი“, 1871, № 2.

¹⁰ „ცისკარი“, 1867, № 7.

ტრადიცია ჰქონდა ჩვენში (ი. კერესელიძის „სალაყბო ფურცლები“, ი. ჭავჭავაძის „სხარტულა“ და სხვა), ნ. ავალიშვილმა შესძლო საკუთარი ადგილი დემკვიდრებინა ამ მხრითაც. ფელეტონები: „ტეინშერყეულის ბოდვა და მოჩვენება“, „ახირებული სისმრები“ და სხვა გამოირჩევა თხრობის მანერით, ამბის განვითარების თანმიმდევრულობით, დაცინვის მოტივიერებით.

პუბლიცისტის მრავალმხრივ განათლებასა, პოლიტიკურ აღლოსა და დაკვირვების უნარზე მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს მისი „ახალი თქვა და მართაქვა“, „ჩინეთი და მანჯურია“, „იაპონელები და მათი ცხოვრება“, „სპარსეთი“ და სხვა. მის ინტერესს იწვევს არა მხოლოდ შორეული ქვეყნების ბუნებისა და ყოფის ეგზოტიკა, არამედ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებიც. ნ. ავალიშვილის სოციალურ თემატიკაში ძირითადი ადგილი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლახობა მდგომარეობის საკითხს უჭავია.

იგი ცნობდა, რომ რეფორმამ გლახს მისცა პირადი თავისუფლება და დამოუკიდებელი გზადა, მაგრამ ნათლად უჩვენებდა მკითხველს ამ ღონისძიებათა ფორმალურ ხასიათს, ცხადყოფდა, რომ ბატონყმური ურთიერთობა სინამდვილეში განაგრძობდა არსებობას და მემამულეები კვლავ ინარჩუნებდნენ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პრივილეგიებს. „საგლახო რეფორმა“ მას ნასუფრალად მიაჩნია: „მეძებრების დანაჰერს კურდღელს მონადირე შეექცევა და შეგნეულობას იმას აჰმევენ, ვინც კურდღელი დაიჭირა“¹¹.

შესანიშნავ პუბლიცისტურ ნარკვევში „მცხეთა, სვეტიცხოველობა, და რამდენიმე აზრი შესახებ დღეობებისა“, რომელიც ბატონყმობის გაუქმებიდან ორისამი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, ნ. ავალიშვილიმა ამხილა რეფორმის მემამულური ხასიათი, გამოამჰურა სოციალური უთანასწორობის შემამრწუნებელი სურათები და დაგვანახა მშრომელი გლახობის უნუგეშო მდგომარეობა. „როცა ვხედავდი,—ამბობს ის,—რა უანგარიშოდ თქველფდნენ ზოვიერთები, მე მომაგონდნენ მშვიერი და მწყურვალენი“, მაგრამ, განა, მოგონება გააძლებდა იმათ კუქს? „...სვამდნენ და სვამდნენ იმდენს... მანამ ყელში ამოუვიდოდათ“, ღარიბებს კი ზედაც არ უყურებდნენ. „ეს გულქვა კაცსაც შეამფოთებდა“... წინ უყრიათ იმდენი საჰმელ-სასმელი, რომ ყველას ყელში ამოსდის, საჰმელს ერთმანეთს ესვრიათ (ხუმრობა ამგვარია იმათში), სასმელს ზედ ასხამენ ერთმანეთს (სასჰელიც ამგვარია იმათში) და... საწყალს გლახას რისხვითა და უპატიურად აგდებენ ცარიელსა“¹².

სოციალური უთანასწორობა მიაჩნია ნ. ავალიშვილს ყოველგვარი უსამართლობისა და ზნეობრივი დაცემულობის მიზეზად, პროგრესის შემაფერხებლად. ჩვენი ღრობა და გარემოება ისეთი უსამართლო და მიუღებელია, ამტკიცებს ნ. ავალიშვილი, რომ „ერთი ბევრსა ჰხარჯავს უსაჰიროდ, მეორეს საჰიროს ნათალიც არსად აჰქს, მესამე ზვალინდელ დღეზე სრულებით არ ფიქრობს, მეოთხე სულ ფიქრობს, ზრუნავს, მაგრამ ჯამში კი არა აჰქს რა... უბედურება მოაჰქს მღიდრისაგან დამოკიდებულებას.., ამ უბედურების მიზეზია ანდაზა, თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილაო“. ასეთი პირი, ცხადია, ზალხის მომავალზე არ იზრუნებს და საზოგადოებას უფსკრულში მიაქანებს¹³.

¹¹ „მნათობი“, 1872, № 1.

¹² „ცისკარი“, 1867, № 7.

¹³ იქვე.

კიდევ უფრო მძაფრ სოციალურ კონტრასტებს შეიცავს „მნათობში“ დაბეჭდილი ფელეტონები, სადაც ნ. ავალიშვილი სამშობლოს ხან „ხეპრეთის“ ხან „პრანჭეთის“ სახელით იხსენიებს. ამ ფელეტონებში გაკიცხულია ბატონ-ყმობის ნაშთები. პუბლიცისტის აზრით, ქვეყანა დასაღუპადაა განწირული, რადგან „დაბალი მუდამ შრომაშია, ხოლო მაღალი შექცევაში... და ეს არის საზოგადოების გამხრწნელი უთანასწორობა“.

ნ. ავალიშვილი უღმობლად გამოხდა წოდებრივ ცენსსა და პრივილეგიას, რომელიც რეფორმამ ხელუხლებლად დატოვა. საზოგადოება წინანდებურად დაყოფილია „წითელსისხლიანებად“ და „მუქსისხლიანებად“. „წითელსისხლიანს, თითქოს, ყოველი საქმის გაკეთება ძალუძს, ისინი, ვითამ, უფრო ნიჟერნიც არიან, ვიდრე „მუქსისხლიანები“; ვეძებთ არა საქმის გამკეთებელს, არამედ „წითელსისხლიანს“, მიუხედავად იმისა, გამოდგება თუ არა ის ამ საქმისათვის. „წითელსისხლიანები“ სამშობლოსა და ხალხის ინტერესებით კი არ მოქმედებენ, არამედ პიროვნული და წოდებრივი ანგარებით. „როდესაც მთელი ხალხი ასეა განაწილებული პოლიტიკურ თუ ნივთიერებით ცხოვრებაში, მაშინ იმ ხალხში... ურთიერთშორის ზნეობრივი კავშირი და თანაგრძნობაც არ იქნება, პირიქით, იქნება საზოგადო შეგუბებული სიძულვილი“. წოდებრივ-სოციალური უთანასწორობა დაამხოვს ქვეყანას; „ნერგავს ბოროტებას და სიძულვილს; ჰზღუდავს ნიჭს, ქემშარბებებს... ერთს მეტის მოპოვების (სხვისი შრომით) უფლება მეშკიდრებითვე აქვს მინიჭებული და მეორეს კი დღიური ცხოვრებისათვისაც საქმარისი არა აქვს, ამიტომ საზოგადოების სხეული იხრწნება, იშლება და კვდება“.

დღემდე ამ არცთუ ისე ცნობილი ფელეტონების შინაარსიდან თვალსაჩინოა ის კავშირი, რომელიც მათ და 80-იანი წლების ქართულ ხალხოსნურ მოთხოვნებს შორის არსებობს (ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, შ. გულისაშვილი და სხვ).

„მკამელს“ ჩვენში ეძახიან ძლიერ ავი ზნის მუწუქს, — წერს ნ. ავალიშვილი. თუ დროზედ ძირიანად არ ამოწვევს, მთელს სხეულს მოედება, დააღობს და გახრწნის... ეს მკამელი მთელს საზოგადოებას სჭამს. „ეს გახლავთ პრანჭეთელების პირველი ჭირი და ეს ერთი მართო ხომ არა? მაგას ტილი ბევრი ჰყავს და სულყველა დასკუბებულია საზოგადოების სხეულზედ და ჩასწაფებთან იმის და შედეგი უნდა ჰქონდეს ამას, რას უნდა მოელოდნენ პრანჭეთელები?... საზოგადო გახრწნა და ეს გახრწნა დაიწყო კიდევ... ღრმად ჩაუსვია კბილები თავის მსგავსის ხორცში და დასწაფებია იმის სისხლსა, ვითარცა წყაროს“¹⁴.

ეს ამონაწერი „ახირებული სიზმრებიდან“ მოგვყავს. ასეთივე სურათები სხვადასხვა მხატვრული ვარიაციებით გვხვდება ფელეტონებში: „ტვინშერ-ყუთლის ბოდვა და მოჩვენება“, „შინაური მიმოხილვა“ და ა. შ.

ნ. ავალიშვილი თანამედროვე ხანას „უხეირო დროს“ უწოდებს, აღშფოთებულია კლასობრივი ჩაგვრითა და უთანასწორობით, გამოხს „დესპოტურ მედიდურობას და მტარვალობას“, რასაც იწვევს წოდებრივი ფანატიზმი, რომლის მიხედვითაც „დიდი შთამომავლობის მქონეთ სისხლი მშვენიერის, ალის-ფერი აქვთ და ძვალი თეთრი, ხოლო დაბალი შთამომავლობებისას სისხლიც შავი და ძვალიც შავია“, მაგრამ ღრმად სწამს „და მკითხველსაც არწმუნებს,

¹⁴ „მნათობი“, 1871, № 5.

რომ ცხოვრება ხალხის საკეთილდღეოდ შეიცვლება. „ხებრეთის“ სოციალური დაპირისპირების ეპიზოდებს ის ასეთი იმედიანი შეძახილით ამთავრებს: „ემ მსხვილები, სხვისი ქონითა და წვენიტ რომ გამსხვილებულან, ბულასაებრ დასამჩქლევედ დასცქერიან წვრილებს, მაგრამ წვრილებს ისინი ვერ დაამსხვრევენ: მოვა დრო და მანახვენ თამაშსა“. (ხაზი ჩენია).

ნ. ავალიშვილს კარვად ესმოდა, რომ ეს დრო თავისით არ მოვიდოდა, რომ საჭირო იყო თაობების შრომა, ბრძოლა და ღვაწლი რომ „ქვეყანაზედ ჩინებულნი და გაცხოველებული მიზანი მიიღწევა მხოლოდ მრავალი მოთმინებით და გამუდმებული შრომა ვაი-ვაგლახით“¹⁵.

საინტერესოა ნ. ავალიშვილის მტკიცება, რომ სოციალური განვითარება კანონზომიერი მოვლენაა და ამ კანონების შეცნობა შესაძლებელია; „რომ როგორც ცხოვრება იცვლება, მისი კანონებიც უნდა გამოიცვალოს“. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების განვითარების არც ერთი საფეხური მარადიული არ არის, მისი შეცვლა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.

რადგან 70-იანი წლების დასაწყისში ნ. ავალიშვილი ხალხის, მშრომელი გლეხობის მდგომარეობის შეცვლის უფრო ახლობელ და საიმედო გზას ვერ ხედავდა, მისი აზრი და გრძნობა ხალხოსნური ძიებით იმსჯელება და მის პუბლიცისტიკაში მძლავრად იჭრება რუსეთის ნაროდნიკობიდან თუ ევროპის უტოპიური სოციალიზმიდან მომდინარე ნაკადი, ნარკვევებსა და ფელეტონებში ჩნდება ახალ-ახალი თემები — მეურნეობის კოლექტიური ფორმები, არტელები, კოოპერატივები, ასოციაციები, გლეხთა განათლება-გათვითცნობიერება, სამეურნეო ტექნიკის გავრცელება და სხვა.

იგი ცხარედ ებაქრება „ამხანაგობების“ მოწინააღმდეგეებს, იმათ, ვინც ამბობდა, „მწარმოებელთ და მომხმარებელთ საზოგადოებისა არა მწამს რა, ღვინო და პური მქონდეს გასაყიდი, თორემ... ადვილად გავყიდი, მოვა ავეთიკა ან ფარემუზა და ხელდახელ გავყიდი, თუ დამჭირდა სესხადაც გამოვართმევ“; წუხს, რომ არა გვაქვს საზოგადო ბანკები „გაჭირვების დროს ხელის გასამართავათ“, „არა გვაქვს მწარმოებელთ და მომხმარებელთ საზოგადოება“, რომ მწარმოებლებმა ჩარჩ-ვაჭრის შუამავლობის გარეშე გადასცენ მომხმარებელს თავიანთი ნაწარმი; გვესაჭიროება „სასოფლო პურის მავაზინები“, „სასოფლო ბანკები“¹⁶ და ა. შ.

ნ. ავალიშვილი ამხილებდა ევროპის კაპიტალისტური ცხოვრების ნაკლოვანებებს, სოციალურ უთანასწორობას. იგი თანაუგრძნობდა ფრანგ მშრომელებს და ბრალს სდებდა საფრანგეთისა და პრუსიის მმართველ წრეებს, საუბარს „პრანჭიეთის“ სისხლისმწოველ წურბელებზე პუბლიცისტი საგულისხმო ანალოგიით ამთავრებს: „აი, თუ გინდა ის ამბავი, რომ ორმა კაცმა ნაპოლეონმა და ვილჰელმმა რა ჩაიდინეს და კიდევ რაებს ჩაიდენენ, თავიანთი მოძმეების ძვლებიდან ხიდს იკეთებენ ბედნიერებისაკენ და მათ სისხლში დატუარვენ არხეინათ“¹⁷.

ეს სიტყვები, დაწერილი პარიზის კომუნის დღეებში, სავსებით ლოგიკურად გამოხატავს ნ. ავალიშვილის პოლიტიკურ აზროვნებას, რომელიც აღი-

¹⁵ „მნათობი“, 1871, № 2.

¹⁶ „მნათობი“, 1871, № 1.

¹⁷ „მნათობი“, 1871, № 5.

რება სოციალური ცხოვრების ფართო დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობას, რესპუბლიკურ წყობილებას, უარყოფდა მონარქიას, აბსოლუტიზმს, დესპოტურ ხელისუფლებას.

თვითმპყრობელობის და დესპოტური რეჟიმის მძლავრი კრიტიკით იმდროინდელი ქართული პუბლიცისტიკის მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩათვალოს ნ. ავალიშვილის მიერ თავისუფლად გადმოკეთებული „ლაბულეს ახალი თვალთმაქცური ზღაპარი“¹⁸.

ამ სატირულ თხზულებაში მკითხველს არ გაუჭირდებოდა რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის ამოცნობა. განა ცარიზმის პოლიტიკური არსი არ არის მხილებული ავტორის შემდეგ მსჯელობაში? „სახელმწიფო არ არსებობს „მოქალაქეთათვის, არამედ მოქალაქე არსებობს სახელმწიფოსათვის“... ჩვენ ისეთი უბაღლო კეთილწყობილობა გვაქვს, რომ ყველა ჰაბუკი დოყლაპია ჩვენის ხელით მიიღებს თავის გონების საზრდოს და ამასთან ყოველგვარი რევოლუციური დუღილისაგან ბეჯითად არის განწმენდილი, ჩვენ ყოველი ოფიციალური გვაქვს: ზნეობაც, ფილოსოფიაც, ისტორიაც, ჭეშმარიტებაც“.

აქ კრიტიკის ქარცეცხლშია მოქცეული ბურჟუაზიული პარლამენტი, შრომის ექსპლუატაცია, აზრის იეზუიტური დევნა; დაგმობილია მონარქია, როგორც ხალხის უბოროტესი მტერი, და წარმოსახულია დემოკრატიულ-რესპუბლიკური საზოგადოებრივი წყობილების იდეალი; გამომკლავნებულია, როგორ ანგრევს და ხრწნის დესპოტური რეჟიმი კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას, ზნეობას: „მივიღებთ რა ყურადღებასა შინა, რომ მოქალაქეობის გაჩენის დროს, ოდესცა ჭეშმარიტება არ იყო უწყებულ, შესაძლებელ არს, ვითარმედ ჭეშმარიტების საძიებლად კარგი იყო ხალხისათვის ნების მიცემა, გარნა აწ, ოდესცა წმინდა უეჭვო ჭეშმარიტება გამოჩენილი არს ამგვარი თვითმნებლობა შეირაცხება მხოლოდ ნების-დართვად, რომ თვითონც ღობე-ყორეს ედებოდეს, და სხვასაც უბნევდეს გზას“.

რომც მხოლოდ მმართველობას, ყოველთვის შეუცდენელს, ძალუმს მოჰფინოს ჭეშმარიტება, ვინაიდან მხოლოდ იგი არს მფლობელი მისი.

დასასრულ, მივიღებთ რა ყურადღებასა შინა რომც ჭეშმარიტება არს მხოლოდ ერთი, ხოლო სიცრუეც მრავალგვარი, რომც ჭეშმარიტება აკავშირებს ხალხს, გარნა სიცრუეც ჰყოფს მათ... და რომ, მამსადამე, ბრძნული პოლიტიკა მოითხოვს სრული ერთობის დამკვიდრებას, განსაკუთრებით აზრთ სამზღვარში ამა ჩვენის სრულის სიბრძნის ძალით და უზენაესი შემძლებლობით, ჩვენ ებრძანებთ შემდეგს:

მუხლი I. ჩვენს სამფლობელოში იქნება მხოლოდ ერთი ქურნალი „ოფიციალური ჭეშმარიტება“.

მუხლი II. ყოველი მოხარკე ვალდებულია გამოიწეროს და იკითხოს მხოლოდ იგი, დილით ან საღამოთი;

მუხლი III. მათის შემოწმებისათვის, „ოფიციალურ ჭეშმარიტებაში“ წარმატებულან თუ არა, განწესდება 33333 მაზრაში 33333 ინსპექტორი“ და ა. შ.

„ლაბულეს ახალი თვალთმაქცური ზღაპრის“ მეტისმეტად გამჭვირვალე ალეგორია ფარდას ხდიდა ჩვენში გამეფებულ პოლიტიკურ წყვილადს. ეს იყო გაბედული პროტესტი სიტყვის, პრესის, აზრის ჩახშობის წინააღმდეგ.

¹⁸ „მნათობი“, 1869, სექტემბერ-ოქტომბერი.

ნ. ავალიშვილის პუბლიცისტიკაში სოციალური საკითხები განუყოფლად უკავშირდება ეროვნულ პრობლემას, სამშობლოს მომავალზე ზრუნვას, სწორედ, სამშობლოზე ფიქრი იწვევს მისი სოციალური ტყვიულების გამოაშკარავების აუცილებლობას.

„ახირებულ სიზმრებში“ საქართველოს ალეგორიული სახეა „პრანჭიეთი“, სადაც ათასგვარ სიბილწეს გაუღდამს ფესვები და მტერ-მოყვარე აღარ განირჩევა. „ტვინწერყეულის ბოდვასა და მოჩვენებაში“ ხეპრეთელები ერთმანეთს დარევიან და მტერს ბოროტი ზრახვის განხორციელებას უადვილებენ: „ხეპრეთში“ ძმთა შუღლი, ჩაგვრა, მამეზღარობა, უდარდებობაა გამეფებული, ეროვნული საქმისათვის თავს არავინ იწუხებს; „პრანჭიეთში“ და „ხეპრეთში“ მეტისმეტად დიდ პატივს სცემენ ბახუსს. 1867 წელს ნ. ავალიშვილი წერდა: „მოსულიყვენენ აქ აღსასრულებლად ხორავის დანთქმისა და მუცლების ერთგულად ავსებისა... ჩვენი ქართველი კეფას არ მოიქექს, ვიდრე კარგა არ გაუჭირდება, არასოდეს არ იფიქრებს, რომ თუ მსუბუქ ავადმყოფს არ ეწამლა, მძიმე ავადმყოფი გახდება“.

ეს იყო თუმცა სასტიკი, მაგრამ კეთილმოსურენ კრიტიკა. შემდეგ კი იქვე დასძინდა: „მე არ ვამბობ, რომ ჩვენი ხალხი ზარმაცი იყოს, შრომა ეზარებოდეს ან უნიჭო იყოს და კარგის მიღება არ შეეძლოს, ჩვენი ხალხი შრომის მოყვარეც არის და კარგი ნიჭის პატრონიც... მაშ, რატომ ვცხოვრობთ ატალახებულ სახლებში, ბოლში, ზამთარ ზურგგაყინული და მუცელ გახურებული?“ „არა ქართველო, შენთვის შექცევის დრო არ მოსულა“¹⁹.

ჯერ კიდევ „ცისკარში“ ნ. ავალიშვილი თანამემამულეებს ურჩევდა ხელი მოეციდათ ვაჭრობისათვის, სწავლა-განათლებისათვის, რადგან „ამ ხასიათმა (ვაჭრობის თაყილმა — მ. წ.) ძალიან ავნო ჩვენს ხალხს და მომავალში უფრო ავნებს“.

მისი პუბლიცისტური ნაწერების ძირითადი ეროვნული პათოსი ვლინდება ცოცხალი პატრიოტული მოღვაწეობისაკენ მოწოდებაში, რომ „ქართული სკოლა, ქართული თეატრი, ქართული წიგნი არის ყველა ქართველის საქმე, რომ საერთო ეროვნული ინტერესებისთვის ყველა ქართველი უნდა შეერთდეს“²⁰.

ნ. ავალიშვილი თავგამოდებით იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებებს სულიერი, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ზრუნავდა დედაენის წარმატებისათვის, ქართული სწავლა-აღზრდისა და ქართული სახელმძღვანელოებისათვის. ერთი შეხედვით, უპრეტენზიო რეცენზიაში „კავკასიის აქეთა მხრის კარტა“ იგი მწვავე ეროვნულ პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებს; „ეს პირველი რუკაა ქართულ ენაზე, საფუძველია ქართულ სკოლის, აქამდე ჩვენი საკუთარი ქვეყნის რუკაც არ გვექონდა ქართულ ენაზე... პედაგოგიური ჰეშმარტებაა, რომ სკოლებში მხოლოდ მაშინ ისწავლიან კარგად, როდესაც სწავლა მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზედ იქნება, ე. ი. სამშობლო ენაზედ... ყველა მომხრე სწავლისა და განათლებისა უნდა ცდილობდეს — მისცეს ჩვენს მოსწავლეებს ქართული წიგნები და საშუალებანი და მით გაუადვილოს ჩვენს ხალხს სწავლა და განათლება... ჩვენდა სასიხარულოდ, ამგვარნი მშრომელნი და ამ მიმართულებისანი ჩვენშიაც გამოჩნდნენ. მათში პირველთა-

¹⁹ „ცისკარი“, 1867, № 7.

²⁰ „ივერია“, 1983, № 264.

განია უფ. ი. გოგებაშვილი, რომელმაც გამოსცა საქართველოს კარტა, „ბუნების კართან“ ერთად²¹.

ნ. ავალიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველთა კონსოლიდაციას და იმედს გამოთქვამდა, რომ ახალი დრო, ეპრობა-მრეწველობის განვითარება, მიმოსვლის გაცხოველება სულ უფრო მეტად დაახლოვებდა და შეამჭიდროვებდა მათ. 1867 წელს წერდა: „ჩვენს ხალხს ეკუთვნის: კახელი, ქართლელი, სამხრელი; (სომხისთ რომ ეძახიან), იმერელი, მეგრელი, გურული, მესხი, თუში, ფშაველი, ხევსური, მთიელი და სხვანი... საქიროა, ერთმანეთისაგან მიიღონ, რაც საქიროა და სასარგებლო, უკუაგდონ რაც უუარგისია“²².

ქართულ საქმეებზე ზრუნვა მან ყველა პატრიოტის საამაყო მოვალეობად გამოაცხადა, დიდი მღელვარებით არის დაწერილი მისი წერილები საქართველოს გმირულ წარსულზე, სხვადასხვა პატრიოტულ თაოსნობაზე. იგი ალტაცებულია კავკაზში ქართული სკოლის დაარსებით, და საგანგებო სტატიაში ეფექტურ ღონისძიებებს სახავს დასახელებული სკოლის „მყარ ნიადაგზე დასაყენებლად“, რათა იქ მყოფი ქართველობა არ გადაგვარდეს. წინადადებას იძლევა, იქაური ქართული სკოლა საშუალო სკოლად გადავაკეთოთ და იქაური ქართული თეატრიც გავაძლიეროთ.

აქედან გამომდინარე, საეხებით ვასაგებია ნ. ავალიშვილის მკაცრი უარყოფითი დამოკიდებულება კოსმოპოლიტიზმისადმი, რაც გამოხატულია მის ვრცელ წერილში. „პატრიოტიზმი თუ კოსმოპოლიტიზმი“. აქ ავტორი განმარტავს, როგორ ესმის მას მამულიშვილობა და რა სარგებლობა მოაქვს ქვეყნისათვის პატრიოტულ გრძნობასა და შეგნებას, რომ ქვეყანა იმდენად უფრო წინ მიდის, რამდენადაც მეტი ქემშობიტი პატრიოტი პყავს, და მთლად ილუპება, თუ პატრიოტული გული აღარავის შერჩენია, რომ პატრიოტმა ყველაფერი, სიცოცხლეც კი უნდა შესწიროს მამულს. „მაგრამ ამ სიყვარულს სულაც არ მოსდევს სხვა ერის უარყოფა და სიძულვილი, პირიქით, სხვა ერის სიყვარული აუცილებელიც კი არის.“ კოსმოპოლიტიზმი მას ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად მიაჩნია, „მინამ ყველა ერთი მისწრაფებით, საქიროებითა და გარემოებით ერთმანეთს არ გაუთანასწორდება და ენაც ერთი არ გაუხდება... ამ სახელს ეგოისტები ეფარებინან“²³.

ნ. ავალიშვილი 60-იან წლების ერთი იმ მოღვაწეთაგანია, რომელმაც თავისებურად დააყენა ეროვნული პრობლემა.

მოსკოვიდან ახალი დაბრუნებული ოცდასამი წლის მწერალი, თუმცა ქვეტექსტით, მაგრამ საკმაოდ ვასაგებად უზიარებდა მკითხველს თავის განწყობილებას: „სეკტიციხეველში შესვლის უმაღლეს მივართე საქართველოს მეფეთა საფლავებს... მიმიზიდა ორმა ამაღლევებელმა საფლავის ქვამ, გადაფარებულმა ზარის ფარჩით. მე ერთმით ავხადე ამ ქვებს ფარჩა, თითქოს, მეშინოდა ნახვა ქვეშ დამალულისა, მანც ავხადე და წაიციოთხე ზედ წარწერა რუსულად დაწერილი, მშვიდობა სულსა შენსა, დიდო მეფეო!... ახლა მეორე საფლავს ავხადე უფრო გაბედვით, რადგან მიუხვდი რაც იქნებოდა იმ ფარჩის ქვეშ. ეს იყო საფლავი მეფის გიორგისა, დავხურე და გავდექე უკან. ჩემს თავში აირიგენ

²¹ „მნათობი“, 1869, № 3.

²² „ცისკარი“, 1867, № 7.

²³ გ. ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი, № 3847—6.

კიდევ სხვადასხვა ფიქრები... ვადარბდი ამ ორთ მეფეთა, ამთ ღვაწლს, ამთ საქმეებს... მე ძალიან დამამძიმა ამ აზრებმა და იძულებული ვიყავ გამოვსულიყავი გარეთ“²⁴.

ორმოცი წლის შემდეგ ცხოვრების ქარცეცხლში გამოვლილი ნ. ავალიშვილი წერდა: „ორი ათასი წლის წინადვე ანბანის შემომღები და ძველთაგანვე მწიგნობრობის მიმდევარი ჩვენი ერი, მგონია, არც ერთ დროს არა ყოფილა ისე ვაცრუებული თავის მწიგნობრობაზედ, როგორც ამ უკანასკნელ „მწიგნობრიანობის და მყუდროების“ ხანაში დაემართა განათლებულმა საზოგადოებამ უღრტვინველად დასთმო თავისი ეროვნული თავმოყვარობაც, ისტორიული წარსულიც, იმ წარსულის დიდებული წამებიც აბუჩად აიგდო და იქამდეც მივიდა, რომ თავის ოჯახებიდან დედა ენა განდევნა“²⁵.

ასე აფასებდა ცარიზმის ბატონობის შედეგებს რუსეთის პროგრესული აზროვნების თაყვანისმცემელი, ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის იდეებზე აღზრდილი, რუსულ ნაოლინიკობას ნაზიარები ნ. ავალიშვილი. ამით აახსენბა, რომ მის პუბლიცისტიკაში მთავარი ადგილი უკავია ეროვნული სამეურნეო-კულტურული მშენებლობის საკითხებს, რომელთა განხორციელების პრინციპად ის „სახალხო თაოსნობას“ თვლიდა. „საქმეში დავებმართო ერთმანეთს, მომქმედნი ვიყვნეთ, მაშინ არც ერთი კეთილი სურვილი არ ჩაივლის ამოდ, არამედ ყველას მიეცემა აღსრულება და მიღწევა“. ასეთი იყო მისი პუბლიცისტური წერილების სულისკვეთება, დასკვნა და მოწოდება, შეერთებული ძალით, გეგმიანად მოქმედება, საზოგადოებრივ-ეროვნული ინტერესების პიროვნულზე მაღლა დაყენება — აი, რას ურჩევდა დაბეჯითებით ის თავის მკითხველს: „ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა გავაკეთოთ!“ „საათობით უნდა იყოს გამოანგარიშებული მუშაობაც და დასვენებაც“, „საქმის გაკეთება და არა მსხვილ-მსხვილი სიტყვებით ქარების აყენება“, „ყველაფერი შრომითა და მოქმედებით მოიპოვება“. „საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადო საქმე, საზოგადო საქართვეობა, საზოგადო სარგებლობა“ — ის გამონათქვამებია, რომლებსაც ხშირად ვხვდებით ნ. ავალიშვილის ნაწერებში და რომლებიც მკაფიოდ გამოხატავენ მისი პუბლიცისტიკის დედააზრს.

მაგალითსაც თავად იძლეოდა: თვითონვე იყო აქტიური მონაწილე ისეთი ეროვნულ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებისა, როგორც იყო: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, „ქართული თეატრალური საზოგადოების“, „ქართული საფილარმონიო საზოგადოების“, „საქართველოს მწერალთა კავშირის“, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ და სხვა. უხვად სწირავდა მათ ქონებას, ფულს, წიგნებს, ხელნაწერებს, ნუმიზმატიკურ მასალებს, არქივებს.

ქართულ პუბლიცისტიკაში ნ. ავალიშვილმა დაამკვიდრა მეცნიერულ-საგანმანათლებლო თემატიკა. პოპულარული ენით, საინტერესოდ არის დაწერილი მისი სამედიცინო-ჰიგიენური, ბიოლოგიური, პედაგოგიური, გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული, ისტორიულ-ეკონომიკური სტატიები და გამოკვლევები, რომლებიც მეცნიერების უკანასკნელ მონაპოვარს ემყარებოდა. მის მიერ გადმოკეთებული მასეს „ლუქმა პურის ამბავი“, რომელიც „მნათობში“ დაიბეჭდა, პუბლიცისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო. თითქმის ოცდაათი წლის შემ-

²⁴ „ცისკარი“, 1867, № 7.

²⁵ ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი, დონ კიხოტი, ავალიშვილის შესავალი წერილი, 1906, გვ. 8.

დგ. 1897 წელს, ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა, რის გამოც ივ. გომართელი წერდა: სამეცნიერო ლიტერატურა არ მოგვეპოვება. მასეს ნაშრომი საუკეთესო წიგნად ითვლება, „წიგნი კარგისა და ადვილის ენით არის ნათარგმნი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რამდენად ძნელია რომელსაჲმ სამეცნიერო წიგნის ქართულად გადმოთარგმნა ან დაწერა, ბ-ნი ავალიშვილი დახელოვნებულ მთარგმნელად უნდა ვაღიაროთ“²⁶.

რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ ნ. ავალიშვილმა ათობით ახალი სიტყვით გაამდიდრა უაღრესად ღარიბი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია.

პუბლიცისტის ამოცანად მეცნიერების პროპაგანდის გამოცხადება იმის დადასტურებაა, რომ ნ. ავალიშვილი 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატიკულ განმანათლებელთა ტრადიციებს აგრძელებდა. დაუცხრომლად იბრძოდა რა ხალხის გათვითცნობიერებისათვის, იგი ამბობდა, საღი მეცნიერული აზრის წინაშე „უნდა დაემხო ყველა ცრუ რწმენანი, განათლებულებმა უნდა განანათლონ განუნათლებელნი“.

ნ. ავალიშვილის პუბლიცისტური ნაწერების ღირსება ლალი, სასაუბრო ენა, ანალიტიკური აზროვნება, პრაქტიკული მიზანდასახულობა, მუდამ კონკრეტულ მასალაზე დაფუძნებული მსჯელობა, რომელიც გაცხოველებულია ანდაზებით და სხარტი გამოთქმებით.

М. К. ЦЕРЕТЕЛИ

ПУБЛИЦИСТИКА НИКО АВАЛИШВИЛИ

Резюме

Исследованы вопросы публицистического наследия видного грузинского писателя, журналиста и общественного деятеля Нико Авалишвили (1844—1929).

В своих публицистических статьях Нико Авалишвили выражал мысли и чаяния передовой грузинской интеллигенции, был верен революционно-демократическим идеям шестидесятников, выступал за социальное и национальное освобождение народа, обличал бюрократизм, жестокость царских чиновников, пороки существующего режима.

Публицистика Авалишвили отличается тематическим разнообразием, актуальностью, политической остротой, самобытностью языка и стиля.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ეჭრნალისტიკის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

²⁶ „ივერია“, 1897, № 65, № 66.

მიხილ მახათაძე

ვეფხისტყაოსნის ძირითადი სიუჟეტური წერტილების
ლოკალიზაციისათვის

ძირითად სიუჟეტურ წერტილებში იგულისხმება ე. წ. ექსპოზიცია, კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა და ფინალი, რომელთა შორის მომხდარ ამბებს მოქმედების განვითარებას უწოდებენ. ექსპოზიციას ზოგჯერ წინ უძღვის პროლოგები, ხოლო ფინალს — შემდგომი მდორედ მიმდინარე ამბები, ან ეპილოგები (ზოგჯერ — ორივე). ეს უკანასკნელი მომენტები ყველა ეპიკურ ნაწარმოებს არ ახლავს, მაგრამ ექსპოზიცია, ფინალი და მათ შორის მოქცეული საკომუნეკაციო პუნქტები, საერთო მთელი ნაწარმოებისათვის, როგორც მთელისათვის, აუცილებელია დიდი ეპიკური ტილოსათვის, თუ ის რამდენიმე ერთმანეთისაგან მოწყვეტილი რგოლების ან ეპიზოდებისაგან არ შედგება, სადაც ყველა ცალკე რგოლურ ეპიზოდს უნდა გააჩნდეს საკუთარი „საკომუნეკაციო“ წერტილები.)

წინასწარ უნდა გავაცნოთ მკითხველს თვალსაზრისი ამგვარ პუნქტებზე. მიღებული აზრით, სიუჟეტურ წერტილებს ებოსში ქმნის არა ამა თუ იმ მომენტის როლი მთავარი გმირების ბედისადმი ინტერესის ზრდაში, ანუ სიუჟეტისა და ამბების შემდგომი განვითარებისადმი ინტერესის გაღვივებაში, არამედ „საკომუნეკაციო“ პუნქტებს სულ სხვა მოვლენები განაპირობებენ და ქმნიან. ჩვენს აზრით, მაგალითად, თუ ყველა სტროფი არა, თითქმის ყველა ახალი თავი იწვევს მკითხველის ინტერესის შემდგომ გაძლიერებას მომავალი ამბებისადმი. ეს, რა თქმა უნდა, მწერლის დიდ ოსტატობაზე მიუთითებს. მაგრამ შეუძლებელია ყველა ესენი ნასკვებად და კულმინაციებად ჩავთვალოთ. არქიტექტონიკულ მწვერვალებად თუ ძირითად პუნქტებად მხატვრულ ნაწარმოებებში გვევლინებიან მომენტები, რომლებიც გ ა რ დ ა ტ ე ხ ე ბ ს ქ მნი ა ნ ამბების მსვლელობაში ანუ მოქმედებათა განვითარებაში. ამიტომ გვევლინებიან ისინი ინტერვალებს შორის, რომელთაც მოქმედების განვითარებას ეძახიან, ნასკვებად, კულმინაციებად და სხვ. საკუთრივ კულმინაციად კი მიიჩნევა წერტილი, როცა მოქმედ პირთა წინააღმდეგობანი და ურთიერთობანი მთლიანად გამოამკარავდება, ვაშიშვლდება, როცა მათი ურთიერთობანი, განზრახვანი და მოქმედებანი ერთმანეთს გადაკეთენ და მათი ბედისა და მომავლის საკითხი აირღაირება, დაიბურღება. მწერალი მკითხველს ამ დონეზე ზოგჯერ შედარებით დიდხანს იჭერს, საერთოდ კი მას მოჰყვება დაბლა დაშვება ვითარების გამარტივების, ამოცანის გარკვევისა თუ გადაჭრის, შედეგთა სავარაუდო ცხადყოფის, ე. წ. კვანძის გახსნისა და ფინალისაკენ მიმავალ გზაზე.)

წინამდებარე წერილში, როგორც სათაურიდანაც ჩანს, წარმოდგენილია ცდა ვეფხისტყაოსნის ძირითადი სიუჟეტური, მე ვიტყვოდი, — საკომუნეკაციო, წერტილების განსაზღვრისა. თუ რუსთველოლოგიაში პოემის სიუჟეტის შესახებ მსჯელობდნენ (განსაკუთრებით ამ საუკუნის 30-იან წლებამდე), მსჯელობ-

დნენ უმთავრესად მისი გენეზისის საკითხებზე. ეს პრობლემა ჩვენში კარგა ხანია დღის წესრიგიდან მოხსნილია, მაგრამ 60-იან წლებში მას კვლავ დაუბრუნდა პროფ. მ. თოდუა. 1967 წ. მან გამოაქვეყნა საერთოდ შესანიშნავი ნაშრომი „ქილილა და დამანა (საბასეული ვერსია)“, რომელშიც განაცხადა: ხოსრო დეპლევის, — რომელიც, მისი ცნობის თანახმად, 1325 წ. გარდაცვლილა, — „ჩარდარევიანის“ ფაბულა „უთუოდ ჰგავს ვეფხისტყაოსნის ფაბულას“ (გვ. 24), „რუსთაველმა რომ აქ იგი (ჩარდარევიანის ფაბულა, — მ. მ.) გამოიყენა, ეს უკვე საეპოქო აღარ უნდა იყოს“ (გვ. 26).

მაგრამ ვეფხისტყაოსნის შექმნა ვერავითარ პირობაში ვერ გადმოსცილდება მონღოლების გამოჩენას ჩვენს მიწა-წყალზე. გამოდის, რომ ვეფხისტყაოსანი 1325 წელზე 100—110 წლით ადრე დაწერილა. რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველის ის გარემოება, რომ „ჩარდარევიანის“ ფაბულა ინდოეთსა და აღმოსავლეთში, თითქოს, ცნობილი ყოფილა 1325 წლამდეც. თუ ამ ფაბულამ მართლა თითქმის მთელი აღმოსავლეთი მოიარა, მას ხოსრო დეპლევიზე ადრე, ან შემდეგ სხვებიც გამოიყენებდნენ, იმ აღმოსავლეთში, რომელშიც საავტორო უფლების შესახებ წარმოდგენა არავის გააჩნდა. თუ ასე არ მოხდა, ეს, ცხადია, იმაზე მიუთითებს, რომ აღმოსავლეთი მისი სამშობლო არაა. ან რითაა დამტკიცებული, რომ რომგურამდე და ხორასნამდე მისული ქართული ლაშქარი ვეფხისტყაოსნის შინაარსს, რომელიც საქართველოში გამოქვეყნებისთანავე ყუმბარასავით გავარდებოდა, შიდა სპარსეთამდე ვერ მიიტანდა? არც ისაა დამტკიცებული, რომ მონღოლების ეპოქაში მათ ჯარში გაწვეულ ათასობით ქართველ მოლაშქრესა და ათობით სარდლებს შორის ვეფხისტყაოსნის შინაარსი არავის ეცოდინებოდა.

საერთოდ რუსთველოლოგიამ მ. თოდუას ეს შეხედულება არ გაიზიარა (პროფ. ალ. ბარამიძე, პროფ. დ. კობიძე, ვეფხისტყაოსნის ფაბულის თაობაზე, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 2; ალ. ბარამიძე, ნარკვევები, VI, გვ. 82—93).

ვუბრუნდებით პოემის სიუჟეტურ წერტილებზე მსჯელობას.

არ შეიძლება ითქვას, რომ რუსთველოლოგიაში ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. პირიქით, ბევრი საყურადღებო მოსაზრება და შეხედულება მოგვეპოვება პოემის სიუჟეტის არქიტექტონიკის მხატვრულ მხარეზე. რუსთველოლოგიაში აღნიშნულ საკითხს სპეციალური წერილები და ნარკვევებიც კი მიეძღვნა, მაგრამ მართალი იყო პროფ. ს. გაჩეჩილაძე, როდესაც აღნიშნავდა, რომ: „კვანძის მიუგნებლობა აძნელებს მოქმედების განვითარებისა და მთელი მხატვრული ნაწარმოების ძირითადი იდეის გაგებას. მისი მიგნება კი ყოველთვის არ არის ადეკვატი, რადგან ზოგიერთ ნაწარმოებში მთელი რიგი წინაღმდეგობაა გადახლართული“ (ლიტმცოდნეობის შესავალი, თბ., 1957, გვ. 149).

აქ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ ასევე ძნელია დანარჩენი სიუჟეტური წერტილების დადგენაც. ამ სიძნელეებს იწვევს ბევრი გარემოება, ჩვენს შემთხვევაში კი თვალსაზრისთა სხვადასხვაობა ნაწარმოების მთავარ გმირებსა და მოქმედ პირებზე, და სხვა მოვლენები. ვეფხისტყაოსანში სიუჟეტური წერტილების დადგენას აძნელებს მისი თავისებური სტრუქტურა — ორი ურთიერთშერწყმული ამბის. ინდოეთისა და არაბეთის ამბების, პარალელური განვითარება. მიუხედავად ამისა, საესებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ „პოემისათვის მთავარია ნესტანის ამბავი, მისი დაკარგვა და კვალის ძებნა, განთავისუფლება“, რომ „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური გრეხილის უმთავრესი

რგოლი საძიებელია ნესტან-ტარიელის ურთიერთობაში. პოემის ძირითადი სიუჟეტური კვანძი ინსკვება და იხსნება ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის ამბით. ამ სიყვარულის პერიბეტები ქმნის ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური შინაარსის ფაზებს... ნესტანი ამ მხრივ უთუოდ შუაგულშია (ცენტრშია) (ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 87, 88; ნარკვევები, III).

მაგრამ ყოველთვის ასეთ მწყობრ მსჯელობას ვერ ვხვდებით სიუჟეტური წერტილების ლოკალიზაციაზე საუბრისას. ასე, პროფ. ს. გაჩეჩილაძე თავისი ზემოთ დასახელებული შრომის ერთ პარაგრაფში («კვანძი») წერს: «ვეფხისტყაოსანში მოთხრობილი ამბავი მით არის კომპოზიციური ხერხის გამოყენების თვალსაზრისით საინტერესო, რომ გამირების მიზანს — შეერთდნენ და იწყონ ბედნიერი ცხოვრება — წინ ელოდება დიდი დაბრკოლება; მეფის და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება — ნესტანი ზვარაზმელს გაატანონ, და შემდეგ — ნესტანის გატაცება ქაჯების მიერ. ტარიელის ბრძოლა მისი მიზნის ამ მოპირდაპირე მოვლენასთან... არის ამ ამბის „სულის ჩამდგმელი“, მკითხველი ინტერესის გამაძლიერებელი. ვეფხისტყაოსანი სიუჟეტური ნაწარმოებია, რადგან მასში მოთხრობილია გარკვეული ამბავი, ნაჩვენებია გამირების ბრძოლა. ამ ბრძოლას აქვს დასაწყისი, განვითარება და დასასრული» (გვ. 145).

როგორც ვხედავთ, აქ ლოკალიზებული, შემოფარგლული, განსაზღვრული არ არის — რომელი მომენტია ნასკვი, ე. ი. სად იკვრება კვანძი. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ამ მომენტად მკვლევარი თვლის ცნობილ თათბირს ინდოეთის სასახლეში, სადაც გადაწყდა სიძედ მოიყვანონ ზვარაზმელი უფლისწული (და არა ნესტანი გაატანონ მას, როგორც ამას პროფ. ს. გაჩეჩილაძე წერს).

მაგრამ მეორეგან პარაგრაფში „მოქმედების განვითარება და კულმინაცია“ იგივე პროფ. ს. გაჩეჩილაძე წერს: «ვეფხისტყაოსანში ტარიელისა და ნესტანის გამოიჩნურების (კვანძი) შემდეგ მათი ბედნიერი ცხოვრებისაკენ მისწრაფებას წინ ელოდება საუკუნოებრივი ტრადიცია» და სხვ. (გვ. 156). ამ უკანასკნელი ტექსტის მიხედვით კვანძს ქმნის არა თათბირი, არამედ ნესტანის და ტარიელის გამოიჩნურება, რასაც წინ ხვდება დიდი დაბრკოლება. აქედან კი გამოედის, რომ პროფ. ს. გაჩეჩილაძის მიხედვით ნასკვი ხან ტარიელის და ნესტანის გამოიჩნურებაა, ხან — სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება ზვარაზმელი უფლისწულის ზედსიხედ მოწვევის შესახებ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი მათგანი სწორი არაა.

ცალკეული სიუჟეტური წერტილების ლოკალიზაციის ვრცელი ცდა წარმოღვენილია დოც. დ. ქუშიშვილის შრომაში «რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი», რომელსაც და რომელშიც შეტანილი ნარკვევებსაც რუსთაველოლოგია ბევრჯერ გამოეხმაურა (აკად. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, V, რუსთაველის პოეტური ხელოვნების საკითხის გარშემო; ბ. ჟღერტი, დავიცვათ ვეფხისტყაოსანი უდიერი ხელოვნისაგან, «კომუნისტი», 1973, № 175, და სხვ.). სამწუხაროდ, პოზიტიურთან ერთად წიგნში გვხვდება მიუღებელი მოსაზრებანიც.

დ. ქუშიშვილი ფიქრობს, რომ პოემა ორპლანია, ორი სიუჟეტური ხაზის მქონე თხზულება და ამათში ძირითადია არაბეთის ამბავი. პოემის მთავარი გამირებიც არაბები არიან. ამ კონცეფციიდან გამომდინარე ეძებს იგი პოემაში სიუჟეტურ წერტილებს.

უკვე ეს შეხედულება იმდენად მცდარია, რომ მთელი შემდგომი მსჯელობა, ზოგიერთი სიუჟეტური წერტილი უცდომელადაც რომ იყოს მიკვლეული,

ალარ შეიძლება სწორად ითვალისწინებდეს პოემის მთელი სიუჟეტის არქიტექტონიკას. ასეთი აზრი რუსთველოლოგიაში (არაბი გმირების პრიმატისა) წინათაც გამოთქმულა. აქ ილია სელვინსკის დასახელებაც კმაროდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ, ეს შეხედულება მცდარია, რაც ექვემდებარებულად არის დასაბუთებული ალ. ბარამიძის მიერ („ტარიელი“, „ნესტანი“ და სხვ.). მართლაც, პოემის ძირითადი ნაწილი რომ არაბეთის ამბები იყოს, მაშინ რუსთაველი თავის პოემას დაარქმევდა არა ვეფხისტყაოსანს, არამედ „თინათინიანს“, „ავთანდილიანიანს“, ან „ავთანდილთინათინიანს“, როგორც მიღებული იყო რუსთაველის ეპოქაში: ვისრამიანი, თამარიანი, აბდულუმესიანი, ამირანდარეჯანიანი... ყველა ეს სათაური ამ თხზულებათა მთავარი გმირების სახელებიდან მოდის. ასეთგვარია ამ ეპოქის ჩვენამდე არმოდღეულ თხზულებათა სათაურებიც. ილ. სელვინსკი ფიქრობს, რომ ვეფხისტყაოსანი თხზულებას შეიძლება ხალხმა უწოდა შემოკლებით და არა ავტორმა (რუსული კულტურის მოღვაწენი შოთა რუსთაველს, თბ., 1966, გვ. 114—118, რუსულ ენაზე). შუა საუკუნეებში მართლაც არსებობდა ვრცელი სათაურების ტრადიცია და ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეულთა შორის უძველესი, XVII საუკუნის ხელნაწერებშიც გვაქვს ვრცელი სათაურები — ზედწარწერები. მაგრამ ამ ვრცელ წარწერილობებში პოემის გმირებად დასახელებული არიან ან ტარიელი და ნესტანი, ან არავინ, ხოლო ვეფხისტყაოსნად პოემა თვით ამ წარწერილობებში იწოდება. მიუხედავად ამისა, თუ მაინც დავივიწყებთ, რომ ვეფხისტყაოსანი პოემას ხალხმა უწოდა, ეს პოემის მთავარ გმირად ტარიელის სახალხო აღიარების არგუმენტი იქნებოდა. ან რა თავგადასავალი აქვს თინათინს? ის გამეფდა და 5—6 წლის შემდეგ ქმრად შეირთო ავთანდილი. ესაა და ეს. პიროვნული, საკუთარი თავგადასავალი ავთანდილისა კიდევ უფრო ღარიბია.

„არაბეთის ხაზს“ პოემისას არ გააჩნია სიუჟეტური პერიპეტეები. თინათინის და ავთანდილის მომავალი შეუღლება წინასწარ არის გადაწყვეტილი ყველა პირობაში, აღმოაჩენდა ვეფხისტყაოსან ჭაბუკს ავთანდილი, თუ ვერა. დაიბარა რა თავისთან, თინათინმა უთხრა ავთანდილს:

სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საქებნარო,
 კპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბნარო;
 ვერა კპოვებ, დავიჯერებ, იყო თურე ეჩინაიო;
 კოკობი და დაუფრჰვენელი ვარდი დაგვხედე დაუმქნარი (133).

ფიცით გიბორბო: შენგენ კიდე თუ შევირთო რააც ქმარი,
 მზეცა მომხედეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი.

შენს გარდა თუ სხვა შევირთო, თუნდაც ხორცმესხმული მზე, „სრულად მოგწყყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი“ და შენც „გულსა დანა ასაქმარი“ (134), გულში დანა დამეციო (ტექსტს ვიმოწმებთ ა. შანიძისა და ა. ბარამიძის 1966 წლის გამოცემით). შემდეგშიც ავთანდილი ჯავრობს: რომ ვერ აღმოვაჩინო ის მოყმე, თინათინს რა ვუთხრაო, და არა — თინათინი ჩემი შეუღლე არ გახდებო. მართალია, მან უთხრა ტარიელს ქვაბში, გაცნობისას: თინათინმა

მიბრძანა: მიცან ამბავი მის ყმისა, წარხლომილისა,
 მაშინ ვარ მქმნელი საქმისა, მის შენგან მონღომილისაო (292), —

მაგრამ ეს იყო ერთგვარი ხერხი — გამოეწვია ტარიელი თავისი ამბის საამბობ-
ლად: ავთანდილმა ტარიელს შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ იგი, ავთანდილი,
მიზანს ვერ მისწვდება, თუ მას ტარიელმა არ უამბო საკუთარი თავგადასავალი.
ასე რომ, ვიმეორებთ, თინათინის და ავთანდილის მომავალი წინასწარ არის ნა-
გულისხმები ყველა პირობაში. ასეთ „ამბავს“, არ შეიძლება გააჩნდეს ნასკვები
და კულმინაცია. თავგადასავალი აქვთ ნესტანსა და ტარიელს, და ღრმად დრა-
მატულიც. გამოაცალეთ იგი პოემას. რა დაგვრჩება? უბრალო ქრონიკა თი-
ნათინის გამეფებისა და ავთანდილთან ქორწინებისა. მას არ ექნება არც მხატ-
ვრული ფაბულა, არც მხატვრული სიუჟეტი, პოემა გადაიქცეოდა ლექსად და-
წერილ ბიოგრაფიულ თხზულებად, როგორებიც მრავლად შეიქმნა ალორძინე-
ბის ეპოქაში. გამოაცალეთ არაბეთის ამბები პოემას და მიანიც დაგვრჩება ნეს-
ტან-ტარიელის დრამატუზმით აღსავსე თავგადასავალი.

რომ პოემის ორ სიუჟეტურ ხაზს აქვს საკუთარ-საკუთარი სიუჟეტური
წერტილები, ხოლო მესამე სიუჟეტური ხაზი აქვს თვით პოემას, ამას დ. ქუმ-
სიშვილი მრავალჯერ აღნიშნავს. ერთგან ის წერს: „იმის შემდეგ, რაც ტა-
რიელ-ნესტანის ამბის აღწერით რუსთაველმა ქალის მეფედ ყოფნის კანონზო-
მიერება გვაჩვენა და სიუჟეტურად და იდეურად ამბავი თითქოს დაამთვრა,
მას შეეძლო წერტილის დასმა, მაგრამ რუსთაველი ასე არ მოიქცა. მან განა-
გრძო პოემა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაწერა მისი მეორე ნაწილი, რომელ-
იც მოცულობით პირველის ტოლია“ (დასახ. შრომა, გვ. 54). აშკარაა, და-
საწყისში დ. ქუმსიშვილი ლაპარაკობს არა ნესტან-ტარიელის სიყვარულზე და
ამბავზე, არამედ თინათინ-ავთანდილის თავგადასავალზე, მაგრამ ეს უბრალო
შექანიკური შეცდომაა. მითავარი ისაა, რომ გამოდის რა ორბლანიანობის თვალ-
საზრისიდან, დ. ქუმსიშვილი განაგრძობს: „კონფლიქტი (ინდოეთის ამბებისა. —
მ. მ.) დაძაბულობის უმაღლეს წერტილს — კულმინაციის აქსის ალწევს მაშინ,
როდესაც ფარსადანის და დავარი ნესტანს ინდოეთიდან აძევებს და თვითონ
თავს იკლავს“. ე. ი. ამ სიუჟეტურ ხაზს აქვს თავისი კულმინაციაც. მეორე ამ
კონფლიქტის და ორი მოწინააღმდეგე ბანაკის ბრძოლის შედეგი, ანუ ქვან-
ძის გახსნა, იქნება ნესტან-დარეჯანის უკვალოდ დაკარგვა, ტარიელის
სრული სასოწარკვეთილება და სიკვდილის ლოდინი... ამრიგად, ნესტან-ტარი-
ელის ამბავს აქვს სიუჟეტისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი და დას-
რულებულ სახეს ატარებს“ (იქვე, გვ. 55—56).

მაგრამ მხატვრული ნაწარმოების მთავარი გმირის უკვალოდ
დაკარგვა, არავითარ პირობაში არ შეიძლება კვანძის გახსნად მივიჩნიოთ.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტურ წერტილებზე ერთნაირი თვალსაზრისი რუს-
თველოლოგიაში საერთოდ ჯერჯერობით გამოუმუშავებული არ არის/ნიშნდობ-
ლივია, რომ სპეციალურად საკითხისადმი მიძღვნილ ნარკვევებსა და შრომებ-
შიც კი ამ მხრივ ყველაფერი დამაჯერებელი, როგორც ვნახეთ, არაა. საქართვე-
ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუ-
ტის რუსთველოლოგიურ განყოფილებაში იხანება უდროოდ გარდაცვლილ
ა. ნ. სლოვინსკის ხელნაწერი „რუსთაველის პოემის მხატვრული აგებულება“,
მოზრდილი შრომა, რომლის VI თავში „პოემის კომპოზიციის შესახებ“, ლაპა-
რაკობს რა ნადირობასა და ტარიელს პირველ გამოჩენაზე, აეტორი დაასკვნის:
„ეს საწყისი იმდენად ძლიერია, რომ იმორჩილებს ავთანდილ-თინათინის ურთი-
ერთობას. ეს ორივე საწყისი შეადგენს იმ ლიტერატურულ კონიუნქტურას,
რომელიც ცნობილია კვანძის სახელით“. (ვ. იმედაშვილი, რუსთველო-

ლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, სტ. № 2139; ხსენებული ხელნაწერი, გვ. 296—341; აგრეთვე, ა. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი ცნებები, გვ. 192; ასევე მცდარია ა. ჭილაის იქვე გამოთქმული შეხედულება, თითქოს პოემის კვანძს ხსნიდეს ქაჯეთის დაცემა).

მაგრამ ჩვენ პირადად ვერ დავიჯერებთ, რომ მთავარი გმირის შემოყვანისას იქმნებოდეს თხზულებაში მისი ნასკვი. ფინალიც პოემისა, ა. ნ. სლოვინსკის აზრით, არის „ზღაპრული ხასიათისა ლიტერატურული ტრადიციის წესით“ (?). ეს ყოფილა 1595-ე სტროფი („თხა და მგელი ერთგან ძოვდეს“), რომელიც ჩვენი აზრით ყალბია. ასე რომ, ა. ნ. სლოვინსკის ლოკალიზაციებიც ვერ კმსახურებენ ნდობას.

ქვემოთ ვიძლევიტ პოემის სიუჟეტური წერტილების ლოკალიზაციას, ანუ სიუჟეტური არქიტექტონიკის ანალიზს. წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ რუსთველოლოგთა უმრავლესობის თვალსაზრისი პოემის სიუჟეტური ერთიანობისა ერთადერთი სწორი თვალსაზრისია პოემის სიუჟეტის შესახებ, ისევე, როგორც შეხედულება, რომ პოემის შენაკად ეპიზოდებს აქვთ საკუთარ-საკუთარი სიუჟეტური წერტილები. აკად. ალ. ბარამიძეს წარმოდგენილი აქვს პირველი ნაღირობის ეპიზოდის ანალიზი (გვ. 82). დანარჩენთაგან ასახელებს ფრიდონის ამბავს, ფატმანის ამბავს... ჩვენ ცალკე გამოვყოფთ ქაჯეთის ეპიზოდს მთლიანად.

1. ე ქ ს პ ო ზ ი ც ი ა ქაჯეთის ეპიზოდისა მოცემულია ქაჯეთზე პირველ საუბარში ფატმანსა და ავთანდილს შორის.

2. მოქმედების განვითარება წარმოდგენილია ქაჯეთზე მეორე საუბარში ფატმანსა და ავთანდილს შორის, წერილიანი ქაჯი მონის გაგზავნით ქაჯეთში და მისი საუბრით ნესტანთან.

3. კ ვ ა ნ ძ ს კ რ ა ვ ს ნესტანის პოზიცია მისი განთავისუფლების საკითხისადმი — წერილები ფატმანისადმი და ტარიელისადმი. ნესტანი ფატმანს ევედრება:

გეაჯები, საყვარელსა შემახეწე, შემამარლე,
ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შეცასთვალე (1289).

ტარიელს კი ავალბდა:

შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბელი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა (1301).

წადი, ინდოეთს მიჰმართე, არც რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელაუპყრობელსა (1307).

უკიდურეს სასოწარკვეთილებაში მყოფი ნესტანი, რომელსაც არა აქვს ქაჯეთთან განთავისუფლების არავითარი იმედი, ფატმანს სთხოვს — იმოქმედოს ტარიელზე და ხელი ააღებინოს ნესტანის გამოხსნის იღებზე, რადგან ასეთი ცდა, მისი აზრით, გამოიწვევს ტარიელის აუცილებელ დაღუპვას. ეს კი ნესტანისთვის იქნება უკანასკნელი მეზი, რაც მას ბოლოს მოუღებს. ტარიელს კი ავალბებს, მისი გამოხსნის ნაცვლად (რაც, თითქოს, შეუძლებელია), მიეშველოს იგი სამშობლოს და მტერთაგან უკიდურესობამდე შევიწროებულ ნესტანის მშობლებს. ამრიგად, რუსთაველმა ტარიელი მკითხველის თვალწინ დააყენა ალტერნატივის წინაშე: სატრიფო თუ სამშობლო? ცხადია, ქაჯეთის ეპიზოდში აქ იკვრება კვანძი.

4. კულმინაცია წარმოდგენილია ავთანდილის მესამე შეხვედრაში ტარიელთან. ამ შეხვედრის შედეგად საქმე იქამდე მივიდა, რომ ავთანდილი მოთქვამს: „მე მოვკალ ჩემი მოყვარე (1344)... ჩქარად ეცეს, ვერ გაუძღებს გული ლხინსა მეტის-მეტსა... (1343).

5. ამას მოსდევს მოქმედების კვლავ განვითარება: ქვაბში დაბრუნება ასამათთან, საპურველ-იარაღის აღმოჩენა, ფრიდონთან გამგზავრება, შეხვედრა.

6. კვანძი გაიხსნა თათბირზე ქაჩეთის ზღურბლთან: ქაჩები „მოგვეგებვიან“, ციხის კარებს თვითონვე გააღებენ, რადგან „ვემცრობითო“ (1403), — აცხადებს ტარიელი. ამრიგად, მიუვალი და აულებელი ქაჩეთის დაცემის გასაღები ნაპოვია.

7. ფინალი წარმოდგენილია ქაჩეთის დაცემით, ნესტანის განთავისუფლებით და მომდევნო ამბებით („ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა... მონახეს და არ აცოცხლეს... სამი ათასსა აჰკიდეს... სამოცოთ კაცი დაადგეს...“).

როგორც ვხედავთ, ქაჩეთის ეპოპეაში გვაქვს ყველა „საკომუნიაციო“ წერტილი. ასევე ყველა „საკომუნიაციო“ წერტილი, სიუჟეტის ყველა საკვანძო წერტილი გვაქვს, ცხადია, მთელ პოემაში, როგორც მხატვრულ მთელში. აა, რას წერს ამის შესახებ ოლივერ უორდროპი პოემის ინგლისური თარგმანის პირველი პუბლიკაციის წინასიტყვაობაში (1912 წ.): „პოემაში სამი არასასიამოვნო შემთხვევაა მოთხრობილი: ავთანდილისაგან ჭაშნაგირის მოკვლა, მისგან ფატმანის გამიჯნურება და ტარიელისაგან ხვარაზმშას ძის მოკვლა. ჩვენ აზრად არა გვაქვს ზნეობრივ მოქმედებად ჩათვალოთ პოემის გმირთა ხსენებული საქციელი; გვიჩვენია ვიფიქროთ, რომ ასეთი საქციელი იმდენადვე საწყენი იყო რუსთველისათვისაც, როგორც ჩვენთვის. ასეთი ქცევა საჭირო იყო მხოლოდ ინტრიგის ნასკვისათვის (დაყოფა ჩვენია. — მ. მ.) და სამივე საქმე ჩადენილი იყო ქალის გულისათვის თვით ქალებისავე პირდაპირი გავლენით“. შემდეგ: „პოეტი არც კი შეთხზავდა ამ ეპიზოდს (ლაპარაკია ფატმანის და ავთანდილის ურთიერთობაზე. — მ. მ.) და პოემაში არც კი ჩაურთავდა, პოემის კვანძის გასახსნელად საჭირო რომ არ ყოფილიყო“ (რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, ტ. I, თბ., 1976, გვ. 332, 342; იხ. აგრეთვე თედოსაშვილი, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1962, გვ. 223, 228).

ამრიგად, ოლ. უორდროპი კვანძის შეკვრად და კვანძის გახსნად თვლის ჩვენ მიერაც ასეთებდად ნაგულისხმებ მომენტებს ვეფხისტყაოსანში. ის არ თვლის კულმინაციად მხოლოდ დავარის თვითმკვლელობას, მაგრამ ჩვენ დაერწმუნდებით, რომ კულმინაცია სწორედ ამ მომენტით არის წარმოდგენილი. ქვემოთ განსაზღვრულია ძირითადი სიუჟეტური წერტილები, მათ შორის მომხდარი ამბები კი სიმოკლისათვის მხოლოდ „მოქმედების განვითარებად“ იწოდება.

1. პოემის ექსპოზიცია წარმოდგენილია თინათინის გამეფების სამზადისით და გამეფების სურათით (რუსთველოლოგები ამ განსაზღვრებაში უფრო ერთიანობას ამქადავენებენ).

2. ხვარაზმელი უფლისწულის მოკვლამდე ტარიელის მიერ ყველაფერი მოქმედების განვითარებაა.

3. კვანძის კრავს ხვარაზმელი უფლისწულის (სასიძოს) მოკვლა.

4. კვანძის შეკვრას მალე მოსდევს კულმინაცია: ნესტანის დაკარგვა და დავარის თვითმკვლელობა.

5. ჭაშნავაძის მოკვლამდე ყველაფერი მოქმედების განვითარებაა.

6. კვანძი იხსნება ჭაშნავაძის მკვლელობით.

7. კვლავ მოქმედების განვითარებას მოსდევს

8. ფინალი: ქაჩეთის დაცემა და ნესტანის განთავისუფლება. დანარჩენი ფინალის მომდევნო ამბებია, დასასრულია.

ამრიგად, კვანძის შეკერა, კულმინაცია და კვანძის გახსნა პოემაში ერთგვარი მოქმედებით არის გამოხატული — მკვლელობებით. მართო ეს გარემოება კმარა იმის საბუთად, რომ სამივე ეს წერტილი აქ განსაზღვრულია სწორად. სამივე შემთხვევაში დიდი პერსონა დაიღუპა ადამიანის ხელით (ერთი მათგანი — საკუთარი ხელით): ინდოეთის ტახტის მემკვიდრის საქმროდ მოწვეული ხვარაზმელი პრინცი, ინდოეთის მეფის და, მემკვიდრის აღმზრდელი დავარი და ჭაშნავაძი, რომელიც ვულანშაროს სამეფო კარზე, «დარბაზს იყო მეტად ხასი» (1205). ცხადია, ეს გარემოება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს და მათ არავითარი ფუნქციები არ ეკისრებოდათ სიუჟეტის განვითარებაში.

საკმარისია ღრმად ჩაუვყვირდეთ ტექსტს და ნათელი გახდება, რომ ამ წერტილებზე, როგორც გარდატეხის პუნქტებზე, მითითებები გვაქვს თვით პოემაში.

ტარიელი გვიამბობს, როგორ მოკლა სასიძოდ მოწვეული უფლისწულის ამთავრებს ეპიზოდს:

ხმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსაწვევარი;
 წამოვე, ძებნა დამიწყეს, დახოცე ჩემი მღვევარი;
 ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,
 მუნ შიგან შევე მშვიდობით, ამოდ იგივე მე ვარი (562).

ამგვარად, მეფესა და ტარიელს შორის ხიდი ჩატყდა, მათი გზები გაიყარა, ტარიელი საკუთარ ქალაქში ჩაიკეტა და პოლიტიკური აჯანყება გამოაცხადა:

კაცი გავგზავნენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა:
 «აქა მომმართეთ, ვინცაღა ჩემსა იქმოდეთ შევლასა».
 არ გაწყდა მოსლვა მღვევართა ლამესა დია ბნელსა,
 ჩემი რა ცნიან, სცევდიან თავებსა მათსა მრთელსა (563).

ინდოეთის მეფეს კი შეუთვალა:

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიღვი
 ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიღვი.
 ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე,
 სხვად მეშველსა, გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე (569).

ნათელია, რომ სასიძოს მოკვლამ გამოიწვია პირველი გარდატეხა როგორც ინდოეთის პოლიტიკურ, ისე გმირების ცხოვრებაში. აღარ ვიცით, რა მიმართულებას მიიღებენ მოვლენები, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მეფე, დავარი, სამეფო საბჭო, ხვარაზმელები. ცხადია ერთი რამ: ტარიელი აუჯანყდა ფარსადანს, მიჯნურთა მომავალი დაიბინდა, გაჩნდა კვანძი. მის წარმოშობას ხელი შეუწყო ნესტანის და ტარიელის შეცდომამ: მათ ვერ გაითვალისწინეს თავიანთ დემარსზე საპასუხო რეაქციები მეფისა, დავარისა და ხვარაზმელთა მხრივ, და არც ნესტანი, არც სასახლე სამხედრო დაცვას არ დაუქვემდებარეს.

შედგამაც თავი სწრაფად იჩინა: ნესტანი სასტიკად დასაჯეს (სხვათა შორის, ტარიელის შეცდომამზე ლაპარაკი ზოგიერთ რუსთველოლოგს შეიძლება ჩვენს მხრივ კანდიდებლად მოეჩვენოს. მაგრამ არავინ არ უნდა დაივიწყოს, რომ რუსთაველი ადამიანებს ხატავს და არა ღმერთებსა და ზეაკებს).

კიდევ უფრო მკაფიოდ მიუთითებს რუსთაველი კულმინაციაზე. უამბობს რა ასმათი ტარიელს ნესტანის დაკარგვის შესახებ, წინასწარ ამზადებს მას შემასრულებელი ამბის მოსასმენად:

ღმერთმან სიმგრველუ ცისა ჩვენთვის რისხვით წამოგრაგნა (572).

ნესტანისათვის, ინდოეთის ტახტის ერთადერთი მემკვიდრისათვის (530), უფრო დიდი უბედურება, ვიდრე ტარიელის ჩამოშორება, ზანგთავან გატაცება და მათთან ზღვა-ზღვა სახიფათო ხეტიალია. შეუძლებელია. ასევე ტარიელისთვის უფრო უარესი უბედურება, ვიდრე ნესტანის უგზო-უკვლოდ დაკარგვაა, არაფერი მოხდება. ხოლო ყველაფერ ამას მოჰყვა ისეთი დიდი პერსონის თვითმკვლელობა; როგორცაა მეფის და, ნესტანის აღმზრდელი დავარი. თავისთავად ნათელია, აქა გვაქვს კულმინაცია.

დავარის თვითმკვლელობა შეუვალი არგუმენტია იმისა, რომ ამ ფაქტის უშუალო წინამდებელი მოვლენით და თვით ამ ფაქტით ქმნის რუსთაველი კულმინაციას: თვითმკვლელობას ხომ ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, როცა ის ან იგრძნობს, რომ მისი არსებობის ყველა გზები დაიხურა და სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს, ან გამოუსწორებელი და აუტანელი შეცდომა ჩაიდინა. აქი ამას თვით დავარივე აღიარებს: „მქმნელი ამისა (ნესტანის დაკარგვისა) ვინ არ დამქოლოს, ვინ არ, და-! ვიდრე მომკლვიდეს (ფარსადანი), მოკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა“. ამას მოსდევს ტაპი:

ღანა დაცა, მუცაკვა, დაცა, გასისხლმდინარდა (585).

ეს კი იყო შედეგი მის მიერ გადადგმული საბედისწერო ნაბიჯისა: მიჯნურთა შემეარებელი გზების მთლიანად დახლართვისა, დაბურდვისა.

ასევე მკაფიოდ მიუთითებს რუსთაველი, რომ ჭაშნავაძის მკვლელობით გაიხსნა დაბურდული ვითარების ნასკვი: იწყებს რა ამ ეპიზოდის შემდეგ ნესტანის თავგადასავალს, რუსთაველი სავანებოდ აფრთხილებს მკითხველს ფატმანის პირით:

თავითგან ვითხრობ ყველასა, თქვენ სმენად დამზადენათ (1120).

მართლაც, ჭაშნავაძი რომ არ მომკვდარიყო, ავთანდილი ვერაფერს გაიგებდა ნესტანისას. აქი შეშინებულმა ფატმანმა უთხრა ავთანდილს:

ორისგან ერთი ქმნით: ამის მტკა ნურას ჭლამით:
 მო-ვითა-ჰკლავ იმა კაცსა, წადი, მოკალ მალვით, ღამით,
 მოხვალ, ვითხრობ ყველაქასა, მო-ვით-ვითხრა ცრემლთა ღამით (1107).
 თვარა ღამითვე ტვირთები შენი წაიღე ვირითა,
 დააგდე ჩემი მიღამო, სრულად მიკრიფე, მი-რითა;
 ვევე, რომე ჩემთა ცოდვითა შენცა ავაესონ პირითა,
 თუ დარბაზს მივა ისი ყმა, შეილთა დამაჰმეეს პირითა (1108).

სრულიად სამართლიანად წერს მკვლევარი მანუჩარ ანთაძე, რომ „გულან-შაროლან წასვლით (ე. ი. თუ ის ფატმანის მეორე პირობას შეასრულებდა —

ქაშნაგირის მკვლევლობას განერიდებოდა — მ. მ.), ავთანდილი კარგავდა ნესტანის ამბის გაგების იმ ერთადერთ და ისედაც სათუო შანსს, რაც მას ფატმანთან დაახლოებით ეძლეოდა“ (რუსთაველის მხატვრული სიმართლე და შემოქმედების ფსიქოლოგია, კრ. „ძველი ქართული მწერლობისა და რუსთაველოლოგიის საკითხები“, წ. VI, თბ., 1974, გვ. 75). მაშასადამე, ვიმეორებთ, ეს მკვლევლობა ხსნის კვანძს. მართლაც, ავთანდილმა მოკლა ქაშნაგირი, ფატმანი გაიძახის:

მე და უსენი შვილითურთ აწ ახლად დავიბადენით...

თავითგან ვითხოვ უველსა, თქვენ სმენად დავმზადენით (1120)...

მე მგონია, საქმისათვის უმჯობესი იქნება, ვერწმუნოთ თვით უდიდესი პოეტის მითითებებს თავისი პოემის საკომუნიკაციო წერტილებზე, ვიდრე „აღმოვაჩინოთ“ იქ, სადაც არ შეიძლება ეს წერტილები მდებარებოდნენ.

М. С. МАХАТАДЗЕ

ОТНОСИТЕЛЬНО ОСНОВНЫХ СЮЖЕТНЫХ ТОЧЕК «ВЕПХИСТКАОСАНИ»

Резюме

В статье доказано, что главными героями непременно «одноплановой» поэмы являются Нестан и Таризэл, а завязкой, кульминацией и развязкой, соответственно, убийство Хатайского принца, самоубийство Давар в связи с бесследным исчезновением Нестан и убийство Чашнагира.

Руставели сам акцентирует внимание на этих узловых моментах, но большинство руствелологов обходит молчанием авторские указания.

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრა

წარმომადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ძვლანი მითრევილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ჰიმნოგრაფიული ტერმინი „მინიწველი“

გამოკვლევაში, რომელიც წინ უძღვოდა ქართული „ძლისპირის“ უძველესი რედაქციების პუბლიკაციას, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა შევხებოდით საკითხს, თუ როგორ ხდებოდა ბერძნულიდან ქართულად საგალობლების თარგმნა და თარგმნილი ტექსტისათვის კილოს შეწყობა. აქ არ გავიმეორებთ იმას, რაც უკვე ითქვა, შეგახსენებთ მხოლოდ ზოგიერთ დებულებას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება წინამდებარე წერილის თემას: 1. X საუკუნეში მოღვაწე მეხელნი² იყვნენ გალობის მოძღვარნი და მეცნიერნი, რომლებიც ერთდროულად ფლობდნენ ორ პროფესიას: ა. ბერძნულიდან საგალობლების თარგმნის ტექნიკას, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ საგალობლების თარგმნისას ისინი იცავდნენ, გიორგი მთაწმიდლის გამოთქმა რომ ვიხმართ, „დასდებლის ძალასა და შენაწევრებას“, ე. ი. ზუსტად გადმოსცემდნენ დასდებლის, ანუ საგალობლის, შინაარსსა და სილაბიკას. ბ. მეხელები თარგმნილ საგალობლებს თვითონვე შეუწყობდნენ ბერძნულ კილოს.

მეხელები საგალობლის ტექსტთან ბერძნული კილოს შეწყობის სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ. თავდაპირველად ქართულ რიტმულ საგალობლებსათვის ბერძნულ კილოთა მისადაგება ხდებოდა ზეპირად. მეხელებმა და ქართველმა პროფესიონალმა მგალობლებმა იკვლნენ ზეპირად ბერძნული კილოები და გაუთხის პრეცედენტი უსადაგებდნენ ქართულ ტექსტებს საჭირო ბერძნულ კილოს.

შემდეგ ეჭაპზ მეხელები ჭაოული ძლისპირისა თუ საგალობლის ტექსტთან მიუთითებდნენ ბერძნული ძლისპირისა თუ საგალობლის ტექსტის დასაწყისზე ქართული ტრანსკრიფციით და ამ გზით მიანიშნებდნენ ბერძნული საგალობლის კილოზე.

და ბოლოს, ეს წესი შეცვალა ტექსტებზე კილოს ფიქსაციამ ნევმებით, რაც ბერძნული კილოს გახსენებისა და აღდგენის ტექნიკურად უფრო სრულყოფილი საშუალება იყო. ეს ორივე საშუალება ერთხანს ერთადვე იხმარებოდა: საგალობლის დასაწყისთან მიუთითებდნენ ბერძნული ძლისპირის ტექსტის დასაწყისს ქართული ტრანსკრიფციით და, ამავე დროს, კილოს აღნიშნავდნენ ტუპებზე ნევმების დატანით. შემდეგ მითითებები ბერძნული ძლისპირების დასაწყისებზე ხელნაწერებში თანდათან ქრება და რჩება მხოლოდ ნევმები (იხ. „ძლისპირნი“, გვ. 060).

სამწუხაროდ, ქართული ნევმური სისტემის განვითარების ქრონოლოგიური სურათი ქართულ ხელნაწერებში შესწავლილ არ არის, განვითარება კი (მარტივი მობაზულობიდან რთული საკენ) ამკარად შეიძლება X საუკუნის I და II ნახევრის ნეიმორებულ ხელნაწერებში.

ამრიგად, მეხელები ერთდროულად იყვნენ პოეტი-მითარგმნელებიც და მუსიკის თეორიის დაუფლებული მგალობლებიც, რის გამოც მათ ხელეწიფებოდათ ბერძნულიდან საგალობლის თარგმნაც და ხმაზე დადებაც.

1 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 47—55.

2 „მეხელისა“ და „მეხელის“ შესახებ იხ. იქვე, გვ. 85.

ამავე გამოკვლევაში აღნიშნულია ისიც, რომ XI საუკუნის დამლევისათვის მეხელებისაგან განსხვავებით, საგალობლის ბერძნულიდან თარგმნასა და მის ხმაზე გაუყობას უკვე ორი სხვადასხვა პირი ასრულებდა³. ამის მაგალითად მოყვანილია სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი არსენ ივალთოელის ანდერძი, რომელიც ერთვის მის მიერ თარგმნილ ანდრია კრიტელის „დიდ კანონს“. ანდერძიდან ირკვევა, რომ დავით აღმაშენებლის ბრძანებით არსენს უთარგმნია ეს კანონი „უცვალებელად თვისისაგან კმისა, თვთ მათვე ძლისპირთა ზედა, რომელთა ზედა წმიდასა ანდრეას ბერძულად აღწერნეს“. ხოლო იოანე კათალიკოსს, რომელიც ზეცით მომადლებული ნიჭით სამუსიკო ხელოვნების ოსტატი იყო, დავით აღმაშენებლისაგან ებრძანა ამ კანონის „კმისა დადებისა კელ-ყოფაჲ, ვინაითგან უცხონი იყუნეს ჩუენისა ენისაგან ძლისპირნი ამათნი“. ე. ი. იოანე კათალიკოსს არსენის მიერ თარგმნილი გალობებისათვის უნდა შეეწყო ნევმების საშუალებით შესაბამისი ბერძნული ძლისპირების კილოები, ვინაიდან ეს ძლისპირები აღრე ქართულად თარგმნილი არ იყო, ამდენად ამ ძლისპირთა კილოებს ქართული მგალობლები არ იცნობდნენ და არც ქართული „ძლისპირნის“ რეპერტუარში იყვნენ ასახულნი.

თუ რა დროიდან ხდება ბერძნულიდან საგალობლების თარგმნის დროს ფუნქციების განაწილება ორ პირს შორის — „დასდებლის მეცნიერსა“ და პროფესიონალ მუსიკოსს შორის, ამის თქმა ძნელია. საკუთრივ ქართული ნევმირებული ხელნაწერების გადაწერის დროს კი შრომის განაწილება გადამწერსა და ნევმატორს შორის უკვე ჩანს XI საუკუნის დამდეგის ნევმირებულ ხელნაწერებში. ამ მხრივ ერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ქართული ნევმირებული „ძლისპირნის“ ათონური ხელნაწერი № 85.

მაგრამ, სანამ ამ ხელნაწერს შევხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ მიქაელ მოდრეკილის ცნობილ იადგარში დადასტურებულ ორ ჰიმნოგრაფიულ ტერმინს, რომლებიც აგრეთვე უშუალოდ საგალობლების ნევმირებასთან არიან დაკავშირებული.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში „აღდგომის დასდებლების“ ციკლს ერთვის მიქაელის ცნობილი ანდერძი: „მე გლახაკმან... მიქაელ მოდრეკილმან ვილუაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი რომელნი ვბოენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი⁴ ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა წესისაებრ საეკლესიოჲსა: ო¹ო ლაღატყავითა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა ძლიერად და სიწმიდით და სიმაართლით, ს ი ს წ ო რ ი თ ა კ ი ლ ო მ ს ა ა თ ა და უ ც თ ო მ ე ლ ო ბ ი თ ა ნ ი შ ნ ი ს ა ა თ ა“.

ანდერძის მიხედვით მიქაელმა მოიპოვა მაღალი მხატვრული ღირსების მქონე მეხური ბერძნული და ქართული აღდგომის საგალობლები, რომლებიც გამართულნი იყვნენ „დასდებლის მეცნიერების“ ყველა წესის დაცვით კილოს სისწორითა და ნიშანთა უტომელობით.

³ იქვე, გვ. 054.

⁴ მიქაელ მოდრეკილი ამ შემთხვევაში მეხური დასდებლების ქვეშ გულისხმობს მეხელების მიერ ქართულ ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებულ რიტმულ პროზას, ცლისპირ-დასდებლის თანდარლობაზე დამყარებულ საგალობლებს როგორც ბერძენი ავტორებისა, ასევე ქართველებისც.

ჩვენთვის საინტერესოა ანდერძის უკანასკნელი წინადადება, სადაც ხაზგასმულია საგალობელთა კილოს სისწორე და ნიშნათა უცთომელობა: ცხადია, ნიშანი⁵ აქ სხვა არაფერია, თუ არა ნევმი, რომლითაც ხდება დასდებელზე კილოს გაწყობა.

„ნიშანი“ სპარსული სიტყვაა (نشان); ქართულში ის თავისი ძირითადი მნიშვნელობით (знак) შემოვიდა. ახალი სპარსული ლექსიკის გავრცელება ქართულში IX საუკუნეზე ადრე არ იფარაუდება. ეს ფაქტი იმის საბუთადაც გამოდგება, რომ ქართულ ჰიმნოგრაფიულ მწერლობაში ნევმების სისტემა IX—X საუკუნემდე ვერ დამკვიდრდებოდა. მას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ უძველესი ნევმირებული ხელნაწერები X საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და უკვეშირდება მეხელეების მოღვაწეობასა და პირველი მეხური იადგარის თარგმნა-ჩამოყალიბებას (მეხელისა⁶ და მეხურის შესახებ — იხ. აქვე, გვ. 85).

„ნიშანი“ რომ აქ უთუოდ ნევმების აღნიშვნელი ტერმინია, ამას ადასტურებს მიქაელ მოდრეკილის კიდევ ერთი შენიშვნა: „საყუარელნო, უკუეთუ ერთსა ძლისპირსა ზედა რომელიმე კილოა ერთი ორგუარად იყოთ აღნიშნულ, ნუ უცხო გიჩნ, ნუცა ურთიერთას წინააღმდეგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისპირისა ერთი კილოა ორგუარად არს მეხურად, ხოლო შენ, რომელი გინე, ბრძანე, რამეთუ ორივე ჭეშმარიტ არს“⁶.

ამ ცნობაში „აღნიშნული“ ძლისპირი ნიშნადსამულ ძლისპირს ნიშნავს, „ნიშანი“ კი, როგორც უკვე ითქვა, ნევმის ქართული შესატყვისია. ამრიგად, „აღნიშნული ძლისპირი“ „ნევმირებული ძლისპირია“, ხოლო ტერმინი „აღნიშვნა“ ნევმირებას ნიშნავს. ამ მინაწერით მიქაელი აფრთხილებს პროფესიონალ მგალობელს, რომ თუ მას შეხვდება ნიშნებით ორნაირად აღნიშნული ერთი და იგივე კილო, ნუ გაუკვირდება და ნურც ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიიჩნევს, ვინაიდან მრავალი ძლისპირის კილო ორგვარად არის მეხურადო. აქ იგულისხმება ის შემთხვევებიც, როდესაც ნევმირებულ ხელნაწერებში ძლისპირების კილო ნევმებით სავსებით ერთნაირად არ არის ფიქსირებული. ეს არის ერთი კილოს ფარგლებში დასაშვები მუსიკალური ვარიანტები. ამ ფაქტს ხსნიან ნევმური სისტემის არასრულყოფილებით, რის გამოც რჩება ადგილი მგალობლის თავისუფალი შემოქმედებისათვისაც. ძლისპირთა კილოებში ეს ვარიანტული სხვაობები ცალკეული მგალობლის ან მგალობელთა სკოლის ტრადიციასაც ასახავენ ზოგჯერ. ეს ფაქტი ბიზანტიური მუსიკის ისტორიაში კარგად არის ცნობილი და სათანადოდ ახსნილიც.

მაგრამ მიქაელის შენიშვნაში მითითებულ ამ ფაქტს შეიძლება სხვაგვარი ახსნაც მოეთებნოს: ცნობილია, რომ ბერძნულ „ირმოლოგიონებში“, უფრო იშვიათად ქართულ „ძლისპირნიშვიც“, რაც შემთხვევაში ერთი და იგივე ძლისპირი შეტანილია სხვადასხვა ჯმის ერთისა და იმავე გალობის ძლისპირთა რიგში, ზოგჯერ სხვადასხვა ჯმის სხვადასხვა გალობაშიც კი. ასეთ შემთხვევაში ჯმისა და გალობის შესაბამისად ერთი და იგივე ძლისპირი სხვადასხვა კილოს იძენს და, მასადაამე, განსხვავებულად არის ნევმირებული ანუ აღნიშნული. მიქაელ მოდრეკილი ერთ-ერთ ამ დასახელებულ შემთხვევას გულისხმობს თავის შენიშვნაში, თუ ორივეს ერთად, ამაზე პასუხის გასაცემად საჭიროა საგანგებოდ ნევმირების თვალსაზრისით შესწავლილ იქნეს ნევმებიანი „ძლისპირნიშ“ ნუსხები ერთმანეთის გვერდით. ჩვენ-

⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. 1, 1960, გვ. 544, 1. (შენ.).

⁶ ხელნაწერთა აღწერილობა (S), ტ. 1, გვ. 545, 4 (შენ.).

თვის კი ამ შემთხვევაში საინტერესოა ის, რომ უკვე X საუკუნეში არსებობს ორი ჰიმნოგრაფიული ტერმინი — „ნიშანი“ და „აღნიშვნა“ და ორივე დაკავშირებულია საგალობლის ნეუმირებასთან.

ცხადია, რაკი ხდებოდა „ნიშნებით“ საგალობლების „აღნიშვნა“, უნდა ყოფილიყო ამ საქმის მცოდნე და შემსრულებელიც. ამ პროფესიის აღმნიშვნელი ტერმინი მართლაც არსებობდა. ის დადასტურდა ათონის ზემოთ მოხსენიებულ ნეუმირებულ „ძლისპირნიში“ — ათონის კოლექციის ხელნაწერ N 85-ში.

ამ ხელნაწერის ერთ-ერთ მინაწერში კვითხულობთ: „ქრისტე, შეიწყალე ამის წიგნისა მნიშვნელი, ამინ“ (გვ. 287). ეს მინაწერი შეუძმნეველი დარჩათ ალ. ცაგარელსა და რ. ბლეიკს ათონის ხელნაწერთა აღწერალობებში. არ გამოეპარა ის მხოლოდ ნ. მარის მახვილ თვალს.

ნ. მარის ნაშრომი «Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера»⁷ შეიცავს ხუთი ათონური ჰაგიოგრაფიული ხასიათის ხელნაწერის ვრცელ აღწერაობას. ამ აღწერაობას დამატების სახით ერთვის მოკლე შენიშვნები კიდევ რამდენიმე ათონურ ხელნაწერზე. ამ „დამატებაში“ ავტორი გვაცნობს ებება ორ ათონურ „ძლისპირთა“ კრებულს. ერთი მათგანია Ath. 85. ამ ხელნაწერიდან ნ. მარის მოპყავს რამდენიმე მინაწერი, მათ შორის ზემოთ მოყვანილი მინაწერიც, რომელმაც მისი ყურადღება მიიპყრო, ჩანს, სწორედ ტერმინ „მნიშვნელის“ გამო⁸. ამრიგად, ეს მინაწერი, და აღენდა ტერმინი „მნიშვნელიც“, ნ. მარის შრომის მეოხებით, ჩვენი დიდი ხანია ცნობილი იყო, მაგრამ მის მნიშვნელობაზე მსჯელობა ხელნაწერის ნახვის გარეშე შეუძლებელი იყო.

ახლა, როდესაც შესაძლებელი გახდა ამ მინაწერის გაცნობა თვით ხელნაწერში, მისი მნიშვნელობაც უკეთ გამოიკვეთა.

ხელნაწერი Ath. 85 ნეუმირებული, ანუ „აღნიშნული ძლისპირნია“. დაწერილია ხელნაწერი კლასიკური XI საუკუნის დახრილი, მსხვილი ნუსხურით. ხელნაწერის უფრო ვიწრო ქრონოლოგიური ჩარჩოთი შემოფარგვლის საშუალებას იძლევა ხელნაწერის ერთი მინაწერი, რომელიც ერთ-ერთი სათაურის გავრცელების სახით ტექსტის მთავრულით არის მიწერილი: „ქრისტე აღიდგე ჯ(ო)ჯიკ ერისთავთა ერისთავი აწ და უკუნისამდე, ამინ“ (გვ. 133).

მინაწერის მიხედვით ჯოჯიკ ერისთავთა-ერისთავი ხელნაწერის გადაწერის დროისათვის ცოცხალია და, საფიქრებელია, დაკავშირებულია ამ ხელნაწერის შექმნასთან (შესაძლებელია მომგებელიც იყო).

ჯოჯიკ ერისთავთა-ერისთავს ქართულ ნარატიულ წყაროებში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. შესაძლებელია, ჯოჯიკ ერისთავთა-ერისთავი იყო მამა ან ძმა ფერის ჯოჯიკის ძისა⁹. თუ ამ ვარაუდს მივიღებთ, მაშინ ხელნაწერი XI საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ საქართველოს რომელიმე მონასტერში გადაწერილად უნდა მივიჩნიოთ, მონასტერში, სადაც გალობის სწავლება მაღალ პროფესიულ დონეზე იყო დაყენებული. XI საუკუნეში ერთ-ერთი ასე-

⁷ Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера, ч. I, СПб., 1900. — Записки Восточного отделения Императорского археологического общества, т. XIII.

⁸ იქვე, გვ. 10.

⁹ იხ. ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი II, თბ., 1967, გვ. 117. ძლიერს ცნობით ჯოჯიკ ერისთავთა ერისთავი თორნიკე ერისთავთან ერთად ებრაძდა ბარდა სკლიაროსს.

თი მონასტერი იყო ხახულის მონასტერი, სადაც ქართულ გალობაში ჯერ გაიწაფა, ხოლო შემდგომ მგალობელთა მოძღვრის პატივი დაიმსახურა გიორგი მთაწმიდელმა, რომლის ერთ-ერთი აღმზრდელი და მფარველი იყო ფერისჯოჯიკისძე.

საფიქრებელია, რომ Ath. 85 ხელნაწერში ნეგები, ანუ ნიშნები, როგორც ჩვეულებრივ, სინგურით არის შესრულებული (ფოტოპირში ეს არ ჩანს). ჩვენთვის საინტერესო მინაწერი შესრულებულია ტექსტისაგან სრულიად განსხვავებული XI ს. სწორი კუთხოვანი ნუსხურით; საფიქრებელია, ასევე სინგურით, ე. ი. იმავე მელნით, რომლითაც „მნიშვნელი“ სვამდა „ნიშნებს“ ძლისპირზე. განსხვავება ხელნაწერის ძირითად ხელსა და მინაწერის ხელს შორის მოწმობს იმას, რომ „ძლისპირის“ ვადამწერი და მისი „მნიშვნელი“ ერთი და იგივე პირი არ ყოფილა და რომ „მნიშვნელი“ ამ დროისათვის უკვე ცალკე პროფესიაა. ამ ხელნაწერის შექმნაზე მუშაობდა ჯერ „ძლისპირის“ ვადამწერი, ხოლო შემდეგ მისი „მნიშვნელი“. ორივესათვის მოდელი უნდა ყოფილიყო „ქართული ძლისპირის“ უფრო ადრეული ნუსხა. თუ რა ევალეობდა „მნიშვნელს“, გარდა ტექსტის „აღნიშვნისა“, აკონტროლებდა და ასწორებდა თუ არა ის ტექსტს რიტმული თვალსაზრისით და ამოწმებდა თუ არა ის ძლისპირის კილოს სისწორეს ბერძნული ნეგებირებული „ირმოლოგიით“, ეს ცალკე შესწავლის საგანია. წინასწარი ვარაუდით კი „მნიშვნელის“ ფუნქციებში ეს, ალბათ, არ შედიოდა. მისი ცოდნა იფარგლებოდა ქართული ძლისპირების უკვე დადგენილ კილოთა ტრადიციული რეპერტუარით და ამ რეპერტუარის მიხედვით ტექსტების „აღნიშვნით“ (ნეგებირებით).

ეს ტრადიციული რეპერტუარი კი გამოვიდა „მეხელების“ ხელიდან¹⁰. მათ არა მარტო თარგმნეს ძლისპირთა პირველი კრებულები, არამედ შეუწყვეს კიდევ ძლისპირებს ბერძნული კილოები. ამის საშუალებას მათ აძლევდა მაღალი პროფესიონალური განათლება. ისინი დაუფლებული იყვნენ როგორც დასდებლის თარგმნის მეცნიერებას, ასევე ბიზანტიური გალობის რთულ თეორიას, რომელიც დღემდე არ არის ბოლომდე შესწავლილი და ამოხსნილი.

მეხელთა შემდეგ ქართული საგალობლების ტრადიციული წიგნების გადაწერა და გამრავლება ევალეობდათ განსხვავებული პროფესიის ჰიმნოგრაფებს. ერთი მხრივ, „დასდებლის მეცნიერებს“, რომლებსაც ტექსტების გადაწერის პროცესში საგალობლების მეტრული გამართვა ევალეობდათ, ხო-

¹⁰ მეხელების თარგმნითა პროდუქციამ თავი მოიყარა „მეხურ იაღარში“, რომელიც მოხსენებულია მელქისედეკ კათალიკოსის 1040 წლის ანდერძში (იხ. კ. ჭეკელიძე, მეხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ: ეტილოები, I, გვ. 248, № 20). რა უნდა ვუვლისხმეთ „მეხური იაღარის“ ქვეშ პირველი იაღარი, შედგენილია მეხელების მიერ, მათ მიერვე თარგმნილ მეხურ, ანუ ძლისპირ-ტროპართა თანაფარდობაზე დამყარებულ და კილოზე გაწყობილ საგალობელთა გამოყენებით, თუ მეხური საგალობლების შემცველი როგორც პირველი, ასევე მისი შემდგომი შევსებით მიღებული X—XI საუკუნეების ყველა იაღარზე ვფიქრობთ, რომ „მეხური იაღარი“ მეხურ ვალაჟათა შექმველა იაღარების ზოგადი სახელწოდებაა, ერთი მხრივ, „უძველესი იაღარის“ საპირისპიროდ, ხოლო, მეორე მხრივ, კერძო დანიშნულების ლიტურგიული კრებულების საპირისპიროდ, რომლებიც ათარის ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენლებმა—(ქვეთივ და გიორგი მთაწმიდელმა) მეხელების შემდგომ შეადგინეს და დაამკვიდრეს ქართულ ლიტურგიულ მწერლობაში XI ს. (შდრ. კ. ჭეკელიძე, დასაბ. წერილი, გვ. 217, № 14).

ლო, მეორე მხრივ, „მნიშვნელებს“, რომლებიც მეტრულად გამართული საგალობლების „აღნიშვნას“, ანუ ნევმირებას, აწარმოებდნენ.

მაგრამ „მნიშვნელის“ პროფესიის პარალელურად XI საუკუნეში არსებობდნენ მეცნიერი-მუსიკოსებიც (ვგულისხმობთ იოანე კათალიკოსს), რომლებიც კარგად ფლობდნენ ბიზანტიური მუსიკის თეორიასა და პრაქტიკას და უშუალოდ ბერძნული ირმოლოგიონებიდან ან საგალობლებიდან გადმოჰქონდათ ქართულად ახლად თარგმნილი საგალობლებისათვის ქართული ნევმური სისტემით იმ ძლისპირთა კილოები, რომელთაც არ იცნობდა ქართულ ძლისპირთა ტრადიციული რეპერტუარი.

ძველ ქართულ ხელნაწერებში გამოვლენილი ზემოთ განხილული ჰიმნოგრაფიულ-მუსიკალური ტერმინოლოგია და ნევმებიან ხელნაწერებზე მუშაობის ორგანიზაცია მაჩვენებელია იმ მაღალი დონისა, რომელსაც X—XI საუკუნეებში მიაღწია ქართულმა ჰიმნოგრაფიამ.

Е. П. МЕТРЕВЕЛИ

ГРУЗИНСКИЙ ГИМНОГРАФИЧЕСКИЙ ТЕРМИН «МНИШНВЕЛИ»

Резюме

Известный грузинский Тропологий X века (S—425) сохранил нам два термина, связанных с невмированием песнопений: 1. ნიშანი (нишани) — грузинское название невмы; 2. აღნიშნული (агнишнули) — означает невмированный.

В афонской рукописи № 85 первой половины XI века был выявлен еще один термин — „მნიშველი“ (мнишвели), содержание которого до сих пор не было раскрыто. Этот термин этимологически связан с ნიშანი (невма) и означает профессию певчего, который занимается невмированием музыкальных рукописей (невматор).

Исследование музыкальных рукописей X—XI вв. показало, что такое разделение труда, когда писец только переписывает песнопения, а «мнишвели» только невмирует тексты, характерно для XI века.

В X веке, когда переводился с греческого и пополнялся первый Тропологий, содержащий ирмологий и годичный цикл песнопений, составлением таких сборников занимались грузинские профессиональные гимноды, которые именовались «мехели». Они были знатоками византийского стихосложения и теории византийской духовной музыки, что позволяло им не только переводить должным образом песнопения, но и приспособлять к ним греческие мелодии этих песнопений. Таким образом, «мехели» были одновременно и поэтами, и знатоками пения, и композиторами.

С XI века, когда основной репертуар музыкально-литургических книг был уже составлен, в универсальных гимнодах (мехели) уже не было надобности. Для размножения же этих книг использовались люди двух профессий: писцы-каллиграфы, которые переписывали тексты песнопений, и профессиональные певчие—мнишвели, хорошо владеющие грузинским репертуаром песнопений, которые невмировали тексты по существующим грузинским моделям.

ცოტნე კიკვიციანი

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისათვის

ცნობილია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი ცალკეულ ნუსხებში ხშირად კურიოზებამდეა დამახინჯებული. ამ ტექსტის მეცნიერულად დადგენისათვის დიდი მუშაობა ჩაატარეს ივ. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. მიუხედავად ამისა, ტექსტში ბევრი ადგილი ჯერ კიდევ გასაძიარავი და დასაზუსტებელია. „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის შესწავლა ამჟამად გრძელდება და ცალკეული დაკვირვებანი და შესწორებანი ქვეყნდება კიდევც.

„ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის შემდეგ აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთი ნუსხა 1697 წლისა, რომელიც „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტსაც შეიცავს. ამ ახალი ნუსხის (რომელსაც ჩვენ S ლიტერით აღნიშნავთ) ჩვენმა აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საერთოდ „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ „ისტორიათა და აზმათა“, ტექსტის დასადგენად. ჩვენი დაკვირვებით, ბევრი ადგილი ამ ნუსხამ შეიძლება შეასწოროს და ბევრიც, რომელიც კონიექტურის წყალობითაა გამართული დღეს გამოცემაში, დაადასტუროს. ამ წარმოვადგენთ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის ზოგიერთ შესწორებას, რომელიც ძირითადად S ნუსხის გათვალისწინების შედეგადაა მიღებული.

1. **მაძგერებელი?** „ისტორიათა და აზმათა“ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „საღლუხ სალჩუკიანი, რომელი სულტანთა გუარსტომობდა სრულიად, მრავალთა დიდთა მებატონეთა და ფადაშაპთა სპარსეთისათა თანა, მსგავსად მჯეცთასა აღმოსველი კბილთა, ღიღითა და მიუწდომელითა ძალითა და უპამრავითა ლაშქრითა მოვიდა და მოადგა ანისსა, ყოველთა დღეთა კართა ზედა მბრძოლი მ ა შ ქ ე რ ე ბ ე ლ ი და მაძგერებელი ცხენთა და აბჯართა“¹. ხაზგასმული სიტყვა ასევე იკითხება აკად. კ. კეკელიძის გამოცემაში². „ქართლის ცხოვრების“ II ტომის ლექსიკონში გამოცემელს კითხვის ნიშნით აქვს ეს სიტყვა განმარტებული: მ ა შ ქ ე რ ე ბ ე ლ ი („მაძგერებელი“?)³. ამ ძეგლის კ. კეკელიძისეულ რუსულ თარგმანში კი შესაბამის

¹ ა. შანიძე, „ისტორიათა და აზმათა დასაწყისი სტრიქონები, თსუ შრომები, ტ. 114, თბ., 1965, გვ. 27—28; გ. ცქიტიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ ერთი ადგილის წაკითხვისათვის, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 223—227 და სხვ.

² ა. აღმაშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ერთი ახალი ნუსხა 1697 წლისა (წინასწარი ცნობა), იმპ. ტ. XXIV, № 3, 1960, გვ. 371—376.

³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 7.

⁴ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ (ცდა ტექსტის აღდგენისა), აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 57.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ლექსიკონი, გვ. 573.

ადგილას ვკითხულობთ «брыная оружием и вздымая коней на дыбы»⁶. S ნუსხაში ეს ადგილი ასე იკითხება: „მ ა ბ გ ე რ ე ბ ლ ი და მამგერებელი აბჯართა და ცხენთა“ (120r). აშკარაა, რომ აქ სწორედ მ ა ბ გ ე რ ე ბ ლ ი უნდა იყოს, რომელიც ბ გ ე რ ე ბ ა სიტყვიდანაა ნაწარმოები და ძველ ქართულში ნიშნავს დ გ რ ი ა ლ ს⁷. ასე რომ, კ. კეკელიძის რუსული თარგმანი (брыная) მართებულიად გადმოგვცემს ამ სიტყვის მნიშვნელობას. სხვა ნუსხათა მ ა შ ქ ე რ ე ბ ე ლ ი კი, როგორც ჩანს, მიღებულია ჯერ ნუსხური ყ-სა და ყ-ს აღრევის, ხოლო შემდეგ კი მხედრულში: შგ→შქ ასიმილაციის შედეგად. ამრიგად, ეს ადგილი ასე უნდა ვაიმართოს: „... მოადგა ანისსა, ყოველთა დღეთა კართა ზედა მბრძოლი, მ ა ბ გ ე რ ე ბ ე ლ ი და მამგერებელი აბჯართა და ცხენთა“.

2. იროად, იროელად? ს. ყაუხჩიშვილი „ქართლის ცხოვრების“ II ტომს წამძღვარებულ გამოკვლევაში, როდესაც აღწუხნავს ტექსტის კონიექტურებს, ერთ ადგილას წერს: „და თვთ იხილნეს ტანითა გორვასლიანითა და მკლავითა აქილიანითა და პირითა მნათობიერითა კაცი ი რ ა ო ლ საგონებელი Mm. (<v) აქ გადამწერს მხოლოდ ის შეცდომა მოსვლია, რომ ხმოვნები გადაუსხამს; უნდა იყოს „ი რ ო ა ლ“: „იროად საგონებელი“, ე. ი. „გმირად მისაჩნევი“. სწორედ ასეთი ფორმით არის ცნობილი ეს სიტყვა იოანე პეტრიწთან: „ვითარ სულები ღმერთთა და იროთაჲ“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, 165, 24).

სიტყვისაგან „იროა“ (იროა) ვნებითი ბრუნვა შეიძლება იყოს მხოლოდ „იროად“. ამიტომ სრულიად ზედმეტია კ. კეკელიძის კონიექტურა: „ი რ ო ი კ ო ლ საგონებელი“ (კ. კეკელიძის გამოც., გვ. 73, 1).

ეს სახელი „იროიკოა“ ძველ ქართულ მწერლობაში იხმარება როგორც ზედსართავი სახელი: „გმირული“, „სავგმირო“, კერძოდ სალექსო საზომის მიმართ, დაქტილური ჰეგზამეტრის აღსანიშნავად. ასე, მაგალითად, ეფრემ მცირე წერს პეტრე იბერის (ფს. დიონისე არეოპაგელის) შრომათა თარგმანის კომენტარებში: „და ესეცა ი რ ო ი კ ო ა ორმუჯულედი ჩუდმეტ მარკული“...

ამ ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვა სხვაც გვხვდება თამარის ისტორიკოსის თხზულებაში: 35,5—7: ხოლო სხუანი ზენნი: გამმარაჯუებლობანი... რაინდობანი და მკურცხლ-მოქმედობანი და მკედრობანი მკედართანი, ი რ ო ე ლ ა დ საგონებლობანი... თუ რანი და რაოდენ იქმნეს, წინამდებარისაგან ეუწყენ მსმენელთა (Mm).

„იროელად“ ზმნისხედაა და ნაწარმოებია ზედსართავისაგან „ი რ ო ე ლ ი“, ე. ი. „გმირული“. ისტორიკოსი ლაპარაკობს თამარის გამარჯვებებზე, მის მხედართა ისეთ საქმეებზე, რომლებიც „გმირულ მოქმედებებად არის ჩასათვლედი“.

ვგ სიტყვა მხოლოდ Mm-შია (V-ში არაა), ისიც სხვა ფორმით: „იროკლიდ“, ფორმა „იროელად“ ჩვენს კონიექტურას წარმოადგენს. ხოლო კ. კეკელიძეს თავის გამოცემაში ისევ „იროიკო“ აქვს ნახმარი („იროიკოდ სავგონებელნი“, გვ. 80, 18). გასარკვევია, თუ რა უნდა წერებულყო დედანში: „იროელად“, თუ „იროიკოდ“. Mm-ის „იროკლიდ“ თავისი „ლ“-ასით უფრო პირველს („იროელად“) უახლოვდება და, მაშასადამე, „კ“ უნდა წარმოადგენდეს „ე“-ს დამა-

⁶ «История и восхваление венценосцев», грузинский текст гегегел, предисловием и приключениями снабдил действительный член Академии наук Грузинской ССР проф. К. Кекелидзе, Тб., 1954, გვ. 24*.

⁷ ი ლ ი ა ბ ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, იხ. სიტყვების: ბ გ ე რ ა, და ბ გ ე რ ე ბ ა ს ა ს განმარტება.

ხიჯებას. რომ ქართულში ყოფილა სიტყვა „იროელი“, ეს ჩანს საბას „ლექსიკონიდან“, სადაც დაწვრილებით არის ლაპარაკი „იროელ“-ზე, როგორც ნახევარ-ომერტზე („ამისთვის იროელი უწოდეს, ვითარმედ კერძომერტი“: ყიფშიძისა და შანიძის გამოცემა, გვ. 153)⁸.

პირველი კონიექტურა ს. ყაუხჩიშვილისა, იროელის ნაცვლად იროად, ჩვენ პრინციპულად სწორად მიგვაჩნია, მაგრამ ვნებითი ბრუნვის ფორმა იროა (ირო) სიტყვიდან ძველ ქართულში მხოლოდ იროად კი არა მხოლოდ იროდ შეიძლება იყოს.

ამ კონიექტურის მართებულობას ადასტურებს S ხელნაწერი, სადაც ეს სიტყვა სწორედ იროდ ფორმით არის დადასტურებული. ასე რომ, S ხელნაწერმა ზედმეტი გახადა კონიექტურა და ტექსტიც სათანადოდ შესწორდა: „კაცი იროდ საგონებელი“.

რაც შეეხება მეორე კონიექტურას: ირიკლიდ→იროელი (ს. ყაუხჩიშვილი), ირიკლიდ→იროიკო (კ. კეკელიძე), აქ უფრო რთულადაა საქმე. ძალიან გაჭირდებოდა ირიკლიდ და იროელი ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმად მიგვეჩნია. აქ, ვფიქრობთ, ს. ყაუხჩიშვილს მსგავსმა კონტექსტმა უფრო უპარახა იროელი აღედგინა (იროდ საგონებელი|იროელად საგონებულობანი), ვიდრე ირიკლიდ სიტყვამ. ასევე მოიქცა კ. კეკელიძეც: პირველ კონტექსტში აღადგინა იროიკო და მეორე, მსგავს კონტექსტშიაც იგივე სიტყვა იგულისხმა.

S ნუსხაში ამ ადგილას იკითხება: „ირკლიდ საგონებლობანი“. თუ პირველ სიტყვაზეც ქარაგმას ვიგულისხმებთ და ქარაგმებს გავხსნით, წავიკითხავთ: „ირაკლიდ საგონებლობანი“. ხომ არ შეიძლება ეს წაკითხვა დედნისეულად მივიჩნიოთ, თუ ვიგულისხმებთ, რომ ირაკლიდ ბერძნული მითოლოგიის გმირი პერაკლუ (ერაკლე) იგულისხმება.

ეს არც ისე მოულოდნელი უნდა იყოს, რადგან, როგორც უკვე შესწავლილი და დადგენილია, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი ხშირად მიმართავს ბიბლიურ, მითოლოგიურ და ლიტერატურულ გმირებს შესადაარებლად⁹.

სხვა ნუსხების ირიკლიდ ფორმა შეიძლება ასე აიხსნას: ძველ ქართულ ხელნაწერებში ხშირია შემთხვევა, როდესაც ა-ს დაქარაგმებისას ქარაგმის ქვეშ იწერება: ირაკლიდ, შემდგომმა გადააწერა, როგორც ჩანს, მ-იდ წაიკითხა და არა ა-დ.

თუ ეს ყველაფერი სწორია, ტექსტი ასე გაიმართება: „...ირაკლიდ საგონებლობანი“... და კონიექტურა საჭირო აღარ იქნება.

3. ფრიად თუ ვითარ? ერთ-ერთ ბრძოლაში გამარჯვების სიხარული ასეა გადმოცემული „აზმანში“: „რა[დ]ცამცა სახე[დ] დაისახოდ[ა], თუ ვითარ მხიარულნი და მმადლობელნი ღმრთისანი და ღმრთისაგან მის სახედ ჩენილისა პატრონისანი იშუებდეს ფრიად მკონენლნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძ[მ]-ისა და თუსი ნათესავისა, პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა“¹⁰.

S-ში ფრიად სიტყვის ნაცვლად იკითხება ვრ (= ვითარ), რაც მე მგონია, უფრო მართებულია. ასევე ვითარ იკითხება ამ ადგილას V-შიც.

⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 042—043.

⁹ კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღიანი“, როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებული, თბ., 1938.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 10 (ხაზი ჩვენია).

ავტორი კითხვას სვამს: რაგვარად, რანაირად გამოიხატებოდა, თუ როგორ მხიარულნი იყვნენ და იხარებდნენ და იქვე ამბობს: როგორც მამა შვილის, შვილი მამის, ძმა ძმის, ნათესავი ნათესავის, პატრონი ყმისა და ყმა პატრონის მპოვნელი. აქ კონტექსტით უფრო ვითარ არის მოსალოდნელი, ვიდრე ფრიად. გარდა ამისა ძმისა, იკითხება S-ში (ნაცვლად Mm-ის ძისა) და ეს უკვე კონიექტურა აღარ იქნება.

4. თავისა-მსხმელი, თავს-მსხმელი თუ თავისდა ამხმელი? ქრისტეს შესახებ „აზმანში“ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „ამისად შემდგომად, თავისა-მსხმელ მან ცოდვათა და ცთომათა მედინისა ამის და ხრწანდისა სოფლისათამან, მიიღო სიკუდილიცა უკუდაემან“¹¹.

კ. კეკელიძე ხაზგასმულ სიტყვას ასე კითხულობს: თავს-მსხმელ მან, Mm-შია თავის მსხმელმან. S-ში კი შესაბამის ადგილას (125r) იკითხება თავისდა ამხმელ მან. ლექსიკონში სხვა ადგილზე მითითებით ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს „თავის-მსხმელი“ („რომელთაც თავს დაატყეს“) 703⁴.

იოანეს სახარებაში ქრისტეზე ნათქვამია: „აჲ, კრავი იგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს (ან აიხუნეს) ცოდვანი სოფლისანი“ (1, 29). ცოდვათა აღხუნა ცოდვათა (თავის თავზე) აღებაა, კისრებაა. სწორედ იოანეს სახარების ამ ადგილის გამოძახილია „აზმანში“. ასე რომ, S-ის თავისდა ამხმელ მან ცოდვათა სახესებით მართებულია. ის, რაც ზმნურადაა გამოხატული სახარებაში, აქ მიმღებობითაა წარმოდგენილი. მიმღებობური კონსტრუქციები კი დამახასიათებელია „აზმანის“ სტილისათვის.

არც კ. კეკელიძისეული წაკითხვა თავს-მსხმელია გამოსარცხავი. ერთ-ერთ ძველ ძეგლში ვკითხულობთ: „მან (ე. ი. ქრისტემ) ცოდვანი ჩუენნი თავს-ისხნა (ე. ი. თავს იღო)“ („იბ. რომ. კურთხ. ისაკ და იაკობ“ 20, 12¹²). აქედან „აზმანისათვის“ დამახასიათებელი მიმღებობური სტილით სწორედ „თავს-მსხმელი“ გვექნება. რაც შეეხება თავის-ამსხმელს ის, ვფიქრობ, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს.

5. შეკრიბნიან თუ შეუკრებიან? 6. ძლუენნი თუ ძალნი? „აზმანში“ თამარის შესახებ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „და შეკრიბნიან შორის მისსა ძლუენნი გონებათანი და სულთანი, გრძნობათანი და ნერგოვნებათანი“¹³. შეკრიბნიან ს. ყაუხჩიშვილის კონიექტურაა, M-შია შეკრებიან, m-ში შეკრებიან. კ. კეკელიძით კი — შეიკრებიან. ვფიქრობ, არც ერთი ამ წაკითხვათაგანი მართებული არ არის. ეს ე. წ. „ძლუენნი“ შორის მისსა (ე. ი. თამარში) არც თავისით იკრიბებიან და არც სხვები კრებენ თუ სხვათ შეუკრებიან. უფრო მართებული უნდა იყოს S-ის წაკითხვა მცირე შესწორებით შეუკრებ[ი]ან, ე. ი. თამარს თავის თავში შეუკრება.

ამ კონტექსტში სრულიად გაუგებარია სიტყვა ძლუენის ხმარება. ძლუენის ის მნიშვნელობები, რომლებიც ცნობილია ძველ ქართულში („შესაწირავი, მისართმეველი“¹⁴, ქრთამი“), აქ არ ესადაგება. უფრო მართებული ჩანს S-ის წაკით-

¹¹ იქვე, გვ. 23 (ხაზი ჩვენია).

¹² ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები).

¹³ „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 29.

¹⁴ ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები).

ხვა ძლ ნ ი (= ძალნი). ძლ ნ ი-დან ძ ლ უ ე ნ ი ს მიღება ნუსხური *ნ-სა* და *ნ-ს* გრაფიკული აღრევის ნიადაგზე ადგილი წარმოსადგენია: *ძ-ნინ* → *ძინინ*.

ფიქრობ, ეს ადგილი S-ის მიხედვით ასე უნდა გაიმართოს: „და შე უ კ რ ე ბ [ი] ა ნ შორის მისსა ძ ა ლ ნ ი გონებათანი და სულთანი, გრძნობათანი და ნერგონებათანი“.

7. ქორწინება თუ განქორწინება? „და მიეცა ობოლთა და ღონიერ ქურცი-თა კელმწიფობა განქორწინებად ობოლთა“ (M—627—628 გვ.).

მოაქვს რა ეს ადგილი მარიაამისეული „ქართლის ცხოვრებიდან“, კ. კეკელიძე წერს: „ეს უაზრო სიტყვები ვახტანგის კომისიას ასე გაუაზრებია: „და მისცა ობოლთა და ქურციკთა კმასაყოფელი მათი და ხელმწიფობა განქორწინებად ობოლთა მათთა“ (ქართლ. ცხოვრ., I, 279). მაინცდამაინც ნათელი აზრი არც აქ არის მოცემული. ჯერ ერთი, გამეორება: „მისცა ობოლთა... და ობოლთა მათთა“, მერე — „განქორწინებად ობოლთა“. თუ მარიაამისეულ ხელნაწერში გამოვადლებთ მეორეჯერ ხმარებულ სიტყვას „ობოლთა“, როგორც დიტოვრაფიულ შეცდომას, მივიღებთ: თამარს „მიეცა ობოლთადა ღონე და კელმწიფებაჲ არა ობოლთა და განქორწინებად“ (ქვიციას რაღა განქორწინება უნდა?) არამედ „ქორწინებად“, ესე იგი — ქვიციებს მიეცათ ქორწინების უფლება¹⁵. ამასთან დაკავშირებით 1945 წლის 14 სექტემბერს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (№ 30) გამოქვეყნდა რუგოშელის შენიშვნა, სადაც ავტორი მართებულად მიუთითებდა, რომ ძველ ქართულში „განქორწინებას“ გათხოვების მნიშვნელობა აქვს და კონიექტურა საჭირო არ არის¹⁶.

მიუხედავად ამისა, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში გაზიარებულია კ. კეკელიძის კონიექტურა.

ამ ადგილას აუცილებლად უნდა აღდგეს წაკითხვა გ ა ნ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა დ, როგორც ეს ყველა ნუსხაშია.

„აზმანში“ ბევრი ადგილი მართებულადაა შესწორებული ჩვენი ცნობილი მეცნიერების მიერ. მაგრამ ეს მაინც კონიექტურებად თვლება, თუმცა კონიექტურები უმეტესად V-ს მონაცემებს ეყრდნობა. S-ის გათვალისწინება ხშირ შემთხვევაში ადასტურებს ამ შესწორებათა მართებულობას და ამდენად ისინი შეგვიძლია კონიექტურებად აღარ ჩავთვალოთ.

ასე მაგალითად, M (616) m (415)-ში იკითხება: „შემოსილი პირად პირადითა ფერადითა ოქროანთა ბისონითა...“ გამოცემაში V-ს მიხედვით შესწორებულია: „ფესვედითა, ასევეა S (124r)-შიც. M (617) m (415): „შემვედრებელი ღთისა მაკურთხევე [ლ] ექმნა აბრამინთა და ისაკისადმდე და ლ უ კ ი ა ნ თ ა იაკობისადმდე“. გამოცემებში მიღებულია კ. კეკელიძის კონიექტურა: „ის ა კ ი ა ნ თ ა, ასევე (ისკნთა) იკითხება S (124r)-შიც. ასე რომ, კონიექტურად აღარ ჩაითვლება. M (625) m (221)-ში: „ჰკრეს სპერმურთა შ უ კ თ ა ქოსთა და წინწილთა“, გამოცემებშია ბ უ კ თ ა, ასევეა და მართებულად S-ში. M (652) m (440)-ში: „მივიდეს მ ტ ე რ თ ა ზედა“. ს. ყაუხჩიშვილი ასწორებს: „მ ტ უ ა რ ს ა ზედა“, ასევეა S (135r)-ში, ე. ი. კონიექტურად აღარ ჩაითვლება. ერთი ადგილი Mm-ის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილმა თავის გამოცემაში ასე დაბეჭ-

¹⁵ ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, კ. კეკელიძის რედაქციით, გვ. 8—9. (ხაზი ჩვენია).

¹⁶ უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძეს თავისი გამოცემის საკუთარ ცალში, რომელიც ამჟამად მისი სახელობის კაბინეტშია დაცული, შენიშვნა განქორწინების თაობაზე ფანქრით გადაუხაზავს (რუგოშელის შენიშვნის შემდეგ).

და: „ველ-ყო ქაიხოსროს მსგავსიან ველმწიფემან წყალობად და შეწყალებად, განცემად და მინებებად“. კ. კველიძემ ეს ადგილი ასე გამართა: „განცემად და მინიჭებად“. ასევეა S (127r)-ში და, ვფიქრობთ, მართებულადაც.

მსგავსი მაგალითები მრავლადაა, რაც ადასტურებს S ნუსხის დიდ მნიშვნელობას „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ „ისტორიათა და აზმათა“, ტექსტის დასადგენად.

Ц. В. КИКВИДЗЕ

К УСТАНОВЛЕНИЮ ТЕКСТА «ИСТОРИИ И ВОСХВАЛЕНИЯ ВЕНЦЕНОСЦЕВ»

Резюме

В статье в основном по данным вновь обнаруженного списка «Картлис цховреба» («Истории Грузин») 1697 года уточняются некоторые чтения текста «Истории и восхваления венценосцев» и подтверждается большое значение данного списка для установления критического текста этого памятника.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ

ლელა აღმაშენებელი

პეტრიწის კომენტარების 41-ე თავის წყაროებისთვის

1. პოკლეს თხზულების „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითის“ 41-ე თავის კომენტარში იოანე პეტრიწი წერს:

„რამეთუ არა რომელსა უსხეულოთა ვუართასა შესახავს განსაზილი ადგილისაჲ, ანუ საღაობაჲ, რამეთუ ყოველგან სწორად წარმომდგომი არს, და ერთსა ადგილსა შორის, ხოლო სხეულთა შორისი გუარნი ადგილსა შორისი იონების და ინილებიცა. რამეთუ ამას ზედა განსქდა რწვალებაჲ არისტოტელის-გამოთაჲ და ძუელთა ღმრთისმეტყუელთაჲ, რამეთუ პლატონ და ალაოფიმოს და ორფევს და ყოველნი ელეაფთ-გამონი, ვითარ ბრძენი ელეატი ქსენ[ოფანი], და სხუანი ყოველნი პითალოროს-გამონი, ვითარ პარმენიდი და ზინონ, არა აღრევენ უსხეულოთა გუართა სხეულთა შორის, დაღათუ იყვენ ციერთა ნაწილისანი“ (1).

ჩვენი სიტყვებით რომ გამოვთქვათ იგივე აზრი: უსხეულოთა გვარს, სხეულის მქონეთა საწინააღმდეგოდ, არ ახასიათებს ადვილზე მდებარეობა (სიცრე-ში განფენილობა). უსხეულოსა და სხეულის მქონეთ, არისტოტელეს მიმდევართაგან განსხვავებით, ერთმანეთისგან მიჯნავენ პლატონი, ავლაოფიმოსი, ორფევსი, ელეატები, ელეატი ქსენ[ოფანი], პითაგორელები, პარმენიდე და ძენონი.

ქვემოთ ჩვენ შევვებებით: 1. წყაროს, რომლის საფუძველზეც პეტრიწი ამბობს, რომ ორფევსი, ისევე, როგორც პლატონი და პითაგორა, არა აღრევენ „უსხეულოთა გუართა სხეულთა შორის“. 2. წყაროს, რომლის საფუძველზეც პეტრიწი ერთ ჯგუფში აერთიანებს პლატონს, პითაგორას, ავლაოფიმოსსა და ორფევსს.

2. ჯერ მოკლედ ზემოთ მოყვანილ ტექსტში დასახელებული დანარჩენი პირების შესახებ: ა) არისტოტელე. ბ) ელეატი ქსენ[ოფანი], პარმენიდე. ძენონი.

ა) არისტოტელე „მეტაფიზიკაში“ (991b, 1080a) აკრიტიკებს იდეების თეორიის მომხრეებს, კერძოდ პლატონს. არისტოტელეს აზრით, საგნისაგან მისი არსის განცალკევებით არსებობის დაშვება არ შეიძლება. იმავე თხზულებაში (985b, 987b, 989b—990a) არისტოტელე პითაგორელებსაც აკრიტიკებს, რადგან ისინი ბუნებისათვის არსსა და საწყისს ეძებენ არა გრძნობით აღსაქმელში, არამედ რიცხვებში.

საინტერესოა, რომ იმ ფილოსოფოსთა შორის, ვინც უსხეულოს სხეულის მქონესაგან მიჯნავს, პეტრიწი არ ასახელებს სოკრატეს, მიუხედავად იმისა, რომ იდეების შესახებ პლატონის მოძღვრების უდიდესი ნაწილი სოკრატეს პირითაა გადმოცემული. მაგრამ საქმე ის არის, რომ არისტოტელეს აღნიშვნით, სოკრატემ თუმცა კი საფუძველი ჩაუყარა ზოგადის კერძოსაგან გამოყოფას, მაგრამ არ განაცალკევა ისინი, და სწორადაც მოიქცა (მეტაფიზიკა, 985b).

ბ) ელეატები — პარმენიდე და ძენონი პლატონის „პარმენიდეს“. პითაგორი მოქმედი პირები არიან. ელეატი ქსენ[ოფანი] კი, ალბათ, არა ქსენოფანად,

არამედ ქსენად უნდა მივიჩნიოთ, ისე, როგორც ეს პეტრიწის ტექსტის ხელნაწერებში იკითხება, რაც გამოცემის სქოლიოებშია აღნიშნული (1). ქსენი (Ξένος) უნდა გავიგოთ როგორც საზოგადო სახელი („სტუმარი“, „უცხოელი“) და არა როგორც საკუთარი; ელვატი სტუმარი პლატონის „სოფისტეს“ მთავარი მოქმედი პირია.

პარმენიდე პლატონის „პარმენიდეში“ (134a—135e) და ელვატი სტუმარი „სოფისტეში“ (246b—249d) განიხილავენ მოძღვრებას, რომლის თანახმად იდეები ხილული საგნებისაგან განცალკევებით არსებობენ. ორივე ფილოსოფოსი, ერთი მხრივ, ამ შეხედულების დადებით მხარეს ითვალისწინებს, მეორე მხრივ კი, გარკვეული თვალსაზრისით მას აკრიტიკებს. რაც შეეხება პარმენიდეს მოძღვრების მიმდევარ ძენონს, პლატონის „პარმენიდეში“ იდეისა და სხეულის გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით იგი დღმს. პეტრიწის ნათქვამი ამ სამ ელვატზე („არა აღრევენ უსხეულოთა გუართა სხეულთა შორის“) პლატონის ორი ზემოხსენებული დიალოგის შედარებით თავისუფალი ინტერპრეტაციაა, რომლის ავტორი ან თვითონ პეტრიწია, ან კიდევ მას ხელი ჰქონდა უფრო პირდაპირი წყარო, რომელიც პლატონის კომენტატორთა თხზულებებშია მოსაძებნი.

3. პეტრიწის მიერ ორფევსის ხსენება იმ ფილოსოფოსთა კვერდით, რომლებიც „არა აღრევენ უსხეულოთა გუართა სხეულთა შორის“, ერთდროულად ბუნებრივიც არის და მოულოდნელიც. ბუნებრივი იმიტომაცა, რომ ორფეოსი მოძღვრების არსი სულის უკვდავების, ხორცისაგან მისი დამოუკიდებლად არსებობისა და სხვა გვამში გარდასახლების რწმენაში მდგომარეობდა; რწმენაში, რომელსაც პლატონი და პითაგორელები იზიარებდნენ, ხოლო არისტოტელე აკრიტიკებდა. მოულოდნელი კი იმიტომაცა, რომ მითაური მომღერალი ორფევსი, ანტიკურ ხანაში რელიგიური მოძღვრების, ორფიზმის ფუძემდებლად მიჩნეული, გაცილებით უფრო ნაკლებად იყო ფილოსოფოსი, ვიდრე პეტრიწის ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ხსენებული სხვა პირები (აგლაოფიმოსს არა ვგულისხმობთ, რადგან მის შესახებ სარწმუნოდ არაფერია ცნობილი). პოეზია (ძირითადად, თეოგონიები), რომელიც ორფევსს მიეწერება, ფილოსოფიურ შინაარსს არ შეიცავს, ხოლო ორფიზმის როგორც ფილოსოფიური ხასიათის მოძღვრების წარმოდგენის ცდა ანტიკურ ლიტერატურაში ნეოპლატონიკოსებამდე არ შეიმჩნევა.

ნეოპლატონიკოსებმა, განსაკუთრებით პროკლემ (ხოლო ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურის ჩვენებით ორფევსის შესახებ ყველაზე მეტი მას დაუწერია), ორფეოსი მითების ფილოსოფიურად განმარტება და ორფიზმის პლატონურ ფილოსოფიასთან შეხამება სცადეს (2). თავად პლატონი ძველ მითებს აკრიტიკებდა, ორფევსსა და მის მიმდევრებს კი, ცოტა არ იყოს, ირონიით უყურებდა (ნადიმი, 179d; სახელმწიფო, 364e). პროკლე თვალს ხუჭავდა პლატონის ორფევსისა და ძველი მითებისადმი დამოკიდებულების უარყოფით მხარეზე. მისი აზრით, პლატონიცა და ორფევსიც თეოლოგიის საკანს იკვლევდნენ, და ერთმანეთისაგან მხოლოდ მსჯელობის ფორმით განსხვავდებოდნენ (3). პლატონსაც და ორფევსსაც პროკლე თეოლოგებს უწოდებდა, ისევე, როგორც პეტრიწი მათ „ძულელთა ღმრთისმეტყუელთა“ რიგს მიაკუთვნებდა.

ის, რომ პროკლე ორფეოსი მითების ფილოსოფიურად განმარტებას ცდილობდა, და ისიც, რომ მას პლატონსა და ორფევსს შორის თანხმობის ჩვენება სურდა, გვაფიქრებინებდა, რომ წყარო პეტრიწის კომენტარების იმ აღ-

გილისათვის, სადაც ნათქვამია, რომ ორფევსი არა აღრევს „უსხეულთა გუართა სხეულთა შორის“, და სადაც ორფევსი პლატონთან ერთადაა მოხსენიებული, პროკლეს თხზულებებში უნდა მოძებნილიყო.

მართლაც, ერთი ადგილი პლატონის „პარმენიდზე“ (130b) პროკლეს კომენტარებიდან ზუსტად შეესაბამება ორფევსის შესახებ პეტრიწის ვამონათქვამს. მოგვეყავს ფრაგმენტის სიტყვასიტყვითი თარგმანი: „ღმერთებიც პლატონის მოსაზრებას დაემოწმენ, იდეები უწოდეს გონიერ მიზეზებსა და თქვეს, რომ მათი მიხედვითსამყაროს ფორმა მიეცა. რაკი მსჯელობები(οὐρανίον) გვარწმუნებენ ამ დებულებაში, და ბრძენიც ამ საკითხში შეთანხმებულან — პლატონი, პითაგორა, ორფევსი, და ღმერთებიც მათ აშკარად დაემოწმენ...“ (4).

4. ჩვენ ვნახეთ, რომ პეტრიწი ერთ ჯგუფში აერთიანებს ორფევსს, პლატონს, პითაგორასა და აგლაოფიმოსს. წყარო, რომელიც საფუძველს მისცემდა პეტრიწს ეს მოღვაწეები ერთმანეთთან დაეკავშირებინა, შეიძლება ყოფილიყო ნაწყვეტი პროკლეს „პლატონური თეოლოგიიდან“ (I,6) და კომენტარებიდან პლატონის „ტიმაიოსზე“ (Proem. E), აგრეთვე იამბლიქოსის „პითაგორული ცხოვრებიდან“ (28).

„პლატონური თეოლოგიაში“ პროკლე წერს: „მთელი ბერძნული თეოლოგია ორფევსის მისტიკური მოძღვრების მეშვეობით. პირველად პითაგორამ ისწავლა აგლაოფემოსისაგან ზიარება ღმერთებთან, შემდეგში კი პლატონმა პითაგორული და ორფიკული ნაწერებიდან მთელი ცოდნა შეითვისა“ (3).

ანალოგიურს წერს პროკლე პლატონის „ტიმაიოსზე“ კომენტარში. იგი იამბლიქოსს იმოწმებს და მის ნათქვამს გადმოგვცემს: „ტიმაიოსი პითაგორელი იყო, მიმდევარი პითაგორული საწყისებისა¹, რომლებიც ორფიკული მოძღვრებიდან მომდინარეობენ. რაც ორფევსმა საიდუმლო სიტყვებში მისტიკურად გადმოგვცა, პითაგორამ შეისწავლა, როცა თრაკიის ქალაქ ლიბეთრაში აგლაოფამოსმა მისტერიებს აზიარა, ხოლო ღმერთების შესახებ სიბრძნე ორფევსმა დედისაგან, კალიოპესგან შეითვისა“ (5).

პეტრიწის წყარო რომ პროკლეს კომენტარსა და იამბლიქოსზე მეტად პროკლეს „პლატონური თეოლოგია“ უნდა იყოს, ამას მოწმობს: 1. პეტრიწი ერთმანეთთან უშუალო კავშირში ახსენებს პლატონს, პითაგორას, აგლაოფიმოსსა და ორფევსს, ისევე, როგორც პროკლე „პლატონური თეოლოგიაში“. „ტიმაიოსის“ კომენტარში კი პლატონის ადგილზე ტიმაიოსი დგას, თუმცა ეს არსებითი განსხვავება შეიძლება არ იყოს. რაც შეეხება იამბლიქოსს, იგი უშუალო კავშირს ამყარებს მხოლოდ პითაგორას, აგლაოფიმოსსა და ორფევსს შორის: ტექსტის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთში, სადაც მოხსენიებულია ეს სამი მოღვაწე, პლატონი არ არის დასახელებული. 2. იამბლიქოსთან და, აქედან გამომდინარე, პლატონის „ტიმაიოსზე“ პროკლეს კომენტარებშიც აგლაოფამოსი იკითხება, მაშინ როდესაც პროკლეს „პლატონური თეოლოგიაში“ სახელის ფორმა Ἄγλαοφίμας (ბიზანტიური წყაითხვით ოგლაოფიმოსი) იგვევა, რასაც პეტრიწთან ვხვდებით.

ამრიგად, პროკლეს „კავშირნი ღმრთისმეტყველებითის“ 41-ე თავის კომენტარში პეტრიწი, ჩვენი ვარაუდით, იყენებს პროკლესავე სხვა თხზულებებს: კომენტარებს პლატონის „პარმენიდზე“ და „პლატონური თეოლოგიაში“.

¹ ამის შემდეგ პროკლე თითქმის სიტყვასიტყვით იამბლიქოსს იმორებს (4).

ლიბერატურა

1. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბ., 1937, გვ. 99—100.
2. С. Аверинцев, Неплатонизм перед лицом платоновой критики мифопоэтического мышления, сб. «Платон и его эпоха», Москва, 1979.
3. Proclus Diadochus, Théologie Platonicienne, Paris, 1968.
4. O. Kern, Orphicorum fragmenta, Berolini, 1922.
5. Proclus Diadochus, In Platonis Timaeum commentaria, III, Lipsiae, 1850.

Л. З. АЛЕКСИДЗЕ

ОБ ИСТОЧНИКАХ 41-ой ГЛАВЫ КОММЕНТАРИЕВ
 ИОАННА ПЕТРИЦИ

Резюме

В 41-ой главе комментариев Петрици к трактату Прокла «Первоосновы теологии» повествуется о разграничении бестелесных и телесных родов Платоном, Аглаофимом, Орфеем, элейцами и пифагорейцами. Источниками данного комментария, по мнению автора статьи, являются комментарии Прокла к диалогу Платона «Парменид» (130 в.) и его же «Платоническая теология» (1,6).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. ყაუხჩიშვილმა

კორნელი დანელია

საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი ალთქმის ქართულ რედაქციებში

ბიბლიურ წიგნთა საკუთარი სახელების ქართულ რედაქციებში გადმოცემის საკითხი რთულია და მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს. მას ორმხრივი ინტერესი ახლავს: ლინგვისტური და ფილოლოგიური. დასმული საკითხის ლინგვისტური ასპექტი შესწავლას შეუძლია საყურადღებო მასალა გამოავლინოს შესადარებელ ენათა ფონეტიკური სისტემის ძველი ვითარების დასადგენად, რომელიმე ბგერის ადრეული ბუნების გასარკვევად. ცხადია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ურთიერთშესადარებელი ენების ბგერითი სისტემის სპეციფიკა, რადგან უცხოენოვანი ტექსტების შედარებით გამოვლენილი ბგერათა ფარდობა ხშირად არ უდრის ბგერათა ექვივალენტურობას. მაგალითად, ებრაული ძველი ალთქმის ბერძნულ თარგმანში (სეპტუაგინტაში) რომ სისტემებზე ებრაულ შიშინა სპირანტს შ(š)-ს სისინა ს(s) გადმოსცემს (შდრ. ებრ. $\text{šā} \text{šā}$, ბერძნ. ἰσθαῖα), ეს სრულებით არნიშნავს იმას, რომ თარგმნის დროისთვის (დაახლოებით ძვ. წ. III—II საუკ.) ებრაულ უკანანუნისმიერ შ(š)ს დაკარგული ჰქონდა შიშინა ბუნება და მისი არტიკულაცია ემთხვეოდა წინანუნისმიერ სისინა ს(s)-ს არტიკულაციას. უბრალოდ, ბერძნულს არ ჰქონდა საერთოდ შიშინა სპირანტი შ(š) და მის გადმოსაცემად იძულებული იყო მიემართა მასთან რამდენადმე ახლო მდგომი სისინა ს(s) სპირანტისათვის. სხვათა შორის ზემოდასახელებულ $\text{jesā} \text{šā}$ ფორმაში ბერძნულში სრულებით ვერ შეძლო გადმოეცა ებრ. ფარინგალური ყ(ʕ), რადგან მისი ფარდი ბგერა არ ჰქონდა (სხვა შემთხვევაში მას გადმოსცემს მიახლოებით, ყ-ით ან ხმოვნაინი სპირანტუს ასპერით თუ ლენეთი) ¹.

დღეს სადავო არაა, რომ ბიზანტიური ხანის ბერძნულის ბგერითი სისტემის შესასწავლად ბერძნულიდან მომდინარე ძეგლების ქართულ² თუ სომხურ³ თარგმანებში დაცულ საკუთარ სახელთა თუ ნასესხებ სიტყვათა ფორმებს სერიოზული ანგარიში ეწევა, ასევე ქართული G-ს, Ɔ-ს და ʒ-ს ბგერითი ბუნების დასადგენად გათვალისწინებულია ბერძნული η-ს, υ-ს და ω-ს რაობა⁴.

¹ შხ. შანიძე, უკანანუნისმიერი სპირანტების არსებობის საკითხისათვის ძველ ებრაულ ენაში: საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1954, გვ. 64—65.

² ს. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II, ტფ., 1926, გვ. 57. ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1965, მისივე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბ., 1978.

³ A. Thumb, Die griechischen Lehnworten in Armenischen. Beiträge zur Geschichte der *Koivj* und der Mittelgriechischen: BZ IX, 1900, p. 389—452.

⁴ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 18. მისივე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 29. ბ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 36.

საკითხის ფილოლოგიური ასპექტით განხილვას შეუძლია ბეტად მყარი მასალა გამოავლინოს თარგმანის პირველწყაროს დასადგენად. ასეთ შემთხვევაში საკუთარ სახელთა ფორმების შესწავლის გზით გამოვლენილი მასალა უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას იძენს ხალხთა ადრეული კულტურული კონტაქტების დასადგენად. უდავოა, რომ ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებზე ბერძნული წყაროს უდიდესი (წამლუკავი) გავლენის შემდეგ სუსტად, მაგრამ მაინც კიდევ თუ შეიმჩნევა მათში აღმოჩენილი უპირველესად სწორედ საკუთარ სახელთა ფორმებში ცნაურდებან⁵. ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში წარმოდგენილ საკუთარ სახელთა ორივე ასპექტით შესწავლა გადაუდებელი საქმეა. ამ მიმართულებით გაწეული შრომის შედეგიანობა ექვს არ უნდა იწვევდეს.

ამ საკითხის საფუძვლიანად შესწავლის უცილობელი წინაპირობაა ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების სრული ბეჭდური კორპუსის არსებობა. მერმე ყველა ქართული რედაქციის მთლიანი, ერთობლივი მონაცემები უნდა შეუდარდეს პირველწყაროდ სავარაუდებელ უცხოენოვან ტექსტებს (ებრაულისას, სირიულსას, ბერძნულსას, სომხურსას). მაგრამ ძველი აღთქმის ქართული რედაქციების სრული კორპუსის გამოუცემლობა დასმული საკითხის შესწავლასაც აყოვნებს. ოღონდ თვით ასეთი სრული კორპუსის გამოცემისას არ შეიძლება გვერდი ავლოს ერთ მეტად რთულ და პრაქტიკულად ძნელად მოსაგვარებელ საკითხს: როგორ დაიბეჭდოს საკუთარი სახელები, ისე, როგორც ხელნაწერებშია, თუ ისე, როგორც უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ საკუთარ სახელთა ფორმები ბიბლიის ქართულ რედაქციებში ხშირად ძალზე დაშორებულია უცხოენოვანი ტექსტების მიხედვით სავარაუდებელ ფორმებს, ზოგჯერ კი აშკარად შერყვნილია.

ა. შანიძემ, რომელმაც კრიტიკულად გამოსცა ბიბლიურ წიგნთა შემცველი ძველი ქართული რედაქციები გარკვეული ხელნაწერების მიხედვით, პრინციპად მიიღო საკუთარ სახელთა გაუსწორებლობა. ბიბლიის განთქმული ოშკური ხელნაწერის გამოცემის I ტომის I ნაკვეთის წინასიტყვაობაში ის წერს: „დიდი სიჭრელეა და ზოგჯერ დიდი შეცდომებიც საკუთარ სახელებში. მაგრამ მათი გასწორება, საზოგადოდ, ჩემს მიზანს არ შეადგენდა. მაგალითები: **სობალ** (დაბ. 36. 20) და **საბალ** (დაბ. 36. 23), **ბახემათ** (დაბ. 36. 10) და **ბახიმათ** (დაბ. 36. 13), **ბეხეფონსა** (გამ. 14. 2) და **ბელხეფონსა** (გამ. 14. 9)“... თუ ვიკითხავთ, მაინც რატომია საკუთარ სახელთა მცდარი ფორმები გაუსწორებლად დატოვებული, ამის პასუხსაც იძლევა გამომცემელი: მცდარი ფორმების „სათანადოდ გასწორება სხვა ვერსიებთან შეჯერებისა და სხვა ხელნაწერების ტექსტის გათვალისწინების შემდეგ არის შესაძლებელი“⁷. აქედან ჩანს, რომ ა. შანიძე აუცილებლობის შემთხვევაში და გარკვეული პირობით პრინციპულად არ გამოირიყხავს საკუთარ სახელებში შესწორების შეტანას. ეს კარგად ჩანს თვით გამოცემის კრიტიკული აპარატიდან, სადაც ჩატანილია ხელნაწერი-

⁵ J. Molitor, Die Eigennamen in der altgeorgischen Übersetzung der Evangelien und Apostelgeschichte und ihre textkritische Bedeutung, Bamberg, 1962, გვ. 3—22.

⁶ წიგნი ძეგლის აღთქმისანი, ტ. I, ნაკ. 1, დაბადებისა. გამოსვლითა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1947, გ. VIII.

⁷ იქვე, გვ. VIII.

სეული მცდარი იკითხვისები. მაგალითად, გასწორებულია ასეთი ფორმები: **ასტარონს** (დაბ. 14, 5) → **ასტაროსი**; **სავესხა** (დაბ. 14, 17) → **სავესა**; **გარადასა** (დაბ. 16, 14) → **ბარადასა**; **გერარას** (დაბ. 20, 1) → **გერარას**; **ფილოქ** (დაბ. 21, 22) → **ფიქოლ**; **ეჟონ** (დაბ. 25, 4) → **ენოქ**, **რამცხა** (დაბ. 47, 11) → **რამესცხა** და სხვ.

მაგრამ ა. შანიძის მოწაფეთა მიერ გამოცემულ ტექსტებში სახელმძღვანელო პრინციპად დარჩა მაინც ხელნაწირისეული ჩვენების ხელუხლებლობა. ამას თავისი გამართლება აქვს: ერთი და იგივე ბიბლიური სახელი ქართულ რედაქციებში ნაირგვარადაა წარმოდგენილი და არ არის გამორიცხული, რომ ასეთ ნაირგვარობას თუ ყოველთვის არა ხშირად სხვადასხვა უცხოენოვანი წყარო აპირობებდეს. თუ საკუთარ სახელთა ქრელი ფორმების უნიფორმაციის გზას დავადგებოდით, ამით წავშლიდით ქართული რედაქციების განსხვავებული ტიპის უცხოენოვან წყაროებთან დამოკიდებულებების კვალს, ფაქტიურად ძველი საქართველოს აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხთან კულტურული კავშირების კვალს. ამიტომაც ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში საკუთარ სახელთა ფორმებისთვის ხელუხლებლობის შანიძისეული პრინციპი ობიექტური გარემოებით იყო ნაკარნახევი, როცა არ იყო ბიბლიური ხელნაწირები გამოცემული, როცა არ იყო ქართულ რედაქციათა რაობა და გენეზისი დადგენილი, როცა ამ პრობლემით ძალიან ცოტა იყო დაინტერესებული. დღეს კი ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების კვლევის დონემ საგრძნობლად აიწია. თუ ნახევარი ან ერთი საუკუნის წინ ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებზე და მათ მიმართებაზე უცხოენოვან წყაროებთან ძალიან ბუნდოვანი და ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდათ (რაც უხეიროდ გამოცემული ტექსტის რამდენიმე მუხლის თუ თავის მონაცემებს ემყარებოდა), დღეს მოგვეპოვება საფუძვლიანი შრომები ცალკეულ ბიბლიურ წიგნებზე: ოთხთავზე, ეპისტოლეებზე, მისეს ხუთწიგნეულზე, ფსალმუნზე, მეფეთა წიგნებზე, წინასწარმეტყველთა წიგნებზე, ძველი აღთქმის აპოკრიფულ თხზულებებზე. ბიბლიურ წიგნთა თარგმნის ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართა ჯგუფი გაიზარდა, დაზუსტდა შესადაოებელი წყაროთა წრე, მკრთალად გამოჩნდა კონტურები ქართული რედაქციების განსხვავებულ უცხოენოვან წყაროებთან რთული დამოკიდებულებისა. თითქოს ყველა პირობაა, რომ განხორციელდეს დიდად დაყოვნებული ეროვნული მნიშვნელობის საქმე — ქართულ ბიბლიურ წიგნთა სრული კორპუსის გამოცემა. ამ დროს კვლავ მწვავედ დგება საკითხი: რა უფუთ საკუთარ სახელებს: ხელუხლებლად დარჩეს თუ შერყენილი ფორმა გასწორდეს. ხოლო თუ გასწორდება, რისი, რომელი წყაროს მიხედვით? თუ გვეცოდინებოდა პირველი წყარო, ალბათ, პირველი წყაროს მიხედვით გასწორდებოდა, მაგრამ სირთულე იმაშია, რომ არც ერთი ქართული რედაქცია არაა პირვანდელი სახით უცვლელად მოღწეული, ყველა მათგანს ეტყობა გადაკეთება. ერთი რამ უდავოა: ბიბლიურ წიგნთა პირვანდელი თარგმანები, რა წარმომავლობისაც უნდა იყვნენ ისინი, მოგვიანებით კოდიფიკაციას განიცდიან მხოლოდ ბერძნული წყაროს კვალობაზე, რაც გასაგებია ისტორიული გარემოს გათვალისწინებით. ეს ფაქტი ბერძნულ წყაროს სხვებთან შედარებით ერთგვარ უპირატესობას ანიჭებს ქართული რედაქციების ტექსტის დადგენის საქმეში. მაგრამ სანამ ასეთ თავსატეხს საკითხების თაობაზე ერთიანი პრინციპი დადგინდებოდეს, უნდა გაირკვეს საკუთარ სახელთა გადმოცემაში არსებული შეც-



დომეზის რაობა, რაგვარობა, ე. ი. დაჭვფდეს შეცდომათა ტიპები და მერმე დაღვივდეს, კონკრეტულად რასახის, რატობის შეცდომები შეიძლება გასწორდეს და რასახისა არა. ცხადია, საბოლოო რეკომენდაციების შემუშავება სათანადო დაწესებულებათა საქმიანი წარმომადგენლობის კომპეტენციას შეადგენს. ჩვენი წერილის მიზანია, აჩვენოს იმის საჭიროება, რომ დროა ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების გამოცემის თაობაზე არსებობდეს გარკვეული ერთიანი საკვალდებულო წესები, მათ შორის საკუთარ სახელთა დაბეჭდვის საკითხშიც.

ერთი ამკარაა: საკუთარი სახელები გამოცემაშიც ნაირგვარადვე დარჩება, თუ ამ ნაირგვარობას განსაზღვრავენ სხვადასხვა ტიპის უცხოენოვანი წყაროები. ასეთი ფორმები: იოვანე და იოჰანე, აბრაამ და აბრაჰამ, სიმონ/სემონ და სემეონ, ზაბულონ და ზაბილონ, თადეოზ და თადეოს, კაფერნაუმ, კაფარნაომ და კაფერნაომ, აპრონ და არონ... ცხადია, ასეთი ფორმები სამწერლო ენიის ისტორიის კუთვნილებათა და უცვლელად დარჩებთან ტექსტში, რადგან მიანიშნებენ განსხვავებული (ბერძნული და სირიულ-სომხური) ლიტერატურულ-ტექსტობრივი ტრადიციის ფორმათა არსებობას ქართულ თარგმანში. კერძოდ, აღმოსავლური ტექსტობრივი ტრადიციისა ჩინან ჰაეიანი, ვინიანი (ინტეროკალურ პოზიციაში), ასევე შინიანი ფორმები (ინტეშ, I მეფ. 28, 1—2P, შაროელი, III მეფ. 2, 5P, ბეთშანი, I მეფ. 31, 10—12P, თარში, ეს. 60, 9P...).

ასევე ხელუხლებლად დარჩება სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ფორმები, როცა, ვთქვათ, ნაირგვარადაა გადმოცემული ბერძნული ბგერები: *αι-αι/ე; η→ე/ი; α→უ/ჳ/ი* და ა. შ. ეფრემ/ეფრაიმ (ი. 11, 55); ისმაელ/ისმაილ (დაბ. 17, 26; 16, 11S); ღვზიელი/ღუზიელი/ღიზიელი, (ეუბე. 38, 5).

ცხადია, არ გასწორდება ფონეტიკური პროცესის შედეგად, სახეცვლილი ფორმები, ვთქვათ, ბგერათაშენაცვლების შემთხვევები: ანბაკუნ←ამბაკუნ (ამბ. 1, 1P) Ἀμφαχαισµ; მალქოს/მალქოზ (ი. 18, 10); ლებეოს/ლებეოზ (მ. 10, 13); ევმანუელ/ენმანუელ (←ემმანუელ, მ. 1, 23) Ἐμμανουήλ; დისიმილაციის შემთხვევები: ლეფთალუმ (გამ. 1, 4, მსაჯ. 7, 23 P) ← ნეფთალუმ Νεφθαλιμ; სხიქსაჟიქ, ბეთბავე (მ. 21, 1, ლ. 19, 29) ← ბეთფავე, Βηθφαγή, *բեթբაგე*; გერალ-ელ (დაბ. 26, 8—20 A) ← გერარ-ელ Γεραράν, *գերրացուց*; მეტათეზიის შემთხვევები: ფილოქ (დაბ. 21, 22 A) ← ფიქრჩაგუს; მეტათეზიის შემთხვევები: ფილოქ (დაბ. 21, 22 A) ← ფიქლო Φιλιξ, *փիլაღ*; ექონ (დაბ. 25, 4 A) ← ენოქ, Ἐνώχ, *ենიქ*; ბეთორ (II შჯ. 10, 6 P) ← ბერთი Βηρθί *բերիթ*; აბინერეზ, (მსაჯ. 6, 34 P) ← აბიეზერ *Աβιέζερ, աբիզერ*; სორომონ (ეს. 7, 9 P) ← სომორონ (A) Σαμάρων, *სამარონ*.

სადავო არ უნდა იყოს, რომ ზემოდსახელებული შემთხვევები და მათი ტიპის სხვა ფორმებიც სამწერლო ენიის ისტორიის ამსახველი ფაქტებია და მათი გასწორება მძიმე შეცდომა იქნებოდა.

მაგრამ ხშირად ბიბლიურ და ლექციონარების ქართულ ხელნაწერებში საკუთარი სახელები ისეა შერყენილი, რომ გამოცნობა ჭირს, ან არც შეიძლება გამოცნობა რეალურად საგულვებელი სიტყვისა. სანამ ასეთ ფორმებს დავასახელებდეთ, უნდა აღვნიშნოთ: საკუთარ სახელთა შერყენილი ფორმები საგარძნობლად მეტია ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში, ვიდრე ახალი აღთქმისაში. ეს იმიტომ, რომ ახალი აღთქმის ქართული თარგმანის ტექსტი საუკუნეების განმავლობაში არა ერთგზის უდარბაზო ბერძნულ წყაროს-

თან, როგორც საეკლესიო პრაქტიკაში დღენიდაგ სახმარი წიგნი. მაგრამ ძველი აღთქმის ქართულ თარგმანს უფრო ნაკლებად ეტყობა მაკოდიფიცირებელი მუშაობის კვალი და ამიტომაცაა მასში ჭარბად და საკუთარ სახელთა შერყვნილი ფორმები, სხვა სახის ნონსენსები და ასევე არაუნიფიცირებული ბიბლიოლოგიური ტერმინოლოგია.

გადაწერის პროცესში, როცა უცხოენოვან წყაროსთან შეჯერება არ ხდებოდა, ყველაზე მეტად მახინჯდებოდა საკუთარი სახელები, რადგან საზოგადო შინაარსის უქონლობის გამო გადაწერით უჭირდათ მათი გაცნობიერება, უჭირდათ იმიტომაც, რომ შორეული ჰურიანსტანის ტომონიშები და ანთროპონიმები მათთვის სრულებით უცხო სამყაროს წარმოდგენდა. საეკვო არ უნდა იყოს: ჩვენ რომ ძველი აღთქმის წიგნების პირველმთარგმნელთა ავტოგრაფული ნუსხები შემოგვრჩენოდა, საკუთარ სახელთა აშკარად მცდარი ფორმების რაოდენობა მინიმალური იქნებოდა.

ტექსტოლოგიისათვის არაა უცნობი მცდარი ფორმების გაჩენის მიზეზები. ჩვენც ამ მიზეზების კვალობაზე გამოყოფთ საკუთარი სახელების მცდარ ფორმათა რამდენიმე ტიპს (ძირითადად პარიზული ლექციონარისა და ოშკური ბიბლიის⁸ მსალების მიხედვით). მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ყოველთვის შესაძლებელი როდია შეცდომის მიზეზის დადგენა. ეს მაშინ, როცა ხელნაწერში დადასტურებულ ფორმასა და რეალურად საგულეველ ფორმას შორის არც ერთი ასო-ბგერა არაა საერთო. აი მრავალთაგან რამდენიმე მაგალითი: ცნობილი ბიბლიური პერსონაჟის — ნოვეს ერთ-ერთი ძის — ქამის შვილებად პარიზულ ლექციონარში და სახელეუბლი არიან: იქუს და იმშს, ტრემფოს და ნანტი (დაბ. 10,6). აქ რეალურად არა ფორმებია საგულეველი, ამას მიახლოებით მაინც ვადმოსცემს მცხეთური ბიბლიის ხელნაწერი (S—51); ხუს, და მესრაიმ, ფუდ და ქანანა⁹. საგონებელი ჩავარდნილ მკითხველს შეიძლება უნებურად აღმოხდეს: საკერველი არიან, უფალი, საქმენი შენნი! რადგან არათუ ძელი, არამედ საერთოდ შეუძლებელია პარიზულ და მცხეთურ ხელნაწერთა იკთხვისებს შორის რაიმე საერთო იპოვოს კაცმა. პარიზულ ლექციონარში ისეა დამახინჯებული საკუთარი სახელების ფორმები, რომ ვერავენ ამოიკნობს მათში რეალურად საგულეველ ფორმებს, არც ერთ უცხოენოვან ტექსტში არაა მათი ოდნავ მსგავსი რამ. ებრაულშია: khus, misraim, fuf, khanan; სირიულში: khus, mesrim, futh, khanan; ბერძნულში: Χουσ, Μεσαίμ, φανν, Χαναν; სომხურში: *քուշ, մեսրիմ, փո'ւց, քանան* მამასადამე, პარიზული ხელნაწერის ზემოდასახელებულ ფორმებს უცხოენოვანი წყაროები არ განსაზღვრავენ (დასახელებული უცხოენოვანი ტექსტების რაიმე დღეისთვის უცნობი, განსხვავებული ტიპის არსებობაზე ფიქრი მოღწეული წყაროებისადმი ზედმეტი სკეპსისი იქნებოდა). აშკარაა, შეცდომები გადაწერის პროცესშია დაშვებული (და არა თარგმნისას): ოთხხეი მცდარი ფორმა მიღებული ჩანს ასოთა კლება-მატებითა და ერთი სიტყვის ნაწილის მეორე სიტყვასთან მექანიკური შეერთების გზით:

1. იქუს ფორმას ი დამატებია წინა სიტყვის ბოლოიდური ი-ს გამეორებით. ხოლო უ-ინო ქუს ზუსტად ვადმოსცემს ბერძნ. Χουσ-ს (მცხეთური ხელნაწერის ხუს-იც ბერძნული წყაროს გვიანდელი გამოთქმას ეყარება: X → ქ → ხ), მაგ-

⁸ საკუთარ სახელთა მცდარ ფორმებზე მჭკლობის ოშკური (A) ხელნაწერის მონაცემები არსებითად მოგვყავს ა. შანიძის გამოცემის კრიტიკული აპარატისა.

ლიტერების მნიშვნელობანი: A — ბიბლიის ათონური ხელნაწერი, J — ბიბლიის იერუსალიმური ხელნაწერი, S — ბიბლიის მცხეთური ხელნაწერი, M — ბაქარისეული ბიბლიის თბილისური გამოცემა, P — ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი.

რამ თავიდან აქცე აღმოსავლური ტექსტობრივი ტრადიციის ქუშ უნდა ყოფილიყო, როგორც ესაა მომდევნო მე-7, მე-8 მუხლებში.

2. იმტს-ს ი დაჰმატებია I სახელის ანალოგიით და მოჰკლებია ტრემ მარცვალი (მსტრემ→ [ი] [ც] (ს), რადგან ეს ტრემ მომდევნო სახელისათვის მიუკუთვნებიათ (ფოს→ტრემ+ფოს), ე. ი. თავიდან უნდა ყოფილიყო მესტრემ (-მესტრემ), რომელიც ემთხვევა სომხ. *shumpr*-ს. ქართულსა და სომხურ ფორმებში ზედმეტი ჩანს ტ. თუ ეს მექანიკურად მიმატებული არაა, შეიძლება ის გადმოსცემდეს სიმკვეთრეს სირიული ემფატიკური თანხმოვნისას, ე. წ. სწდ-სი (ჯ-სი), რომლის ებრაული ფარდია ე. წ. ცწდ (ც ბგერა).

3. ტრემფოს ფორმაში, როგორც აღვნიშნეთ, ტრემ მარცვალი წინა სიტყვიდანაა წამოღებული, ხოლო ფოს სახეცვლილი ფუღ უნდა იყოს. უ-ს ო-თი შეცვლა გასაგებია, მაგრამ დ-ს ადგილზე ხ-ს არსებობა გაუგებარია.

4. ნანტი. შეუძლებელია ამ ფორმაში ქანან ამოვიკითხოთ. ალბათ, ნუსხა, საიდანაც გადაწერა ხდებოდა, ამ ადგილზე დაზიანებული ან გადაღეული იყო. ამიტომ უნდა იყოს თითქოს ქა მარცვალი გამოტოვებული: ქანან→ნანან/ნან, რომელსაც შემდგომ შეცდომით ტი მარცვალი დაჰმატებია: ნან→ნან+ტი.

ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, რომ ზემოდასახელებული ფორმების დამახინჯების ყველა მიზეზი გამოვაგლინეთ. მაგრამ ის აშკარაა, რომ ტექსტის შერყვნა გააღაწერის პროცესს უკავშირდება და არა თარგმანისას. ცხადია, რთულია ასეთი ფორმების გასწორება; რადგან მეთოდოლოგიურად ძნელი გასამართლებელი იქნება თარგმანის გენეზისის დაუდგენლად რომელიმე უცხოენოვანი წყაროს კვალობაზე ვასწოროთ საკუთარი სახელის ფორმა, მაგრამ უფრო ძნელია ტექსტოლოგ-ფილოლოგი შეურიგდეს იმ აზრს, რომ ასეთ წარმოდგენლად გაუგებრობამდე შერყვნილი ფორმები ხელუხლებლად მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას.

ერთ ტიპურ მაგალითს დავასახელებთ კიდევ: „დაბადებაში“ ნათქვამია, რომ ასურმა აღაშენა ქალაქები: „ნინევე, რუბუთი და სამონსე“ შორის ნინევსა ქალაქსა“ (დაბ. 10, 12 P). რა ქალაქია ეს სამონსე? ამის მსგავსს ვერც ერთ ბიბლიურ საცნობარო წიგნში ვერ იპოვის კაცი, ვერ იპოვის, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. უცხოენოვან წყაროებშია: ებრ. *resen*, სირ. *resen*, ბერძ. *Δαση*, სომხ. *qushan*. ჩანს, ბერძნულში შეცდომაა: ებრაული რ [ך] გრაფიკული მსგავსების გამო წაკითხულია დ [ך]-დ, მაშასადამე, ქართულში მოსალოდნელი იყო, გვქონოდა არა სამონსე, არამედ ან დასე (ბერძნული წყაროს მიხედვით), ან რესენ (ებრაულ-სირიული წყაროების მიხედვით). ჩანს, ტექსტი საოცრად შერყვნილია და არც ჩანს შერყვნის მიზეზი. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ თავიდან იყო არა: და სამონსე, არამედ: დასე მისონ (შეიძლება ბერძნული წინდებული *μαθων* „შორის“ საკუთარი სახელის ნაწილად ყოფილიყო მიჩნეული. ქართულ თარგმანში „შორის“ თანდებულიც გვაქვს, მაგრამ დაშვებულ ვარაუდს ეს არ გამოორიხავს, რადგან ცნობილია საძნელო ადგილების მრჩობლი გადმოღება, შდრ. ბერძნული *Μεμφίς* გიორგი მთაწმიდლის რედაქციით ერთბაშად ორგვარადაა გადმოღებული: დ მ რ თ ი ს მ ო ყ უ ა რ ე ო თ ე ო თ ო ო ლ ე (ლ. 1, 3). მეგრე, „და“ კავშირის გამორჩენის შემდეგ, „დასე მესონ“-ის „და“ გაუზარებიათ კავშირად. დარჩენილი *ს ე მ ე ს ო ნ მცდარი ეტიმოლოგიზაციით ან უბრალოდ მექანიკურად დანიშნულების ტიპის სახელისთვის მიუმსგავსებიათ: *სემესონ→სამონსე.

ვფიქრობთ, ასეთი ფორმების ხელუხლებლად და უკომენტაროდ, აპარატში უშენიშვნოდ გაშვება ძნელად გასამართლებელი იქნება.

ახლა აღვნიშნავთ საკუთარი სახელების მცდარ ფორმათა რამდენიმე ტიპს.

1. გადამწერი ქართულ თარგმანში ნახშირი მისთვის უცნობი ებრაული საკუთარი სახელის გრაფიკულ სახეს მცდარად აღიქვამს (არაზუსტად კითხულობს ან იმახსოვრებს) და მას აცნობიერებს ქართულ საზოგადო სახელად. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია.

1. A-შია: ქალაქი (ეს. 10,9) მოსალოდნელი იყო: ქალანე, შდრ. ბერძ. *Χαλάνης*, სომხ. *քալანէ*, ებრ. *khalnē* (რუს. Халне).

2. A-შია: მეფისანი (ეს. 19, 13), მოსალოდნელი იყო: მემფისანი, შდრ. ბერძ. *Μέμφασ*, სომხ. *մեմფასուց*, ებრ. *nef* (რუს. Мемфисские).

3. P-შია: აღაშენა ნინევეს და რუბუთი ქალაქი (დაბ. 10, 11), შდრ. აღაშენა ნინევე და ქალაქი რომთი და ხალანი S. ჩვენთვის აქ საინტერესოა არა ის, რომ ერთისა და იმავე ქალაქის სახელი ხან რუბუთი და ხან რომთი-ა (ამას დიდ სხვაობად არ ვთვლით, რადგან ო-სა და უ-ს გრაფიკული, ან ბავისმიერ ბ-სა და მ-ს მონაცვლეობა სავსებით გასაგებია), არამედ ის, რომ P-ის გადამწერს შეგნებულად გამოუტოვებია წინადადებაში ნახშირი მესამე ქალაქის სახელწოდება ქალაქი, რადგან ის საზოგადო მნიშვნელობის „ქალაქ“ სიტყვად გაუგია. ცხადია, თავიდან იქნებოდა: ნინევეს და რუბუთი ქალაქი და ქალაქი, ე. ი. გამოტოვებული სახელი, ბერძნული წყაროს შესაბამისი ქალაქი უნდა ყოფილიყო. შდრ. ბერძ. *Χαλᾶχ*, სომხ. *քալან* (ქალან), ებრ. *kālah* (რუს. Калах):

აღსანიშნავია, რომ სხვაგან ქალდეაც ქალაქად არის გააზრებული. A-შია: მკვდრთა ქალაქისათა (იერ. 51, 24). უნდა იყოს: ქალდეასათა (ასეცაა J-ში), შდრ. ბერძ. *Χαλδαίαις*, სომხ. *քաղყեսուցն*, ებრ. *khasdim* (რუს. Халден). მაშასადამე, სამი საკუთარი სახელი (ქალანე, ქალაქ, ქალდეა) გადამწერთ მცდარად აღუქვამთ, როგორც საზოგადო ქალაქ სიტყვა.

4. P-შია: მიქობადმდე (დაბ. 14, 15), მოსალოდნელი იყო: მიქობადმდე. მაგრამ სავ. სახელი ქობა ვაგებულა საზოგადო ქუბ სიტყვად. შდრ. ბერძ. *Χοβᾶ*, სომხ. *քոբա*, ებრ. *חובֿ* (რუს. до Хобѣ). აღსანიშნავია, რომ ა. შანიძეს A-ს იკითხვის „ქობადმდე“ გაუსწორებია „ქობალადმდე“ ფორმით, ალბათ, სომხ. ქობალ (*քորას*) ფორმის გათვალისწინებით.

5. P-შია: რომელ იყენეს ხავს ქალაქისანი (დაბ. 14, 5), მოსალოდნელი იყო: ხავს, რადგან აქ ლაპარაკია ხავს ქალაქზე (A-შია: ხავს შინა ქალაქსა), შდრ. ბერძ. *ἐν Σαυῆ τρηπίαις*, სომხ. *ի չաւ քաղաքին*, ებრ. *b^hšave^c, k^rriathim* (რუს. в Шаве-Кирιαфим). თავიდან კი უნდა ყოფილიყო ბერძნული წყაროს შესაბამისი „სავს“ (ე. ი. ეტას, ო-ს გადმოცემად *Ϝ* უნდა ეხმარათ).

6. P-შია. დაბად კერძო (მსაჯ. 7,23), მოსალოდნელი იყო: ტაბათდ კერძო (S-შია: ტაბეთად კერძო), შდრ. ბერძ. *Ταβᾶθ*, სომხ. *տաբէթ*, ებრ. *tabāth* (რუს. Табаф). შერყვნა, ალბათ, ასე წარმოიშვა: *ტაბათდ → *ტაბად → დაბად. რეგრესული ასიმილაცია ნაკლებ საფიქრებელია, უფრო მცდარ ეტიმოლოგიზაციას უნდა ჰქონდეს ადგილი.

7. J-შია: გზასა ზედა (იერ. 47,5), მოსალოდნელი იყო: გაზასა ზედა. შდრ. ბერძ. *ἐπὶ Γάζαν*, სომხ. *ի վերայ գազայ*, ებრ. *‘azā* (რუს. Газа).

8. P-შია: სიმეწამულს სამოსლისა მისისა ბისონით (ეს. 63,1). მოსალოდნელი იყო: ბოსორით (ასეცაა M-ში). კონტექსტი მაცთუნებელი იყო. აქ საუბარია ბოსორ-ში დამხადებულ მეწამულ სამოსელზე, მაგრამ გადამწერს ის გაუ-

აზრებია, როგორც ბისონ-ისგან დამზადებული (ბერძნ. Βύσσος „თხელი ტილო“). შდრ. ბერძ. Βυσσός, სომხ. բուսო, ებრ. בִּיסּוֹ (რუს. Висор).

II. გადამწერი საერთოდ უ ც ნ ო ბ ი საკუთარი სახელის გრაფიკულ სახეს მცდარად აღიქვამს (არაზუსტად კ ი თ ხ უ ლ ო ბ ს ან ი მ ა ხ ს ო ვ რ ე ბ ს) და მას აცნობიერებს მ ი ს თ ვ ი ს უ ფ რ ო ც ნ ო ბ ი ლ ს ა კ უ თ ა რ სახელად.

1. გეოგრაფიულ ბეთელ სახელს გადამწერი ხშირად აღიქვამს უფრო ცნობილ ბეთელმ სახელად. ასეთი აღრევის შემთხვევები ხშირია A-ში (მსაჯ. 20, 18; 20, 31; 21, 2; 21, 19...), P-შიც (მსაჯ. 2, 1; IV მეფ. 2, 2; 2, 3...) დასახელებულ ადგილებში ივითება: ბერძნ. Βαιθήλ, სომხ. բիթէլ, ებრ. beth-²el (რუს. Ветил). აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის ებრაულ-რუსული პარალელური ტექსტების 1877 წ. ვენურ გამოცემაში Ветил არის, მაგრამ რუსული თარგმანის 1968 წლის მოსკოვურ გამოცემაში Ветил-იც არის (მსაჯ. 20, 31; 21, 19) და ებრაული სახელის ეტიმოლოგიური თარგმანიც—дом Божий (მსაჯ. 20, 18; 21, 2).

2. P-შია: ისუს, ძესა ნაეშხა (III მეფ. 19, 16), მოსალოდნელი იყო: იუს, ძესა ნამეხისხა, შდრ. იეუსხ, ძე ამეხისხა M, ბერძნ. Ἰὺς υἱὸν Ναμεσσί..., სომხ. լէս, որդին ამեսსայ, ებრ. ihu ben-nameši (რუს. Ииуй, сын Намессина).

3. იუ, რომელიც ზემოთ (III. მეფ. 19, 16) ისუ-დ იქნა გაგებული, P-ში მომდევნო მუხლში იუდა-დ არის გადაქცეული: მოკლას იგი იუდა, და, რომელი განერეს მახვლსა იუდაახსა, მოკლას იგი ელისე (III, მეფ. 19, 17). შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირველად იუ-ს (შდრ. Ἰὺς, Ииди) „და“ კავშირი შეუერთდა (იუ და→იუდა), მერმე კვლავ „გაუჩინეს“ და კავშირი, ხოლო უკვე იუდა-დ ქცეული ფორმა მეორეჯერაც განმეორდა ფრაზაში.

4. P-შია: იესთერ (III. მეფ. 2, 5). მოსალოდნელი იყო: იეთერ, შდრ. ბერძნ. Ἰεθέρ, სომხ. լէթեր, ებრ. iether (რუს. Исфер). საეკვო არ უნდა იყოს, რომ იესთერ ფორმაში ს ჩამატებულია ესთერ სახელის ანალოგიით (ასოციაციით).

5. P-შია: გალიღეა-დ (ის. ნავ. 22, 9), მოსალოდნელი იყო: გალაა-დ (მიმართ. ბრუნვის ფორმა), შდრ. ბერძნ. Γαλαάδ, სომხ. գաղասպ, ებრ. gal'ad (რუს. Галаад).

6. P-შია: ძე იოხიახხი (მსაჯ. 8, 13), მოსალოდნელი იყო: ძე იოახისი (ასეც არის S-ში), შდრ. ბერძნ. Ἰωάχ, სომხ. որդի յովասո, ებრ. ben-io²h- (რუს. сын Иоаса).

7. A-ში ხშირად არის ნინევ-ელი (იობ. 2, 11; 11, 1, 20, 1) თითქოს მოსალოდნელი მინევ-ელის ნაცვლად (შდრ. მინელი M). მოსალოდნელი მინეველ ფორმა ა. შანიძეს აქვს აღდგენილი თავის გამოცემაში, შდრ. ბერძნ. Μιναιος, სომხ. մինեցուդ, ებრ. pa'amāthe (რუს. наамитянин), როგორც ჩანს, გასწორებისას გათვალისწინებულია ბერძნულ და სომხურ წყაროთა ჩვენებაში (ებრაული ტექსტის ჩვენებით, გასწორება არ იყო აუცილებელი).

8. A-შია: ვაჭირო არაბიელხა (ეს. 29, 2). მოსალოდნელი იყო: არიელხა, შდრ. ბერძნ. Ἀριήλ, სომხ. արիէլ, ებრ. ʾari²el (რუს. Ариил).

III. გადამწერი უ ც ნ ო ბ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ი ს გ რ ა ფ ი კ უ ლ ს ა ხ ე ს მცდარად აღიქვამს მ ს გ ა ე ს ი მ ო ხ ა ზ უ ლ ო ბ ი ს ა ს ო ე ბ ი ს ერთმანეთში აღრევის გამო და საერთოდ გა უ ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა ფორმა.

1. P-შია: უზამაოხ (დაბ. 28, 19). მოსალოდნელი იყო: ულამაოხ ან უკეთ: ულა-მლოუ (შდრ. A-ს: ულუშაუჟ), ბერძნ. Οὐλαμῶς, სომხ. ւլամաու, ებრ. ʾulam

luz (რუს. Лыз). თავი რომ დავანებოთ ქართული და უცხოენოვან შესატყვისობათა ხმოვნებს შორის სხვაობას მიზეზების დადგენას, ერთი მაინც უმკველია: პირველ მარცვალში ლ უნდა იყოს და არა ზ, და ამ ასოთა მრგოლოვანი დაწერილობა შეცდომის მიზეზი: **ზ** წაკითხულია **ზ**-დ.

2. A-შია: **ლუჟამ** (დაბ. 36, 27) უნდა იყოს: **ზუჟამ**, რადგან ბერძნულ წყაროზე ჩანს დამოკიდებული: შდრ. ბერძნ. Ζουζάμ, სომხ. ჟიჟან, ებრ. zāʿvān (რუს. Зааван). აქაც შეცდომის მიზეზია **ზ**-ს წაკითხვა **ზ**-დ.

3. A-შია: **გოზომ** (დაბ. 36, 23), მოსალოდნელი იყო: **გოლომ** ან **გოლამ**. შდრ. ბერძნ. Γαζάμ, სომხ. ჟიჟამ, ებრ. ʿalān (რუს. Алван), თავი რომ დავანებოთ ქართულ და უცხოენოვან წყაროთა ფორმებში ხმოვანთა განსხვავებულობას, ერთი მაინც უმკველია: ფუძეში ლ უნდა იყოს და არა ზ, ე. ი. შეცდომის მიზეზია: **ზ**-ს წაკითხვა **ზ**-დ.

4. A-შია: **ელონია** (იერ. 35,3). მოსალოდნელი იყო: **იგონია**, შდრ. ბერძნ. Ἰζωνία, სომხ. լիբոնիա, ებრ. jazanjā, (რუს. Иазания). ცხადია, **ზ** წაკითხულია **ზ**-დ.

5. A-შია: **გაბალონისასა** (ეს. 28, 21), მოსალოდნელი იყო **გაბალონისასა** ან **გაბალონისასა** (ა. შანიძე ასეც ასწორებს ტექსტს), შდრ. ბერძნ. Γαβαλόν, სომხ. գաբաლოն, ებრ. gabaʿon, სირ. gabʿaon (რუს. Гаваон). შეცდომის მიზეზი უნდა იყოს **ზ**→**ზ** (შდრ. სომხ. გაბალონ) და არა **ზ**→**ზ**, რადგან უცხოენოვან წყაროებში **ჰ**-ს ფარდი არ მოიპოვება, ებრ. **ז** (ʾ) და სირ **ז** (ʾ) სომხურსა და ქართულში **ჰ**-თი არ გადმოდის ჩვეულებრივ ძველ ქართულშიც ეს ფუძე **ჰ**-ს გარეშეა (ის. ნავ. 10, 10; 10, 12 P, S-ში: ის. ნავ. 9, 3, 9, 17—27, 10, 1—2...). **ზ** და **ზ**-ს გრაფიკული აღრევა სხვაგანაც, ქვემოდასახელებულ მაგალითშიც უნდა გვექნოდეს.

6. P-შია: **ელეზარ** (დაბ. 15, 2), მოსალოდნელი იყო: **ელეზარ** ან **ელიეზერ** (ასეცა A-ში), შდრ. ბერძნ. Ἐλιεζερ, სომხ. հղիազար, ებრ. ʾelīʿezer, (რუს. Елиезер). უმკველია, რომ ფუძეში ვ-ს მაგიერ ლ უნდა იყოს, მაგრამ ხმოვნებით P გვერდით უდგას სომხურსა და სირიულ ფორმებს, შდრ. **հղիազარ**, სირ. ʾelīʿazar, ქართ. **ელეზარ**←**ელიაზარ** (მრგოლოვანი **ლ** აღრეულია **ზ**-ში). A-ს ელიეზერ ფორმა კი ზუსტად გადმოსცემს ბერძნულ **Ἐλιεζერ**-ს.

7. A-შია: **ხინელნი** (დაბ. 15, 19), მოსალოდნელი იყო: **კენელნი** ან **კენელნი**. შდრ. ბერძნ. Κεναιουζ, სომხ. կինեղիս, ებრ. ʾeth-haqēne (რუს. Кенев). შეცდომის მიზეზი ჩანს მრგოლოვანი **ს**-სა და **ხ**-ს აღრევა (**ხ**→**ს**).

8. P-შია: **გერათელთა** (დაბ. 20, 1), მოსალოდნელი იყო: **გერათელთა** (←**გერარელთა**), შდრ. ბერძნ. Γεραθων, სომხ. ՚ի գիրարայ, ებრ. gerār (რუს. Герарский). აღრეულია ნუსხური **თ** და **თ**. შდრ. სწორი ფორმები: მეფემან **გერათელთამან** (დაბ. 26, 8), **გერათელთანი** (დაბ. 26, 20).

IV. გადამწერი მცდარად აღიქვამს უ ც ნ ო ბ ს ა კ უ თ ა რ სახელს, ა კ ლ ე ბ ს მას თავიკიდურ ასოს ან მარცვალს წინა სიტყვის მსგავსი ასოებით დაბოლოების გამო, ე. ი. ო რ ჯ ე რ და ს ა წ ე რ ი, ერთი და იგივე ასოები (წ ი ნ ა სიტყვის დაბოლოებისა და მომდევნო სიტყვის დასაწყისისა) ერთხელ იწერება. ამ დროს უფრო საკუთარი სახელი კარგავს დასაწყის ასოებს, ან საერთოდ ცუდად დამახსოვრებულ სიტყვა იწერება ასოს (ასოების) დაკლებით.

1. P-შია: **ყოველმან ახერმან** (მსაჯ. 7,23). მოსალოდნელი იყო: **ყოველმან მანახსმან** (-მანახსმან, შდრ. S-ის: **ყოვლისაგან მანახსა**), ბერძნ. **απὸ παντὸς**

Manasaxē, სომხ. **յամանախն մանասէ**, ებრ. **v'men bāl-manas̄seh** (რუს. ... Манасина). ცხადია, „მანასემან“ ფორმას „მან“ დააკლდა, ხოლო მოსალოდნელი „ასესმან“ გააზრიანდა „ასერმან“ სიტყვად, რადგან წინადადებაში იქვე გეოგრაფიული სახელი ასერიც არის ნახმარი.

2. P-შია: ჩრდილოეთ კერძო მისა ბორცუთაგან აბორშთ ღელესა შინა (მსაჯ. 7, 1), მოსალოდნელი იყო: ბორცუთაგან გაბორშთ... (შდრ. S-ის: გა ბ თ ა ნ ი ს ა ველსა), მაგრამ „გა“, დააკლდა, რაც წინა სიტყვის დაბოლოების „გან“-ის დაწერამ განაპირობა. სხვა საქმეა, რომ გაბორე საგრძნობლად დაშორებულია უცხოენოვანი ტექსტების იკითხვისებს: ბერძნ. **γαβθ Γαβθαθμαρα**: ... სომხ. **ի գաբասթამ որ 'ի ნოխს ანყ** ებრ. **m'gabē'ath hamoreh** (რუს. у холма Морé).

3. P-შია: მკვდრნი მისნი (ეს. 10, 31). მოსალოდნელი იყო: მკვდრნი გიბამისნი ან გიბირისნი, შდრ. **Γιβείρ**, სომხ. **ի գիրქმ**, ებრ. **gebim** (რუს. Гемим). ჩანს, გიბიმ საკუთარი სახელისაგან მ-ს მეტი არაფერი დარჩენილა, რადგან „გიბი“ გამოუტრევიდათ დაზიანებული ღედნის არასწორად წაკითხვის ან წაკითხულის არასწორად დამახსოვრების გამო. ანალოგიური ვითარებაა ქვემოდასახელებულ შემთხვევაშიც.

4. A-შია: თვსთანი (ეს. 22, 8). მოსალოდნელი იყო: დავითისთანი შდრ. ბერძნ. **Δαυιδ**, სომხ. **դավի**, ებრ. **david** (რუს. Давид). ჩანს, სიტყვის დაწერაში გამორჩათ „დავი“ (არასწორად წაკითხვის ან დამახსოვრების გამო) და დარჩენილი *თისთანი გააზრიანდა, როგორც თვსთანი.

შეიძლება სიტყვის **შ უ ა ნ ა წ ი ლ ი დ ა ნ ა ც** იყოს მარცვალი გამოტრევილი.

5. P-შია: გაოს შინა (ის. ნავ. 10, 10), მოსალოდნელი იყო: გაბაონს შინა. შდრ. ბერძნ. **Γαβων**, სომხ. **գաբაონ**, ებრ. **gaba'on**, (რუს. Габон). ცხადია „ბა“ მარცვალი გამორჩენილია გადაწერისას.

V. გადამწერი მცდარად აღიქვამს (არასწორად კითხულობს ან იმახსოვრებს) უცნობი საკუთარი სახელის ფორმას, მას მექანიკურად აკლებს ან უმატებს ასოს. ასეთი შემთხვევები ხშირია, ამიტომ დავასახელებთ ორიოდ მაგალითს: **ქნაანისა** (=ქანანისა), (დაბ. 16, 2A), **აბმელიქი** (=აბიმელიქი); (დაბ. 26, 9A), **მაქა** (=მაქმა) (ეს. 12, 28), **გოდლია** (=გოდოლია) (იერ. 38, 1P), **ასაორონი** (=საორონი), (ეს. 39, 9P), **ფართურა** (=ფათურა) (რიცხ. 22, 5P)...

ცხადია, ხელნაწერებში საკუთარ სახელთა შერყენის სხვა სახის შემთხვევებიცაა, მაგრამ მათი დასახელების გარეშეც ერთი რამ აშკარაა: ძველი აღთქმის რედაქციების შემცველ ქართულ ხელნაწერებში გადამწეოთა (და არა მთარგმნელთა) უყურადღებობით საკუთარ სახელთა საგრძნობი ნაწილი დამახინჯებულია. ძველი აღთქმის ქართულ რედაქციათა სრული კორპუსის გამოცემისას საჭიროა გასწორდეს საკუთარ სახელთა ისეთი შერყენილი ფორმები, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა არა აქვთ ქართული ტექსტისა და საერთოდ სამწერლო ენის ისტორიისათვის და ტექსტში ან კრიტიკულ აპარატში უნდა აღინიშნოს სავარაუდებელი სწორი ფორმები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აქნება შესაძლებელი, რომ ძველი აღთქმის წიგნთა ქართული რედაქციების სრული კორპუსის გამოცემის შემდეგ სწორად შედგეს ამ ტექსტზე საცნობარო წიგნები — სიმფონიები და საკუთარ სახელთა ლექსიკონი.

კ. დ. დანელია

О ПЕРЕДАЧЕ СОБСТВЕННЫХ ИМЕН В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ РЕДАКЦИЯХ ВЕТХОГО ЗАВЕТА

Резюме

Сопоставление форм собственных имен грузинских редакций ветхозаветных книг и предполагаемых иноязычных первоисточников дает интересный материал как для установления сущности звуковой системы сравниваемых языков, так и для изучения генезиса грузинского перевода.

В работе проанализировано несколько десятков собственных имен грузинского перевода библейских книг, форма которых явно искажена и их исправление необходимо при издании полного корпуса грузинских редакций ветхозаветных книг. Также указано, что без исправления остаются те формы, которые имеют значение для изучения истории текста или грузинского литературного языка. Таковы: 1. формы, происходящие из разных иноязычных источников (abraham/abraam); 2. формы разных хронологических уровней (ismael/ismael, swimon/simon); 3. формы, являющиеся результатом фонетических процессов — ассимиляции, диссимиляции, метатезиса (lebeos/lebeoz, nefthalem/lefthalem, somoron/soromon).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული
ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსმა ა. შანიძემ

М. М. ГЛОНТИ

БИСКАЙСКИЕ НАЗВАНИЯ ДНЕЙ НЕДЕЛИ

(несколько общих замечаний)

1. В баскском ареале, как известно, имеются две существенно различные терминологические системы или парадигмы для дней недели: парадигма всего восточного ареала, включая Гипускоа, и парадигма бискайского¹. Самой существенной и тоже хорошо известной чертой этой второй парадигмы является ее особая близость к латино-романской септимальной системе, которая видна уже из прямых заимствований для субботы и воскресенья (см. ниже).

Легко заметить, что бискайская парадигма делится на две существенно различные части:

ilen	понедельник	bariaku	пятница
martitzen	вторник	zapatu	суббота
eguaizten	среда	domeka	воскресенье
eguen	четверг		

На возможность выделить первые четыре слева термина по их общему окончанию *-en* уже обращалось внимание². Одновременно один из обративших на это внимание авторов Х. Горостиага отмечал, что это общее *-en* может быть в данном случае окончанием баскского родительного падежа (посессивности): ср. *aita-g-en liburua* «отца книга», и что, если это так, то мы имеем структурную аналогию в испанском, где в *lunes, martes, miercoles, jueves, viernes* (от понедельника по пятницу) окончание *-es* считается обобщенным продолжением латинского родительного падежа на *-is*, ср.: лат. (*dies*) *Martis* «вторник» от *Mars*; (*dies*) *Jovis* «четверг» от *Jos*; (*dies*) *Veneris* «пятница» от *Venus*, а затем также (*dies*) *Lunis* «понедельник» вместо (*dies*) *Lunae* от *Luna*, (*dies*) *Mercuriis* «среда» вместо (*dies*) *Mercurii* от *Mercurius*³.

То же окончание *-en* баскского посессивного падежа Х. Горостиага усматривал, однако, не только в *ilen, martitzen, eguen*, но и в *eguaizten* «среда»⁴ (см. у нас среди левых четырех терминов), что абсолютно противоречит и, вместе с тем, опровергает общепринятое значение *eguaizten*, как *egu* «день», *azten* «последний» (ср. биск. *egun* «день», *azten* «последний»), которое, как показывает семантико-морфологическая структура этого термина, предельно ясно, просто и даже бесспорно и от которого нет никаких оснований отказываться.

В восточно-баскском ареале среда носит название *aste-azken*, где при любом толковании первого компонента *aste* второй компонент равен восточно-баскскому же *azken* «последний» (ср. биск. *azten* «последний» в составе того же биск. *egu-azten*, которое мы только что обсуждали). Это значит, что

биск. *egu-azten* представляет собой просто диалектный вариант от вост. баск. *aste-azken*, и именно такой вариант, где первый компонент разный (хотя, видимо, и синонимичный), а второй одинаков и имеет легко объяснимое небольшое различие в одном звуке.

Само *aste-azken* в восточной парадигме баскской недели вместе с наименованиями понедельника и вторника на почве общего элемента *aste* (который существует только в этих трех названиях дней недели), создает известную тройку терминов (см. ниже). Если мы сравним эту тройку с единственным ее бискайским коррелятом

?		<i>aste-len</i>	понедельник
?		<i>aste-arte</i>	вторник
<i>egu-azten</i>	среда	<i>aste-azken</i>	среда.

то нам трудно будет отказаться от мысли, что биск. *egu-azten* само является единственным остатком от такой бывшей тройки терминов, которая аналогична показанной нами справа, т. е., иначе говоря, что перед нами в неполном виде следующая бывшая микросистема терминов (в двух ее диалектных вариантах):

биск.		вост.-баск.
+ <i>egu-len</i>	как	<i>aste-len</i>
+ <i>egu-arte</i>	как	<i>aste-arte</i>
<i>egu-azten</i>	как	<i>aste-azken</i>

(Одновременно с нами такая реконструкция предлагается в подготавливаемой печатной работе Ю. В. Зыцарем; возможно, что она предлагалась и ранее).

Из этого следует, что, возможно, неделя из трех дней существовала некогда не только у восточных басков (т. е. деление времени тройками, как это обычно выводится из наличия приведенной справа тройки терминов)⁵, но и у бискайцев (реконструкт слева).

Итак, *-en* родительного падежа (возможного) имеют в бискайском только три термина (понедельника, вторника и четверга). Все они приходится на «левую» часть бискайской недели от *понедельника* до *четверга* (см. первую схему). Но это как раз та ее часть, для которой реконструируется бывшая бискайская трехдневная неделя с соответствующей тройкой терминов — неделя исконная в силу уже ее аналогии с восточно-баскской. Таким образом, перед нами в нашей левой части оказываются два разных типа терминов, относящихся к разным историческим этапам бискайской недели: один на *egu-* (*egu-azten*, *egu-en*, *egu-bakoitz*, а также *+egu-len*, *+egu-arte*), несомненно старый, другой с окончанием *-en* (*il-en*, *martitz-en*, и здесь опять появляется *egu-en*⁶), очевидно, более поздний. И этот второй тип, конечно, связан уже с латино-романским этапом бискайской недели⁷, что заставляет вновь вспомнить о теории Горостиага (родительного падежа) или же допускать какое-то иное решение, но тоже идущее в направлении латинского влияния.

(Мысль о латинском влиянии, таким образом, получает свое подтверждение на фоне чисто внутренних реконструкций. Кстати, если именно *четыре* левых дня оказались в бискайском оформленными отлично от *трех* правых, то это можно объяснить опять-таки только внешним фактором, т. е.

тем, что на правые три дня — *bariaku, zapatu, domeka* — должно было приходиться наибольшее или особое влияние христианства; какое-то историческое расслоение сразу можно предвидеть, следовательно, и в собственно романской, или, лучше сказать, христианско-романской части бискайской недели и ее терминов (напр., латинское и христианско-романское, где в виде реликта бытует собственно баскское), и притом предвидеть, исходя еще только из формальной группировки последних).

Недавно крупнейший басколог Л. Мичелена предложил как раз иное предположительное решение для терминов типа *ilen*, тоже идущее в направлении латинского влияния⁸. Это решение состоит в том, что элемент *-en* в данных терминах представляет собой просто остаток баскского слова *egun* «день», которым прямо переводилось лат. *dies* латинских терминов типа *Lupae dies*, как при этом переводился, т. е. калькировался и весь состав этих терминов.

Является ли эта теория более приемлемой, имеет ли она преимущества? Мы считаем, что да — по следующим причинам.

1. Баскскому исследователю удалось найти такие формы, которые показывают, что в *eguen* второй компонент *-en* восходит к более полному слову и скорее всего к слову *egun*: это форма *egu-in* в Мунгия (*Mungia*) и *egu-ain* в Алаве, в районе Сигонтия и Нафаррате⁹, ср. также точно такую же форму *egu-ain*, отмечаемую Л. Мичелена в словаре Ландуччи (1562)¹⁰; *egu-en*, *egu-in* и *egu-ain* вполне могут восходить, таким образом, к ⁺*egu-egun*, откуда после падения второго интервокального (*g*), ⁺*egu-eun* и т. п. Незачем говорить, что *eguin* и *eguaun* уже невозможно вывести из формы родительного падежа *eguen*.

2. В восточной части баскского ареала, хотя и в одном только слове *ortz-egun* «четверг» также имеем элемент *egun*, притом на втором месте компонента; тут надо учесть и то, что этот термин также является очевидной калькой с латинского (с лат. *Jovis dies*). Баск. *ortz* «небо», «гром» равняется древнегерманскому богу бури, грома, молнии (X. Каро Бароха) и соответствует громовержцу Юпитеру.

3. Наличие большого числа прямых калек с латинского вполне понятно в составе бискайской парадигмы, поскольку мы имеем здесь и три прямых заимствования, а также указание на калки в первом компоненте типа *il* «луна» слова *ilen* и др.

4. Латинская семидневная неделя была вообще образцом для калькирования во всем европейском ареале, и она в принципе вполне могла стать таким образцом в его маленькой баскской части.

5. Как мы увидим, биск. *martitzen* «вторник» представляет собой такую кальку с латинского, где прямо сохранен не только первый компонент, но даже и его родительный падеж, через который в латинском оригинале шло согласование с *dies* и который, очевидно, сохранился здесь при прямой замене этого *dies* через баск. *egun* (>*-en*); сама форма латинского родительного падежа как будто подсказывает, таким образом, что на месте *-en* в *martitzen* исторически должно было стоять эксплицитное *egun*, а за ним (в латинском оригинале) *dies*.

Если калькирование баскского термина типа *martitzen*, а вместе с ним и *ilen*, *eguen* производилось с оригиналов, где *dies* стояло на втором месте, то это заставляет вспомнить прежде всего о французских терминах от понедельника до субботы (*lundi, mardi, mercredi, jeudi, vendredi*), а также итальянских от понедельника по пятницу (*lunedì, martedì, mercoledì, giovedì, venerdì*), сохраняющих в виде компонента *-di* память о народно-латинском типе (*Lunae dies*) с *dies* на втором месте. Да и сам Л. Мичелена в данной связи акцентирует внимание именно на этой стороне.

Более того, любопытные отзвуки именно латинского языкового мира Франции (т. е. древней Галлии) и Италии известны и в слове (тоже бискайском) *domeka*, которое, таким образом, также как-то «подстраивается» сюда (на что обращает наше внимание Ш. Кинтана). В самом деле биск. *domeka* «воскресенье», восходящее к лат. *dominica*, букв. «Господний» (день) сходно с галло-романскими и итало-романскими формами уже по их грамматическому роду (франц. *dimanche* и ит. *doménica* женского рода и восходят к форме женского рода этого слова в самой латыни, т. е. к форме *domínica*, а не к *domínicu* мужского рода, как исп. *domingo*): если бы биск. *domeka* восходило к лат. *domínicu* м. рода, а не к *domínica* женского, то оно имело бы форму *+domeku* или *+domekua* с артиклем, а не *domeka*. Кроме того, биск. *domeka* заставляет вспомнить о галльской и итальянской латыни и своим (е), поскольку в испанском мы имеем на месте данного звука (i), тогда как франц. *dimanche* и ит. *doménica* восходят к лат. *domínica* не непосредственно, а через этап *+doménica*, как и бискайское слово (лат. *+domepica* дало в баскском *+domeika*, т. к. интервокальный (n) в баскском и гасконском, как правило, падал, а форма *+domeika* утратила (i), т. к. оно оказалось в зиинии).

Имеет значение, конечно, и то, что «галльский акцент» ощущается в данном случае в таком баскском слове, которое входит именно в парадигму недели (а сами его колебания в форме, отражающей грамматический род, восходят в конечном счете к наличию обоих — женского и мужского — грамматических родов у латинского слова *dies*, которое давало поэтому *dies dominica*, как и *dies dominicu*, а также оба этих варианта с *dies* на втором месте).

II. Если объединить указанную реконструкцию Л. Мичелена с нашей предыдущей, то мы получаем следующую картину: на фоне исконного типа *+egu-len*, *+egu-arte*, *egu-azten* имеет место калькирование с помощью слова *egun* (в его свободном употреблении) с латинских оригиналов типа *Lunae dies*, *Martis dies*, *Jovis dies*, в результате чего возникают термины противоположной структуры со словом *egun* на втором месте: *+il-egun* (>*il-en*), *+martitz-egun* (>*martitz-en*), *+egu-egun* (>*egu-en*). Для ясности то же самое можно себе представить так:

На фоне	Кальки	С оригинала
1. <i>+egu-len</i>	<i>+il-egun</i>	< <i>Lunae dies</i>
2. <i>+egu-arte</i>	<i>+martitz-egun</i>	< <i>Martis dies</i>
3. <i>egu-azten</i>	- - -	< <i>Mercurii dies</i>
4. ?	<i>+egu-egun</i>	< <i>Jovis dies</i>



Из левого ряда реликтивно выживает *eguazten* «среда» и добавляется название четвертого дня во втором столбце, приходя либо, так сказать, на пустое место, либо на место неизвестного нам бывшего дня с неизвестным названием.

Структура баскского языка, в котором прилагательные постпозируются (всегда), а определяющий компонент композитов чаще всего препозирован (по крайней мере, в современном языке), никак не может препятствовать допускаемому калькированию и смене одной терминологической парадигмы другой. Со стороны структуры перед нами в общем вполне реальная возможность.

III. Для истории самого баскского языка и особенно для внешней истории его носителей очень важно по возможности точно установить, действительно ли для калькирования терминов недели бискайцам служил латинский оригинал типа *Lunae dies*, и если да, то не возник ли он под влиянием какой-либо региональной разновидности народно-латинской речи. Вот несколько наблюдений или соображений.

Если ориентироваться на преобладающий в современном баскском языке тип композитов (*mendi-buru* «горы вершина», *egui-egun* «день смерти»), то можно сказать, что с помощью этого типа такие кальки, как *ilen* < +*il-egun* «луны день» могли быть получены не обязательно с оригинала *Lunae dies*, но и с оригинала *dies Lunae*; ведь при господстве указанного типа композитов гораздо труднее с **любого оригинала** снять ряд таких калек, как +*egun-il*, +*egun-martitz* и т. д., чем ряд +*il-egun* и т. д. Но это означает, что прототипом для рассматриваемых бискайских калек не обязательно было лат. *Lunae dies*, могло быть и *dies Lunae*.

В слове *martitzen*, в его части, отражающей латинский родительный падеж, как уже говорилось выше, заключено, правда, противоположное указание, которое важно потому, что проще всего за этим словом с его составом +*mart-itiz-egun* видеть лат. *Mart-is-dies*, да и формант *-is* легче мог, видимо, сохраниться в баскской копии в том случае, если он был воспринят в состав именно такого латинского оригинала, ибо в нем он точно соответствует по месту в структуре термина баскскому композитному маркеру possessивности и т. д. (*aita-r-en liburu* или *etxe-ko-jaina* или *mendi-Ø-buru*) и, значит, в таком оригинале его легче понять и сохранить. Однако и все это не является решающим. Во-первых, нельзя исключать, что *martitz* было воспринято как именительный падеж. Во-вторых, если это не так, то *-is* как формант родительного падежа мог быть принят и в состав *dies Mart-is*, а затем воспроизведен в структуре иного типа *mart-itiz-egun*. Здесь все возможно и все недостаточно доказательно. И, на наш взгляд, едва ли можно принять только одно, что в основе калек типа +*il-egun* может лежать просто *Lunae* или *Lunis* с подразумеваемым, но неявным *dies*.

Тем не менее, аргумент простоты и вероятности остается все же, конечно, на стороне типа *Lunae dies* как возможного оригинала.

Такой тип, как уже говорилось, считается «характерным для итальянской и галльской латыни — судя хотя бы по современным итальянским и французским названиям дней недели. Однако думать о каком-либо влиянии галльской латыни на бискайцев, так сказать, через голову латинского

населения Южной Галлии (см. ниже) нет смысла. Кроме того, вот что писал по поводу латинских названий дней недели в романских языках один из крупнейших романистов нашего века Эдуард Бурсье: «Аналогичными словами в народном языке были названия дней недели: *Lunae dies* «день Луны» понедельник, *Martis dies* «день Марса» — вторник и т. д. (ср. ит. *lunedì, martedì*, франц. *lundi, mardi*). Однако в латинскую эпоху все эти слова еще не представляли собой устойчивых словообразований; так, в южной и северо-восточной Галлии порядок членов сочетания был обратный: пров. *diluns, dimartz*, и еще у Фруассара *devenres = dies Veneris* «день Венеры» — пятница и т. д.; в Иберии же, а также на востоке и отчасти в северной Италии определяемое вообще отпало: исп. *lunes, martes*, рум. *luni, marti*, венед. *lúni, márti*»¹¹. (выделено нами — М. Г.).

Как видим, даже в самой Галлии наряду с так называемым «галльским» типом *Lunae dies* существовал, таким образом, другой: *dies Lunae*; в зоне, ближайшей с севера к баскам, преобладал именно этот второй тип, а не «галльский». Падение *dies* могло иметь место только в ограниченной какой-либо зоне (ср. о Сев. Италии) и, очевидно, наоборот, где-нибудь в Иберии могли быть небольшие зоны сосуществования обоих типов. И все это раскрывает достаточно прихотливую картину в масштабе как всей Романии, так и ее частей. И указывает на вероятность такой же картины на Пиренейском п-ове, в его латыни: следовательно, здесь в какую-то пору вполне мог использоваться тип *Lunae dies* с эксплицитным *dies* в конце, а не только противоположный ему с начальным *dies*.

В Иберии, — говорит Э. Бурсье, — определяемое вообще отпало. Но когда? Очевидно, не сразу. И, значит, оно могло бытовать там, притом в конце композитов, в частности, в период появления наших бискайских калек типа *+il-egun*, поэтому за последними может стоять бытовавший в Иберии, а не в Галлии, тип *Lunae dies*, хотя и достаточно ранний, но до сих пор себя как будто не заявлявший.

Кстати, тип *Lunae dies* мы не можем с уверенностью постулировать даже для ит. *doménica* «воскресенье», а для франц. *dimanche* обычно постулируется, наоборот, *dies dominica*, и это несмотря на наличие данного типа (*Lunae dies*) даже во французском названии субботы *samedi* из *sabbati dies*¹²; во французском названии воскресенья мы имеем начальный элемент *-di* — потому, по всей вероятности, что это слово испытало влияние южно-французской парадигмы недели (к тому же, влияние последующее, позднее, как христианский термин), где на первом месте во всех названиях, включая название субботы, имеется такой же элемент, оставшийся от лат. *dies*. Кстати же, пути, на которых мыслится сложение исп. *lunes, martes* и т. д., весьма сложны: это, кроме падения *dies*, обобщение окончания *-is* и его переход в *-es*¹³. Последнее мы имеем, правда, и в Галлии на месте *-is* (*devenres*, см. выше в цитате), а переход *lunae > lunis* зафиксирован в документах (Э. Бурсье, цит. раб., с. 62 со ссылкой на *CIL, IX, 6129*). Но все же можно, по-видимому, спросить себя, не сохраняется ли компонент *dies* хотя бы в исходе *-es*, например, испанского *martes*? Т. е. исключен ли в ис-

панском полностью исторический переход типа *Martis dies* > +*marties* > *martes*?

Итак, в кальках *ilen* и др. мы имеем, очевидно, не «галльский акцент», а наоборот, скорее указание на старый тип *Lunae dies* в испанской латыни (см. выше). Поскольку же речь может идти, конечно, только о старом типе в этой латыни, то приходим к мысли о раннем характере тех же калек, раннем влиянии полуостровной латыни на бискайский.

Иное дело — биск. *domeka*. Наличие форм типа *dimenche, dimenje* с (е) в южной Франции, восходящих к лат. *dies dominica* (ж. рода), говорит, действительно, о возможности влияния на баский здесь со стороны аквитанской латыни. И хотя остается непонятным, как оно могло осуществляться через голову восточных басков, у которых нет (или исчез?) коррелят бискайского *domeka*, но это все же освобождает нас от необходимости строить головокружительные гипотезы о влиянии галлов на бискайцев через голову не только восточных басков, но и аквитанов.

IV. Биск. *zaratu* «суббота» своим глухим (-t-) указывает на то, что оно заимствовано, во всяком случае, до V века (да и в *domeka*, откуда бы оно не пришло, мы имеем глухой интервокальный (-к-/-), что является достаточно ранним периодом для бискайских заимствований¹⁴. Биск. *ilen, martitzen* и т. п. тоже производят впечатление ранних калек, и в силу этого, а также в силу их принадлежности вместе с *domeka, zaratu* к одной узкой сфере словаря, наконец, в силу того, что все это имеет единый латинский источник, складывается впечатление, что как данные кальки, так и заимствования относятся к одному времени и даже одному социальному источнику — например, церковно-христианскому, на который *domeka* указывает и своей семантикой. Такое впечатление, естественно, трудно преодолеть.

Однако мы лично вовсе не уверены в одновременности появления описанных калек и указанных заимствований *zaratu* и особенно *domeka*. Прежде всего, против такой одновременности говорит типология термина и общая историческая типология календаря, согласно которым термин типа «Господний день» или «воскресенье» появляется в последнюю очередь, будучи особенно тесно связан с христианством. Против указанной одновременности говорит и общая типология самой субботы и ее названий в языках Средиземноморья (см. подробно нашу готовящуюся публикацию «О планетарной неделе и ее латинской модели» в «Известиях Академии наук Грузинской ССР», серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1983, № 2).

